# კვირის პალიტრა

№ 13 (474) ◆ 29 მარტი – 4 აპრილი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995


## 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულია!

წინასწარი მონაცემებით, დიდი უპირატესობით ლიდერობს სახელისუფლებო პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს რამდენიმე ოპოზიციურ პარტიასაც. საბოლოო შედეგები, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

გვ.3

## „უკიდეგანოდ იზრდება მმართველი ხელისუფლების პასუხისმგებლობა“

*ალექსანდრე რონდელი*





## „ქარხანას ქართველებიც მშვენივრად დავჭრით, იტალიელი ინვესტორი რად გვინდოდა?“ გვ.6,13

რაც გავიგონე, თქვენს მტერს. განიხილავდნენ პროექტს, რომლის თანახმად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი სამუდამო სარგებლობაში თურქებს უნდა გადასცემოდა, თანაც ჩალის ფასად. ერთი მეტალურგიც კი არ იჯდა დარბაზში. გადავირიე კაცი, შესვენებაზე მეტალურგიულ ინსტიტუტში გამოვიქეცი. ავაბუნტე მეტალურგები და როგორც იქნა, ახვლედიანების კლანს ეს გეგმა ჩავუშალეთ.

## 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა



## „პირველად ვნახე ნოსტალგიით დაავადებული ადამიანი“

ზვიადმა გროზნოში ჩიტი მიიჩვია – „ჩიტო, გვ.4 საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო?“

## უძლეველობის მითი დამსხვრეულია – ოპერაციის უცნობი დეტალები

სპეცოპერაციები სვანეთში ჯერ არ დასრულებულა – ვინ იქნება შემდეგი?

ეცერის თავზე 10 შვეულმფრენი დილის რვის ნახევარზე გამოჩნდა. ხმაურზე ევგენი აფრასიძემ გამოიხედა, რომელსაც მაშინვე მოხვდა სნაიპერის ტყვია. დაჭრილი გოჩა აფრასიძემ შეიყვანა სახლში... სახლში შესვლა მოახერხა ომეხმა, რომელიც ამ დროს მეზობელთან ქეიფობდა და ძმასთან ერთად შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას...

გვ.5



ომეხ აფრასიძე

## „ჩოლოქზე ბარიერებს თვითონ აჭარის მოსახლეობა აიღებს“

გვ.7,12

„თუ სააკაშვილს მისცვივდნენ და დაკოცნეს, რა არის ამაში ცუდი?“

აბაშიძეს უზარმაზარი ქონება აქვს და რომც არ უნდოდეს, ლუჩანსკი და სხვები ასწავლიან, როგორ უნდა დაიცვას ის...



## ჩხაიძეს 11 მილიონი დოლარი მოატანინეს?

გვ.5



## „ჩვენს ხალხს იმდენი გონი კი აქვს, რომ რეგიონში დესტაბილიზაცია არ შექმნას“

გვ.11 *ვახტანგ აბაშიძე*

## „ექსცესებს ვერავინ გაბედავს“

გვ.8

რას ფიქრობს შინაგანი ჯარის სარდალი?!

„შინაგანი ჯარი წესრიგს დაამყარებს. ამის ძალა, უნარი და შესაძლებლობები გვაქვს. საჭიროების შემთხვევაში, თუკი აუცილებლობამ მოითხოვა, წესრიგის დასამყარებლად ფარებსა და ხელკეტებსაც გამოვიყენებთ.“

*გიორგი თათუხაშვილი*



## „რა არის რომანტიკული ეკონომიკა?!“

„საქართველო გადარჩენაზე კი არა, სიუხვესა და გამარჯვებაზე ორიენტირებული ქვეყანა უნდა იყოს...“

რასაკვირველია, ხელისუფლებაში ახალი თაობა უნდა მოვიდეს, მაგრამ ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ შევარდნაძის რეჟიმს ამ თაობის გაზრდაზე არ უზრუნია. არ არის ისეთი კაცი, რომელსაც თამამად ჩააბარებ უწყების, დეპარტამენტის, სამინისტროს ხელმძღვანელობას.

გვ.7,27

## არჩევნები შედგა

2004 წლის 28 მარტს საპარლამენტო არჩევნები შედგა. წინასწარი მონაცემების თანახმად, სახელისუფლებო გუნდმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. 7%-იანი ბარიერი შესაძლოა კიდევ სამმა პარტიამ გადალახოს. ცესკოს თავმჯდომარის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, არჩევნების ჩაშლის საფრთხე ჯერაც არსებობს აჭარის საარჩევნო უბნებზე გართულებული მდგომარეობის გამო. აჭარაში არჩევნების ჩაშლის საფრთხეს არ გამორიცხავს „ჩვენი აჭარის" ლიდერმა თამაზ დიასამიძემ. საპარლამენტო არჩევნებს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისეთივე მნიშვნელოვანი უწოდა, როგორიც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და დასძინა, რომ ამიერიდან საქართველოში იწყება ახალი ერა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილთან ერთად საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო მისმა მეუღლემ ჰოლანდიელმა სანდრა რულოვსმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ქართველების რძალია და საქართველოს რუკის კულონს ატარებს, თურმე საქართველოს მოქალაქე არ არის. მისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს, რომელიც მისი მეუღლეა არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობას დემოკრატიის უხეშ დარღვევად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მას ორმაგ მოქალაქეობას ცოცხალი თავით არ მისცემს(?!). არჩევნები წარმატებულად ჩატარდა უცხოეთში გახსნილ საარჩევნო უბნებში. მათ შორის, რუსეთშიც. საქართველოს ელჩმა რუსეთში კოტე კემულარიამ მნიშვნელოვანი უწოდა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების თაობაზე და თქვა, რომ არჩევნების პერიოდში ასეთი განცხადება საქართველოსთვის აშკარა მხარდაჭერის გამომხატველი იყო.

28 მარტს საპარლამენტო არჩევნები ჩაიშალა გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში. ამის მიზეზი იყო სოფლის მაცხოვრებლების მუქარა — ისინი საარჩევნო უბანთან შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ არჩევნების ჩატარების საშუალებას არავის მისცემდნენ. სოფლის მოსახლეობა საპროტესტო აქციებს ორი თვის განმალობაში მართავს და იმ ნაკვეთებისთვის კომპენსაციას მოითხოვს, რომლებზეც სავარაუდოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა უნდა გაიაროს. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში მოსახლეობამ ეს საკითხი დღემდე ვერ მოაგვარა, რაც არჩევნების ჩაშლის მიზეზი გახდა. არჩევნები ასევე ჩაიშალა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვიმჯში — ამ სოფლის ტერიტორიაზე მოკლული კახა შენგელიას ჭირისუფლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და ამომრჩევლები №75 საარჩევნო უბანში არ შეუშვეს.

## განსაკუთრებული დამკვირვებელი აჭარაში

აჭარაში არჩევნები განსაკუთრებული დამკვირვებლის, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ზედამხედველობის ქვეშ გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ და მისმა ვაჟმა, ბათუმის მერმა გიორგი აბაშიძემ. „აღორძინების" ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, 28 მარტს მთელი დღის მანძილზე ექსცესები პრაქტიკულად არ მომხდარა, სიტუაციის დაძაბვას ისინი საღამოსთვის ელოდებოდნენ. მოსალოდნელი საფრთხის გამო ზურაბ ჟვანია მთელი დღის განმავლობაში აცხადებდა, მე თვითონ ბოლომდე გავაკონტროლებ ყველაფერს და ბიულეტენების უსაფრთხოებას უზრუნველვყოფო, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, იმის გამო, რომ ვერც ჟვანია და ვერც მისი თანაგუნდელები აჭარის ყველა საარჩევნო უბანზე ყოფნას ვერ ასწრებდნენ. ჟვანიას აბაშიძემ და გოგიტიძემ ბრალი დასდეს კანონის დარღვევაში და განაცხადეს, რომ იგი ამომრჩევლებთან საარჩევნო აგიტაციას ეწეოდა. „ნაციონალების" წარმომადგენლის, ელენე თევდორაძის თქმით, აჭარაში არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი მცირე იყო. მან გაიხსენა არჩევნების წინადღეებში ხულოს რაიონში სამართალდამცველებთან კამათის ფაქტებიც და მწუხარება გამოთქვა მათი განცხადებების გამო, რომ თურმე შეიძლება მოვიდეს დრო და აჭარაში დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას ვიზით მოუწიოს შესვლა.

## აბაშიძე მაილსსაც მისწვდა

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებამდე ბათუმში ასლან აბაშიძესთან სტუმრობდა აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, რომელსაც აჭარის ლიდერი საქართველოში „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთ ავტორად ასახელებს. მისი თქმით, აჭარაში ვითარება 28 მარტის არჩევნების შემდეგ დაიძაბება. „თუკი სამშაბათს აჭარაში სისხლის ღვრის, ან სამოქალაქო ომის დაწყებას ეცდებიან, თუ დესანტის გადმოსხმას მოინდომებენ აჭარის ტერიტორიაზე, ბატონ მაილსის გარეშე არაფერი მოხდება, ამიტომ ექსცესების შემთხვევაში მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თავის თავზე. მაილსი არის ძალა, რომელსაც შეუძლია დაუშვას აჭარაში სამოქალაქო ომის პროვოცირება, გაღვივება და პირიქით, შეუძლია ამის აღკვეთა და შეჩერება", — განაცხადა ასლან აბაშიძემ, რომელიც რატომღაც დარწმუნებულია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მასზე იერიშის მიტანას აპირებს. 28 მარტის არჩევნებს „ნაციონალების" ერთ-ერთმა ლიდერმა მაია ნადირაძემ ასლან აბაშიძისა და „აღორძინების" ბოლო შანსი უწოდა და განაცხადა, რომ ყველა, ვინც არჩევნების გაყალბებას შეეცდება, სასტიკად დაისჯება. არჩევნებამდე მაია ნადირაძე იმედოვნებდა, რომ არჩევნები აჭარაშიც ისევე უპრობლემოდ ჩატარდებოდა, როგორც მთელ საქართველოში.

## ვინ როგორ მონაწილეობდა არჩევნებში

ყველაზე არაორდინარული შემთხვევები ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილთან და ტრადიციონალისტ აკაკი ასათიანთან დაკავშირებით დაფიქსირდა. არც ერთი მათგანი არჩევნებზე მისვლისას სიებში რეგისტრირებული არ აღმოჩნდა. მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე კი მათ კონსტიტუციური უფლების შესრულების ნება არ მისცეს. მოგვიანებით, გარკვეული საბუთების წარდგენის შემდეგ აკაკი ასათიანმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. შალვა ნათელაშვილი კი, რომელიც ცდილობდა, ცესკოს ყველა პირობა დაეკმაყოფილებინა, გაწბილებული აღმოჩნდა და განაცხადა, რომ რაც მოხდა, იმის მანიშნებელია, რომ ლეიბორისტებს ისევე არ უპირებენ პარლამენტში შეშვებას, როგორც მას არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება. როგორც ჩანს, ნათელაშვილს ჭიაბერაშვილთან ურთიერთობის მოგვარებაში ვერც იმან უშველა, რომ მათი ვაჟები თანაკლასელები არიან.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც, რომელმაც საიდუმლოდ შეინახა თავისი არჩევანი. მაგრამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც იგი პრეზიდენტი აღარ არის, თავს საქართველოს ჭეშმარიტ მოქალაქედ თვლის. შევარდნაძე იმედოვნებს, რომ ცენტრსა და აჭარას შორის განვითარებული სიტუაცია დარეგულირდება და ესკალაციას ადგილი არ ექნება. რეგიონში ვითარების განეიტრალება გარდაუვალია, რადგან მოვლენების განვითარება ქვეყნისთვის ძალზე საშიშია, — განაცხადა შევარდნაძემ და თავისი დაპატიმრებული სიძის სასარგებლოდაც თქვა ორი სიტყვა. როგორც მან ბრძანა, გია ჯოხთაბერიძე უდანაშაულოა და მისი დაპატიმრება პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

## მემარჯვენე ოპოზიცია გულგატეხილია

მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები 28 მარტამდე არჩევნების გაყალბებას ვარაუდობდნენ. ახლებისა და მრეწველების განცხადებით, ეგზიტპოლების აბსურდული მონაცემები გაამართლებს არჩევნების გაყალბებულ შედეგებს. მემარჯვენეები ამ საკითხზე საუბარს არჩევნებზე დამკვირვებელთა სტატუსით ჩამოსულ დელეგაციასთან აპირებენ. გოგი თოფაძის განცხადებით, გაუგებარი მეთოდებით მიმდინარეობდა წინასაარჩევნო გამოკვლევებიც და არჩევნების პარალელური ეგზიტპოლებიც. არჩევნებიდან გამოსული ოპოზიციის მხარდამჭერი, ცხადია, შიშით ვერ აღიარებდა, ვის მისცა ხმა, ამიტომ ეგზიტპოლის შედეგები, შეუძლებელია, ობიექტური იყოს. დავით საგანელიძის თქმით კი, დაბეჭდილი და რეგიონებში გადაგზავნილი იყო იმაზე ბევრად მეტი ბიულეტენი, ვიდრე ამას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მოითხოვდა. „ალბათ ახალმა ხელისუფლებამაც ძველი მეთოდებით გადაწყვიტა არჩევნების გაყალბება" — განაცხადა საგანელიძემ. ბოლო დღეებში თოფაძის ფირმა „ყაზბეგის" გაყიდვის შესახებ გავრცელებულ ხმებს გოგი თოფაძემ აბსურდული უწოდა და განაცხადა, — ეს ხმებიც, შესაძლოა, არჩევნებთან იყო დაკავშირებული. ვინც ეს ჭორი გაავრცელა, ვფიქრობ, მიზნად ჰქონდა, „ყაზბეგში" დასაქმებული 5000 კაცის შეშინება, არჩევნების შემდეგ უმუშევრები დარჩებითო. ვაცხადებ, არაფერი არ იყიდება და არც უმუშევრობა ემუქრება იმ ხალხს. უბრალოდ, ფირმა „კასტელს" სურს, მივცეთ უფლება, ჩვენი ლოგოთი ჩამოასხან ლუდი. მიდის სერიოზული მოლაპარაკება „კასტელთანაც" და ერთ ნორვეგიულ კომპანიასთანაც, რომელსაც უნდა, ლუდი ჩვენი ლოგოთი ჩამოასხას.

## სოციალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ

სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის აზრით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე ტოტალური გაყალბება დაიგეგმა. მისი თქმით, ხათუნა გოგორიშვილმა საარჩევნო ადმინისტრაციებს ოფიციალურად დაავალა, რომ სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკმა ამომრჩეველთა ხმების 70%-ზე ნაკლები არ მიიღოს. სოციალისტურმა პარტიამ უკმაყოფილება გამოხატა იმის გამოც, რომ მათ საარჩევნო ადმინისტრაციებში კომისიის წევრის დანიშვნის უფლება არ მიეცათ. ქუცნაშვილის განცხადებით, სოციალისტური პარტია არის ერთადერთი პარტია, რომელსაც კომისიის წევრების დანიშვნის საშუალება არ მისცეს. არჩევნების წინასწარი მონაცემებით, სოციალისტები შესაძლოა 7%-იანი ბარიერის მიღმა დარჩნენ, რასაც ალბათ საპროტესტო აქციების კვირეული მოჰყვება, რადგან მათ ჯერ კიდევ 28 მარტამდე განაცხადეს, რომ არჩევნების გაყალბებას არ დაუშვებენ და ლეიბორისტებთან ერთად მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს დაიწყებენ, რისი განხორციელებაც, ფაქტობრივად, არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყეს.

## ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი...

ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი მათიას იორში კვლავაც მკაცრია შეფასებებში და აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საქართველოში ევროპული სტანდარტებით დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად. მათიას იორშის განცხადებით, აჭარაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ადგილობრივი ხელისუფლების ნებაზე იყო დამოკიდებული, რომელსაც, მისი თქმით, მოსახლეობისთვის არჩევნებში დაუბრკოლებლად მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნების ნორმალურად ჩატარება ასლან აბაშიძის ინტერესებშიც შედიოდა. ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, იორშის შეფასებით, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ადმინისტრირების თვალსაზრისით, დიდი პროგრესია. ევროსაბჭო მონდომებულია, ბოლომდე დაეხმაროს ცესკოს, რათა საარჩევნო ადმინისტრაცია უფრო დახვეწილი გახდეს. არჩევნების წინ მათიას იორში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასაც შეხვდა, სადაც მან მიიღო გარანტიები, რომ 28 მარტის შემდეგი საპარლამენტო არჩევნების დროს, პარტიებს 7%-ზე დაბალი ბარიერის გადალახვა მოუხდებათ.

## ბრძოლაზე უარი თქვეს

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, ზოგიერთ პოლიტიკურ სუბიექტს საარჩევნო მარათონში მონაწილეობის სურვილი დაეკარგა და პოზიციები დათმო. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პოლიტიკური პარტიის „სამართლიანობა" განცხადება დააკმაყოფილა და იგი საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნა. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი კიდევ ორმა პარტიამ („ერთიანი კომუნისტური პარტია" და „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია") განაცხადა, რომლებიც ცესკომ რეგისტრაციიდან საკუთარი განცხადებების საფუძველზე მოხსნა. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სულ თერთმეტმა პარტიამ და ხუთმა საარჩევნო ბლოკმა მიიღო.

## „საჯაროდ მოემიხადოს ბოდიში..."

განათლების სამინისტროს ყოფილ ჩინოსნებთან დაკავშირებით აგორებული სკანდალის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე მიიჩნევს, რომ განათლების ექსმინისტრი ალექსანდრე კარტოზია კრიმინალი არ არის. თუმცა, აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა უფლება, საზოგადოებისთვის დაემალა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტები. კარტოზიამ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა ალბათ ჰქონდა შეცდომებიც და ამიტომ, ეს საკითხი ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული. „გამოიძიონ ეს საკითხი და შესაძლოა, კარტოზიას მადლობაც გადავუხადოთ. მაგრამ არ გამოირიცხება, მართლაც გამოიკვეთოს მძიმე სურათი და მოსამართლემ მისთვის არასასურველი განაჩენი გამოიტანოს", — აღნიშნა ბარამიძემ. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კარტოზიას მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მას არ აპატიმრებენ. „ჩვენ არ ვითხოვთ მის დაკავებას, არც ნიღბიან ადამიანებს ვუგზავნით, ვინაიდან ვიცით, რომ იგი არ გარბის, არ იმალება და ჩვენ ამას ვაფასებთ", — თქვა ბარამიძემ.

ალექსანდრე კარტოზია კი, კატეგორიულად მოითხოვს, შს მინისტრმა ისევე საჯაროდ მოუხადოს ბოდიში მას, როგორც შეურაცხყო. „განათლების მინისტრი აღარ ვარ, მაგრამ ვარ პედაგოგი. ახალგაზრდებს კი საკუთარი ღირსების განცდას ვერ გავუღვივებთ, თუ არ ვაჩვენებთ, რომ მინისტრსაც არ მივცემთ უფლებას, აბუჩად აგვიგდოს" — განაცხადა კარტოზიამ, მისმა მხარდამჭერებმა კი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ აქცია გამართეს.

## ვინ დაემუქრა ჯოხთაბერიძეს?

— გია ჯოხთაბერიძის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, — განაცხადეს საგანგებოდ მოწყობილ ბრიფინგზე ექსპრეზიდენტის სიძის, „მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, უცხოელმა და ქართველმა ადვოკატებმა და ჟურნალისტებს ჯოხთაბერიძის მიერ ციხეში დაწერილი ორი დღემდე უცნობი წერილი წაუკითხეს. მანამდე კი აღნიშნეს, რომ იანვარში გია ჯოხთაბერიძეს ერთ-ერთი ცნობილი ჩინოსანი შეხვდა და პირდაპირ მოსთხოვა, დაეთმო ან მცირე ფასში გაეყიდა „მაგთიკომის" თავისი კუთვნილი წილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯოხთაბერიძეს დააპატიმრებდნენ, ჯერ მე-7 საპყრობილეში ჩასვამდნენ, შემდეგ კი გადაიყვანდნენ მე-5-ში, მოათავსებდნენ საერთო საკანში, სადაც მოხდებოდა არეულობა და ჯოხთაბერიძეს მოკლავდნენ. ადვოკატების თქმით, მათი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა ულტიმატუმის შესრულებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც იგი მართლაც დააპატიმრეს და მოვლენები მისთვის უკვე ცნობილი სცენარით წარიმართა. მანამდეც და შემდეგაც მან სასჯელთაღმსრულებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა წერილობით გააფრთხილა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. იგი არ აპირებს თავის მოკვლას და საერთო საკანში მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა ციხის და სასჯელთაღმსრულებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დაეკისრება. როგორც ჯოხთაბერიძის ადვოკატი გიორგი ყაველაშვილი ამბობს, მე-7 საპყრობილეში გადაყვანილი გია ჯოხთაბერიძე თანახმაა, დარჩეს ამ საპყრობილეში ერთადერთი პირობით, თუ მას საერთო საკანში არ გადაიყვანენ, სადაც წინასწარი გეგმით, რეციდივისტების მსხვერპლი გახდება.

## პოლიცია ძალადობას აგრძელებს?!

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" პოლიციის თანამშრომლებს მოქალაქეების მიმართ სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებს და ამ ფაქტების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართავს. ორგანიზაციის თავმჯდომარის, ნანა კაკაბაძის თქმით, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და სცემეს გივი ხევსურიშვილი, ხელი გადაუჭრეს და ხმა გაუვრცელეს, თითქოს მან ხელი მინაზე თავად გადაიჭრა. დაზარალებულს თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს. ნანა კაკაბაძის თქმით, პოლიციის თანამშრომლები მას თითქოს ჯიხურის გატეხას აბრალებდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ამგვარი ფაქტების შესახებ არაერთხელ მიმართეს, თუმცა იქ ამ საკითხებს გულგრილად ეკიდებიან. არასამთავრობოების თქმით, ამაზე მეტყველებს, თბილისის №5 საპყრობილეში მომხდარი ფაქტიც — 27 მარტს, მე-5 საპყრობილეში გადაიყვანეს ბრალდებული ლაშა ლაბაძე, რომელსაც ორივე თვალბუდის, ხერხემლისა და ფეხის არეში სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა. დაკავებულის განცხადებით, მან დაზიანებები დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში ცემის დროს მიიღო.

## დივერსია თუ?..

28 მარტს, გამთენიისას, საპარლამენტო არჩევნების დაწყების წინ, დედაქალაქის ცენტრში ხანძარი აბრიალდა, რომელმაც თითქმის მთლიანად შთანთქა შენობა. ცეცხლი სწორედ იმ შენობას წაეკიდა, რომელშიც 1999 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ, მოქალაქეთა კავშირის და ზურაბ ჟვანიას საარჩევნო შტაბები იყო განთავსებული. ლერმონტოვის ქუჩის მცხოვრებლებს იქნებ ამიტომაც აეკვიატათ ეჭვი, რომ ხანძარი ვიღაცამ საგანგებოდ გაუჩინა შენობას. აწ უკვე განათლების სამინისტროს კუთვნილ შენობაში თითქმის ნახევარ წელზე მეტია ზურაბ ჟვანიას გაერთიანებული დემოკრატი თანაგუნდელის, დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრის გიგი წერეთლის საარჩევნო შტაბია განთავსებული. პრაქტიკულად არ დაზიანებულა შტაბის ოთახები. მეხანძრეები ხუმრობდნენ — ამ ოთახებს სადეპუტატო იმუნიტეტი ჰქონდათ და ამიტომაც გადარჩნენო. იქვე მდებარე ავტოსადგომზე ხანძარმა სამი მსუბუქი ავტომანქანა დააზიანა. მეხანძრეებს სამი საათის განმავლობაში ურთულეს პირობებში უწევდათ მუშაობა, ნანგრევებს ბეწვზე გადაურჩა სამი მეხანძრე. თბილისის მერის, ვანო ზოდელავას განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ საქმე დივერსიასთან გვქონდეს(!). გიგი წერეთელი კი ვარაუდობს, რომ შენობაში ხანძარი ელექტროენერგიის მოულოდნელმა ჩართვამ გამოიწვია, განათლების სამინისტროს, გადასახადების გადაუხდელობის გამო, კარგა ხანს გამორთული ჰქონდა ელექტროენერგია და გადასახადი 27 მარტს გადაუხდიათ. მოსახლეობის აზრით, მავანთ დიდი ხანია უნდათ ამ შენობის დანგრევა და ტერიტორიის შესყიდვა ახალი მშენებლობების წამოსაწყებად და სარფიანი ბიზნესის გასაჩაღებლად.

## აფხაზები რუსულ პენსიას მიიღებენ

აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში, განვითარებული მოვლენების შემდეგ ცდილობს ისეთი განცხადებების გაკეთებას, რაც აფხაზეთსა და მის ე.წ. ხელისუფლებას დამოუკიდებელ და სუვერენულ ერთეულად წარმოაჩენს. „სიძნელეების მიუხედავად, აფხაზეთი არ გადაუხვევს არჩეული გზიდან და არასდროს იტყვის უარს დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე", — განაცხადა თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯინბამ. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მთავრობის ეკონომიკურ საქმიანობაზე. მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლებასთან მიღწეულ შეთანხმებათა შესაბამისად, შესაძლებელი გახდა აფხაზეთში პურპროდუქტებზე ფასების ზრდის შეჩერება. ამ ეტაპზე კი არძინბას ხელისუფლება აფხაზეთის გზებზე სარემონტო სამუშაოების დაწყებას აპირებს; რუსეთის ხელისუფლებასთან გამართული მოლაპარაკებების შესაბამისად, უახლოეს ხანებში რესპუბლიკის საპენსიო ასაკის ყველა მოქალაქეს რუსეთის პენსია დაენიშნება. სოხუმის ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რათა მნიშვნელოვნად შეამციროს რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტის ღირებულება, რაც დღეისათვის 150 რუსულ რუბლს შეადგენს, რათა საშუალება მისცემს აფხაზებს, თავი რუსეთის კალთის ქვეშ დაცულად იგრძნონ(!). რუსეთის საპენსიო ფონდმა 2004 წლის იანვრიდან აფხაზეთში მცხოვრებ 4000 მოქალაქეზე 670 რუბლის ოდენობის პენსიების გაცემა დაიწყო. 1-ელი მაისისთვის აფხაზეთში რუსეთის პენსიას 14.600 მოქალაქე მიიღებს.

# „უკიდეგანოდ იზრდება მმართველი ხელისუფლების პასუხისმგებლობა“



**არც ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა მოინდომოს აჭარაში 90%-ის აღება და არც აღორძინებამ**

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებებით, 28 მარტის არჩევნების ბედი ჯერ კიდევ ნოემბრიდან იყო განსაზღვრული, ერთი რამ უდავოა — საპარლამენტო არჩევნების დასრულებით საქართველოში ბოლო დროს ელვისებურად განვითარებული მოვლენების მორიგი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა. რასაკვირველია, ოპოზიციისა და აჭარის მმართველი პარტიის შემდგომ ქმედებაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მალე მიიღებს ლეგიტიმურ სახეს არჩევნების შედეგები და, შესაბამისად, როდის შეიკრიბება ახალი პარლამენტი, რომლისგანაც ქვეყანა ელოდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო ცვლილებათა რიგს — საგადასახადო, სამხედრო თუ სხვა თვალსაზრისით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არჩევნების მოკლე ვადაში დანიშვნით ოპოზიციაში დარჩენილი პარტიების ბედი თავიდანვე განისაზღვრა.

ნიშანდობლივია, რომ საარჩევნო უბანში რატომღაც შალვა ნათელაშვილიც და გიორგი აბაშიძეც ამომრჩევლის რეგისტრაციის მოწმობის გარეშე გამოცხადნენ. ამის გამო თბილისში რომ ლეიბორისტების ლიდერს ხმის მიცემის უფლებას არ მისცემდნენ, პრინციპში, ადვილი წარმოსადგენია და იოლი გასაგებიც, მაგრამ ამავე მიზეზით ბათუმში გიორგი აბაშიძის შეფერხება ნამდვილად ეჭვს იწვევს.

არჩევნების დღეს ზურაბ ჟვანია ბათუმში ჩავიდა. პრემიერ-მინისტრიც და მისი მასპინძელი — აჭარის მეთაურიც სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ — იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თავისი გადაწყვეტილება ორივე მხარეს უკვე მიღებული ჰქონდა და ორივე გადამწყვეტი შერკინებისთვის იყო მომზადებული. სხვა საქმეა, რამდენად პოლიტიკური, უფრო სწორად კი, ცივილიზებული სახე ექნება ამ შერკინებას.

აჭარაში განვითარებული მოვლენებისა და, ზოგადად, საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებზე პოლიტოლოგ **ალექსანდრე რონდელს** ვესაუბრეთ:

**— 28 მარტის არჩევნებზე უმთავრესად ერთგვაროვანი შეფასებები კეთდებოდა. საკანონმდებლო ორგანოში მმართველი პარტიის აბსოლუტური უმრავლესობით შესაძლო მოსვლას არც „პოზიცია“ უარყოფდა და არც ოპოზიცია. ხომ არ დააკნინა ამან თავად არჩევნების მნიშვნელობა...**

— მიუხედავად იმისა, რომ 28 მარტის არჩევნების შედეგები უკვე რამდენიმე თვით ადრე იყო ცნობილი, მის მნიშვნელობაზე ხელაღებით არ ვილაპარაკებ. ამ არჩევნებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს იმდენად, რამდენადაც ამით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მეტად საგულისხმო ციკლი დასრულდება. გარდა ამისა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მუშა პარლამენტის არსებობას და მის დროულ ამოქმედებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მართალია, ქვეყანაში ძირეული ცვლილებები მოხდა და ახალმა ხელისუფლებამ კორუფციასა თუ სხვა ნეგატიურ მოვლენებთან სერიოზული ბრძოლა გააჩაღა, ცხოვრების წესი, თუნდაც საკანონმდებლო თვალსაზრისით, კვლავაც ძველებური რჩება. ვაცხადებდით, რომ უვარგისი საგადასახადო სისტემა ბიზნესმენებს აიძულებდა, შემოსავლები დაემალათ. დღეს მათ საქმეებს გენერალური პროკურატურა იძიებს — გადასახადები კი კვლავაც ძველებური, ე.ი. უვარგისი რჩება. კეთილი სურვილებისა და მცდელობების მიუხედავად, დაკანონებული არ არის სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურება, მათი უფლებები და მოვალეობები. განსახილველი და დასაკანონებელია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ათეულობით რეფორმა, რომლებმაც ქართული სახელმწიფოებრიობა თვისებრივად უნდა შეცვალონ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხელის შემშლელი გარემოება უნდა გადაილახოს და საპარლამენტო არჩევნები, მხოლოდ და მხოლოდ თავისი სამართლიანი შედეგებით, დროულად დაკანონდეს.

ამ არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთაშორისო, ისე შინასამართლებრივი თვალსაზრისითაც — ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევა და ლეგიტიმაცია რამდენიმე თვით დავაგვიანეთ.

**— რამდენად ქმედუნარიანი შეიძლება იყოს პარლამენტი, სადაც აბსოლუტური უმრავლესობით მმართველი პარტია იქნება წარმოდგენილი? ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ევროპელი დიპლომატები ახალ ხელისუფლებას დაბეჯითებით ურჩევდნენ საარჩევნო 7%-იანი ბარიერის დაწევას. გამოდის, რომ ევროპა საქართველოში იმით არის დაინტერესებული, რაც ამერიკას არ აინტერესებს?**

— ამერიკულ პოლიტიკას, ზოგადად, უფრო გლობალური აზროვნება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში ისინი, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რაღაცეებზე თვალსაც ხუჭავენ ხოლმე. ევროპა კი გაცილებით უფრო სკრუპულოზურია. ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კომპრომისი ნებისმიერი, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესის გამო, მიუღებელია. მეორე მხრივ, პირადად ჩემთვის, დღეს, ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია, 5%-იანი ბარიერი აჯობებდა თუ 7-იანი. შესაძლებელია, საპარლამენტო მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ბარიერის დაწევას ზიანიც კი მოეტანა, ანდა პირიქითაც იყოს... ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თუ ევროპასთან ისეთი აქტიური ინტეგრაცია გვსურს, როგორზეც ვლაპარაკობთ, მაშინ მისი რჩევებიც უნდა გავითვალისწინოთ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბარიერის დაწევით პარლამენტში თვისებრივად ძლიერი და ქმედუნარიანი, ოპოზიცია — ესოდენ საჭირო ახალი ხელისუფლებისთვის — ვერანაირად ვერ მოხვდებოდა. ვერ მოხვდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენში სათანადო პოლიტიკური კულტურა არ არსებობს. რა გვექნა — მაშინ, როდესაც სახელმწიფო ახლა იდგამს ფეხს, პოლიტიკური კულტურის გაზრდისთვის დაგვეცადა?! დამეთანხმებით, რომ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. როგორც ჩანს, ზედმეტად რბილად ვაფასებთ ნოემბრის მოვლენებს. კი ვამბობთ, „ვარდების რევოლუცია“ მოხდაო, მაგრამ ეს ხომ ნამდვილად რევოლუცია იყო — თავისი მიზეზებითა და თანამდევი მოვლენებით — ხელისუფლება შეიცვალა, იცვლება ფორმაცია, ვიმედოვნებ, რომ იცვლება ფასეულობებიც.

მეორე მომენტიც არის — ერთსახოვანი პარლამენტი თუ ვინმეს ხელს არ აძლევს, უპირველესად ახალ ხელისუფლებას არ უნდა აძლევდეს, რადგან, ელემენტარულად, ვერავის ვეღარ გადააბრალებს, — ამა თუ იმ რეფორმისა და კანონის მიღება-გატარებაში ხელი შემიშალაო. შესაბამისად, უკიდეგანოდ იზრდება მმართველი ხელისუფლების პასუხისმგებლობაც. შესაძლებელია, ამის თქმა უარესიც იყოს, მაგრამ უნდა ითქვას: სხვაგვარად, დამწყებ სახელმწიფოში სწრაფი ცვლილებების მოხდენა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. არა მგონია, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს პოლემიკისა და ტრიბუნასთან თავის მოწონების დრო ჰქონდეს. კვლავ ვიმეორებ: ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი და ძალიან მოსაწონი სიტუაცია დემოკრატიის თვალსაზრისით. სჯობდა, რომ ასე არ ყოფილიყო, მაგრამ სახელმწიფოსთვის სარგებლის მოსატანად ამ ვითარების გამოყენებაც საკმაოდ მოხერხებულად შეიძლება — ამ შემთხვევაში, მთავარი უკვე თავად მმართველი პარტიის პოლიტიკური ნება გახლავთ.

**— საპარლამენტო არჩევნებს ექსპერტები და, ზოგადად, საზოგადოების წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას, უპირველესად, აჭარასთან დაკავშირებით ანიჭებდნენ — გამოთქმული ვარაუდის თანახმად, ახალი ხელისუფლების და, კონკრეტულად, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბათუმში, 28 მარტს და მის მომდევნო დღეებში იგივე უნდა განმეორდეს, რაც თბილისში, 2 ნოემბრის არჩევნებს მოჰყვა. თუმცა, მეორე საკითხია, მოიქცევა თუ არა შევარდნაძის მსგავსად ასლან აბაშიძე. პოლიტოლოგები თბილისისა და ბათუმის დაპირისპირებას საერთაშორისო ჭრილშიც განიხილავდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს უფრო ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრობლემა იყო, ვიდრე თბილისისა და ბათუმისა...**

— ვფიქრობ, მოვლენათა ამგვარი გაზვიადება საჭირო არ უნდა იყოს — საერთაშორისო მიმომხილველებს უყვართ ხოლმე საკითხების ასე გაბუქება. ვფიქრობ, უპირველესად, ეს სწორედ საქართველოს პრობლემაა — ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის პრობლემა. ის, რაც აჭარაში წლების მანძილზე ჩამოყალიბდა, ფეოდალიზმის გადმონაშთია და სხვა არაფერი. ეს გადმონაშთი კი არაფერს და არავის არ აძლევს ხელს — ასლან აბაშიძისა და მისი თანმხლები რამდენიმე კაცის გარდა. საქართველო კი, აჭარის ჩათვლით, ძალიან დაზარალდება განებავთ, მორალური, განებავთ, ეკონომიკური, განებავთ, პოლიტიკური და საერთაშორისო იმიჯის თვალსაზრისით. ამიტომ ის, რასაც ახლანდელი ხელისუფლება აჭარის რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით აკეთებს, ჩემთვის სრულიად გასაგებია. და როდესაც ურთიერთობის მოგვარებაზე ვლაპარაკობ, სულაც არ ვგულისხმობ აბაშიძესა და სააკაშვილს შორის რაიმე სახის გარიგებას. ცენტრი ცენტრი უნდა იყოს და რეგიონი — ანუ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე კი, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მაშინ, როდესაც რაჭა-ლეჩხუმზე ვლაპარაკობთ და მაშინაც, როდესაც აჭარა გვყავს მხედველობაში.

რაც შეეხება საერთაშორისო ასპექტს, რა თქმა უნდა, სრულიად ლოგიკური და გასაგებია ამერიკის შეერთებული შტატების, ან განებავთ, ევროსტრუქტურების დამოკიდებულება და ზრუნვა იმისათვის, რომ საქართველოში — მათი აქტიური ინტერესის ქვეშ მყოფ სტრატეგიულად პარტნიორ ქვეყანაში, შუა საუკუნეების ფეოდალიზმს არ ჰქონდეს ადგილი. მით უმეტეს, თუ ვლაპარაკობთ ისეთ მნიშვნელოვან რეგიონზე, როგორიც შავი ზღვისპირეთი და ბათუმის პორტია.

რაც შეეხება რუსეთს, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კრემლი ისე მოიქცა, როგორც ეს ღირსეულ და კეთილმოსურნე მეზობელ ქვეყანას შეშვენის — მავანთა სურვილის მიუხედავად, ის საქართველოს საშინაო საქმეებში ნამდვილად არ ჩარეულა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ჩოლოქზე დატრიალებული მოვლენები ზოგიერთმა მიმომხილველმა და პოლიტიკოსმა ახალი ხელისუფლების მარცხად შეაფასა — მე კი მიმაჩნია, რომ ჩოლოქმა ბევრი რამ გაარკვია და სიტუაცია დადებითად შეამზადა საიმისოდ, რომ აჭარაში კარდინალური ცვლილებები ყოველგვარი სისხლის ღვრის და ძალადობის გარეშე განხორციელდეს. მიუხედავად საკმაოდ დაძაბული ვითარებისა, დარწმუნებული ვარ, რომ ძალადობას და შეიარაღებული ძალების ტოტალურ გამოყენებას აჭარაში ადგილი არ ექნება. არ ექნება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ თავად აბაშიძე იფრთხილებს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მის მიერ ძალაუფლებისა და სავარძლის სიყვარულზე, დამერწმუნეთ, რომ თაობათა საკრიტიკოდ და განსასჯელად არც ერთი სავარძელი არ ღირს. ამ ჭეშმარიტებას ყველა ქართველი უნდა ხვდებოდეს მას შემდეგ, რაც საქართველომ გასულ საუკუნეში, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე გამოიარა.

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების იმედი მაქვს იმიტომაც, რომ აჭარისა და თბილისის ურთიერთობის საკითხი, უპირველესად, აჭარის მკვიდრთა მოსაგვარებელია და არა ბათუმში მოკალათებული პოლიტიკოსებისა. მათი განწყობა კი, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს. რასაკვირველია, ყოველივე ამის პარალელურად, თბილისი-ბათუმის დაპირისპირებას თავისი საერთაშორისო ასპექტებიც აქვს...

**— ალბათ ამ ასპექტებში, უპირველესად, რუსეთის ბაზები იგულისხმება — დღეს უკვე უცხოელი მიმომხილველებიც აღნიშნავენ, რომ რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხი სწორედ ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ გადაწყდება...**

— ვფიქრობ, სოკრატე არ უნდა იყო, რომ ამას მიხვდე — პოლიტიკაში ხომ დომინოს პრინციპი მოქმედებს. ეს მართლაც ასეა — რუსეთი თურქეთთან ომს აღარ აწარმოებს, რომ მისი ბაზების ყოფნას საქართველოში მინიმალური, მაგრამ რაღაც გამართლება მაინც ჰქონდეს სამხედრო თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ამ ბაზებს სწორედ პოლიტიკური დატვირთვა აქვს და როდესაც ასლან აბაშიძე ხელისუფლებას ჩამოშორდება, მათი იქ ყოფნაც აზრს დაკარგავს. რუსეთს დღეს ნამდვილად არ აქვს იმის საშუალება, რომ ყოველი შემთხვევისთვის, საჭიროების გარეშე რომელიმე ქვეყანაში სამხედრო ბაზები შეინახოს. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო, რათა ბავშვი ნაბან წყალს არ გადააჰყვეს. პოლიტიკაში თუ სიფრთხილე არ არსებობს, საუკეთესო განლაგების დროსაც კი, სრულიად მოულოდნელი რამ შეიძლება მოხდეს. თუმცა მსჯელობა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მოქმედება. აქ უკვე ორივე მხარის მიერ დაკავებულ პოზიციას აქვს დიდი მნიშვნელობა და გავლენა მოვლენათა განვითარებაზე — არც სააკაშვილის ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა მოინდომოს აჭარაში 90%-ის აღება და არც აღორძინებამ. თუმცა სიტუაცია ისეთ ჩიხში მოექცა, რომ ვფიქრობ, ურთიერთობათა გარკვევა, ბათუმსა და თბილისს შორის, სწორედ ამ მოტივით დაიწყება.

აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ პოზიციას დაიკავებენ დანარჩენი პარტიები. მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც საუკეთესო გაგებით, პოლიტიკური ამბიციები და სხვადასხვა მოსაზრება მათ მიერ ძნელი უგულებელსაყოფი იქნება. ერთი რამ ხომ უდავოა — ვინ რა პოზიციასაც არ უნდა აფიქსირებდეს, ყველასთვის ცხადია, რომ მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე აჭარაში შეიქმნა, რბილად რომ ვთქვათ, არაჯანსაღია და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ იგი უმტკივნეულოდ — ყოველ შემთხვევაში, ძმათა შორის სისხლის ღვრის გარეშე შეიცვალოს. ახლა მაინც უნდა დავრწმუნდეთ, რომ როგორი მონდომებულებიც არ უნდა იყვნენ საერთაშორისო სტრუქტურები და მეგობარ სახელმწიფოთა წარმომადგენელი დიპლომატები ამ ვითარების დარეგულირებაში გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებენ. რასაკვირველია, მათ მიერ შესრულებული სამუშაო უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ისეთი საკითხი გახლავთ, რომელიც უპირველესად თავად საქართველოს შიდა ძალებმა უნდა მოაგვარონ. მოაგვარონ კონსოლიდაციის, და არავითარ შემთხვევაში — კონფრონტაციის გზით...

***დაჩი გრძელიშვილი***

## „მე მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა ნიჭიერ ადამიანთან“

საპარლამენტო არჩევნები დასრულდა, მაგრამ მისი წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ცხადი ხდება, რომ 2003 წლის ნოემბერში დაწყებული ვნებათაღელვა ჯერაც არ დამცხრალა და სავარაუდოდ კარგა ხანს არ დაცხრება. ამის მიზეზი კი ოპოზიციური პარტიების გულისწყრომა იქნება, ბევრი მათგანი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საპარლამენტო არჩევნები, ტრადიციისამებრ, 28 მარტსაც გაყალბდა და ახალი ხელისუფლების პარტიული გუნდი ამგვარად გახდება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ერთპიროვნული მმართველი. მიუხედავად ყველაფრისა, ერთი რამ ცხადია, სახელისუფლებო გუნდს, „გაერთიანებულ ნაციონალებს“, ეს უფლება ამომრჩეველთა უმრავლესობამ მიანიჭა. რამდენად პრაქტიკული იყო მათი გადაწყვეტილება, ამას მათაც და ხელისუფლების ოპონენტებსაც დრო უჩვენებს. დრო, რომელიც მოთმინებას უკარგავს არჩევნებში მონაწილე ზოგიერთ პოლიტიკურ სუბიექტს, მაგალითად, ლეიბორისტებს, რომლებმაც არჩევნებამდე დადებული პირობა, თუ 7%-იან ბარიერს მიღმა ჩვენს დატოვებას შეეცდებიან, საპროტესტო გამოსვლებს მოვაწყობთო. ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა არჩევნების დამთავრებისთანავე დაპირება საქმედ აქციეს და ცესკოს შენობის წინ მიტინგი გამართეს, სადაც მხარდამჭერებს თანადგომისაკენ მოუწოდეს. ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლების შემდეგ პრესკონფერენციაზე გამარჯვებული პარტიის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა ღიმილით აღნიშნა, რომ უპრეცედენტო ფაქტი მოხდა და აჭარაში ხელისუფლებამ და აღორძინების ოპოზიციამ ადგილობრივ სახელისუფლებო ძალებს ანგარიშით 2:1 მოუგეს.

საპროტესტო აქციებთან და აჭარაში მოსალოდნელ დაძაბულობასთან დაკავშირებით, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის და მისი გუნდი მზად არიან, აჭარის სახელისუფლებო ძალებთან ნებისმიერ დონეზე მოლაპარაკებებისა და დისკუსიებისათვის. „ჩვენ მზად ვართ არ დავუშვათ სიტუაციის გაუარესება ერთი წამითაც კი, მაგრამ არ დავუშვებთ ბანდიტების თარეშს აჭარაში, რადგან ეს არ არის ბანდუსტინი, რომ ვინმეს საკუთარი ბანდიტური დაჯგუფებები ჰქონდეს. ჩვენ ვაგრძელებთ დიალოგს საზოგადოების ყველა წრესთან, მაგრამ არავის ეგონოს, რომ არჩევნებში მიღებული შედეგების გამო საპროტესტო აქციების მოწყობით უმრავლესობის არჩევანთან დაპირისპირებას შეძლებს. ჩვენ ვეცდებით სათანამშრომლოდ მოვიზიდოთ ყველა ნიჭიერი ადამიანი, მათ შორის ოპოზიციური პარტიებიდან, ეს იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობა თუ ქვეყნისთვის აუცილებელ გადაწყვეტილებებში კონსულტაციები. მაგრამ ტყუილად ნურავინ ეცდება, ხალხის მოტყუებას და იმის მტკიცებას, რომ ვინმემ მათ ხმები მოჰპარა. ამავე დროს მინდა მადლობა ვუთხრა ნაციონალებს, რომლებიც არ გაიყიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იყო მათი მოსყიდვის მცდელობა. ახლაც მიდის ვაჭრობა მათთან, რომ ხმები გაყიდონ, მაგრამ ხმები არც გაიყიდება და არც გაყალბდება. მეც არ მახარებს ის შედეგები, რაც დღეს გვაქვს, მაგრამ ოპოზიციას ინკუბატორში ვერ გავზრდით. ოპოზიცია თვითონ უნდა გაიზარდოს, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. და კიდევ ერთი: ჩემი აზრით, ოპოზიცია პარლამენტში არჩეული მაჟორიტარი დეპუტატების სახით უკვე არსებობს. თუ არ ვცდები მათგან 25 ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელია. ასეთია სააკაშვილის ხედვით ახალი პარლამენტის ოპოზიციური „ფაქტურა“, რომელიც ცხადია, მეტისმეტი სიმცირის გამო, ვერასდროს შეძლებს ოპოზიციური აზრის გატანას. თუმცა ვინ იცის...

***ეკა ლომიძე***

# „პირველად ვნახე ნოსტალგიით დაავადებული ადამიანი“

## ზვიადმა გროზნოში ჩიტი მიიჩვია — „ჩიტო, საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო?“



*31 მარტს ზვიად გამსახურდია 65 წლისა გახდებოდა... ეგონათ, იცნობდნენ, მაგრამ დრომ აჩვენა, ბევრმა თითქმის არაფერი იცოდა მასზე. თავისი ინტელექტით, შეხედულებით, წინასწარგანჭვრეტით, პოეზიის, სიტყვის შეგრძნებით ზვიად გამსახურდიას შექმნილი ჰქონდა საკუთარი მარტოობის კუნძული, სადაც ბოლომდე მარტო დარჩა. დიდი სიყვარული სდევდა თან. თავის თავზე გამოსცადა დიდი რისხვაც და ღალატიც...*

*დრო კიდევ ბევრ საიდუმლოს იტყვის.*

*გთავაზობთ რამდენიმე მოგონებას — ზვიად გამსახურდიას ახარეკლის თანამედროვეთა მეხსიერებაში...*

**გოგი ოჩიაური,** მოქანდაკე: — ახლა რომ „ლოკომოტივის“ სტადიონია, მას ადრე „ბურევესტნიკი“ ერქვა. მისი ფერდობები შიშველი იყო, ტყე მერე გაშენდა — ნიკო კეცხოველმა დაარგვევინა სტუდენტებს. მილიციის გენერალი კაპიტონ ნაჭყებია ყოველ 26 მაისს აწყობდა მხედრების შეჯიბრს. მაშინ ვერავინ ხვდებოდა, რატომ ამთხვევდა ამ თარიღს. ჩამოდიოდნენ მხედრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, გვიჩვენებდნენ ყაბახს, ისინდს, ჩოგანბურთს, ხევსურები დოღს მართავდნენ, მეგრელები — მარულას. საოცარი სანახაობა იყო.



სტუდენტი ვიყავი, მხედრებთან ვიდექი. უცებ ჩოხოსანი კონსტანტინე გამსახურდია გამოჩნდა, ხელჩაკიდებული ბავშვი მოჰყავდა. არც კი ვიცოდი, თუ ამხნის ვაჟი ჰყავდა. უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. სულ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა ირგვლივ. ბატონმა კონსტანტინემ ცხენი მოითხოვა — ბავშვს გავასეირნებო. სადავე თვითონ დაიჭირა. ზვიადი ისე იჯდა ცხენზე, ვიფიქრე, კონსტანტინეს, რომელიც განასახიერებდა კავკასიურ სილამაზეს, გვასწავლიდა ქართველობას, შვილი არ გამოუვიდა ისეთი-მეთქი...

გავიდა წლები. ერთხელ ზვიადთან მივედი კინოს სახლში. ვუთხარი: — დუშეთის რაიონში აუცილებლად შენ უნდა მოიგო არჩევნები. გაგზავნე ვინმე დეპუტატი. ეს სამტრედიაში მოწყობილ რკინიგზის აქციაზე მეტი იქნება-მეთქი...

აუცილებლად შენ უნდა იყარო კენჭიო, — მითხრა. ვერ ვიტან ვერც პოლიტიკას, ვერც პარტიას-მეთქი. მე ვიტანო? — შემომიბრუნა კითხვა... გამიკვირდა. შენ მე პარტიული ხომ არ გგონივარ, ჰელსინკის კავშირი პარტია გგონია, ჩემზე მეტად გძულს პარტია და პოლიტიკაო?

არ გამოგადგები-მეთქი, დავუჟინე. არ არსებობსო, — შემეწინააღმდეგა. მერე ზვიადმა და ჰელსინკის კავშირმა იზრუნეს ჩემს გადეპუტატებაზე...

დედაჩემის ძმა, ლადო ბალიაური, შუა აზიაში, გადასახლებაში გარდაიცვალა. ანტისაბჭოთა შეთქმულების წევრი იყო. მთელი ჯგუფი დასაჯეს.

ერთხელ, გაბრიელ ჯაბუშანური ამოვიდა ჩვენთან, შუაფხოში: — კონსტანტინე გამსახურდიამ შემოგითვალათ, — სასწრაფოდ გამომიგზავნეთ ლადოს კოორდინატები. კა-გე-ბეს უფროსი გავიცანი და ეგებ მოვახერხო მისი საქართველოში გადმოყვანაო (კონსტანტინე გამსახურდიას გამორჩევით უყვარდა გაბრიელ ჯაბუშანური. უდიდეს პატივს სცემდა, როგორც კაცს და პოეტს). წამოვედი თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიასთან. ჩემმა ბერდედამ — სხვა არაფერი მაქვსო — ჯაჭვის პერანგი და ჩაჩქანი გამომატანა მასთან. გავიგე, რომ მოლაპარაკება არ მოხერხდა...

ერთხელ, არჩევნებამდე, 1989 წელს, ზვიადს ვუთხარი, — მამაშენისთვის გამოგზავნილი ჯაჭვის პერანგი მაქვს შინ-მეთქი. ერთ ღამეს მოვიდა — ჯაჭვის პერანგის წასაღებად მოვედიო... არ ავიწყდებოდა არაფერი (კოლხური კოშკი რომ დაიწვა, ცეცი ბუქურაულს შევუთვალე, — ჯაჭვის პერანგი თუ იპოვეთ, შემთხვევითი არ გეგონოთ, შეინახეთ-მეთქი. იპოვეს. ოღონდ ახლა სად არის, არ ვიცი). ვისაუბრეთ, ყავა მივართვით. არ დალია. ავიღე მისი ფინჯანი, დავლიე და ჩემი მივაწოდე(!). ვიცინეთ ორივემ — არა, კაცო, მაგიტომ კი არაო... ახლა ვხვდები, ყველა, ვინც მის ახლოს ტრიალებდა, კა-გე-ბესთან იყო შეკრული. თვითონაც გრძნობდა, მაგრამ იმდენად იყო შეპყრობილი თავისი იდეით, ამას არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. მარტო იმას გრძნობდა, რომ დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული. ამიტომ ირგვლივმყოფი პიროვნებებიც არ აინტერესებდა.

როგორც ჩანს, ერთადერთი ნამდვილი მეგობარი ჰყავდა, მერაბ კოსტავა...

იმ სამარცხვინო ომის დროს მთავრობის სახლში მივედი ზვიადთან. უნდა მეთქვა, გარეთ რა ხდებოდა. ზვიადმა დაუძახა ვიღაც დიდჩინოსან სამხედროს — მოუსმინეო. ვილაპარაკეთ მე და იმ სამხედრომ. ის რომ წავიდა, ზვიადს ვკითხე: — ამას ენდობი-მეთქი? არა, კაცოო... მისი გარემოცვა არ იყო სანდო და ისიც მხოლოდ ხალხს ენდობოდა. ხალხმა უერთგულა. თვითონ არც აგრძნობინებდა მოღალატეებს. ეროვნული მისიის გრძნობა აძლებინებდა.

**ირაკლი კენჭოშვილი,** 1991 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის სამსახურის უფროსი: — დღეს ბევრი თავის თავს ზვიადის მეგობარს უწოდებს... ზვიადს ერთადერთი მეგობარი ჰყავდა — მერაბ კოსტავა. საბოლოო ჯამში, მარტოკაცი იყო. ერთხელ ზვიადს ვუთხარი, — მწუხარე სახის რაინდი ხარ-მეთქი. გაიღიმა. არაფერი უპასუხია.

ჩვენ ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით. ის დასავლეთ ენების ფაკულტეტზე გამოჩნდა ოსკარ უაილდის ზღაპრების თარგმანით. განხილვაც მოეწყო. შესანიშნავი თარგმანი იყო. ლიტერატურამ დაგვაახლოვა... სტუდენტობიდან მოყოლებული, ჩვენი ურთიერთობა წყვეტილი იყო. წავიჩხუბებდით — უცნაური გაბუტვა იცოდა. რთული იყო მასთან ურთიერთობა, მაგრამ ყოველთვის საინტერესო. ზვიადი პრეზიდენტი იყო, როცა ბი-ბი-სის ერთმა კორესპონდენტმა შეურაცხმყოფელი შეკითხვა დაუსვა. ძალიან გაბრაზდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ჰქონდა პრესკონფერენცია. შევედი უზენაესი საბჭოს შენობაში. კორესპონდენტები ჯგუფად იდგნენ. რა ხდება-მეთქი, და — ბი-ბი-სის კორესპონდენტს არ უშვებენო. ავედი, ზვიადს ვუთხარი: — სჯობს, წყენა დავივიწყოთ და ამოუშვა ის კაცი, ვიდრე სკანდალი მოხდებოდეს-მეთქი. მაშინვე დამთანხმდა.

გროზნოში ერთხელ მარტონი დავრჩით. მიამიტურად ვკითხე: — როგორ ფიქრობ, საქართველო შევარდნაძისაგან როდის გათავისუფლდება-მეთქი. მითხრა: „რა ვქნისა ციხე ავაგე, ჯავრი შევაბი კარადა“... ეს ლექსი ასე მთავრდება: „დრო რომ მოალის, კარ გაიღების თავადა“...

ერთ საგულისხმო ფაქტსაც მოგახსენებთ. გროზნოში ზვიადმა მთხოვა: — იქნებ ესპანეთის კონსტიტუცია გამომიგზავნოო. ვუშოვე და ჩავუტანე. მითხრა: — ევროპის სხვა კონსტიტუციებთან შედარებით, აქ ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიური ერთეულების ურთიერთობა უკეთ არის განსაზღვრული. ავტონომიურ ერთეულებს რესპუბლიკები არ ეწოდება. ისიც კია აღნიშნული, რომ ავტონომიის დროშის აფრიალება არ შეიძლება, თუ იქვე სახელმწიფო დროშა არ არისო.



**ზვიადი დედასთან მირანდა ფალავანდიშვილთან და დასთან თამარ გამსახურდიასთან ერთად**

**ლია ანდღულაძე,** დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი: — ზვიადი გრძნობდა და აფასებდა ხალხის მხარდაჭერას. ერთხელ ვკითხე, — ამა და ამ საკითხს როგორ გადაწყვეტთ-მეთქი. როგორც ხალხი გადაწყვეტსო, — მიპასუხა. მისი ხელისუფლების დროს დაიწყო გამოყენება რეფერენდუმის, პლებისციტის... შემიმჩნევია, ზვიადი ხალხის წინაშე უფრო გახსნილი იყო. მის მიმართვას — „მეგობრებო!“ — ყველა სათავისოდ იღებდა. ლტოლვილობიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ მიმართვამ მეტი შინაარსი შეიძინა. ხოლო მისი სიტყვები: „დებო, ძმებო, შვილებო!“ — ისმოდა, როგორც დამსახურებული ჯილდო ერთგულებისათვის.



ზუგდიდის ყოველ მობინადრეს ზვიადის დაბრუნების აღსანიშნავად სუფრა ჰქონდა გაშლილი. მისდამი სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მახსოვს, ერთი მასპინძლის გაკვირვებული შენიშვნა მეზობლისადმი: — იმას თურმე, ჩემზე მეტად გაუხარდაო.

მაშინ ზვიადი სუფრასთან ცოტა ხანს დარჩა. ერთმა სტუმარმა მისი ღვინის ჭიქა სამახსოვროდ აიღო. სამწუხაროდ, უბის ჯიბიდან ამოუვარდა და დაიმსხვრა. თავზარდაცემული ადგილს ვერ პოულობდა. ყველას ცუდად გვეჩინშნა, გასაკვირიც არ იყო — საშიშროების რკალში ვცხოვრობდით. ცრურწმენას ვარქმევთ, მაგრამ რეალურად ამ ჭიქის დამსხვრევის მოწმეც ბევრია, მით უმეტეს, რაც ამას დაემთხვა.

ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებაში“ სერიოზულად განიხილავენ სიზმრად ნანახსაც, ძილთაშორისსაც, გამოცხადებასაც.

დედაჩემი გამომეცხადა, ჩემკენ დაიხარა და გულზე ხელმიდებულმა, რაღაცის თქმა დააპირა. შეკრთომამ გამაღვიძა. მეგობარს ვუთხარი, — რაღაც მნიშვნელოვანს გავიგებთ-მეთქი. მოლოდინად ვიქეცი. რამდენიმე საათში ზვიადი სამშობლოში ჩამოფრინდა. ის დღე ერთი ბედნიერი დღეთაგანი იყო საქართველოში (მათთვის, ვისაც სამშობლო უყვარს).

მხოლოდ მესამე დღეს შევძელი ზვიადთან შეხვედრა. მასთან სიახლოვე — საუბრის თემით მჟღავნდებოდა. სითბოს სიტყვაში ჩატეული ნდობით ამჟღავნებდა. შვილები მოვიკითხე. თავი არ აუწევია, დაყოვნების შემდეგ მიპასუხა: — მე მჯერა ჩემი შვილებისო (მათი ურთიერთობის გამყარებას გულისხმობდა). მოგვიანებით, გიორგის ვუამბე ყველაფერი — მამის ანდერძივით მიიღე ეს-მეთქი.

ნახევარი წლის უნახავი — შეცვლილი მომეჩვენა, სულიერ ტანჯვას დაღი დაესვა ზვიადის გარეგნობაზეც, ჭაღარაც მოსძალებოდა. პირველად ვნახე ნოსტალგიით დაავადებული ადამიანი. ჯერ კიდევ გროზნოში — ფანჯრის რაფაზე ჩიტი მიიჩვია, საუბარსაც უმართავდა, ეკითხებოდა, — ჩიტო, საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო? ამ ჩიტის ჭყივილმა ყველას ყურადღება მიიქცია, როცა ზვიადის საფლავთან ვიდექით მისი დაკრძალვის მეორე დღეს. ის ჩიტი იქვე ახლოს, ხეზე ფრთხიალებდა...

გროზნოში, ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენი ჩასვლის ერთ-ერთი მიზანი ზვიადის საფლავის მონახულება იყო. გამსახურდიების საცხოვრისი გროზნოსავით დანგრეული დაგვხვდა, ჯოჰარ დუდაევის მიერ ზვიადის საფლავზე დადგმული მარმარილოს ძეგლიც — დამსხვრეული. უცხოელ დამკვირვებელთაგან ბევრმა მოინდომა ჩვენთან ერთად მიეგო პატივი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნისთვის. სამარეს გარს შემოვადექით და... სიმღერა წამოვიწყეთ. სიმღერაც იმ ტკივილის ძალით ჟღერდა, რასაც უზვიადობა ჰქვია. ცრემლად დაიღვარა უკრაინელი ჟურნალისტი ქალი: — კარგად ნამღერი ქართული სიმღერა მართალ ინფორმაციას გვაწვდის საქართველოზეო. ვისაც თავად ზვიადის სიმღერა მოუსმენია, ეცოდინება, რომ იგი ხმითაც ჰგავდა საქართველოს, ნიჭითაც, სულითაც და ფიზიკურადაც...

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „საქართველომ ბეწვის ხიდზე გაიარა — „კვირის პალიტრის“ თვალით დანახული სინამდვილე“ — 112
2. **ვაჟა გავაშელი** — „ამნისტირებულთა თარეში“ — 105
3. **ეთერ ერაძე** — „რაც ზუბალაშვილებს დაგვრჩა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!..“ — 31
4. **იზო რიკაძე** — „არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო“ — 26
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 23
6. **დაჩი გრძელიშვილი** — „ეს იყო სააკაშვილის გამარჯვება ანგარიშით 2:1“ — 22

7-8. **დავით დევიძე** — „გვაქვს თუ არა სახელმწიფო იდეოლოგია — ექსპერტების თვალსაზრისი“ — 21

7-8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „ნამდვილი გრძნობა უკურნებელ სენს ჰგავს...“ — 21

9. **მარი ზანდუკელი** — „არასოდეს გავხდები, ხელისუფლების კულუარებში შექმნილი ოპოზიცია“ — 15

10. **ეკა ლომიძე** — „ნაცნობი სახეები“ — 9

მკითხველის სახელით პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ **ზვიად ჩაკვეტაძეს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 416-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# უძლეველობის მითი დამსხვრეულია — ოპერაციის უცნობი დეტალები

## სპეცოპერაციები სვანეთში ჯერ არ დასრულებულა – ვინ იქნება შემდეგი?



აფრასიძეების დანაშაულებრივი კლანი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე აკონტროლებდა სვანეთის რეგიონს, განადგურებულია. ქუთაისში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციისგან განსხვავებით, როცა დამნაშავეთა აყვანის მცდელობას სამი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, ზემო სვანეთში იმავე სახის ოპერაცია მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა. კლანის ორი წევრი: ევგენი აფრასიძე და მისი შვილი ომეხი ორმხრივი სროლის დროს დაიღუპნენ. დაჭრილია და საავადმყოფოში იმყოფება გოჩა აფრასიძე. ევგენი აფრასიძის კიდევ ერთი შვილი — შმაგი აფრასიძე, რომელიც წინასწარი მონაცემებით არასოდეს მონაწილეობდა ოჯახის კრიმინალურ საქმიანობაში, ციხის მე-5 იზოლატორშია გადმოყვანილი.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, აფრასიძეების წინააღმდეგ მიმართული სპეცოპერაცია გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მხოლოდ შს მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა იცოდნენ, რომ 24 მარტის დილას აფრასიძეების ციხესიმაგრეზე უნდა მიეტანათ იერიში. სამიზნის შესახებ სპეცოპერაციის დანარჩენმა წევრებმა მხოლოდ უკანასკნელ წუთებში შეიტყვეს. „დისლოკაციის თავდაპირველი ადგილი ქუთაისი იყო, — ამბობს „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე, — ვიცოდით, რომ აქედან შვეულმფრენებით ფოთში უნდა გადავფრენილიყავით, სადაც სამანევრო წვრთნების ჩატარება იყო დაგეგმილი. მაგრამ, როცა შვეულმფრენებიდან სვანეთის მთები გამოჩნდა, მივხვდით, რომ გეგმა შეიცვალა. სწორედ მაშინ შეგვატყობინეს, რომ ჩვენი მიზანი აფრასიძეების აყვანა იყო...“..

რას წარმოადგენდა აფრასიძეების კლანი და რატომ გახდა საჭირო ზემო სვანეთში მათ წინააღმდეგ თითქმის მთელი შენაერთის გადასროლა? როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ეს ოჯახი ქმნიდა კრიმინალურ ამინდს დაახლოებით 20 წლის მანძილზე სვანეთისა და არა მარტო სვანეთის ტერიტორიაზე. სამართალდამცველების თქმით, ბოლო წლებში სვანეთში მომხდარ არც ერთ დანაშაულს აფრასიძეთა ოჯახის გარეშე არ ჩაუვლია. აფრასიძეების კლანს უკავშირებენ ზემო სვანეთში მომხდარ რამდენიმე მკვლელობას, ადამიანების გატაცებას გამოსასყიდის გადახდის მიზნით, უცხოელი ტურისტების დაყაჩაღებასა და ა. შ. დაუმტკიცდებათ თუ არა აფრასიძეებს ბრალდებები, ეს მომავალში გაირკვევა, მაგრამ ფაქტია, რომ მათ დღემდე პასუხი არაფერზე უგიათ. წინა წლებში ზემო სვანეთში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციები აფრასიძეებს არასოდეს შეხებია.

ამ ოჯახის შესახებ „კვირის პალიტრა“ ადრეც წერდა. ჩვენი ჟურნალისტი, რუბრიკა „ვერსიის“ ავტორი, სისხლის სამართლის სამძებროს ყოფილი თანამშრომელი ვაჟა გავაშელი პირადად იცნობდა ოჯახის უფროსს, ევგენი აფრასიძეს. ამიტომ ევგენი აფრასიძის პიროვნებაზე მას ბევრი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია: „ჩემი და ევგენი აფრასიძის შეხვედრა 1978 წელს შედგა, როცა თექვსმეტწლიანი ამაო მცდელობის შემდეგ იგი დააკავეს და თბილისის ციხეში ჩამოიყვანეს. ის საკუთარი სიძის (დის მეუღლის) მკვლელობისთვის იძებნებოდა.

იმ დროს სამინისტროს ტელეპრესცენტრს ვხელმძღვანელობდი. ამ თემაზე გადაცემის მომზადება გადავწყვიტე და ციხეში ვესტუმრე ევგენის. გულახდილად მითხრა, ციხე რა საქებარია, მაგრამ დავმშვიდდი, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, აგერ ახლა რომელიმე მოსყიდული თავში ჩამარტყამს რამეს-მეთქი. თექვსმეტი წელია, ამ დღეში ვარ და როგორც იქნა, პირველად ვუყურებ ადამიანს უშიშრადო.

არადა, ამ თექვსმეტი წლის მანძილზე ძებნილმა კაცმა ბევრი რამ მოასწრო. სახლიც ააშენა და ცოლიც შეირთო. ბავშვებიც დააფრთიანა, თუმცა ბავშვებს სკოლაში არ იღებდნენ: თქვენი დედ-მამა არარეგისტრირებულ კავშირშია და უკანონოებად ითვლებითო. ამას ძალიან განიცდიდა. სამინისტროს ხელმძღვანელობას დავუკავშირდით და იმ საღამოსვე ციხის უფროსის კაბინეტში ხელი მოვაწერინეთ ცოლ-ქმარს. ეს გახლდათ ციხის ისტორიაში პირველი ქორწინება. ასე დავუახლოვდით მე და ევგენი აფრასიძე ერთმანეთს. მალე სასამართლოც შედგა. გაითვალისწინეს, რომ ქმარი სისტემატურად შეურაცხყოფდა ევგენის დას და ეს ვერ აპატია სიძეს, აღელვების ნიადაგზე მოკლა. ისიც მხედველობაში მიიღეს, რომ ძებნის პერიოდში არაფერი დაუშავებია და სამი წლის პატიმრობა აკმარეს. შემდეგ სანიმუშო ქცევისათვის ეს სასჯელიც შეუმცირეს და ორ წელიწადში გაათავისუფლეს. ევგენი ეცერში დაბრუნდა და მძღოლად დაიწყო მუშაობა...“

ევგენი აფრასიძის მშვიდი ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა. აფხაზეთის ომის დროს ევგენის ეზოდან ახლო ნათესავის „ნივა“ მოიპარეს. კვალმა აფრასიძე სოფელ უშხვანარში მიიყვანა. შელაპარაკებისას აფრასიძემ უშხვანი მოკლა და მას შემდეგ ისევ კანონგარეშედ გამოცხადდა. ამასობაში, იარაღი მისმა შვილებმაც — გოჩამ და ომეხმაც აიღეს ხელში. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ამ დროიდან იწყება ოჯახის კრიმინალური „აღზევება“. ომეხისა და გოჩას კისერზეა რამდენიმე მკვლელობა, რამაც აფრასიძეების ოჯახს მთელ ზემო სვანეთში „გაუთქვა სახელი“ და მის გავლენას ყველა სხვა კრიმინალური ოჯახი უპირობოდ აღიარებდა. უსაფრთხოების მიზნით, აფრასიძეებმა საკუთარი სახლი ნამდვილ ციხესიმაგრედ აქციეს. ეცერში შესული ნებისმიერი უცნობი პირის გამოჩენას სოფლის მცხოვრებლები მაშინვე ატყობინებდნენ აფრასიძეებს, რომელთა სახლი სოფლის ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილზე იყო აშენებული. კბილებამდე შეიარაღებული აფრასიძეები ყოველთვის მზად იყვნენ. ჰქონდათ სპეციალური აპარატურა, რომელიც პოლიციელთა რაციებს უსმენდა და სამართალდამცველთა ნებისმიერი მანევრი მათთვის წინასწარვე იყო ცნობილი.

აფრასიძეთა სახელი სხვადასხვა დანაშაულის გარდა, ცნობილი ფეხბურთელის — კახა კალაძის ძმის, ლევან კალაძის საქმეშიც ამოტივტივდა. მართალია, არ არსებობს პირდაპირი ეჭვი, რომ ლევან კალაძის გატაცების საქმეში აფრასიძეების ხელი ურევია, მაგრამ ერთხანს ომეხ აფრასიძე კახი კალაძეს ჰპირდებოდა, რომ ლევანის დაბრუნებაში დაეხმარებოდა, რისთვისაც კახი კალაძემ მას დიდი თანხა გადასცა.

ომეხ აფრასიძისათვის ფულის გადაცემის ფაქტს „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ლევან კალაძის მამა, კარლო კალაძეც არ უარყოფს: — ჯერჯერობით არ ვიცი, რა როლს



ომეხ აფრასიძე (ფოტო ქვეყნდება პირველად)

თამაშობდნენ აფრასიძეები ჩემი შვილის გატაცების საქმეში, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, შმაგი აფრასიძის დაკითხვა ალბათ ბევრ გარემოებას მოჰფენს ნათელს.

**— როგორც ამბობენ, კახიმ აფრასიძეებს ფული გადასცა.**

— დიახ, გადავეცით 200 ათასი დოლარი, მაგრამ ყველაფერი მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

ჩვენი ინფორმაციით, კახი კალაძემ შუამავლის საშუალებით 500 ათასი დოლარი გადასცა ომეხ აფრასიძეს, რომელსაც გამტაცებლები უნდა მოეძებნა და ლევან კალაძე შინ დაებრუნებინა. ომეხის მცდელობამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მან გამტაცებელთა კვალს ვერ მიაგნო. ამიტომ ერთ-ერთი ვერსიით, 300 ათასი დოლარი უკან დაუბრუნა კალაძეებს, დანარჩენი კი დაიტოვა(?!)

იმის მიუხედავად, რომ აფრასიძეების ოჯახს შვიდამდე მკვლელობაში ადანაშაულებენ, ხელისუფლება საქმის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობდა და ჩაბარების შემთხვევაში მათ მინიმალურ სასჯელს ჰპირდებოდნენ.

**ვაჟა გავაშელი:** „შსს-ს შესაბამისი სამსახური აფრასიძეების ლიკვიდაციას არ აპირებდა. ცდილობდნენ მოენახათ ისეთი პირები, რომლებსაც ამ ოჯახთან კავშირი ჰქონდათ და გავლენის მოხდენაც შეეძლოთ. თავდაპირველად, თითქოს ევგენიც თანახმა იყო და ომეხიც, მაგრამ გოჩამ კატეგორიული უარი განაცხადა. გოჩამ შეძლო დაერწმუნებინა მამა, რომ ჩაბარება არ შეიძლებოდა. დრო აღარ ითმენდა და ვიდრე ომეხ აფრასიძე ფიქრობდა, ამასობაში სპეცოპერაციაც ჩატარდა.“

ამ მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე ზემო სვანეთს, კერძოდ კი სოფელ ეცერს ჩვენი კორესპონდენტი ნინო ბურჭულაძე ეწვია, რომელსაც რედაქციისაგან დავალებული ჰქონდა ომეხ აფრასიძესთან ინტერვიუს ჩაწერა. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა სპეცოპერაციის დეტალები, რომლითაც აფრასიძეთა კლანის არსებობა დასრულდა (ჩვენ ასევე მოვიპოვეთ ომეხ აფრასიძის ფოტოც, რომელიც დღემდე არსად გამოქვეყნებულა).

როგორც ჩანს, აფრასიძეები სპეცოპერაციის ჩატარებას არ ელოდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შტურმის დაწყების დროს შინ მხოლოდ ევგენი და გოჩა აფრასიძეები იმყოფებოდნენ. ომეხი იქვე, მეზობელთან ქეიფობდა მთელი ღამე.

ეცერის თავზე 10 შვეულმფრენი დილის რვის ნახევარზე გამოჩნდა. ხმაურზე ევგენი აფრასიძემ გამოიხედა, რომელსაც მაშინვე მოხვდა სნაიპერის ტყვია. დაჭრილი გოჩა აფრასიძემ შეიყვანა სახლში. იქიდან გაუხსნეს საპასუხო ცეცხლი ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილეებს. სახლში შესვლა მოახერხა ომეხმა, რომელიც ძმასთან ერთად შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას. სროლის დროს მეზობლებმა დაურეკეს გოჩას და უთხრეს: დიდი ძალებია და დანებდითო, მაგრამ უარი მიიღეს. სროლისაგან სახლს ცეცხლი გაუჩნდა. მეორე სართულზე იმყოფებოდა ევგენი აფრასიძის 12 წლის შვილიშვილი გიორგი. მეზობელმა, ირმა აფრასიძემ, სპეცოპერაციის მონაწილეებს შეატყობინა, რომ სახლში ბავშვი იყო. მათ სროლა შეწყვიტეს, რის შემდეგაც მეზობლის ქალი ცეცხლმოკიდებულ სახლში შევიდა და ბავშვი გამოიყვანა. როგორც ირკვევა, ირმა აფრასიძეს დაჭრილი ევგენი აფრასიძის გამოყვანაც უნდოდა, მაგრამ ხანძარი გაძლიერდა და მეორე სართული ჩამოიქცა.

ორმხრივი სროლა სპეცოპერაციის მონაწილეთათვის უდანაკარგოდ დასრულდა. დაიღუპა ომეხ აფრასიძე, ხოლო მისი ძმა გოჩა მძიმედ დაიჭრა. როგორც მედიკოსები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა ოჯახის თავკაცის — ევგენი აფრასიძის გვამი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ გაჩნდა ვერსია, რომ მან ალყის გარღვევა და სამშვიდობოს გასვლა მოახერხა. თუმცა ამ ვერსიას ეცერის მცხოვრებლები არ ადასტურებენ: დაჭრილ კაცს ალყიდან გაღწევა გაუჭირდებოდაო. ამასთან, ხანძრის ჩაქრობის შემდეგ დამწვარ სახლში ადამიანის



1980 წელი. ევგენი აფრასიძე

რამდენიმე ძვალი აღმოაჩინეს, რომელიც სავარაუდოდ ევგენი აფრასიძეს ეკუთვნის.

ასეთია აფრასიძეთა კლანის ლიკვიდაციის ისტორია. მართალია, მისი კიდევ ერთი წარმომადგენელი შმაგი აფრასიძე სამართალდამცველებმა დააკავეს, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, მას კრიმინალურ საქმიანობაში არ შეედავებიან და მხოლოდ ოჯახის საქმიანობასთან დაკავშირებით მოუწევს სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემა.

P. S. სამართალდამცველების ინფორმაციით, ანტიკრიმინალური ოპერაცია სვანეთში აფრასიძეთა კლანის განადგურებით არ დასრულებულა და ჯერი ჯაფარიძეთა დაჯგუფებაზეა. თუკი აფრასიძეთა წინააღმდეგ ოპერაცია კონფიდენციალურად დაიგეგმა, საინტერესოა, რატომ ახმაურებენ ჯაფარიძეთა წინააღმდეგ ჩასატარებელ ოპერაციას? შეიძლება იმიტომ, რომ ჯაფარიძეებმა აფრასიძეთა ხვედრი არ გაიზიარონ და სიკვდილს ჩაბარება ამჯობინონ. ეს ალბათ (ორივე მხარისთვის) ყველაზე მისაღები გამოსავალი იქნება (თანაც დამნაშავეებს თვალსაჩინო მაგალითიც წინ აქვთ. — დ.დ.) და საქართველოს ულამაზესი კუთხე — სვანეთი — მორიგ სისხლის ღვრას აიცილებს თავიდან.

***დავით დევიძე***

# ჩხაიძეს 11 მილიონი დოლარი მოატანინეს?



ერთ-ერთი პირველი, უფრო სწორად, რიგით მეორე იყო (დავით მირცხულავას შემდეგ) რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი, რომელიც გენერალური პროკურორის დაგებულ მახეში მოჰყვა. ასლან აბაშიძის კალთას ამოფარებული **აკაკი ჩხაიძე** აჭარაში ემალებოდა პროკურატურის გამომძიებლებს. მაგრამ, როდესაც „აჭარის ლომი“ რამდენიმე დღით მოსკოვში თავისი არეული საქმეების მოსაწესრიგებლად გაემგზავრა, ოქრუაშვილმა და „სპეცნაზის“ ნიღბოსნებმა დრო იხელთეს. ქობულეთში საჰაერო დესანტი გადასხეს და „უპატრონოდ“ დარჩენილი რკინიგზის ყოფილი უფროსი ციმციმ თბილისში ჩამოიყვანეს. ჩხაიძეს ბრალად რამდენიმე მილიონი დოლარის მითვისება და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების დამალვა დასდეს. როგორც ავადმყოფი, იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასამართლომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ ხნის განმავლობაში გამოძიებამ აკაკი ჩხაიძის საქმიანობის შედეგად ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობაც დაადგინა.

სარწმუნო წყაროს ცნობით, პროკურატურამ აკაკი ჩხაიძეს 11 მილიონი დოლარის შეტანა მოსთხოვა ბიუჯეტში. რკინიგზის ყოფილი შეფი ადვოკატებს მოეთათბირა და მას შემდეგ, რაც ადვოკატებმა პროკურატურისგან სიტყვიერი გარანტიები მიიღეს, ჩხაიძემ 11 მილიონი დოლარი ბიუჯეტში სანდო პირის მეშვეობით გადარიცხა. ამჟამად პროკურატურის გამომძიებლებს მასთან პრეტენზიები აღარ აქვთ და წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლას უცდიან, რომლის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი, სავარაუდოდ, თვითონ მოითხოვს მის გათავისუფლებას. თუმცა საქმიანი კაცისთვის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უქმად ყოფნა მაინც ძნელია და ციხის ადმინისტრაციის კეთილგანწყობისა და პატიმრებში ავტორიტეტის მოსაპოვებლად, ჩხაიძემ, როგორც ამბობენ, თავისი ხარჯით დაიწყო ციხის საავადმყოფოს კაპიტალური რემონტი(!). და თუ პროკურატურა სიტყვას არ გატეხს და მის გათავისუფლებას ხელს არ შეუშლის, საავადმყოფოს უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვასაც ჰპირდება.

ვესაუბრებით ჩვენს ინფორმატორს:

**— ამბობენ, აკაკი ჩხაიძე გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა და ბევრ ჩინოვნიკზეც მიაწოდა ინფორმაციაო.**

— ეგ ტყუილია, ციხეში ჩხაიძე ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. პირიქით, სხვისი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო და არავინ ჩაუშვია. ამით მან ციხის ძველი ბინადრების პატივისცემაც დაიმსახურა.

**— ისეთმა ინფორმაციამაც გამოჟონა, თითქოს ციხეში ქურდებმა ბლომად ფული შეაწერეს.**

— ბატონი აკაკი ფულს არ დაიწერდა. ნებით თუ დაეხმარა ხალხს, ეგ მისი პირადი საქმეა — ასეთი რაღაცები მას არასოდეს შეშლია. კაცი ყველგან კაცად რჩება, თუნდაც ციხეში...

მაშ ასე, თუ სარწმუნო წყაროს ვენდობით, შესაძლოა რამდენიმე კვირაში აკაკი ჩხაიძე გაათავისუფლონ.

***რატი რცხილაძე***

# „ქარხანას ქართველებიც მშვენივრად დავჭრით, იტალიელი ინვესტორი რად გვინდოდა?“

70-იან წლებში თბილისში ერთი ამბავი გახმაურდა. თურმე იაპონიას საბჭოთა კავშირისთვის მილიონობით ჩაქუჩი, ურო და ძალაყინი შეუკვეთია. მრავალმილიონიანი ღირებულების შეკვეთიდან პატარა წილი რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსაც არგუნეს. საქართველოს მაშინდელი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსი ინაურს ეჭვი შეუტანია და იმის გადამოწმება დაუწყია, რისთვის სჭირდებოდა იაპონიას ამდენი ჩაქუჩი და ძალაყინი. ამის დასადგენად იაპონიაში აგენტებიც მიუვლენია, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ შეკვეთის შესრულების შემდეგ გაირკვა — იაფ ფოლადის უროებსა და ძალაყინებს იაპონელი მეტალურგები პირდაპირ მარტენის ღუმელში ყრიდნენ და საუკეთესო ხარისხის ფოლადად ადნობდნენ, რომელსაც შემდგომში მანქანათმშენებლობაში წარმატებით იყენებდნენ. წიაღისეულით ღარიბ იაპონელებს ასე უფრო იაფი უჯდებოდათ ფოლადის შეძენა და დიდ მოგებასაც ნახულობდნენ. არ ვიცი, ეს ამბავი მართალია თუ არა, მაგრამ რაც ბოლო წლებში რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა გადაიტანა, მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. საზღვარგარეთელი ინვესტორები საქართველოში ჩამოსვლისთანავე რუსთაველ მეტალურგებს ორიოდე წელში ქარხნის ძველებური სიმძლავრით ამუშავებასა და რუსთავს აყვავებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ როგორც კი ხელშეკრულება გაფორმდებოდა, კომბინატის ამუშავებაზე აღარავინ ფიქრობდა. გამოცდილი მეტალურგებისა და ექსპერტების აზრით, მათ მხოლოდ ერთი რამ სურდათ — უზარმაზარი ქარხანა დაეჭრათ და ჯართად გაეყიდათ. უცხოელმა ინვესტორებმა და მათმა ქართველმა პარტნიორებმა დაიწყეს კიდეც ქარხნის განიავება, მაგრამ საქართველოს მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა და ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების პროტესტმა ბევრჯერ ჩაუგდო კოვზი ნაცარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს მეტალურგიული კომბინატის ნაცვლად მოშიშვლებულ ველს ვნახავდით და ისიც აღარ იქნებოდა საქართველოს ტერიტორია. რატომო? იკითხავს მკითხველი. ამასა და სხვა კითხვებზე გვიპასუხებს საქართველოს მეტალურგიული ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი პროფესორი **გიორგი ნიკოლაიშვილი:** — ქართველი ერი მსოფლიოში მეტალურგიის ერთ-ერთი პირველი ფუძემდებელია, ხოლო რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ჩვენი ეროვნული სიამაყეა. თავდაპირველად, კომბინატის აშენება თბილისის გარეუბანში იყო დაგეგმილი, მაგრამ ბოლოს რუსთავში გადაწყდა. სხვათა შორის, ამან დიდი როლი ითამაშა საქართველოს ამ კუთხეში ქართველების მჭიდროდ დასახლებაში. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის უპირატესობა სხვა ქარხნებთან შედარებით ის არის, რომ მზა პროდუქციას უშვებს. აქ არის ბრძმედი თუჯის საწარმოებლად, მარტენის ღუმელები თუჯისგან ფოლადის მისაღებად. კომბინატი მუშაობდა როგორც რკინის მადანზე, ასევე ჯართზეც. მართალია, საბჭოთა კავშირის მასშტაბით მასზე მხოლოდ ფოლადის წარმოების 1%, ანუ მილიონ 400 ათასი ტონა მოდიოდა, სამაგიეროდ, მილების წარმოების 15%-მდე მის ხელში იყო. რუსთავის მილებზე ისეთი მოთხოვნილება იყო, რომ გაცივებას არ აცლიდნენ, ისე მიჰქონდათ ნავთობმომპოვებლებს შუა აზიასა და აზერბაიჯანში. დღესაც არ შემცირებულა მილებზე მოთხოვნილება, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

— **როგორც ვიცი, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს, ძირითადად, ჯართზე უნდა ემუშავა. საქართველოში ხომ რკინის მადანი არ მოიპოვება, მისი რუსეთიდან შემოტანა კი ფოლადის თვითღირებულებას ძალზე გაზრდიდა...**

— ნუ მიწყენთ და სწორედ თქვენნაირმა „მეტალურგებმა“ დაარწმუნეს შევარდნაძე, რომ საქართველოში მეტალურგიის განვითარებას პერსპექტივა არ ჰქონდა. დაახლოებით ასეთივე ფრაზა ისროლა პრეზიდენტმა 1998 წლის მიწურულს გამართულ მთავრობის სხდომაზე. მეტალურგიის ინსტიტუტიდან სხდომას სამი კაცი ვესწრებოდით — „როგორც სპეციალისტებმა მითხრეს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს პერსპექტივა არ ჰქონია“, — განაცხადა პრეზიდენტმა. ერთი ამბავი ავტეხეთ, დავინტერესდით, რომელმა „სპეციალისტებმა“ ურჩიეს ეს. ბოლოს პრეზიდენტმა გვითხრა, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, მე მაქეთ გამხედავი არა ვარო. თითქოს პრეზიდენტმა უკან დაიხია, მაგრამ იმის ჩიტი არ იყო, ასე ადვილად შეეცვალა გადაწყვეტილება.

— **მაინც რაში ცდებოდნენ პრეზიდენტის მრჩეველი სპეციალისტები?**

— საქართველოში რკინის მადანი არ მოიპოვება და ამიტომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიაო, თითიდან გამოწოვილი მიზეზია. ახლავე საპირისპიროს დაგიმტკიცებთ. რუსთავიდან 150 კმ-ის დაშორებით, აზერბაიჯანში არსებობს დაშქესანის რკინის საბადო, რომელიც ამჟამად გაჩერებულია. აზერბაიჯანელები გვეხვეწებიან, ოღონდ თქვენ აქედან მადანი წაიღეთ და ყველა შეღავათზე თანახმა ვართო. 150 კილომეტრი მეტალურგიისთვის სასაცილოდ მცირე მანძილია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — დაშქესანიდან რკინის მადნის ჩამოტანა რუსთავში ფოლადის თვითღირებულებას მხოლოდ უმნიშვნელოდ გააძვირებს. ჩვენ, მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, გადავიანგარიშეთ და დავასკვენით, რომ დაშქესანის საბადოდან მადნის ჩამოტანა ეკონომიურად გამართლებულია. იმავე აზრისაა ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის კათედრის თითქმის ყველა თანამშრომელი. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამუშავებას რუსთავის ქიმიური კომბინატის, ცენტროლიტის, ცემენტისა და სხვა ქარხნების ფუნქციონირება მოჰყვება... ამ შემთხვევაში ავტომატურად ამუშავდება ტყიბულის



გაძარცული და უკაცრიელი მარტენის საამქრო დღეს ასე გამოიყურება

> რაც გავიგონე, თქვენს მტერს. განიხილავდნენ პროექტს, რომლის თანახმად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი სამუდამო სარგებლობაში თურქებს უნდა გადასცემოდა, თანაც ჩალის ფასად. ერთი მეტალურგიც კი არ იჯდა დარბაზში. გადავირიე კაცი, შესვენებაზე მეტალურგიულ ინსტიტუტში გამოვიქეცი. ავაბუნტე მეტალურგები და როგორც იქნა, ახვლედიანების კლანს ეს გეგმა ჩავუშალეთ.

ქვანახშირის მაღაროებიც. რაც შეეხება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციას, მას სხვაგან კი არ გავყიდით, ადგილზევე მოვიხმართ. ხედავთ, ერთი სწორი ნაბიჯით რამდენი გაჩერებული საწარმო გაცოცხლდება და რამდენი ადამიანი დასაქმდება? მე მხოლოდ მსხვილი ობიექტები ჩამოვთვალე, სხვა წვრილი ქარხნებიც ხომ არის...

— **მერე რა უშლიდა ამას ხელს?**

— რა და შევარდნაძის კლანის განშტოება — ახვლედიანები. მათ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გაკოტრება და მისი ჩალის ფასად ხელში ჩაგდება განიზრახეს, რათა მერე მილიარდიანი ქონების მქონე მეტალურგიული კომბინატი ჯართად დაეჭრათ და საზღვარგარეთ გაეყიდათ. იმ მთავრობის სხდომის შემდეგ ახვლედიანების კლანმა კომბინატის მალულად გასხვისება გადაწყვიტა. მახსოვს, 2002 წლის 31 იანვარს პარლამენტში ვიყავი და შემთხვევით ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზთან გავიარე. დარბაზიდან ხმაური შემომესმა — რუსთავის კომბინატს ახსენებდნენ. დარბაზის კარი ღია იყო და ამიტომ შევიხედე. ვხედავ, 200-მდე კაცი ზის. სხდომა პარლამენტის მაშინდელ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, ზურაბ ცქიტიშვილს მიჰყავს. გვერდით მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე უზის. შევედი დარბაზში, ჩამოვჯექი სკამზე და ვუსმენ გამომსვლელებს. რაც გავიგონე, თქვენს მტერს. განიხილავდნენ პროექტს, რომლის თანახმად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი სამუდამო სარგებლობაში თურქებს უნდა გადასცემოდა, თანაც ჩალის ფასად. ერთი მეტალურგიც კი არ იჯდა დარბაზში. გადავირიე კაცი, შესვენებაზე მეტალურგიულ ინსტიტუტში გამოვიქეცი, მერე ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიულ ფაკულტეტზე. ავაბუნტე მეტალურგები და როგორც იქნა, ახვლედიანების კლანს კომბინატის თურქებისთვის სამუდამოდ სარგებლობაში გადაცემის გეგმა ჩავუშალეთ. მხოლოდ კომბინატის კი არა, მიმდებარე 500 ჰექტარი ტერიტორიისაც(?!). ამას დაუმატეთ თეთრიწყაროში კომბინატის ბალანსზე არსებული 30 ჰექტარი. ერთი სიტყვით, მივაღწიეთ იმას, რომ ჩამოყალიბდა ქართველი მეტალურგი მეცნიერებით დაკომპლექტებული კომისია, რომელსაც უნდა დაეწერა დასკვნა ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების მიხედვით კი, სამუდამოდ უნდა დაგვეთმო კომბინატი. მილიარდიანი ქონება თურქულ ფირმას მზესუმზირის ფასად მიჰქონდა. ამასთან, ქარხანაში თურქი სპეციალისტები უნდა დასაქმებულიყვნენ. მათვე დაასახლებდნენ კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე. რას ნიშნავს საქართველოსთვის ეს, მგონი ახსნა არ სჭირდება. ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რის წარმოებას აპირებდა თურქეთის მხარე. არ იყო მითითებული გარანტიები. არც ის, შეინარჩუნებდნენ თუ არა ქარხნის პროფილს თუ მას ჯართად გაყიდდნენ. სამაგიეროდ, ხელშეკრულების მიხედვით ქარხანასთან ახლოს თურქი სპეციალისტებისთვის უნდა გახსნილიყო გასართობი ცენტრი კაზინოებითა და ბორდელებით. რა თქმა უნდა, უარყოფითი დასკვნა დავწერეთ. სხვათა შორის, ახვლედიანები არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ იხსენიებოდნენ, მაგრამ ჩვენ საკმარისზე მეტი კულუარული ინფორმაცია გვქონდა იმაზე, თუ რეალურად ვინ იდგა ამ ფირმის უკან. სავარაუდოდ, თურქები მიიღებდნენ 500 ჰექტარ ტერიტორიაზე მეტს, სანაცვლოდ კი ახვლედიანები მეტალურგიულ კომბინატს ჯართად გაყიდიდნენ. მიუხედავად უარყოფითი დასკვნისა, ხელისუფლება ცდილობდა, კომბინატი როგორმე თურქებისთვის მიეცა. როდესაც პრეზიდენტი ორი წლის წინ თურქეთში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა, თან ქარხნის ახალგაზრდა დირექტორი ნოდარ ღვამბერიაც იახლა. მას თურქეთში ხელშეკრულებაზე უნდა მოეწერა ხელი, მაგრამ ღვამბერიამ კატეგორიული უარი განაცხადა. ბოლოს იტალიელი ინვესტორების მეშვეობით მოინდომეს ქარხნის ჯართად გაყიდვა...



მეტალურგიული კომბინატიდან მოპარული ლითონკონსტრუქციები იქვე, ქარხანასთან ახლოს, ჯართის მიმღებ პუნქტებში აწყვია(!)

გიორგი ნიკოლაიშვილის ამ განცხადებას ადასტურებს ქვემო ქართლის საოლქო პროკურორი **მამუკა ცაავა:** — გასული წლის ოქტომბერში დავაკავეთ სამი ათასი ტონა ჯართი, რომელიც რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან გაიტანეს რკინიგზის ვაგონებით, ფოთის ნავსადგურში ჩაიტანეს და გემზე დატვირთეს. დოკუმენტების მიხედვით, მეტალურგიულმა კომბინატმა ერთი ტონა ჯართი სამოც დოლარად მიჰყიდა ერთ-ერთ შვეიცარიულ ფირმას. ამ თანხაში შედიოდა ფოთამდე ტრანსპორტირების საფასური, რაც ტონაზე 14 დოლარს შეადგენს და გემში ჩატვირთვის ღირებულება — ერთი ტონა 2 დოლარი — რომელიც ქართულმა მხარემ გადაიხადა. გამოდის, ერთი ტონა ჯართი ადგილზე, ანუ რუსთავში შვეიცარიულმა ფირმამ 44 დოლარად იყიდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ერთი ტონა ჯართის რუსთავში გაყიდვა გაცილებით უფრო ძვირად იყო შესაძლებელი. სავარაუდოდ, ჯართი გაცილებით ძვირად გაიყიდა, მაგრამ დოკუმენტაციაში ხელოვნურად შემცირებული ფასი დააფიქსირეს გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით.

მხოლოდ გასულ წელს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში 30 ათასი ტონა ჯართია გაყიდული. მის გატანა-გაყიდვაზე პასუხისმგებელი იყო ქარხნის კომერციული დირექტორი შათირიშვილი, რომელზეც ამჟამად ძებნაა გამოცხადებული. გამოძიებას აქვს ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ.

— **მხოლოდ კომერციული დირექტორი ათეულათასობით ტონა ჯართის გაყიდვას ვერ მოახერხებდა. ეს ეცოდინებოდათ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სხვა ხელმძღვანელებსა და იტალიელ ინვესტორებსაც, რომლებიც ამჟამად კომბინატის აქციების 98%-ის მფლობელები არიან.**

— გეთანხმებით, შათირიშვილის დაკითხვა ბევრ ფაქტს მოჰფენს ნათელს...

ვიცოდი, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში რამდენიმე დღეში მეცნიერი მეტალურგების შეკრება უნდა გამართულიყო, სადაც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელებდნენ. მანამდე რუსთავში გამგზავრება, კომბინატის დათვალიერება და მუშა-მოსამსახურეებთან გასაუბრება გადავწყვიტე. მეორე დღესვე რუსთავში ვიყავი. ქარხანასთან ახლოს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საწარმოო განყოფილების ყოფილი უფროსი **პავლე შატაკიშვილი** გავიცანი, რომელმაც მითხრა: — 1994 წელს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში 2.500 ტონა მილნამზადის დატაცების ფაქტზე დამიჭირეს, თუმცა დამნაშავე არ ვიყავი. გამოძიებამ საქმეში აღმოაჩინა ჩემი ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის თანახმად კომბინატიდან სადგურ ნატანების მიმართულებით მილნამზადი უნდა გასულიყო. ამდენი საქონლის დატაცების უფლებას მე ვინ მომცემდა? სიმართლე დაკითხვაზეც გაირკვა. გამომძიებელმა პირდაპირ მითხრა — „ვიცით, რომ ეს ქარხნის ხელმძღვანელების ნახელავია. თქვენმა დირექტორმა პირდაპირ გვითხრა, სანამ ბაბუ თავის ადგილზე ზის, მე ვერ შემეხებით და ის რომ არ იქნება, მანამდე არაფერი გეტკინოთო“, მაგრამ ჯოხი ხომ ვიღაცაზე უნდა გადაეტეხათ. ერთი სიტყვით, ქარხნის დირექტორის დანაშაული მე მომაწერეს, მაგრამ ბოლომდე არ გამწირეს და ერთ წელიწადში გამომიშვეს, თანაც საქმე წვრილმან დატაცებას შეეხებოდა(?!). დატაცებული მილნამზადის საბაზრო ღირებულება ნახევარ მილიონს არ აღემატებოდა.

— **ნახევარ მილიონს წვრილმან დატაცებას უწოდებთ? აბა, მსხვილმანი რა იყო?**

— მერწმუნეთ, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დატაცებების მასშტაბისათვის 500 ათასი დოლარი მართლაც წვრილმანია. ათეული წლების განმავლობაში საზღვარგარეთ მალულად გაედინებოდა ქარხნიდან მილიონობით დოლარის საქონელი და ქონება. რაც ქარხანაში ხდებოდა, ყველამ კარგად იცოდა. კონტროლი არ არსებობდა, არავის აინტერესებდა, ათი ათასი დოლარის პროდუქცია გამოუშვა ქარხანამ თუ ასი ათასის. დღეისათვის კომბინატის დავალიანება 140 მილიონ დოლარს შეადგენს. ვალის დიდი ნაწილი ხელოვნურად არის გაბერილი. საამისოდ ასეთი მექანიზმი არსებობდა: შეადგენდნენ დოკუმენტს, რომ თითქოს რომელიღაც კომერციულმა საწარმომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს შემოუტანა, ვთქვათ, საწვავი, რომელიც შემდგომში კომბინატმა მოიხმარა, მაგრამ საქონლის მომწოდებელ საწარმოს ფული არ გადაუხადა. სინამდვილეში, საქონელი მეტალურგიული კომბინატისათვის არ მიუწოდებია კომერციულ საწარმოს. ვალი ქაღალდზე დაფიქსირდა, რომელსაც წლების განმავლობაში ჯარიმა-საურავები დაერიცხა და დიდძალ თანხად იქცა. „პატრონიანი“ საწარმო საერთო ენას გამონახავდა კომბინატის პირველ პირთან და კომბინატი ვალის სანაცვლოდ მევალეს თავისი ქონებიდან განსაზღვრულ წილს დაუთმობდა. სასამართლოშიც ჩაწყობილი იყო საქმე და ქონების გადაცემა ერთ დღეში ფორმდებოდა. ასე ჩაიგდო ხელში ქუთაისელმა ბიზნესმენმა ბონდო შალიკიანმა ხელოვნურად შექმნილი 750 ათას დოლარის ვალის ნაცვლად კომბინატის წვრილსორტული და მილსაგლინავი ყველაზე მომგებიანი საამქროები. აქედან მარაგდება ჩვენი ბაზარი სამშენებლო რკინის დეტალებით — კუთხოვანებით, არმატურითა და სხვ. ქარხნის ქონების განიავებას ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული სხვა პირებიც ცდილობდნენ, კერძოდ, ნუგზარ შევარდნაძე და გურამ ახვლედიანი. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მაშინდელმა დირექტორმა ირაკლი ჟორდანიამ სწორედ ახვლედიანების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ შემოუშვა ქარხანაში იტალიური ფირმა, რომელიც ამჟამად მარტენის ღუმელებს ჭრის და ჯართად მიაქვს საზღვარგარეთ. ამას იტალიელები იმით ამართლებენ, რომ თითქოს რუსეთიდან ურიგოდ და შეღავათით შემოაქვთ მილნამზადი მილების დასამზადებლად. სხვათა შორის, მათ მილსაგლინავი საამქრო მართლაც აამუშავეს, ამით ცდილობენ ხალხისთვის თვალის ახვევას. რეალურად რომ უნდოდეთ კომბინატის ამუშავება, უპირველესად ქარხნის ირგვლივ მდებარე ათობით ჯართის მიმღებ პუნქტს გააუქმებდნენ. ისინი ხომ კომბინატიდან მოპარული ჯართის ყიდვა-გაყიდვით არსებობენ. წამოდით და განახვებთ, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ჯართის მიმღებ პუნქტებს ალყაში აქვთ მოქცეული.

რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ბიბლიოთეკის დარბაზში 50-მდე მეცნიერი მეტალურგი შეიკრიბა. სხდომა პროფესორმა **ვანო თვალაბაძემ** გახსნა: „თითქმის ერთი წელიწადია, რაც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში შევიდა ახალი ინვესტორი, იტალიური ფირმა „არეს ექსპორტ-იმპორტი“. ჩვენ გავეცანით მათთან დადებულ ხელშეკრულებასა და ქარხნის რეაბილიტაციის პროგრამას. ხელშეკრულება შედგენილია ერთი პრინციპით — „ყველაფერი იტალიელებს და არაფერი ქართველებს.“ მათ ქარხნის ქონების 98% ეკუთვნით, ქართველებს მხოლოდ 2. სამაგიეროდ, მთელი პასუხისმგებლობა 2%-ის მფლობელმა, ქართულმა მხარემ უნდა იკისროს, მათ შორის ქარხნის ყველა ვალის გადახდა. მთავარი, რაც არის ამ ხელშეკრულებაში და იგი რეაბილიტაციის გეგმაშიც არის გათვალისწინებული, ის არის, რომ ინვესტორი წელიწადში 500 ათასი ტონა ფოლადის წარმოებას კისრულობს, მაგრამ მას დღემდე არ ჩამოუტანია ელექტროღუმელი. იტალიელები აშკარად გვატყუებენ. ისინი მხოლოდ ჯართს ყიდიან. წინა ხელისუფლება რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ხან თურქებისთვის, ხან კი რუსებისთვის დაეთმო.

გაგრძელება იხ. გვ. 13

# „რა არის რომანტიკული ეკონომიკა?!“



„ანგარებიანი ადამიანების წინააღმდეგ საკმარისი იარაღი გამაჩნია“

**„საქართველო გადარჩენაზე კი არა, სიუხვესა და გამარჯვებაზე ორიენტირებული ქვეყანა უნდა იყოს...“**

*როგორც ირკვევა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრი, ეკონომისტი* ***გია მაისაშვილი****, საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებას აპირებს — რეგიონებში ე.წ. სამთავრობო სკოლები გაიხსნება, სადაც ახალგაზრდებს პოლიტიკას ასწავლიან და სწორედ აქ განსწავლულ კადრებს შესთავაზებენ მთავრობას... დანარჩენს ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— მსოფლიო თანამეგობრობამ გამოხატა კეთილი ნება, რომ საქართველომ გაიმარჯვოს, წარმატება მოიპოვოს და ჩამოყალიბდეს, როგორც სახელმწიფო. საქართველოს უახლოეს ისტორიას არ ახსოვს ასეთი უნიკალური შანსი, რომლის ხელიდან გაშვება დიდი დანაშაული იქნება მომავალი თაობების წინაშე. ქვეყანაშიც არის მზაობა რადიკალური ცვლილებებისათვის. ეს ორივე — შიდა და გარე ფაქტორი უთუოდ გამოსაყენებელია. მინდა შევაჯანჯღარო ჩვენი მთავრობა და მათი ყურადღება უმთავრესზე მივაქციო და არა მეათე ან მეასეხარისხოვან საქმეებზე. ჩემი ჩამოსვლის მიზანი განგაშის ატეხაა.

როგორ შეიძლება, რომ ქვეყანას არ გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების ხედვა, კონცეფცია. არ იყოს განსაზღვრული, როგორი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, საით უნდა წავიდეთ და რა ეტაპებია გასავლელი ქვეყნის აღმშენებლობისთვის?

მცდარია მინისტრთა კაბინეტის ხელოვნური შერჩევაც, მეტისმეტად ზედაპირული კრიტერიუმების გათვალისწინებით, — მინისტრი სიმპათიური ახალგაზრდა, პროფესიონალი და ქალი უნდა იყოსო. სასაცილოა შერჩევის ასეთი მეთოდები. ჩვენ გარეგნული ეფექტების დრო აღარ გვაქვს, ვიღაცაზე პიარეფექტის მოხდენა აღარ არის საჭირო. პრეზიდენტი მოსახლეობის 95%-მა აირჩია და მან უნდა გააცნობიეროს, რომ უკვე ხელისუფალია. არ შეიძლება, ძველებურად ოპოზიციის პოზიციიდან მოქმედება, ახლა მშენებლობის დროა — ქვეყნის განვითარების სტრატეგიაა ჩამოსაყალიბებელი და მინისტრთა კაბინეტიც ამ ერთი შეხედულებისამებრ უნდა შეიქმნას. ვინ იზიარებს ამ შეხედულებას და რომელ პროფესიონალს, რომელ ადმინისტრატორს შეუძლია ამ ხედვის განხორციელება, ეს უნდა გაითვალისწინონ მინისტრთა კაბინეტის შემქმნელებმა.

**არ შეიძლება მთელი თაობა ამოაგდო პროცესებიდან და უთხრა — თქვენ აღარაფრის მაქნისები აღარ ხართ, ახალი თაობა უნდა მოვიყვანოთო. რასაკვირველია, ხელისუფლებაში ახალი თაობა უნდა მოვიდეს, მაგრამ ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ შევარდნაძის რეჟიმს ამ თაობის გაზრდაზე არ უზრუნია. არ არის ისეთი კაცი, რომელსაც თამამად ჩააბარებ უწყების, დეპარტამენტის, სამინისტროს ხელმძღვანელობას.**

**— თქვენი კრიტიკა ვისკენაა მიმართული?**

— მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიასკენ. გაუგებარია, რატომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა მინისტრის ახალგაზრდობას. არ შეიძლება მთელი თაობა ამოაგდო პროცესებიდან და უთხრა — თქვენ აღარაფრის მაქნისები აღარ ხართ, ახალი თაობა უნდა მოვიყვანოთო. რასაკვირველია, ხელისუფლებაში ახალი თაობა უნდა მოვიდეს, მაგრამ ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ შევარდნაძის რეჟიმს ამ თაობის გაზრდაზე არ უზრუნია. არ არის ისეთი კაცი, რომელსაც თამამად ჩააბარებ უწყების, დეპარტამენტის, სამინისტროს ხელმძღვანელობას. მართალია, ახალ თაობას გასაქანი უნდა მივცეთ, მაგრამ ჯერ უნდა გაიზარდონ, იმის შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

ახალ მინისტრთა კაბინეტს ხომ ფაქტობრივად ძველი სისტემის დაშლა და ახალი სტრუქტურების შექმნა უწევს და როგორ უნდა ვანდოთ ეს საქმე ჯერ გამოუცდელ ხალხს? 25 წლის ბიჭის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ როგორ ექნება მას ახალი ხედვა, როდესაც ქვეყანაში ახლებური მართვის ტრადიციები არ არსებობს?!

ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში საგანმანათლებლო პროექტით. მინდა ახალი თაობა

**ჩამოვედი საქართველოში საგანმანათლებლო პროექტით. მინდა ახალი თაობა გავზარდოთ, რომელსაც ორიენტირებს მივცემთ, ჩვენს კადრებს გავზრდით, რათა არ შეიქმნას ისეთი უხერხულობა, როგორიც დღეს გვაქვს — ახალგაზრდას არა აქვს არანაირი პროექტი, გამოცდილება და უწევს უზარმაზარი დარგის ხელმძღვანელობა.**

გავზარდოთ, რომელსაც ორიენტირებს მივცემთ, ჩვენს კადრებს გავზრდით, რათა არ შეიქმნას ისეთი უხერხულობა, როგორიც დღეს გვაქვს — ახალგაზრდას არა აქვს არანაირი პროექტი, გამოცდილება და უწევს უზარმაზარი დარგის ხელმძღვანელობა. ვფიქრობ, ეს დროის დაკარგვაცაა და ქვეყნის შეურაცხყოფაც. ჩემი აზრით, ყოველივე ამას შეიძლება უდიდესი კატაკლიზმები მოჰყვეს. ხშირად გაიგონებთ, — ქვეყანამ განვითარების ამერიკული მოდელი აირჩიაო. ეს ამერიკული მოდელი არ არის — ზედაპირული, ყბადაღებული დასავლური ცოდნის საქართველოში კალკის სახით გადმოტანა. ეს კალკი საქართველოში არ იმოქმედებს, ყველაფრის მექანიკური განმეორება საშიშიცაა. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ გავაგებინო ყველას — ამ ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, რაც მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმით მიიღწევა. ამაში ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება.

**— რა სტატუსით აპირებთ საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას?**

— არც სტატუსი მაინტერესებს და არც ამბიციები მაქვს. ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისაც საქართველოსთვის რაიმეს გაკეთება უნდა. მე ორგანიზებას გავუკეთებ ძალას, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას.

**— ეს პოლიტიკური ძალა იქნება თუ არასამთავრობო ორგანიზაცია?**

— შესაძლოა ერთიც იყოს და მეორეც.

**— თქვენ კონსტანტინე გამსახურდიას თანამოაზრედ მიგიჩნევენ, ერთ პარტიაში ხომ არ იქნებით?**

— კოკოს მე აღვიქვამ, როგორც სიმბოლოს და არა — როგორც პოლიტიკურ ლიდერს. მინდა მან სიმბოლოს როლი შეინარჩუნოს, პოლიტიკურმა ბატალიებმა ამ სიმბოლოს კაშკაში არ უნდა ჩააქროს. მე მისი მომხრე და მეგობარი ვარ.

**— თქვენ საქართველოს პრეზიდენტის მეგობარიც იყავით, მაგრამ მერე რაღაც გაუგებრობა მოხდა თქვენ შორის. როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან ამჟამად?**

— მიშას გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. ეს აუცილებელია, რადგან ის საქართველოს პრეზიდენტია და მისი გამარჯვება საქართველოს გამარჯვებაც იქნება. არ მინდა ეს ისტორიული შანსი გაუშვას ხელიდან. ამიტომ, როდესაც მიშას ვუსურვებ წარმატებას, მთლიანად ქართველი საზოგადოების წარმატებაზე ვფიქრობ.

**— საბოლოოდ დაბრუნებას როდის აპირებთ სამშობლოში?**

— ჯერჯერობით ვერ ვბრუნდები ბევრი პრობლემის გამო.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

# „ჩოლოქზე ბარიერებს თვითონ აჭარის მოსახლეობა აიღებს“

## „თუ სააკაშვილს მისცვივდნენ და დაკოცნეს, რა არის ამაში ცუდი?“

*მიუხედავად იმისა, რომ 28 მარტის ფავორიტის ვინაობა წინასწარვე გარკვეული იყო, წინასაარჩევნო პერიოდს ამით ვნებათაღელვა ოდნავაც არ მოჰკლებია. აჭარაში სერიოზულ ექსცესებს ისედაც ელოდნენ, მაგრამ ასლან აბაშიძის მიერ (უშიშროების განცხადებით) თბილისში კილერის გამოგზავნამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებულად დაძაბული ვითარების გამო, პრეზიდენტმა რეგიონში პრემიერ-მინისტრი მიავლინა. მრავალრიცხოვან საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელთან ერთად, პროცესების განვითარებას ჟვანიაც დააკვირდება. ამ კვირაში აჭარაში მოვლენების სავარაუდო განვითარების შესახებ პოლიტოლოგ* ***ლევან ბერძენიშვილს*** *ვესაუბრეთ:*

**— ყველას აინტერესებს და აფორიაქებს ის, თუ როგორ იქნება აჭარაში არჩევნების შემდგომი პერიოდი. თქვენ როგორი პროცესების განვითარებას ელოდებით იქ?**

— ჩემი ვარაუდით, ასლან აბაშიძე იმ საღამოსვე შეეცდება არჩევნების შედეგების გაყალბებას, უბნების დარბევასა და ა.შ. აჭარის ხელმძღვანელობა ვერ ეგუება იმ აზრს, რომ წააგო ისტორიასთან ბრძოლა. სანამ ასლან აბაშიძე ავტონომიის მეთაური იქნება, აჭარაში სამართლიანი, ობიექტური და ჰუმანური არჩევნები არ ჩატარდება. ასლან აბაშიძესთან დემოკრატია, პატიოსნება და არჩევნები ერთმანეთს ვერ ესადაგება. აჭარის ხელმძღვანელი არის ის ლოდი, რომელიც საქართველოს ელობება დემოკრატიის გზაზე.



„აღორძინებას“ საქართველოში პერსპექტივები არ აქვს. აჭარის გარდა, ამ პარტიას ოფისებიც აღარსად დარჩა. პარტია, რომელიც ხმებს ერთ რეგიონში იღებს, საქართველოს კონსტიტუციითაც კი არ არის პარტია. სანამ ასლან აბაშიძე აჭარაშია, იქ არჩევნების ჩატარებას ერთადერთი აზრი აქვს, რომ ამ გზით მოვაცილოთ ეს ადამიანი იქაურობას. და თუ ეს არჩევნების გზით არ მოხერხდება, ყველანაირი კანონიერი გზით უნდა ვეცადოთ ასლან აბაშიძის ჩამოშორებას ქართული პოლიტიკიდან. მადლობა ღმერთს, ამ არჩევნებზე ბევრი დამკვირვებელი ჩაბრძანდება აჭარაში და თავად ნახავენ, როგორი დემოკრატიც არის ეს კაცი.

**აბაშიძეს უზარმაზარი ქონება აქვს და რომც არ უნდოდეს, ლუჩანსკი და სხვები ასწავლიან როგორ უნდა დაიცვას ის. მისი შვილი იმიტომ ჩანს უფრო სიმპათიურად, რომ მას არ აქვს ასეთი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვიღაცის მიმართ. მას არ ახსოვს და არ ადარდებს, საიდან იშოვა „ლამბორჯინის“ ფული, მამამისს კი ახსოვს, ვისი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, ვის წინაშე არის პასუხისმგებელი და რა მოხდება, როდესაც ის აჭარის ხელმძღვანელი აღარ იქნება.**

**— თქვენ სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროება ახსენეთ, რომელშიც ალბათ უთუოდ მოუწევს ჩარევა ცენტრალურ ხელისუფლებასაც?**

— თუ ვითარება დაიძაბა და ვინმე მოსახლეობას დაერია, პირველივე ინციდენტის შემთხვევაში, სააკაშვილმა უნდა დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. ამის გაკეთებას მას კანონი ავალდებულებს.

**— ამბობენ, ასლან აბაშიძის ვაჟი გიორგი მამისგან განსხვავებულად აზროვნებს და შესაძლოა, მამის შემცვლელადაც მოგვევლინოსო.**

— ეს ძირშივე არასწორი აზრია. ჯერ ერთი — გიორგი აბაშიძე ასლან აბაშიძეს ვერ შეცვლის, ფიზიკური მდგომარეობის გამო (სხვა მანკიერი მიზეზებითაც), მას 8 საათი მუშაობა არ შეუძლია. მეორეც — გიორგის აჭარის მოსახლეობა არ აირჩევს. რას ჰქვია, მამას შეცვლისო, აჭარა მართლა საფაშო კი არ არის! თურქეთის ბატონობის დროსაც კი აჭარაში ასეთი ცვლილებები უმტკივნეულოდ არ ხორციელდებოდა. აჭარა სამეფო არ იყო, რომ იქ მამიდან შვილზე გადასულიყო მემკვიდრეობა. აჭარლები არ არიან იმდენად დასაცინი ხალხი, რომ იქ ვინმემ მემკვიდრეები დაგვიტოვოს.

ტყუილია ისიც, თითქოს გიორგის მამისგან განსხვავებული აზრები ჰქონდეს. ვინმესგან განსხვავებული აზრი რომ გქონდეს, ამისთვის თავად უნდა გქონდეს რაიმე აზრი. მან ერთხელ განაცხადა, — ჩვენ შვეიცარიის მოდელი ავირჩიეთო. მას ჰგონია, შვეიცარია რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიაა.

**— პრეზიდენტმა ჩვენთან ინტერვიუში რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, — გიორგი ურიგო ბიჭი არ არის და შეუძლია კენჭი იყაროს მამის პოსტზეო.**

— ბუნებრივია, ცენტრი და პრეზიდენტი ყოველთვის იტყვიან, რომ ყველა მოქალაქეს, მათ შორის გიორგი აბაშიძესაც, უფლება აქვს იყაროს კენჭი. ოღონდ იმ პირობით, თუ ის ამ დროს ციხეში არ ზის. ციხეში მჯდომსაც ექნება რაღაც უფლებები, თუ მის მიმართ განაჩენი არ იქნება ძალაში შესული.

**— ანუ თქვენ ვარაუდობთ, რომ...**

— მე ვვარაუდობ, რომ მამა-შვილი აბაშიძეები ამ დროისათვის ციხეში იქნებიან იმის გამო, რასაც დღეს აკეთებენ, გუშინ აკეთებდნენ და რასაც 28 მარტს გააკეთებენ. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მათ, რომლებსაც განსაკუთრებული სიმპათიები აქვთ ამ ახალგაზრდის მიმართ (გიორგი აბაშიძის მიმართ), მინდა დავუსვა კითხვა — იციან, საიდან აქვს ვატო ყიფიანს ის იარაღი, რომლის პოვნა ძალიან გაუკვირდათ და შეშურდათ ჩვენს ძალოვნებს? დარწმუნებული ვარ, მისი მეგობარი გიორგი აბაშიძე მისცემდა. აი, ასეთი მეგობრები ჰყავს ასლან აბაშიძის შვილს. თუ ამ ყველაფერს დავივიწყებთ, გიორგი აბაშიძე „ისე“ კარგი ბიჭია.

**— გასულ კვირას უშიშროებამ დააკავა კილერი, რომელსაც, როგორც ითქვა, რამდენიმე პირის ლიკვიდაცია ჰქონდა დავალებული. როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?**

— უშიშროებას კითხვები მაშინ გაუჩნდა, როდესაც მინისტრის მოადგილე ინაიშვილი დღისით ბათუმის ცენტრალურ ქუჩაზე მოკლეს და აღმოჩნდა, რომ მკვლელი პროფესიონალი კილერი იყო. ხომ გასაგებია, ვინც წავიდოდა აჭარაში ოპოზიციონერისა და ამბოხებული კაცის მკვლელობაზე? როდესაც უშიშროების სამინისტრო ამას აცხადებს, როგორც ჩანს, აქვთ აღიარებითი ჩვენებები. ბატონი ბერიძე რომ კილერია, ეს უშიშროების მინისტრის მოადგილემაც განაცხადა. უბრალოდ, გული იმაზე „დამწყდა“, რომ გასანადგურებელთა სიაში ძმები ბერძენიშვილები არ აღმოვჩნდით.

**— თქვენი აზრით, რატომ გამორჩით?**

— იმიტომ, რომ კილერი ამჟამად აჭარლებზე მუშაობს. ყველას კარგად ესმის, რომ ამჟამად საშიში აჭარელი ლიდერია, რადგან გურულები და იმერლები აჭარის ავტონომიის ლიდერის პოსტზე კენჭს არ იყრიან (ასეთი ვითარებაა იქ დღეს). ყველამ იცის, ჩემი ძმა და მე რომ არ ვაპირებთ ამ პოსტზე კენჭისყრას. სამაგიეროდ, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ ისინი, რომლებმაც რეალურად შეიძლება დაიკავონ ეს პოსტი — ედუარდ სურმანიძე, კობა ხაბაზი და რკინიგზის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ვარშალომიძე.

**— ასლან აბაშიძემ მოვალეობის შესრულების უფლება არ მისცა პრეზიდენტის წარმომადგენლებს ბათუმის პორტსა და საბაჟოზე. ეს გამოწვევა იყო?**

— ასლან აბაშიძე ასე იმიტომ მოიქცა, რომ აგონიაშია და არ უნდა დაიჯეროს — წავაგეო. თავის დროზე, შევარდნაძესაც ძალიან გაუჭირდა ამის აღიარება. შევარდნაძეს 300 მილიონი ჰქონდა, აბაშიძეს რამდენიმე მილიარდი აქვს და მას უფრო მეტად უჭირს დამარცხების აღიარება, მაგრამ ისტორიის წინაშე ის უძლურია.

**— რაში უნდა აწყობდეს ამ ვითარებაში მას სიტუაციის ასე გამწვავება?**

— ასლან აბაშიძე ყველაფერზე წამსვლელია. ის არ არის ისეთი კაცი, რომლის მოქმედებების გათვლისას არ უნდა გავითვალისწინოთ ასეთი გადაწყვეტილებები.

***(გაგრძელება იხ. გვ. 12)***

# „ექსცესებს ვერავინ გაბედავს“



## რას ფიქრობს შინაგანი ჯარის სარდალი?!

არცთუ მშვიდი წინასაარჩევნო პერიოდის გამო აჭარაში და მთელ საქართველოშიც ექსცესებისა და დესტაბილიზაციის საშიშროებაზე ლაპარაკობდნენ. კულუარებში იმასაც გაიგონებდით, შესაძლოა არჩევნების შედეგით განაწყენებულმა პოლიტიკურმა ძალებმა მომხრეები ქუჩაში გამოიყვანონ და ქვეყანაში არეულობის საფრთხე შეიქმნას. ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორ ხვდება არჩევნებს დღეს შინაგანი ჯარი, რომელსაც ევალება მასობრივი არეულობისა და უწესრიგობის განმუხტვა. ამიტომაც შინაგანი ჯარის სარდალ **გიორგი თათუხაშვილს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— შინაგანი ჯარი წესრიგს დაამყარებს. ამის ძალა, უნარი და შესაძლებლობები გვაქვს. საჭიროების შემთხვევაში, თუკი აუცილებლობამ მოითხოვა, წესრიგის დასამყარებლად ფარებსა და ხელკეტებსაც გამოვიყენებთ.

**— მაგრამ სერიოზული პრობლემებია აჭარაში — იქ უამრავი შეიარაღებული ადამიანია. რამდენადაც ვიცი, ისინი არ დაემორჩილნენ პრეზიდენტის ბრძანებას და იარაღი არ ჩაუბარებიათ.**

— ჩააბარებენ. მოსახლეობას უთუოდ ჩამოვართმევთ იარაღს.

**— შინაგანი ჯარის დანაყოფი, რომელიც აჭარაში იმყოფება, გემორჩილებათ?**

— დიახ, გვემორჩილება.

**— ამით იმის თქმა გსურთ, რომ ასლან აბაშიძეს მასზე გავლენა არა აქვს?**

— გულახდილად გეტყვით, მათზე გავლენა ჩვენც გვაქვს და ასლან აბაშიძესაც, მაგრამ ბათუმის შინაგანი ჯარი ყოველთვის ხალხის მხარეს იქნება. იქ მომსახურე აბაშიძის ერთგული ერთი-ორი მეთაური არაფერს წყვეტს. უმეტესობა ცენტრალურ ხელისუფლებას უჭერს მხარს. გადაჭრით გეტყვით, ექსცესების მოწყობას იქ ვერავინ გაბედავს.

**— ხომ არ გავიწყდებათ, რომ ასლან აბაშიძემ გაბედა პრეზიდენტის ჩოლოქთან შეჩერება. რა შეიცვალა დღეისათვის?**

— ამჯერად აბაშიძე წყნარად იქნება. ამ არჩევნებს მთელი მსოფლიო უყურებს და ის ვერ გაბედავს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. რომც მოინდომოს, ამის გაკეთების საშუალებას არ მივცემთ.

**— ბათუმში განლაგებული რუსული ბაზისგან არ ელით პროვოკაციას?**

— მათ არა აქვთ ჩვენს შინაურ საქმეში ჩარევის უფლება და აქედან გამომდინარე, პროვოკაციაც გამორიცხულია. წინასწარ შემუშავებული გეგმა არ გვაქვს, მაგრამ მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა და წესრიგი.

**— ამ კვირაში შინაგანი ჯარი საგანგებო რეჟიმში იქნება?**

— საერთოდ, არჩევნებისას და დღესასწაულების დროს შინაგანი ჯარი, პოლიცია და თავდაცვა ყაზარმულ მდგომარეობაშია. არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის. პრობლემებს არ ველოდები და თუ მაინც შეიქმნა ექსტრემალური ვითარება, შინაგან ჯარს აქვს უნარი და საშუალება მთელ ქვეყანაში აღკვეთოს უწესრიგობა.

***იზო რიკაძე***

# დიდი „ოპერაციისწინა“ რეპეტიცია თუ გაფრთხილება?

## ახალმა ხელისუფლებამ პირველად გამოსცადა შერეული საჰაერო დესანტი

ის, რაც სამი ათეული წლის წინ ვერ შეძლეს უზარმაზარი საბჭოთა კავშირის სამართალდამცავმა ორგანოებმა, გასულ კვირას 45 წუთში განახორციელა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ.

სვანეთში წლების განმავლობაში ხელშეუხებლად ცნობილი აფრასიძეების კლანის წევრების ლიკვიდაცია და დაკავება ცალკეა განსახილველი, ჩვენთვის ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ ამ ოპერაციაში პირველად გამოიყენა საჰაერო დესანტირება.

ათი შვეულმფრენის ერთდროულად ფრენა საქართველოს ახალგაზრდობას შეიძლება არც უნახავს. ერთ-ერთი ბოლო, ყველაზე მსხვილი საჰაერო გადასხდომა შვეულმფრენებით, მოხდა 1991 წლის 19 აგვისტოს — თელავიდან 30-მდე საბჭოთა სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენმა ლაგოდეხის სპეცდანიშნულების ბრიგადისა და „ლეტუჩიე მიშის“ დანაყოფები ვაზიანში გადაიყვანა მოსკოვში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების დროს.

სოფელ ეცერში ათი ქართული შვეულმფრენით ორასამდე მებრძოლის დესანტირება საყურადღებო უფრო იმითაა, რომ თბილისმა, ჩვენი აზრით, განახორციელა არა მარტო ძალების დემონსტრაცია, არამედ ჩაატარა ერთგვარი რეპეტიცია მომავალი საჰაერო ოპერაციების წინ.

როგორც მოვლენები გვიჩვენებენ, სააკაშვილს და აბაშიძეს გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოს მოწყობის სხვადასხვა მოდელს უჭერენ მხარს.

აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ აფრასიძეების კლანის წინააღმდეგ წარმატებით განხორციელებული საბრძოლო ოპერაციით (სხვანაირად ნამდვილად ვერ შევაფასებთ სოფელ ეცერში ჩავლილ მოვლენებს) ფრთაშესხმულმა ოფიციალურმა თბილისმა სიტუაციის გართულების შემთხვევაში რაღაც ამდაგვარი ბათუმის ცაშიც დაგეგმოს.

ამის შესაძლებლობას არც ბათუმში გამორიცხავენ, სადაც გარკვეულწილად, ემზადებიან კიდეც „დაუპატიჟებლად“ შემოფრენილი სააკაშვილის საჰაერო „არმადის“ საწინააღმდეგოდ.




ბათუმის პორტში მოქმედებს რადიოლოკაციური სადგური, რომელიც სარფამდე აკონტროლებს საზღვაო აკვატორიას და შეუძლია აღმოაჩინოს დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენები.

მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია რუსული მე-12 სამხედრო ბაზის შეიარაღებაში მყოფი სადივიზიო თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების КУБ-ების პოლკი. ამ პოლკის შემადგენლობაში უნდა იყოს 4 საზენიტო ბატარეა, ხოლო ყოველ ბატარეაში — 4 თვითმავალი საზენიტო დანადგარი. თითოეულ დანადგარზე სასროლად გამზადებული სამი რაკეტაა განთავსებული.

КУБ-ის რაკეტების მოქმედების რადიუსი 12 კმ-ს აღწევს. სავარაუდოა, რომ ანალოგიურ საზენიტო დანადგარებს ქართული ავიაციის წინააღმდეგ იყენებდნენ აფხაზეთის ომში, არძინბას რეჟიმის მხარდამჭერი რუსი მეზენიტეები.

ამიტომაც, ოფიციალური თბილისი რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად უნდა დაფიქრდეს, რადგან აფრასიძეების კლანსა და აბაშიძის რეჟიმს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

***ირაკლი ალადაშვილი***



აირზენა

# რა შეიარაღებას ფლობს ასლან აბაშიძე

**რეალობასთან ყველაზე მიახლოებული მონაცემები იმ ძალებისა და შეიარაღების შესახებ, რომელიც ცენტრთან ურჩობაში „შემჩნეულ“ მმართველს გააჩნია**



**БМ-21 Град-ები, რომლებიც ბათუმში, რუსულ ბაზაში დგანან.**

ასლან აბაშიძის ხელთ არსებული ძალის შესახებ ლაპარაკისგან აქამდე თავს ვიკავებდით, რადგან იმის გაფიქრებაც კი ჭირს, რომ ერთ საშინელ დღეს ეს იარაღი ქართველების წინააღმდეგ ამოქმედდება.

მაგრამ, მეორე მხრივ, ცენტრალურ პრესასა და ტელევიზიაში ხშირად ასახელებენ ციფრებს, რომელიც სინამდვილისგან ძალიან შორსაა და დეზინფორმაციის წყაროდაც იქცევა ხოლმე.

მიუხედავად გავრცელებული ცნობისა, აბაშიძის ხელისუფლებას, ისევე როგორც იქ დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზას, არ ჰყავს T-80 ტიპის ტანკები (როგორც ეს არაერთხელ გამოცხადდა ზოგიერთი ტელეკომპანიის მიერ) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს საბრძოლო მანქანები ამიერკავკასიაში მოსკოვს არასოდეს გადმოუყვანია, თვით საბჭოთა პერიოდშიც კი, ისევე, როგორც აბაშიძეს ბათუმში არ ჩაუყვანია Як-40 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავით კბილებამდე შეიარაღებული 100-მდე რუსი სამხედრო, რადგან ამ ტიპის თვითმფრინავში 30-ოდე კაცი თუ ეტევა.

თვით აბაშიძე მოსკოვიდან ბათუმში მისივე სამგზავრო Як-42-ით ჩამოფრინდა და არა Ил-42-ით, რადგან ეს უკანასკნელი ექსპერიმენტული მოიერიშის სახით არსებობდა, ისიც რამდენიმე ათეული წლის წინ და ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, პრეზიდენტ სააკაშვილის მიბაძვით, ასლან აბაშიძეც სამგზავრო ლაინერიდან მოიერიშის საჭეს მისჯდომოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარ თემას — რა შეიარაღებაა თავმოყრილი აჭარის რეგიონში?

ძირითადი იარაღი ოფიციალურად თავმოყრილია იმ ძალოვან სტრუქტურებში, რომლებიც, წესით, ცენტრს უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ მე-13 წელია მათი დე ფაქტო მხედართმთავარი ასლან აბაშიძეა.

შეიარაღებული ძალებიდან ბათუმში დისლოცირებულია თავდაცვის სამინისტროს 25-ე კადრირებული მოტომსროლელი ბრიგადა, რომელიც ბოლო დრომდე ეროვნული გვარდიის სტრუქტურაში შედიოდა. ამ ბრიგადას რამდენიმე წელია გენერალ-მაიორი რომან დუმბაძე მეთაურობს. ჩოლოქის კრიზისის დროს უმაღლესმა მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა — განაცხადა, ბრიგადა განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებასო. თუმცა თავად ბრიგადის მეთაური ირწმუნება, განდგომა გულშიც არ გამივლია და პრეზიდენტს მავანნი თავგზას ურევენო.

25-ე კადრირებული ბრიგადის შეიარაღებაში 400-ზე მეტი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი — AKM და AK-74 ტიპის „კალაშნიკოვის“ ავტომატია. აგრეთვე 12 სნაიპერული შაშხანა СВД, 10 სნაიპერული შაშხანა СВМ და РПК, ПК, ПКМ და ჩეხური УК-59М ტიპის ტყვიამფრქვევი, ათამდე ყუმბარსატყორცნი РПГ-7.

უფრო სერიოზული შეიარაღებიდან კი ბრიგადას აქვს 6 ცალი საზენიტო დანადგარი ЗУ-23-2 და 4 ცალი 82 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნი. მძიმე ტექნიკიდან ბრიგადას ჰყავს მხოლოდ სამი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1, რომელთა გამართულობა მეტად საეჭვოა. ბრიგადა ცუდადაა დაკომპლექტებული — მის რიგებში 120 კაცამდე თუა.

მეორე ანგარიშგასაწევი სამხედრო დანაყოფი, რომელსაც აბაშიძის რეჟიმი აკონტროლებს, შსს-ს შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონია. მას დიდი ხანია აბაშიძის ნათესავი და ერთგული პოლკოვნიკი მურად ცინცაძე მეთაურობს.

ბატალიონის საშტატო შემადგენლობა 356 კაცამდეა, მაგრამ სახეზე 280 სამხედროა. ბატალიონის შეიარაღებაშია 350-მდე AKM და AK-74, 10 ცალი РПК და ПКМ ტიპის ტყვიამფრქვევი, რამდენიმე 82-კალიბრიანი ნაღმსატყორცნი და 15 ერთეული ПМ „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტი.

სავარაუდოდ, ჩოლოქთან ამასწინანდელი დაპირისპირების დროს, სწორედ ამ ბატალიონის ჯარისკაცები იდგნენ, მათ ეხურათ სპეციალური ჯავშანჩაფხუტები — სფეროები. იქვე იდგა ამ ბატალიონის ავტობუსი, რომელსაც არ ეკეთა სახელმწიფო ნომრები და ჩამოფხეკილი ჰქონდა შინაგანი ჯარების ემბლემა.

მესამე, ოფიციალური ძალოვანი უწყების დანაყოფია შსს-ს საქვეუწყებო დაწესებულება — სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების აჭარის რეგიონის განყოფილება.

> **იმედია, ცენტრსაც და რეგიონსაც ეყოფათ გონიერება და ყველაფერს გააკეთებენ ამ პრობლემის უიარაღოდ მოგვარებისთვის.**

ამ ურთულესი დასახელების უკან კი „დგას“ 1400M პროექტის „გრიფის“ ტიპის სამი სწრაფმავალი კატარღა. ბათუმის პორტთან მოსეირნე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეამჩნიოს, რომ პორტში ერთი „გრიფი“, საბორტე ნომრით P104, სარემონტოდ კილბლოკზე აყენია და აშკარაა, კარგა ხანს ვერ გავა ზღვაში. P102 და P103 „გრიფების“ გვერდით, პირსთან, ტივტივებენ ამერიკული კატარღა P106 „სიარკი“ (ამერიკის მიერ ნაჩუქარი ეს კატარღა საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა ბათუმს გადასცა) და აბაშიძის საამაყო „ტორნადო“. სამივე „გრიფი“ ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაშია დამზადებული.



**მოძველებული БРДМ-2 ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარს იცავდა.**

აბაშიძის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სპეცდანიშნულების რაზმის განკარგულებაშია ორი (სხვა მონაცემებით — სამი) სწრაფმავალი, სადესანტო კატარღა „შავი ზვიგენი“, რომელიც ეფექტიანი საშუალებაა სანაპირო ზოლში მცურავ რომელიმე გემზე სააბორდაჟო-სადესანტო ჯგუფის გადასასხმელად.

აბაშიძის „საჰაერო ფლოტში“, სავარაუდოდ, ორ სამგზავრო Як-42 და 8 (სხვა ინფორმაციით — 12) Ми-8Т ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენია. ამას შეიძლება მიემატოს ფირმა „ალორძინება-მ“-ის მიერ აწყობილი რამდენიმე მსუბუქი შვეულმფრენი და თვითმფრინავი.

მაგრამ ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალას ალბათ უფრო აბაშიძის ყველაზე ერთგული სპეციალური დანიშნულების დანაყოფი წარმოადგენს, რომელიც ფხიზლად დარაჯობს აჭარის ავტონომიის ლიდერის უსაფრთხოებას. ეს რაზმი შემოსილია ამერიკული ყაიდის სამხედრო კამუფლირებულ ფორმით და შეიარაღებაში აქვს ლულისქვეშა ГП-25 ყუმბარმტყორცნებიანი AKM-ის ტიპის ავტომატები. ამ რაზმის ზოგიერთი წევრი შეიარაღებულია РПГ-26 „Аглень“ ტიპის ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნით.



**სააკაშვილის შეჯავშნული „მერსედესის“ უკან მდგარი აბაშიძის სპეცდანიშნულების რაზმი ჩინებული შეიარაღებით გამოირჩევა. ბევრ მათგანს ზურგზე ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი РПГ-26 Аглень-ი ჰქონდა გადაკიდებული.**

ჩოლოქის კრიზისის დროს მძიმე ტექნიკიდან სულ რამდენიმე ჯავშანმანქანა ფიგურირებდა. ჩოლოქზე, ბეტონის ფილების უკან, ერთი საბრძოლო სადაზვერვო მანქანა БРДМ-2 და მოძველებული ჯავშანტრანსპორტიორი БТР-60ПБ იდგნენ. პორტთან და უზენაესი საბჭოს ახლოს კიდევ ორი БРДМ-2 ეყენა.

ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ჩოლოქის კრიზისის დასაწყისში, რუსული ბაზიდან პირადი შემადგენლობით დახმარებაზე აბაშიძემ უარი მიიღო, თუმცა მას გადასცეს 4 ცალი T-72 ტიპის ტანკი, 4 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 და ამდენივე ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80.

უშუალოდ აჭარაში დისლოცირებულ რუსულ მე-12 სამხედრო ბაზას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რომ საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გააძლიეროს აბაშიძის რეჟიმის შეიარაღების როგორც ხარისხი, ისე რაოდენობა.

აბაშიძის განკარგულებაში არსებული შეიარაღების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება მართალია, ჭირს, მაგრამ „კვირის პალიტრისთვის“ ცნობილია უზუსტესი მონაცემები მე-12 რუსული სამხედრო ბაზის შესახებ.

**ჩვენი დოსიე: მე-12 რუსულ სამხედრო ბაზაში 1283 კაცი მსახურობს. მათ შეიარაღებაშია 41 ტანკი, 138 ერთეული საბრძოლო ჯავშანმანქანა, 187 ჯავშანმანქანის მსგავსი მანქანა, 76 საარტილერიო დანადგარი და სამი ხიდდამგები, აგრეთვე მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების — КУБ-ების პოლკი (არანაკლებ 16 დანადგარი), და საზენიტო დივიზიონები, რომელთა განკარგულებაშია СТРЕЛА-სა და ИГЛА-ს ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. ამ ციფრების უკან იმალება ძალზე სერიოზული იარაღი — ესენია 41 ცალი T-72, 60 ერთეული Д-30 ტიპის ჰაუბიცა (ისვრის 15 კმ-ზე შორს) და 12 ცალი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21Град-ი (მისი სროლის მანძილი 21 კმ-ზე მეტია).**

კიდევ ერთი ძალა, რომელიც ყველაზე მეტად ალიზიანებს ოფიციალურ თბილისს, გახლავთ ე.წ. სახალხო ლაშქარი. მის წევრებს აბაშიძის მთავრობამ ავტომატები დაურიგა. ამ „ლაშქრის“ საბრძოლო მომზადებაზე სერიოზულად ლაპარაკი ალბათ არ ღირს, მაგრამ თავად ფაქტი, მოსახლეობის ავტომატური იარაღით აღჭურვისა, დამაფიქრებელია, რადგან ეს სამოქალაქო ომის დაწყების ერთ-ერთი წინაპირობაა. სხვათა შორის, ეს „ლაშქარი“ ძირითადად 7,6 მმ კალიბრიანი AK-47 და AKM ტიპის ავტომატებითაა შეიარაღებული, თუმცა ზოგიერთ მათგანს რუმინული წარმოების ავტომატიც აქვს.

ამით შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა წარმომავლობისაა ეს იარაღი. რუმინული ავტომატები რუსული „კალაშნიკოვებისგან“ მჭიდის წინ დამატებითი ხელის მოსაკიდით განსხვავდებიან. ამ იარაღით დატვირთული რამდენიმე კონტეინერი ბათუმის სანაპიროსთან 1992 წლის დასაწყისში გამოჩნდა. სავარაუდოდ, იარაღის ეს პარტია გამსახურდიას მთავრობამ შეუკვეთა, მაგრამ მის ჩამოტანამდე ხელისუფლება ვერ შეინარჩუნა. ასე აღმოჩნდა აბაშიძის ხელში ასობით რუმინული ავტომატი, რომლის ნაწილი თავის დროზე ავტონომიის ლიდერმა ჩოლოქს მიმდგარ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონს“ „უფეშქაშა“.



**ასლან აბაშიძის სიამაყეს — სწრაფმავალ „შავ ზვიგენს“ 19 მედესანტე მაქსიმალური 65 კვანძი (დაახლოებით 117 კმ/სთ) სიჩქარით გადაჰყავს**

უხმარი რუსული „კალაშნიკოვები“ კი ეტყობა, არც ისე დიდი ხნის წინ გამოიტანეს სამხედრო საწყობებიდან, მე-12 ბაზიდან ან რომელიმე რუსეთის შუაგულში დისლოცირებული ნაწილებიდან.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მეტყველებს, რომ აჭარის რეგიონში უხვადაა თავმოყრილი იარაღი, მათ შორის ძალზე სერიოზულიც, რომელთა ამოქმედებამ არა მარტო ეს რეგიონი, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიც შეიძლება ცეცხლის ალში გახვიოს. იმედია, ცენტრსაც და რეგიონსაც ეყოფათ გონიერება და ყველაფერს გააკეთებენ ამ პრობლემის უიარაღოდ მოგვარებისთვის, რაც ფაქტია, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებშია, ღმერთმა დაგვიფაროს კიდევ ერთი სისხლის ღვრისგან.

# ლუჟკოვის ჯიბრზე...

## გახდება თუ არა უკრაინა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი?

უკრაინის დღევანდელ პრეზიდენტს კუჩმას საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი გულზე რომ არ ეხატება, კარგადაა ცნობილი.

ეს „ანტისიყვარული“ განსაკუთრებით მას შემდეგ გაღვივდა, რაც ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიევში სტუმრობისას აშკარად დაუჭირა მხარი კუჩმას ოპოზიციას.

არადა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არეალში უკრაინა ყოველთვის იგულისხმებოდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად, განსაკუთრებით სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში.

აჭარაში, ჩოლოქის კრიზისის პერიოდში, ასლან აბაშიძესთან მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ჩასვლისა და აბაშიძის რეჟიმისთვის ერთპიროვნული მხარდაჭერის გამოცხადების საპასუხოდ, უკრაინის ხელისუფლების მაღალ წრეებში განიზრახეს, ლუჟკოვის ქმედების საწინააღმდეგოდ, მნიშვნელოვანი სამხედრო-ტექნიკური დახმარება აღმოეჩინათ ოფიციალური თბილისისთვის.

ეტყობა, მიუხედავად სააკაშვილ-კუჩმას შორის პოლიტიკური შეუთანხმებლობისა, ლუჟკოვი იმდენად მიუღებელია უკრაინელებისთვის, რომ ისინი მოსკოვის მერის ჯიბრზე ფიქრობენ, დაეხმარონ ქართულ არმიას. კიევის ეს ნაბიჯი გასაგები გახდება, თუ გაგახსენებთ, რომ მოსკოვის მერი, ისევე, როგორც ბათუმში, სევასტოპოლშიც ერეოდა მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში, რითაც აღაშფოთა უკრაინის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

მაგრამ ჩოლოქის კრიზისიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს თავის ერთ-ერთ გამოსვლაში წამოსცდა (ან შეგნებულად განაცხადა) — აბაშიძის რეჟიმი ჩეჩნეთსა და უკრაინაში დაქირავებულ მებრძოლებს ეძებს აჭარაში ჩასაყვანადო.

ამას დიდი დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა, შეიძლება იმიტომაც, რომ პრეზიდენტმა კუჩმამ სცადა პოლიტიკურ-დიპლომატიურ შეცდომაში დაეჭირა სააკაშვილი. სიმართლე რომ ითქვას, დღეს მსოფლიოში მიმდინარე თითქმის ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობენ უკრაინელი დაქირავებული მებრძოლები. მაგრამ ეს გარემოება დიდი ვერაფერი ნუგეშია იმ დიპლომატიური შეცდომის გამოსასწორებლად, რაც საქართველოს პრეზიდენტმა, ჩვენი აზრით, დაუშვა.

არადა გაჩნდა პერსპექტივა, უკრაინიდან დახმარების სახით მივიღოთ ძალიან სერიოზული საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის პარტიები (გასაგები მიზეზების გამო არ ვაკონკრეტებთ), რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიდნენ ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობას.

ამასთან ათიოდ დღეში უკვე მზად იქნება საქართველოში დასაბრუნებლად ის შვიდი ქართული სამხედრო შვეულმფრენი, რომელიც წინა მთავრობამ უკრაინაში სარემონტოდ გაგზავნა, მაგრამ მათი დაბრუნება ველარ შეძლო(?!).

უკრაინასთან როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა მომგებიანი უნდა იყოს საქართველოსთვის, მთავარია, როგორი დამოკიდებულება ექნებათ ერთმანეთში ამ ორი ქვეყნის პირველ პირებს.

ინფორმაციისთვის: ამ დღეებში უკრაინას კერძო ვიზიტით თავად სოროსი ეწვია, რომელიც, ეტყობა, ჩვეულებისამებრ ახლა უკვე უკრაინაში ამზადებს „პერცოვკის“ ან „სალას“ რევოლუციას.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ქურდმა გადაარჩინა?!



როსტოვი-თბილისის მატარებელი სადგურიდან ზუსტად განრიგით გათვალისწინებულ დროს გავიდა, მაგრამ ახლა რომ გეკითხათ, მიახლოებითაც ვერავინ გეტყოდათ, როდის ჩააღწევდა თბილისამდე. ამის შესახებ ყველა მგზავრმა იცოდა და ბედს შეგუებულები მხოლოდ იმით ინუგეშებდნენ თავს — სადაც დანარჩენები, იქაც ჩვენო და მოსალოდნელი ფათერაკების მოლოდინში ცნობისმოყვარეობას იმითღა იკმაყოფილებდნენ, რომ მალ-მალე იცქირებოდნენ ვაგონის ფანჯრებში, რომლის მიღმა დასასრული არ უჩანდა ნაადრევი ზამთრის თოვლით გადათეთრებულ თვალუწვდენელ სტეპებს.

დაძინებამდე ჯერ ადრე იყო და მგზავრები ერთმანეთთან საუბრით იქცევდნენ თავს.

— მეზობელი მყავდა ერთი, გიგოია რაზმაძე, ხუმარა კაცი იყო, მაგრამ მის სიახლოვეს რომ ვინმე დააცემინებდა, სერიოზულად უსურვებდა — კოლექტივის დაშლამდე არაფერი გეტკინოსო. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ასე უცებ მოეღებოდა ბოლო იმ დასაღუპ კოლექტივს და მისი შემოქმედი კომუნისტების „წარმმართველ როლს“. ეს, ჩემო ბატონო, კი არ მწყენია, გამიხარდა კიდეც, მაგრამ ახლა ის მაფიქრებს, ამის შემდეგ რა იქნება? მეხუთე თვეა აქეთ ვარ, ჩემს უფროს ბიჭთან და როცა გავიგე აფხაზეთში არეულობააო, გული არ დამიდგა, რას ჰქვია, კაცო, აფხაზისა და ქართველის წაკიდება, ვის აბითურებენ ესენი? ლამისაა წუთისოფელი გავლიე აფხაზებთან ერთად და ვითომ ახლა აგვემღვრა გონება? არ მჯერა მე ეგ და რაც გინდათ, ის მითხარით, მაინც არ დავიჯერებ, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ ყველაფერს.

— არც ის გჯერათ, ბატონო, მატარებლებს რომ აყაჩაღებდნენ იმ ჩვენს მშვენიერ აფხაზეთში? მტერს არ ვუსურვებ იმის ნახვას, რაც ამ ბოლო ორ თვეში ვნახე და განვიცადე. ამიტომაც იყო, შვილიშვილებს რომ დავავლე ხელი და აქეთ გამოვაქციე. აქანა ჩემი რაჭველი მძახლები ცხოვრობენ და მათთან დავტოვე, არც აქეთაა დალაგებული ცხოვრება, მაგრამ აქ სროლა მაინც არაა, იქ კი ისეთი ბათქაბუთქია, ცხვირსაც ვერ გამოყოფ გარეთ.

— წამხდარა საქმე და ეგაა. მატარებლებს რომ ძარცვავდნენ, ეგ კი ვიცოდი, მაგრამ ამის გამკეთებელი ხალხი აფხაზეთშიც და ქართველებშიც არიან. თქვენ ის მითხარით, ვინ ისვრის ან ვის ესვრის?

— ვინ ისვრის და აფხაზი, ბატონო, რუსები, ჩეჩნები, სომხები, ადიღეელები და კაზაკები. ქართველებს ესვრიან ყველანი, ქართველებს... — ნერვებმა უმტყუნა მოხუცის ასევე ხანდაზმულ თანამოსაუბრეს, — დარწმუნებული ვარ, ახლა ამ მატარებლის მგზავრების ნახევარი სწორედ ქართველების წინააღმდეგ საომრად მიდის.

— კი, მაგრამ ჩვენი მთავრობა? ჯარი? გაგვწირეს ვითომ?

— ჩვენი ჯარი ჯერ არ შემოსულა, რომც შემოვიდეს, არც ეგ უშველის ალბათ საქმეს. ყველა აფხაზი და მათი მხარდამჭერი შეიარაღებულია, ჩვენ კი სანადირო თოფებიც არა გვაქვს, რით უნდა ვიომოთ?...

ამ დროს მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ახალგაზრდა, რომელიც აქამდე საუბარში არ ჩარეულა, ერთბაშად წამოიმართა, მერე სწრაფი მოძრაობით საბარგულს თავი ახადა, იქ მოთავსებული გრძელი ჩანთა გახსნა და მოხუცებს აჩვენა:

— არც მთლად ეგრეა საქმე. ეს ავტომატები და ხელყუმბარები აქ, როსტოვში შევიძინე რუსი სამხედროებისაგან. ფული რომ მქონოდა, ას ამდენს წამოვიღებდი. ახლა ერთი სული მაქვს, სოხუმში როდის ჩავალ. იქ ფულს მოვისესხებ და სამეგობროს შევაიარაღებ. მერე ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ის იყო, ახალგაზრდას საბარგული უნდა დაეხურა, რომ ღია კარიდან მასავით ჯანმაგარმა, 30-35 წლის მამაკაცმა შემოყო თავი და იარაღის დანახვაზე წამით შეცბა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი დაუნახავს და ზრდილობიანად იკითხა:

— შემთხვევით ადგილი ხომ არა გაქვთ? ბოლო ვაგონიდან მოვყვები და ვეძებ, ქანცი გამწყდა კაცს.

— კი, ბიძიკო, მობრძანდი, შენზე უკეთესს ვის შევიამხანაგებთ? ეგერ, მაღლა მოეწყვე და დავიძინოთ აწი... თუ მოგვეკარა ძილი ამნაირი საუბრის შემდეგ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მგზავრთაგან უხუცესმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— თქვენ იძინეთ. მე კი ვაგონრესტორანში წავალ და ცოტაოდენ საგზალს ავიღებ. ვიცი, გზაში შეგვაგვიანდება... — თანამგზავრების გასაგონად თქვა იარაღის პატრონმა და კუპედან გავიდა.

როცა დაბრუნდა, ახალი თანამგზავრი კუპეში აღარ დაუხვდა, მოხუცებს კი უკვე ეძინათ. ნაშუაღამევი იქნებოდა, მატარებელმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი რომ გაიარა და ის იყო, დაბა ლესელიძეში უნდა გაჩერებულიყო, რომ გარეთ ისეთი ხმაური და გაწევ-გამოწევა ატყდა, მოხუცებსაც გაეღვიძათ. წუთიც და ვაგონის გასასვლელში გაისმა ბრახაბრუხი.

— რა ხდება, ბიძიკო, ომი დაიწყო თუ რაშია საქმე? — იკითხა ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში მყოფმა ერთმა მათგანმა.

— ომი კარგა ხნის დაწყებულია. მგონი, აფხაზები ვაგონებს ჩხრეკენ. ჩემს იარაღს ნახავენ და აქვე დამხვრეტენ... — შესაბრალისი ხმით ჩამარცვლა ახალგაზრდამ და დაზაფრულმა კარს მიაპყრო მზერა.

— რაო, დაგვხრეტენო?! ჯერ მასე არ წამხდარა ილარიონ ბეჭვაიას საქმე, რომ თანამგზავრი მოუკლან საკუთარ სახლში! შენ იდექი და ხმა არ გაიღო, ბიძიკო. იარაღი მე შევიძინე და მე მიმაქვს ჩემიანებისთვის. არკვიონ, ვინ არიან ჩემიანები, ქართველები თუ აფხაზები. მე რომ მიყურებ, ბებიის ბებიაც აფხაზი მყავდა, ბებიაც და დედაც. აბა, მითხრან, რომ აფხაზი არა ვარ. მე ვიცი მაგათთან ლაპარაკი, მე მაცალეთ...

კარზე ისე გამეტებით დააბრახუნეს, თითქოს ციხესიმაგრის აღებას აპირებდნენ. მოხუცების დანახვა არ ესიამოვნათ, მაგრამ დამხვდურებისთვის არც ის უგრძნობინებიათ, ჩვენებური ტრადიციის თანახმად თავაზიანად მოგეპყრობითო და საკმაოდ უხეშად უბრძანეს, უნდა გაგჩხრიკოთო.

— რომელი ხელისუფლების ბრძანებით უნდა გაგვჩხრიკოთ, ახალგაზრდავ, ანდა ზრდილობა სად დატოვე, როცა აქეთ მოდიოდი? ვინ გასწავლა ასე უხეშად მოეპყრო კაცს, რომელიც ბაბუად გერგება?! — აფხაზურად მიმართა მოხუცმა ავტომატიან ახალგაზრდას, რომელიც სხვაზე მეტად აქტიურობდა. ეს უკანასკნელი წამით კი შეყოვნდა, მაგრამ კვლავაც თავისი გააგრძელა:

— უნდა გაგჩხრიკოთ!

— შეგირცხვა ნამუსი, მაშინ ჩემგან დაიწყე. აი, ეს ჩანთა და მოპირდაპირე საბარგულშიც ჩემი ნივთებია. საბუთები კი მანდვე, კართან ჩამოკიდებული პალტოს ჯიბეშია.

ჩანთისა და საბუთების გაჩხრეკის შემდეგ ჯერი საბარგულზე მიდგა. მოხუცს წარბიც არ შეუხრია, ახალგაზრდა კი ერთიანად ცახცახებდა, მაგრამ თურმე სანერვიულო არაფერი ჰქონდა — იარაღიანი ჩანთა არსად ჩანდა. ახალგაზრდა, რომელსაც იარაღი ეკუთვნოდა, თავს ძალას ატანდა, სიხარული და გაოცება რომ არ გამოეხატა. მოხუცმა კი აღარ იცოდა, უნდა სწყენოდა თუ გახარებოდა ეს ამბავი. ეს ალბათ ის იშვიათი შემთხვევა გახლდათ, როცა გაქურდული ქურდის მადლობელი იყო. მატარებელმა მხოლოდ მესამე დღეს ჩამოაღწია თბილისამდე და თან ჩამოიყვანა პირწმინდად გაძარცული მგზავრები. მათ შორის აღარ იყვნენ ჩვენი ნაცნობი ახალგაზრდა და მოხუცები, რომლებიც თავიანთ სახლებში, ასაფეთქებლად გამზადებულ სოხუმში დარჩნენ. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე თვეში ლტოლვილად იქცეოდა მოხუციც და ახალგაზრდაც. ეს დროც დადგა. ჩვენი ნაცნობი ზაზა ბედია (გვარ-სახელები აქ და შემდგომში შეცვლილია) ოჯახსა და თანამემამულეებთან ერთად ქვეყნის შუაგულში, ერთ-ერთ ყველაზე წყნარ რაიონში ჩამოასახლეს და უსაქმურობისაგან გაბეზრებული ისეთ საეჭვო წრეში აღმოჩნდა, ყველაფერს რომ იკისრებდნენ. ან კი რა უნდა ექნა? თითოოროლას, ვისაც რის ვაი-ვაგლახით სამსახური ეშოვა, მისთვის არ ეცალა. ისინი კი დღედაღამ ბირჟაზე იდგნენ და ლაზღანდარობდნენ, თანაც ოთხივე სოხუმელი იყო.

— გაგიგიათ, ხალხო, მაინცდამაინც ომი იყო საჭირო, რომ ერთ ქალაქში დაბადებულ ხალხს, მეზობლებს, ერთმანეთი აქ, შუა ქალაქში გაგვეცნო? არა, თუ ოდესმე არძინბას შევხვდი, ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრა. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ბრძენკაცივით დაასკვნა ასაკით სხვებზე უფროსმა რომან ცაავამ და კმაყოფილი ღიმილით მოავლო თვალი ხიდის მოაჯირზე ჩამომსხდარ მეგობრებს.

— ეგ ჭირი არ შემყროდა და შენ თუ არ გაგიცნობდი, დიდად არ იზარალებდნენ ჩემი მოგვარე დარცმელიები. მას შემდეგ მთლად დევიქეცი და დევივსე, რაც შენ შეგხვდი. ვზივარ ახლა აგერ და სხვას რომ ჰგონია ვერთობი, შიშით მისკდება გული, პოლიციელის დანახვაზე. საქმეა ახლა ეს? — არცთუ ხუმრობით დაიჩივლა ენაქილიკა გელა დარცმელიამ და ქვეშ-ქვეშ გახედა ხიდს გაღმა, ჯიხურთან მდგარ ტანდაბალ სერჟანტს, რომელიც ვიღაც გამვლელს ემასლაათებოდა.

— ამ ქონდრისკაცის რომ შეეშინდება, იმნაირი საქმეზე რა წასაყვანია? შენც გინახავს რაღა ბანდიტი... — მერაბ გვასალიამ, რომელიც ამ ჯგუფში ერთადერთი იყო, ვისაც ციხის ნარები უკვე ნაგემი ჰქონდა და დიდადაც ამაყობდა ამით, წყრომით მიმართა ცაავას.

— ასე წუწუნებს, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისეთია, აქეთ გვაშინებს დანარჩენებს. გინდაც ეს, აგერ რომ გატრუნულა და ხმას არ იღებს, — ზაზაზე მიუთითა ცაავამ, — აფხაზებზე დაბოღმილი აქაურებზე იყრის ჯავრს. თავიდან კი უჭირდა, გვიმტკიცებდა, შენიანებში ყაჩაღობა რა საკადრისიაო, მაგრამ ახლა პირველი მიდის საქმეზე. ეგაა ოღონდ, ხეირიანი იარაღი არა აქვს და ჩივის, გზაში ორი ისეთი ცინცხალი ავტომატი დავკარგე, მხოლოდ მათი დანახვა გაუხეთქავდა გულს აქაურ ბობოლებსო.

— თუ ასეა, ავტომატი ჩემზე იყოს. დანარჩენებს კი თითო ხელყუმბარას გჩუქნით ჩემი არსენალიდან. ოღონდ რამე ღირებული მოიფიქრეთ. იცოდეთ, ქალის საყურეზე საყაჩაღოდ მე არ გამოვდგები. წვრილმანები ჩემი ხელობა არაა, — მერე მაინც ხიდგაღმა მდგარ სერჟანტს გახედა და განაგრძო, — და კიდევ, შენ გეკითხები, რომან, რატომ იღებენ ჩვენს პოლიციაში სამუშაოდ ასე პუჭურა კაცებს? მე, „პრესტუპნიკს“, წესით ეს ხომ უნდა მიხაროდეს კიდეც, მაგრამ შენ წარმოიდგინე, ამათ რომ ვუყურებ, შეურაცხყოფილი ვარ. ამან რომ საქმეზე წამასწროს, წესით და რიგით, ხომ უნდა გავიქცე? ჰოდა, ამას რომ გავექცე, თავი სადღა გამოვყო, არ გავექცე და როგორღა გავამხილო, ქონდრისკაცმა დამიჭირა-მეთქი?!

— მაგათ სამინისტროში ოღონდ ფული გადაიხადე და მიგიღებენ კი არა, მოლა ნასრედინის ვირს გენერლის სამხრეებს დააკერებენ. ასეა ახლა. მერე რა იქნება, არ ვიცი.

— ჯანდაბას მაგათი თავი. სადაა აქამდე ის თქვენი „მენეჯერი“, მაგარ საქმეს რომ გპირდებოდათ? — საათს დახედა მერაბმა, — მაგისთვის დავრჩი ეს დღეები, თორემ „საქმე“ არც ქუთაისში მაკლია. აბა, იქაა პოლიცია — საძარცვი და საყაჩაღო არაფერი დარჩა, თორემ როგორც გინდა, იბაირამე. კაცი არაა ხმის გამცემი. ისიც დიდ საქმედ მიაჩნიათ, თუ მათ სიმდიდრეს არ შეეხები. ერთი კია, პატარ-პატარა ბაცაცებს ფულს აწერენ და გვარიანი შემოსავალიც აქვთ. აგერ, ახლა, იქაურმა პოლიციის უფროსმა მინისტრის მოადგილეობა იყიდა. არც ის გამიკვირდება, მალე მინისტრის სავარძელში რომ წამოსკუპდეს. ხომ იცი, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს...

ნაშუადღევს „მენეჯერიც“ გამოჩნდა. აქაური ბანკი უნდა გავასუფთაოთო, უთხრა მეგობრებს და ისე ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი გეგმა, იფიქრებდით, ამ კაცს მთელი სიცოცხლე ბანკების ძარცვის მეტი არაფერი უკეთებიაო.

— შესასვლელს ორი პოლიციელი იცავს. ისეთი საცოდავები არიან, რომ სთხოვო, დამიჭირე და წამიყვანეო, შიშით ხელსაც ვერ გახლებენ. სროლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ერთს ავტომატი აქვს, მეორეს — პისტოლეტი. იარაღს უსიტყვოდ ჩაგვაბარებენ. რჩება ბანკის ექვსი თანამშრომელი. მათგან ოთხი ქალია, ორი — კაცი. დილის საათებში არც კლიენტურა აწუხებს იქაურობას. ტელეფონი უშუქობის გამო გამორთულია. არც მობილური მუშაობს იმავე მიზეზით. შევალთ თუ არა, ერთი-ორს გავისვრით და ყველას იატაკზე დავაწვენთ, მერე კი ტექნიკის საქმეა. ვიდრე განგაში გამოცხადდება, ქალაქიდანაც გავალთ. ერთი ეს არის, გზად მილიციის წინ უნდა ჩავიაროთ. ამიტომ ნაცნობების მანქანა არ გამოდგება. ვინმე ბირჟავიკს „ჟიგული“ უნდა დავაწეროთ. ასე აჯობებს, თვალში მაინც არავის ეცემა... — ნუგზარ ხელაია აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა საკუთარი გამჭრიახობის გამო.

— შენ ისე მაგრა გაუტიე, მგონი მარტოც შეძლებ მაგ ბანკის წაღებას. რაღაც არ მჯერა, ასე იოლად გამოვიდეს ეგ საქმე. ბანკი მაინც ბანკია და მას თუნდაც უშუქობის დროს რაღაც დამცავი სიგნალიზაცია მაინც ექნება. ვთქვათ და შევედით, ფულიან სეიფს როგორღა აღებ... შელოცვით თუ...? — უკმაყოფილოდ იკითხა გვასალიამ.

— სეიფის ტყვიაგამძლე მინას მძიმე უროთი ჩავამსხვრევთ... — უპატაკა ხელაიამ, — ხვალ ცხრა საათზე მანქანას ვიშოვით, ათის ნახევარზე კი ბანკში შევალთ.

— აგრე იყოს, მაგრამ მაინც მგონია, ცოტა ნაჩქარევია ეს საქმე. თუმცა თქვენ უკეთ იცნობთ აქაურობას...

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. იმ დილით მეზობელი რაიონიდან შემოსული უცნობი ტაქსი „დაიქირავეს“ ზაზამ და გელამ. მერე გზადაგზა ჯერ რომანი და ნუგზარი ჩაისვეს, ბოლოს კი მერაბ გვასალია ჯვალოს ტომარაში გადახვეული ორი ავტომატით. მძღოლს უთხრეს, სანადიროდ მივდივართ და რამდენადაც შეძლებ, ტყეს მიგვაახლოეო, მაგრამ თავი სამშვიდობოს დაიგულეს თუ არა, საბრალოს ჯერ პისტოლეტის კონდახი ჩასცხეს თავში, მერე ხელ-ფეხი შეუბორკეს, პირიც აუკრეს, საბარგულში ჩატენეს და ქალაქისაკენ შემობრუნდნენ. საჭესთან გელა დარცმელია იჯდა.

— აი, შენ ეს ავტომატი, — ტომრიდან „აკმ“-ი დააძრო მერაბმა და ზაზას მიაწოდა, — ეს თითო „გრანიც“ თქვენ. ათი წლის წინ ერთ არიფს დავაწერე ეს იარაღი, — „როსტოვი-თბილისის“ მატარებელში. მერე, აფხაზებს რომ არ წაერთმიათ, ერთ-ერთ სადგურზე ვაგონს ქვემოდან მივაბი თოკებით და ასე ჩამოვიტანე თბილისამდე. დღემდე მხოლოდ ერთ ავტომატს ვხმარობდი, მაგრამ რაკი ბანკზე მივდივართ, სამალავი გავხსენი და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, თქვენი იყოს, მიჩუქნია.

აქამდე თვალებდაჭყეტილი და პირდაღებული ზაზა ახლაღა გამოერკვა და ისეთი ბრაზით გადახედა მოსაუბრეს, მისგან რომ არ მოელოდნენ.

— ვის იარაღს მჩუქნი, ჩემსას? — წაისისინა და იმავე წამს გაჩუმდა. მანქანა ბანკის წინა ბაქანზე შედიოდა. ახლა საქმის გარჩევის დრო აღარ იყო, არადა, მეხსიერებაში კინოკადრებივით გაუელვა იმ ავბედითმა მოგზაურობამ. აქამდე აუგიც არ დასცდენია იმ ქურდის მისამართით, რომელმაც გადაარჩინა იმ ღამით, მაგრამ ახლა, როცა პირისპირ შეხვდა, რისხვით და ზიზღით აივსო მის მიმართ და შურისძიებაც გადაწყვიტა, მაგრამ მხოლოდ ოპერაციის შემდეგ. ახლა საქმეს არ ეღალატებოდა. ბოლოს და ბოლოს, სხვებმა რაღა დააშავესო, გაიფიქრა და მანქანიდან გადმოვიდა. ფიქრის დრო აღარ იყო და მანაც ბანკის შესასვლელში დურთა თავი.

ხელაია მართალი გამოდგა. ბანკის შენობაში კი არა, ქუჩაშიც ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ორი პოლიციელი მიმჯდარიყო მბჟუტავ ნავთქურასთან და ერთი მათგანი ანეკდოტს უყვებოდა მეორეს.

სიცილისაგან ჩაბჟირებულმა მისმა ამხანაგმა ახალშემოსულებს ზერელედ შეავლო თვალი, პირის დაღებაც ვერ მოასწრო, რომ ბიჭებმა ორივეს აართვეს იარაღი და ისე სწრაფად დაყარეს იატაკზე, გონს მოსვლა ვერც ერთმა ვერ მოასწრო. ყველაფერი ეს ისე უხმაუროდ გათამაშდა, დახლს იქით მჯდარ ბანკის თანამშრომლებს არაფერი გაუგიათ, ამიტომ ბანდიტების ბრძანებაზე — დაწექით და არ გაინძრეთო, კვლავაც ვერაფერს მიხვდნენ. ერთ-ერთმა, როგორც ჩანდა, კარს იქით მყოფ თანამშრომელს გასძახა — ვარლამ, გამოდი, კლიენტებს მიხედეო, მაგრამ როცა ოთხეულის ხელში იარაღი შენიშნეს (მეხუთე მანქანაში ელოდებოდათ), რასაც ამავე დროს სროლაც მოჰყვა, ანგარიშმიუცემლად ზედ გადაემხნენ ფეხებში შედგმულ ნავთქურებს და ისე საცოდავად აკივლდნენ, დანარჩენების ხათრი რომ არა, ზაზა ბედია მზად იყო, უკან დაეხია. სროლის ხმაზე დარბაზში ორი მამაკაცი გამოვარდა, თუმცა ისე დაფეთებულები იყვნენ, მათი იმედი აშკარად არ უნდა ჰქონოდათ საბრალო ქალებს. წამიც და ვეებერთელა უროთი შეიარაღებულმა რომან ცაავამ იქვე, კუთხეში მიგდებული ჯორკოს დახმარებით მის წინ აღმართულ დახლს გადააბიჯა და აცახცახებულ ერთ-ერთ მამაკაცს, რომელსაც შიშის გამო იატაკზე დაწოლაც ვერ მოეხერხებია, უბრძანა, ფულის შესანახი სეიფისაკენ გამიძეხიო. ცაავას ზაზა ბედიაც მიჰყვა კარგა მოზრდილი ჯვალოს ტომრით ხელში, მაგრამ ის იყო, დარბაზს იქითა ოთახში უნდა შეებიჯებინა, რომ შემობრუნდა — იმ ქაოსსა და დაბნეულობაში დახლს აქეთ მდგარი ნავთქურა წაქცეულიყო, და იატაკზე დაღვრილ ნავთს ცეცხლი წაჰკიდებოდა. თუ სასწრაფოდ არ ჩააქრობდა, ორიოდ წუთში, რაც ალბათ აუცილებლად დასჭირდებოდა სეიფის „გასუფთავებას“, ცეცხლი მოედებოდა შენობას. მეტი რომ ვერაფერი მოიფიქრა, ის ერთადერთი ტომარა გაიმეტა, რომელიც ფულის წასაღებად ჰქონდათ წამოღებული და ისე მარჯვედ დატრიალდა, კარგ მეხანძრესაც შეშურდებოდა. მის ნაცვლად მერაბ გვასალია გადაახტა დახლს და კარს იქით გაუჩინარდა ცაავას მისახმარებლად. ამასობაში ზაზა ბედია ცეცხლს ებრძოდა, მაგრამ ხვდებოდა, მარტო ველარ გაუმკლავდებოდა და გამწარებულმა იქვე, კუთხეში თავქვე დამხობილ მამაკაცს ულრიალა:

— რას წამოწოლილხარ, წამოდექი და ხელი გაანძრიე, თორემ ცოტა ხანში ფერფლიც აღარ დარჩება შენგან.

იქ კი, კარს მიღმა, სეიფის ტყვიაგაუმტარ მინაზე ისე გამეტებით სცემდნენ უროს, იფიქრებდით, შენობას ანგრევენო. თუმცა ცოტა ხანში ეს ხმაც მიყუჩდა და ცეცხლის ქრობა რომ მოათავეს, ზაზას ტომრის ნაფლეთებიღა ჰქონდა ხელთ. მზად იყო, ამ სიცივეში პერანგი გაეხადა და მასში ჩაეტენა ფულის შეკვრები, მაგრამ სად იყო ამდენი ფული? სეიფში სულ რაღაც ექვსი თუ შვიდი ათასი დოლარი აღმოჩნდა და ისიც ბოლოს შემოსწრებულმა ნუგზარ ხელაიამ იტუცა ჯიბეში. ბანკიდან მშვიდობიანად გამოვიდნენ. ბიჭები მანქანაში ჩასხდნენ და ერთბაშად მოსხლიტეს ადგილიდან.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)



# „არ გამოვრიცხავ, რომ დებოში ატეხონ და პროვოკაცია მოგვიწყონ“

## „ჩვენს ხალხს იმდენი გონი კი აქვს, რომ რეგიონში დესტაბილიზაცია არ შექმნას“

ცენტრალურმა ხელისუფლებამ აჭარაში შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ბათუმში დიალოგის დიდოსტატი ჟვანია მიავლინა და ამით ასლან აბაშიძეს „ზედმეტი“ თავისუფლება წაართვა. აჭარაში ჟვანიას სტუმრობას ეჭვით შეხვდნენ. თუ რატომ და რა იფიქრეს მათ პრემიერ-მინისტრის სტუმრობის მიზნებზე, ამის შესახებ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საქართველოს პარლამენტის წევრის (ამ ორ თანამდებობას ბატონი ვახტანგი ერთმანეთს უთავსებდა(!)) ვახტანგ აბაშიძის ნაამბობიდან შეიტყობთ.

— **ბატონო ვახტანგ, თბილისიდან საკმაოდ დაძაბული უყურებდნენ აჭარაში არჩევნების ჩატარებას. ზოგმა ისიც თქვა, თუ „აღორძინებამ“ ხმების სასურველი რაოდენობა ვერ დააგროვა, ასლან აბაშიძე საარჩევნო უბნების დარბევაზეც არ იტყვის უარსო.**

— ასეთ რამეზე ფიქრიც წარმოუდგენელია. აჭარაში ყველაფერი მშვიდად ჩაივლის. „აღორძინება“ გაიმარჯვებს და პირიქით ველით თავდასხმებს. თუ ნაციონალებმა არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს, არ გამოვრიცხავთ, რომ დებოში ატეხონ („კმარას“ ეს არ ესწავლება) და პროვოკაცია მოგვიწყონ. ეტყობა, ეს თავად აქვთ განზრახული და აქეთ გვაბრალებენ.

— **რამდენი პროცენტის აღებას გეგმავს „აღორძინება“?**

— თუ ხმებს არ გაგვიყალბებენ, მთელი საქართველოს მასშტაბით 20-22%-ს მივიღებთ.

— **მაგრამ „აღორძინების“ ოფისები მხოლოდ აჭარაშილაა და წარმატებას ამის მიუხედავად ელოდებით?**

— „აღორძინების“ ორგანიზაციები ყველგან არის, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი პარტიის წევრებს სხვა რეგიონებში ემუქრებიან, პროვოკაციებს უწყობენ და აიძულებენ, ორგანიზაციების თვითლიკვიდაცია მოახდინონ. ამის მიუხედავად, მაინც გვიჭერენ მხარს საქართველოში.

— **გასულ კვირას თბილისში დააკავეს ადამიანი, რომელიც უშიშროების განცხადებით რამდენიმე პირის ლიკვიდაციის მიზნით იყო გამოგზავნილი აჭარიდან.**

— ეს სრული აბსურდია. ბერიძე უდანაშაულოა, ის აჭარის ხელისუფლების პროვოცირების მიზნით დააკავეს და კილერის იარლიყი მიაკერეს.

— **არჩევნების დღეს აჭარაში ბატონი ზურაბ ჟვანია ჩამოვიდა, როგორ შეხვდით პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლას?**

— ზურაბ ჟვანია არაერთხელ ჩამოსულა აჭარაში და ღირსეულადაც მიგვიღია. ის პრემიერ-მინისტრია, ამიტომ ყოველთვის შეუძლია ჩამობრძანდეს აჭარაში და მიიღოს მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომელიც ავტონომიაში ტარდება. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ცენტრიდან ვინც მოდის აჭარაში, ხშირად პროვოკაციის მოწყობა აქვს განზრახული. ამაზე ფაქტები მეტყველებს. პროვოკაციის მიზნით არაერთხელ შემოსულან აჭარაში და ვფიქრობ, კიდევ შემოვლენ.

— **ანუ ზურაბ ჟვანიასაც ეჭვით შეხვდით?**

— ბატონ ზურაბს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ თუკი ადრე არჩევნებში რაიმე დარღვევა ხდებოდა, ეს ბატონი ზურაბის ხელით კეთდებოდა. რამდენადაც ვიცი, ის ხელმძღვანელობს არჩევნებს.

— **ამბობენ, ბატონ ასლანს თანამდებობიდან წასვლა უნდა, მაგრამ მავანნი აიძულებენ თავისი პოსტისთვის ბოლომდე იბრძოლოსო.**

— ბატონმა ასლანმა რომც მოინდომოს წასვლა, ამომრჩევლები არ გაუშვებენ. ნურავის ეგონება, რომ მას აჭარაში მხარდამჭერები არ ჰყავს. მინიმუმ 90% უჭერს მხარს, ნაციონალების მხარდამჭერები კი გაჭირვებული, განაწყენებული მოსახლეობაა, სულ 10%, რომელიც სოროსის ფულით წაახალისეს და მოისყიდეს.

— **ე. ი. თქვენ მაინც იმედიანად უყურებთ მომავალს?**

— ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენს ხალხს იმდენი გონება კი აქვს, რომ ვინმეს წაქეზებითა და მოსყიდვით ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს და რეგიონში დესტაბილიზაცია არ შექმნას. აჭარაში არის სურვილი და განწყობა, რომ ყველაფერი მშვიდად და წყნარად ჩატარდეს, თუ შინა და გარე მტრები ხელს არ შეგვიშლიან.

***მარი ზანდუკელი***

# „ჩვენი შესვლა ამა თუ იმ ობიექტზე ყოველთვის მოულოდნელი იქნება“

## „ჩვენ კანონმა გაგვრყვნა“

*„გადასახადების აკრეფა — ეს არის ხელოვნება. ისე გაბდღვნა ბატი, რომ მიიღო ბუმბულის მაქსიმუმი მინიმალური წრიპინით“.*

***ჟ. კოლბერი***

ფინანსური პოლიციის სახით ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთი მაკონტროლებელი რგოლი შეიქმნა. კანონით მინიჭებული უფლებით, ამ სამსახურისთვის არ იქნება უცხო ნილბიანების საქმეში ჩარევა. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი, მისი თანაგუნდელი გენპროკურორის წამოწყებას არ ღალატობს და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლას მოულოდნელი თავდასხმებით აპირებს.

22 მარტს ფინანსურმა პოლიციამ კომპანია „უშბას“ ოფისი და ქარხანა დალუქა. პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის წარმომადგენლები, სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით შპს „უშბას“ ოფისსა და ქარხანაში ერთდროულად შედიან ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის გამო. სამართალდამცველები სასამართლოს სანქციის გარეშე მოქმედებდნენ. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, სანქციის გარეშე გადაუდებელი ღონისძიების ჩატარება ინფორმაციის შესაძლო გაჟონვის და არსებული დოკუმენტაციის განადგურება-გადამალვის საფრთხემ განაპირობა. „უშბას“ ალკოჰოლური სასმელების ჩამოსასხმელი ქარხანა ამ ეტაპზე გაჩერებულია. მას ფინანსური პოლიციის ლუქი ადევს.

ფინანსური პოლიციის მეორე გახმაურებულ საქმედ, ახმეტის საგადასახადო სამსახურის თანამშრომლების დაკავებაა მიჩნეული. დაკავებულები ყალბი აქტივების შექმნაში არიან ეჭვმიტანილები. 2003 წლის მაისში შპს „სალბიმ“ ახმეტის საგადასახადო სამსახურში ყალბი დეკლარაციები მიიტანა, რის საფუძველზეც ფიქტიურად გადახდილი დღგ-დან დარჩენილი თანხა უკან მოითხოვა. ამ ყალბი დეკლარაციების საფუძველზე, ახმეტის საგადასახადომ შპს „სალბის“ აქტივის სახით, პირად ბარათზე 1,8 მილიონზე მეტი ლარი დაარიცხა. 2003 წლის ივნისში „სალბი“ კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ შეიერთა და 1,8 მილიონი ლარის სამართალმემკვიდრეც ის გახდა. ამ თანხიდან 758 ათასი, საკუთრივ, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ გამოიყენა, ეს კი საბაბს იძლევა, რომ ეკონომიკურ მაქინაციებთან კავშირში ჭყონიას კომპანიაც დაადანაშაულონ. ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მხოლოდ 25 წლისაა, 1999 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. 2001 წელს იგი ინიშნება იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის პენიტენციარული რეფორმების სამმართველოს მუშაკად, შემდეგ კი ამავე სამინისტროს ინფორმაციის, მოკვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსად გადაჰყავთ. იყო ჯერ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, მოგვიანებით კი უკვე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თანაშემწე.



დავით კეზერაშვილი

**დავით კეზერაშვილი:** — ჩვენ ვართ ერთადერთი სტრუქტურა, ვინც დღეს უფლებამოსილია ებრძოლოს ფინანსურ და ეკონომიკურ დანაშაულს, რაც ჩვენ გვაკისრებს პასუხისმგებლობას და გვიკეტავს სხვა სტრუქტურებზე დანაშაულის გადაბრალების ყველა შანსს.

— **ბატონო დავით, გაგვარკვიეთ, სად იწყება და სად მთავრდება ფინანსური პოლიციის უფლებები?**

— ჩვენს მოვალეობებში შედის: ინფორმაციის მოკვლევა-მოპოვება ფინანსური დანაშაულის შესახებ, შესვლა ამა თუ იმ დაწესებულებაში, მოკვლევა, საბუთების ამოღება და ნებისმიერი საჭირო პროცედურის ჩატარება, შემდეგ უკვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ან არაღძვრა, აღძვრის შემთხვევაში საქმის გადაცემა გამოძიებაში და ეს გამოძიებაც ჩვენს სტრუქტურაში ხორციელდება.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

ჭაბუა ამირეჯიბი
„გორა მბორგალი“
ჟურნალ რეიტინგში
29 მარტიდან ყოველ ნომერში (გაგრძელებებით) იხილავთ ჭაბუა ამირეჯიბის რომანს „გორა მბორგალი“



რეიტინგი გამოდის ორშაბათობით




უნიკალური ვიტამინები ბავშვებისთვის

ბავშვის მოზარდი ორგანიზმი მშენებარე სახლივითაა. რაც უფრო მტკიცეა ფუნდამენტი, სახლი მით უფრო მყარი იქნება. ბავშვის მოზარდი ორგანიზმის უზრუნველყოფა ვიტამინებითა და მინერალებით, მისი ჯანმრთელი მომავლის საწინდარია.

ბავშვებმა არ იციან, რა არგებთ, მაგრამ მათ იციან, რა მოსწონთ — ნატურალური და გემრიელი ვიტამინები ამერიკული კომპანია „შიფ“-ისგან.

2X1
მოსწონთ ბავშვებს
სასარგებლოა ბავშვებისთვის წელიწადის ნებისმიერ დროს

მიეცით თქვენს შვილს „ჩილდრენზ ჩივეიბლ“ და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ იგი ყველა აუცილებელ ვიტამინსა და მინერალს მიიღებს, რასაც სრულფასოვანი კვებაც კი ვერ უზრუნველყოფს!




„შიფ“-ის ვიტამინების ხარისხი დამოწმებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემით.

თქვენ დარწმუნებულნი უნდა იყოთ მათში, ვისაც თქვენი ბავშვის ჯანმრთელობას ანდობთ!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com

# მირონმდინარე ხატებთან ერისა და მამულისათვის უნდა ვილოცოთ



ახალი და უჩვეულო თითქოს აღარაფერია იმაში, რომ წმინდა ხატებს მირონი სდით. უპირველესად ეს ფაქტი უზენაესის არსებობას ამტკიცებს — თავად ღმერთი გვაფრთხილებს, რომ ვიწამოთ იგი გულითა და გონებით, არ დავივიწყოთ, შევუდგეთ მის გზას და გავერთიანდეთ.

ვერც ერთი მორწმუნე და ვერც რომელიმე საეკლესიო პირი იტყვის დაბეჯითებით, რას უნდა მოასწავებდეს ხატებიდან მირონდენა — საშიშროებას თუ კეთილ ხვალინდელ დღეს. ვიცით მხოლოდ, რომ მირონდენა მრავალთაგან ერთ-ერთი სასწაულია, რაც ღმერთმა მოგვივლინა მოკვდავთ.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გახმაურდა ფაქტი: გლდანში, ლოდია-ციგროშვილის ოჯახში მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს მირონი სდისო. ვინ არ მივიდა ამ საოცრების სანახავად, მოგვიანებით კი ხატი სიონის ტაძარში დააბრძანეს, რათა მრევლს საკუთარი თვალით ეხილა და მოელოცა. მალე მირონდენა დაეწყო სხვადასხვა ხატს და დღეს ლოდიების ოჯახში 12 მირონმდინარე ხატია.

ამას წინათ, შევიტყვეთ, რომ არის ერთი ოჯახი, სადაც ხატებს მირონი სდისო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ფაქტითაც დავინტერესდით...

ეს ოჯახი ტარიელ ფოლადიშვილისა აღმოჩნდა. ტარიელი და მისი მეუღლე ლია ირემაძე ლოტკინზე ცხოვრობენ. ჰყავთ ქალ-ვაჟი. მათი ოჯახი ნაძალადევში, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მრევლია.

ლია ირემაძე გვიამბობს: — პირველად, შარშანწინ, ივერიის ღვთისმშობლის ხატს დაეწყო მირონდენა. ეს უმალ ჩვენს მოძღვარს, მამა ფარნავაზს შევატყობინეთ. მან გვირჩია, მირონმდინარე ხატის ამბავი არ გაგვეხმაურებინა, რადგან მირონდენა მართალია, ღვთიური მოვლენაა, მაგრამ სენსაცია არ არის და ამის გამო არ ღირს ალიაქოთის ატეხაო. მერე სხვა ხატებსაც დასდინათ მირონი: ანჩის, შობის, წმინდა ნიკოლოზის, წილკნისა და ყაზანის ღვთისმშობლებს, წმინდა დემეტრეს... მირონით დაიცვარა ბერი გაბრიელის ფოტოც.

ახლა 17 ხატს და ჯვარს სდის მირონი, ყველაზე უხვად კი ივერიის ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატებს. მათ გასაჟღენთად ბამბას ვუფენთ, მადლი რომ სხვებზეც გადავიდეს...

ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი მამა ვახტანგი და მამა ფარნავაზი ბრძანდებოდნენ ჩვენთან — მათ ცნეს მირონი. მამა ფარნავაზმა სახლი გვიკურთხა და ხატებთან პარაკლისი გადაიხადა. ახლა უკვე ბევრმა იცის ჩვენი მირონმდინარე ხატების შესახებ, სანახავად მოდიან და ლოცულობენ. მირონმდინარე ხატებთან ერის გადარჩენისთვის ლოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. პატრიარქმაც ხომ გვაკურთხა, გაგვეძლიერებინა მამულისთვის ლოცვა — ამიტომ ჩვენს ოჯახში მოსულ მორწმუნეებს ვთხოვთ ხოლმე, ეს ლოცვა წაიკითხონ.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ანჩის ხატი ერმა ლიტანიობით იმ ტაძარში უნდა გადააბრძანოს, საიდანაც იგი ბოლოს გამობრძანდა

*მამა გაბრიელის სულიერ შვილს, დედა პარასკევას, რომელიც თავისი საყვარელი მოძღვრის საფლავს დღესაც ერთგულად უვლის, ვთხოვეთ მამა გაბრიელის ის სიტყვები განემარტა, რომელიც ანჩის ხატის დაბრუნებას ეხებოდა:*

— მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ჩვენ ბოლო ჟამის ადამიანები ვართ და რა გადაგვარჩენს, თუ არა ღვთისა და მოყვასის სიყვარული. ღვთის სიყვარული გამოიხატება სულიერ ცხოვრებაში, ხოლო მოყვასისა — სიკეთის კეთებაში. მამა გაბრიელი ანჩის ხატის დაბრუნებას და ივერიის ღვთისმშობლის ჩამობრძანებას ბოლო ჟამს უკავშირებდა და ამბობდა: „თუ არა ამ ორი უდიდესი სიწმინდის მობრძანება, საქართველო რამ უნდა გადაარჩინოს, ივერია როგორღა უნდა გაბრწყინდეს“-ო. მამა გაბრიელის ნათქვამში სიტყვა — დაბრუნება თვითონვე მიგვანიშნებს, რომ ანჩის ხატი იმ ტაძარში უნდა დაბრძანდეს, საიდანაც იგი ბოლოს გამოაბრძანეს.

ხატი ცოცხალი არსებაა და მისი დატყვევება დაუშვებელია. ჩვენი გადარჩენა უფლის ხატისა და სიწმინდეების პატივის აღდგენით უნდა დაიწყოს. მამა გაბრიელის სიტყვებიც ამის დასტურია: „სანამ ერი მუზეუმიდან ანჩის ხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღვთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღვთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება, ივერია არ გაბრწყინდება“.



***სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონი, დედა პარასკევა***

გულითადი განდობანი

# ნუგეში

არ შეიძლება იმ დედის ნუგეში, რომლის უდიდესი განძი, ერთადერთი ღვთისაგან ბოძებული შვილი, ისევ ღმერთმა წაიყვანა.

დედა, რომელიც ვერ გაუფრთხილდა ღვთისგან ბოძებულ უდიდეს წყალობას, რასაც დედაშვილობა ჰქვია.

დედა! რომელიც მხოლოდ ღვთისა და შვილის სიყვარულით ცხოვრობდა.

ჩემი ცხოვრება მშვიდი არასდროს ყოფილა. ამ ცხოვრების სიძნელეებს ერთად ვუმკლავდებოდით ერთმანეთის იმედით; და აი, როცა დაცოლშვილდა, უნდა გაეხარა თავის თამუნასთან და გიგასთან ერთად, სწორედ მაშინ გადავწყვიტე ისრაელში წასვლა, მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წავედი, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ ჩემს შვილს უჩემოდ განსაცდელი ელოდა...

წმინდა მიწაზე, უცხო გარემოში, ჩემი ერთადერთი შვება და იმედი ღმერთი იყო. დავდიოდი, სალოცავად იმ ადგილებში, სადაც მაცხოვარი დაიბადა და ფეხი დაუდგამს. წმინდა გიორგის საფლავთან მდგარს თვალწინ ჩემი შვილი მედგა და უნებლიეთ ცრემლი მომდიოდა. ახლა კი ვხვდები ღმერთი განსაცდელს მიმზადებდა.



ერთ დღეს, თამუნამ და კახამ დამირეკეს გახარებულებმა, რომ გადაწყვიტეს ამერიკაში წასვლა. მეხივით დამეცა, არ მინდოდა მათი ამერიკაში გამგზავრება, არც ერთი არ მემეტებოდა იმ მძიმე შრომისა და წვალებისთვის...

წავიდნენ და ეს ყველაფერი ტრაგედიით დამთავრდა. იქ ყოფნის დროს ჩემს კახას ორჯერ მოუვლინა ღმერთმა განსაცდელი და ორჯერვე თვითონვე დაიფარა.

შევშინდი, ვეხვეწებოდი თამუნას და კახას, დაბრუნებულიყვნენ და თავის გიგასთან ეცხოვრათ ტკბილად. მე კი იქიდან ყველაფერს გავუკეთებდი, მაგრამ არც ერთმა არ დამიჯერა... მათი წასვლიდან რვა თვის შემდეგ, როდესაც თბილისში მოტყუებით ჩამომიყვანეს, ფეხდაფეხ ჩემი ცისფერთვალება შვილის, უსულო სხეული მომყვა...

ირგვლივ გახუნდა ყველაფერი, არაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ ჩემს მდუმარე კახას და ვინანიებდი მის წინაშე ჩემს გამოუსწორებელ შეცდომას, რომელიც ჩემი ისრაელში წასვლა იყო.

ნუგეში!.. რა ვთქვა ამის შესახებ. ღმერთი ყველას შეგვეწევა და გვანუგეშებს. ჩემი შვილი 4 დეკემბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს, ჩამომისვენეს. წესის აგება მოხდა ზუსტად იმ დროს, იმ საათებში, როდესაც წმიდა სამებაზე ღვთივკურთხეულ ჯვარს აღმართავდნენ. ღამის 3 საათზე მამა ვახტანგის თხოვნით კახას სასახლიდან ამოიღეს მისი მობილური ტელეფონი, რამდენიმე ხნის შემდეგ კი სასწაული მოხდა. ტელეფონზე ირეკება და ჩვეულებრივი ზარის ნაცვლად, ეკლესიის ზარები გაისმა. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ნიშანი და საოცრება იყო. ერთხელ გავაგზავნე საკურთხი ჯვართამაღლების ეკლესიაში და იქიდან მომიტანეს თქვენი გაზეთის — „კვირის პალიტრის“ დამატება, ჟურნალი „კარიბჭე“ (პირველი ნომერი). ჟურნალი გადავშალე და ერთ-ერთ გვერდზე ამოვიკითხე, ანალოგიური შემთხვევა, რაც ჩემს შვილს დავუკავშირე, ასაკი, მდგომარეობა და წერილის ბოლოს ჩემი შვილის სახელი „კახა“. ტკივილი უფრო გამიორკეცდა, მაგრამ თითქოს რწმენაშიც გავძლიერდი.

ალბათ, რაც უფრო მიუახლოვდები უფალს, ნუგეშიც მეტი მომეცემა.

***მანანა ქავთარაძე***

***მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

№3, აპრილი, 2004 ფასი 80 თეთრი

კარიბჭე

მართლმადიდებლური ჟურნალი

ფზკუდუთბ თფფკვპწქწ ტწქუკუ პფქწეფ – ფზკუდთბ ზფკფთლუეთ

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



გუშინ, დღეს, ხვალ...

# „ჩოლოქზე ბარიერებს თვითონ აჭარის მოსახლეობა აიღებს“

***(დასაწყისი იხ. გვ. 7)***

შევარდნაძე გულზე დიდად არ მეხატებოდა, მაგრამ არ მახსოვს, აქ ოპოზიციის ლიდერებს დახვედროდნენ და ეცემათ. აბაშიძე კი ამას ყოველდღე აკეთებს. მას უზარმაზარი ქონება აქვს და რომც არ უნდოდეს, ლუჩანსკი და სხვები ასწავლიან, როგორ უნდა დაიცვას ის. მისი შვილი იმიტომ ჩანს უფრო სიმპათიურად, რომ მას არ აქვს ასეთი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ვიღაცის მიმართ. მას არ ახსოვს და არ ადარდებს, საიდან იშოვა „ლამბორჯინის“ ფული, მამამისს კი ახსოვს, ვისი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, ვის წინაშე არის პასუხისმგებელი და რა მოხდება, როდესაც ის აჭარის ხელმძღვანელი აღარ იქნება.

— **რა მოხდება?**

— თუ ასლან აბაშიძე აჭარის ლიდერი არ იქნება, რუსი, იტალიელი თუ ესპანელი მაფიოზები (რომლებთანაც მას კავშირი აქვს) ცოცხალს არ დატოვებენ. მილიარდერი ასლან აბაშიძე პოსტიდან წასვლის შემდეგ ვერ იცხოვრებს სადღაც კუნძულზე, კომფორტულად და ეს არის მისი უბედურება. ასე რომ არ იყოს, დღესვე წავიდოდა თანამდებობიდან.

აბაშიძემ ბათუმის ნაწილი რუსებს მიჰყიდა, ნაწილი — იტალიელებს, ნაწილი კი თურქებს. ეს ხალხი ხომ მოითხოვს ქონების ხელშეუხებლობის იმ გარანტიას, რომელიც აბაშიძემ მათ მისცა.

ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ ვერც იმას დავუშვებთ, რომ ასლან აბაშიძე გაუსწორდეს ოპოზიციას იმიტომ, რომ მან და მისმა ოჯახმა კარგად იპარონ საქართველოს ქონება. ამ მოტივით არჩევნების ჩაგდებასა და მთელი მსოფლიოს დაცინვას ასლან აბაშიძეს არავინ აპატიებს.

— **ანუ ასლან აბაშიძეს შევარდნაძისგან განსხვავებულ ხვედრს უწინასწარმეტყველებთ?**

— რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, — შევარდნაძე ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე აბაშიძეა. შევარდნაძე სეპარატისტი არ ყოფილა და არც მოსახლეობისთვის დაურიგებია იარაღი.

აჭარის საკითხი მალე გადაწყდება. ჩვენ თუ ვაცლით — ჩოლოქზე ბარიერებს თვითონ აჭარის მოსახლეობა აიღებს, მაგრამ ცენტრს უნდა, რომ ეს კანონიერად მოხდეს და არა — ძალადობის გზით. ამიტომ მიდის მოლაპარაკებები აჭარის ლიდერთან.

— **თქვენი პროგნოზით, როგორი იქნება მომავალი პარლამენტი?**

— ნაციონალური მოძრაობის შანსი იმდენად დიდია, რომ ამაზე არავინ ლაპარაკობს. შანსი აქვთ გაერთიანებულ „მრეწველებსა“ და „ახლებს“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალები ნოემბრის მოვლენებში სიმპათიურად არ გამოიყურებოდნენ, მათ მოახერხეს, რომ მოსახლეობაში არ აღქმულიყვნენ, როგორც პრეზიდენტის მიმართ მტრულად განწყობილი ძალა. ველისციხეში მომხდარმა ამბავმა, როდესაც პრეზიდენტმა მემარჯვენე ოპოზიციისათვის გამზადებული მწვადი შეჭამა, დაგვანახვა, რომ ისინი არ არიან პრეზიდენტთან დაპირისპირებულნი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ახლებმა“ სწორი პოზიცია დაიკავეს აჭარის საკითხშიც. პარლამენტში მოხვედრის შანსი სხვა პარტიებსაც აქვთ, ოღონდ მცირე.

შალვა ნათელაშვილს გაცილებით მეტი მხარდაჭერა ექნებოდა, ირიბად რომ არ უწუნებდეს ქართველ ხალხს არჩევანს. როდესაც 96%-ით არჩეულ პრეზიდენტს აგინებ, ამით ხომ ხალხს ეუბნები, სულელი ხარო. საერთოდ, როგორც ქალთან არის საჭირო ფაქიზი ლაპარაკი, ასეთივე ლაპარაკია საჭირო ამომრჩეველთანაც. მასაც ქალივით უყვარს მოფერება და თავზე ხელის გადასმა.

— **პრეზიდენტის ოპონენტები ხშირად ამბობენ, — სააკაშვილი ბევრს ჭამს, ბევრს დაფრინავს და ყველას კოცნისო.**

— (იცინის) სხვათა შორის, საქართველოში

> თავის დროზე, შევარდნაძესაც ძალიან გაუჭირდა ამის აღიარება. შევარდნაძეს 300 მილიონი ჰქონდა, აბაშიძეს რამდენიმე მილიარდი აქვს და მას უფრო მეტად უჭირს დამარცხების აღიარება, მაგრამ ისტორიის წინაშე ის უძლურია.

ბევრი ჭამს და კაცმა არ იცის, რას... სააკაშვილი ძალიან ზომიერია ამ საქმეში და ახლა თუ ოდნავ მომატებულია წონაში, ეს რეჟიმის შეცვლის გამოა. გარწმუნებთ, სულ მალე სააკაშვილი ჩვეულ ფორმაში იქნება.

ის, რომ ხშირად ვხედავთ, თუ როგორ სადილობს პრეზიდენტი ჯარისკაცებთან ერთად, ახალი ამბავი არ არის. ის ყოველთვის ხალხმრავალ ადგილებში ჭამდა, რესტორნები არ უყვარს. შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში არ დარჩენილა კარგი სახინკლე, ნამყოფი რომ არ იყოს. მას ასევე უყვარს სალობიე, ამ მხრივ ის ძალზე დემოკრატია. ის, რომ მან მწვადი კახეთში დანა-ჩანგლის გარეშე ჭამა, სწორადაც მოიქცა. დანა-ჩანგალი რომ მოეთხოვა, მერე გენახათ კრიტიკოსების შეფასებები — კახელებს შეურაცხყოფა მიაყენაო. მწვადი კახეთში ხელით იჭმება. სხვათა შორის, როდესაც საქართველოში რუსეთის იმპერატორი ჩამოვიდა, ხინკლისკენ ჩანგალი გასწია. მაშინ ბაბალე ბარათაშვილმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავმა, დიდად დაარღვია ეტიკეტი, იმპერატორს დაასწრო, ხინკალს ხელი დაავლო, მოკბიჩა, წვენი მოწრუპა და ისე შეჭამა, როგორც წესი და რიგია. იმპერატორი მიხვდა და უთხრა, — „Прелесть Бабале“-ო. სააკაშვილმა კახეთში კიდეც შეჭამა და კიდეც დალია. ეს არ არის მსმელი და ალკოჰოლიკი პრეზიდენტი, მან ამ ჟესტით პატივისცემა გამოხატა კახელებისადმი.

რაც შეეხება არგუმენტს, ბევრს დაფრინავსო. მისი ყველა ვიზიტი შედეგიანი იყო. მაგალითად, საფრანგეთში ვიზიტისგან დახმარების გარდა მივიღეთ მსოფლიო დონის პროფესიონალი საგარეო საქმეთა მინისტრად (ასეთ მინისტრს მინიმუმ 10 წელი ვერ მოვამზადებდით). რუსეთთან ვიზიტით კი იმას მივაღწიეთ, რომ რუსეთი არ ჩაერია აჭარასთან წარმოქმნილ პრობლემაში (და იმედი მაქვს, არც ჩაერევა), სხვა დროს უთუოდ ჩაერეოდა. ამერიკელები კი დაგვპირდნენ, ქართულ არმიას უვადოდ მოვამზადებთო. ამიტომ მე ვერ ვეტყვი სააკაშვილს საყვედურს, რატომ დაფრინავ-მეთქი.

ვის კოცნის სააკაშვილიო, ქალებსო თუ რაშია საქმე? თუ ხალხთან მის დამოკიდებულებას გულისხმობენ, ვხედავ, რომ ხალხი თავად კოცნის, იმიტომ, რომ უყვართ. როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე სამეგრელოში ჩავიდა, მეგრელმა ქალებმა ძალიან ცუდი ჟესტით ანიშნეს, რასაც ფიქრობდნენ მასზე. თუ სააკაშვილს მისცვივდნენ და დაკოცნეს, რა არის ამაში ცუდი? არა მგონია, სააკაშვილის მიმართ ფანატიკური სიყვარული დამკვიდრდეს. ის აუცილებლად გააკეთებს ისეთ რამეს, რისთვისაც გავაკრიტიკებთ. უნაკლო ადამიანი ჯერ არ დაბადებულა, ასე რომ, ნაკლი მასაც ექნება და თავის დროზე გავაკრიტიკებთ კიდეც.

***მარი ზანდუკელი***

# „ქარხანას ქართველებიც მშვენივრად დავჭრით, იტალიელი ინვესტორი რად გვინდოდა?“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

მე ხელთ მაქვს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც ქართული მხარე რუსებს 94 მილიონი ლარის ღირებულების ბუნებრივი აირის ვალის სანაცვლოდ რუსთავის კომბინატს სამუდამოდ უთმობდა. როდესაც ამის შესახებ ჯორბენაძეს ვუთხარი, ვერაფერი მითხრა, მხოლოდ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ დოკუმენტის არსებობა შევიტყვეთ(!). მეცნიერებს ყურს არავინ გვიგდებს. გამოყოს სახელმწიფომ სამი მილიონი დოლარი და ჩვენ ვკისრულობთ ელექტროღუმელის ჩამოტანასა და ქარხნის ამუშავებას“. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ალექსანდრე ნოზაძე:** „ფაქტია, რომ კომბინატის ძარცვა-განადგურება დღემდე გრძელდება. როგორც გავარკვიეთ, იტალიელი ინვესტორი, მსოფლიოში ცნობილია, როგორც ევროპის მეტალურგიული კომბინატებისათვის ჯართის მიმწოდებელი ფირმა და მას არასოდეს უწარმოებია ფოლადი. ქარხანას ქართველებიც, მშვენივრად დავჭრით და ჯართად გავყიდით, იტალიელი ინვესტორი რად გვინდოდა?“. ტექნიკური უნივერსიტეტის ფერადი ლითონების კათედრის გამგე **ავთანდილ წილოსანი:** „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მარტენის საამქროში რვა ღუმელი იყო. ახლა მხოლოდ ხუთია დარჩენილი. სად გაქრა სამი ღუმელი — თუ ასე გაგრძელდა, მალე სტუდენტებს მარტენის ღუმელს ვეღარც ვანახვებთ“. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ვანო უშვერიძე:** „იტალიელი ინვესტორი გაიძახის, კომბინატში აღარაფერია დარჩენილიო. ასეთი განცხადება შეურაცხმყოფელია — მხოლოდ ბრძმედი ღირს 100 მილიონი დოლარი. სწორედ ეგ ინვესტორი იყო, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფერადი ლითონების სხმულების საამქროს ჯართად გაყიდვა რომ მოინდომა“. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ქართული მხარის დირექტორი **ნოდარ ლვამბერია:** „ყველა ქვეყანასთან რაღაც ვალი აქვს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს, ამიტომაც დავუჭირეთ იტალიელებს მხარი — მათი ვალი არ გვქონდა და ქარხანას არ წაგვართმევდნენ. თუმცა ის ხელშეკრულება, რომელიც იტალიელმა ინვესტორებმა შემოგვთავაზეს, კაბალური იყო ჩვენთვის. ვიბრძოლეთ და ბევრი ჩვენთვის მიუღებელი პუნქტი ამოვიღეთ. ერთ მშვენიერ დღეს კი წარმომიდგინეს ბრძანების პროექტი, რომელიც მარტენის ღუმელების დაჭრასა და ჯართად გაყიდვას ითვალისწინებდა. ვუთხარი, სანამ ელექტროღუმელს არ ჩამოიტანთ და არ აამუშავებთ, არაფრის გაყიდვის უფლებას არ მოგცემთ-მეთქი. ელექტროღუმელს ყაზახეთში დავამონტაჟებთო(?!), გაიძახოდნენ. რა დროს ყაზახეთია, როდესაც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციაზე ვფიქრობთ? რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ქონება 100 მილიონ დოლარს ძლივს აღემატებაო, ყველამ კარგად ვიცით, რატომაც ამბობენ — ქარხანამ რომ ქონების გადასახადი შეამციროს. რეალურად მეტალურგიული კომბინატის ქონება 1 მილიარდ დოლარს აჭარბებს, სად აქვს ქარხანას იმდენი სახსარი, რომ ყოველწლიურად ქონების გადასახადის 1%, ანუ ათი მილიონი იხადოს? იტალიელებმა ესეც ხელზე დაიხვიეს და გვეუბნებიან, რა ქონება გაქვთ ასეთი, რომ გვაყვედრითო. არადა, ძალიან კარგად იციან ამ ქონების რეალური ღირებულება.“ შემდეგ თეორეტიკოსმა მეტალურგებმა იტალიელების მიერ დანიშნულ დირექტორს, **ირაკლი ჟორდანიას** მოუსმინეს: „ყველას გვაწუხებს მეტალურგიული კომბინატის ბედი. წლები მოვანდომეთ იტალიელი ინვესტორის მონახვას. მერწმუნეთ, ეს სერიოზული კომპანიაა. მართალია, ფოლადის წარმოების სფეროში არ აქვს გამოცდილება და მხოლოდ მეჯართე ფირმად იცნობენ, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ბედი მეტალურგიაშიც ეცადა. ინვესტორმა უკვე შეარჩია ელექტროღუმელი და ჩვენი სპეციალისტების დასკვნას ელოდებიან... აბა, რა გინდათ, იტალიელებიც გავაგდოთ და ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტის გამო „ჩუქუროვასავით“ ვალი კიდევ აქეთ დაგვადონ და ქარხანა საბოლოოდ გაკოტრებულად გამოაცხადონ? გაკოტრება, იცით, რასაც ნიშნავს — მისი ქონება აუქციონზე გაიყიდება. ხომ ხედავთ, უკვე დაიწყეს მილების დამზადება, აცალეთ ცოტაც და ყველაფერი მოგვარდება. იტალიის საელჩო ადასტურებს, რომ ფირმა ნამდვილად არის კომპეტენტური მეტალურგიაში და საკმაო სახსარი აქვს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ასაღორძინებლად“.

დასასრულ, შეკრების მონაწილენი ერთ დასკვნამდე მივიდნენ: თურქ ინვესტორებს არაფრით ჯობნიან იტალიელები — მათაც კომბინატის დაჭრა და ჯართად გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი. სხდომის შემდგომ ხშირად გაისმოდა გურამ ახვლედიანისა და ნუგზარ შევარდნაძის სახელები, თუმცა როდესაც ირაკლი ჟორდანიას შევარდნაძისა და ახვლედიანის შესახებ შევეკითხეთ, მან რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მათი ბიზნესინტერესი კატეგორიულად უარყო, ისევე, როგორც ბონდო შალიკიანისთვის წვრილსორტული და მილსაგლინავი საამქროების გადაცემა.

ჩვენ ვცადეთ გურამ ახვლედიანთან გასაუბრება, მაგრამ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოფილი უფროსის მოადგილემ **დიმიტრი აბესაძემ** გვაცნობა, რომ „ბატონი გურამი საფრანგეთში სამკურნალოდ იმყოფება და მასთან დაკავშირება შეუძლებელია“.

*P.S. ამ რამდენიმე დღის წინ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველს, ვასილ კოპალეიშვილსა და ქარხნის გენერალურ დირექტორს, ირაკლი ჟორდანიას ქვემო ქართლის გუბერნატორ სოსო მაზმიშვილის კაბინეტში განცხადებები დააწერინეს გადადგომის თაობაზე და ქარხანაში რეაბილიტაციის მმართველად ყოფილი გენერალური დირექტორის, გურამ ქაშაკაშვილის ვაჟი ბენო ქაშაკაშვილი დაინიშნა. საინტერესოა, გაახსენდებათ ბატონ გურამსა და მის ვაჟს, რუსთავიდან 150 კილომეტრის მოშორებით, აზერბაიჯანში, დაშქესანის რკინის საბადო?!*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ტურღმა გადაარჩინა?!

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

— ესეც შენი ბანკი. ცარიელი ბანკის ძარცვას, არ გვერჩია, ერთი სავსე ბინა დაგვეყაჩაღებინა. ღირდა ახლა ეს ამდენ ამბად? ჯერ ისიც არ ვიცით, გავაღწევთ თუ არა აქედან, — გამწარებულ მერაბ გვასალიას დანა პირს აღარ უხსნიდა.

— ნუ ნერვიულობ. ახლა ამ ძაღლების კანტორასაც გავცდებით და ყველაფერი დამთავრდება, — ანუგეშა გელა დარცმელიამ, მაგრამ „ძაღლების კანტორასთან“ ისეთ ჩასაფრებას გადაეყარნენ, საჭესთან მჯდომ ნუგზარ ხელაიას რომ არ ემარჯვა, უეჭველად ჩავარდებოდნენ.

— თქვენი დედაც... — სულ გადაირია მერაბი, — ხომ გეუბნებოდით, სათადარიგო კავშირი აუცილებლად ექნებათ-მეთქი პოლიციასთან, უყარეთ ახლა კაკალი...

მერაბმა ავტომატის ლულა მანქანის უკანა ხედვის მინას ატაკა, ჩაამსხვრია და ცეცხლი გაუხსნა მომცრო ფურგონით დადევნებულ პოლიციელებს. გელა დარცმელია და რომან ცაავაც ისროდნენ. დაინახეს, როგორ ჩაამსხვრია მათმა ნასროლმა ტყვიებმა დადევნებული მანქანის წინა საქარე მინა, მაგრამ პოლიციელებს ერთი წამითაც არ შეუნელებიათ სვლა. ახლა უკვე ისინიც ისროდნენ და მდევრის უპირატესობითაც სარგებლობდნენ. მიზანში მოხვედრის მეტი შანსი სწორედ მათ ჰქონდათ, რადგან ბანდიტებისგან განსხვავებით, ზურგს უკან კი არა, პირდაპირ ისროდნენ და აშკარა იყო, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდნენ. მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა ის-ის იყო, სასწორის პინა მდევრების სასარგებლოდ უნდა გადახრილიყო, გვასალიამ ხელყუმბარა გახსნა, ორი-სამი წამი დააყოვნა და გზაზე მოისროლა, მაგრამ დროის გამოთვლაში შეცდა და ხელყუმბარა მათივე მანქანის უკან აფეთქდა. მთელი სისწრაფით მიმავალი „ჟიგულის“ აფეთქების ტალღამ ისე მკვეთრად უბიძგა, ცოტაც და, მდინარეში გადაფრინდებოდა თავის მგზავრებიანად. იმავდროულად, არაადამიანურმა ღმუილმა თითქმის გადაფარა აფეთქების ხმა. თუმცა ამ ამბისთვის ყურადღება არავის მიუქცევია და გვასალიამ მეორე ხელყუმბარაც ისროლა მდევრების მიმართულებით. მაგრამ ამჯერადაც მოეცარა ხელი და ხელყუმბარა მათ მანქანასთან იმდენად ახლოს აფეთქდა, რომ რყევამ მანქანის საბარგულის სახურავი ახადა და ისე აეფარა მანქანის უკანა მხარეს თავგამოჩრილ ბანდიტებს, რომ მდევარ მანქანას ვეღარ ხედავდნენ. რამდენჯერმე სცადეს ხელით დასწოლოდნენ სახურავს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაცა აწვებოდა ქვემოდან. ბანდიტები იმანაც დააფრთხო, რომ მდევრებმა რაღაც საეჭვოდ შეწყვიტეს სროლა. არადა, სულ გადაავიწყდათ, რომ საბარგულში მანქანის პატრონი ჰყავდათ ჩაკეტილი. მძღოლი მძიმედ დაჭრილიყო ხელყუმბარის ნამსხვრევისაგან, მაგრამ ხელ-ფეხშეკრული გათავისუფლებას მაინც ცდილობდა. დაჭრილმა იმდენი მოახერხა, რომ საბარგულიდან ამოძვრა და პოლიციელების მანქანის წინ ასფალტზე გაგორდა. ფურგონის საჭესთან მჯდომმა იმარჯვა და მანქანა აარიდა მძევალს.

ახლა პოლიციელებმა გახსნეს ცეცხლი და ბანდიტების მანქანა ხევში გადაფრინდა, თუმცა არ გადაბრუნებულა — ზედ მდინარის პირას ხეებში გაეჩხირა და გაჩერდა.

ერთადერთი, ვინც მდინარე გადაკვეთა და ტყეში გაუჩინარდა, ნუგზარ ხელაია იყო. ხელაიამ ნაყაჩაღარი ფულიც თან წაიღო და დღემდე არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი. დარცმელია, ცაავა და გვასალია დაჭრილები იყვნენ და გაქცევა ვერ მოახერხეს.

— შენ ხომ არ დაჭრილხარ, რატომ არ გაიქეცი? — ჰკითხეს ზაზა ბედიას პოლიციელებმა, რომელთაგან არც ერთი არ ჰგავდა იმ პუჭურას, წინადღეს ვიღაცას რომ ემასლაათებოდა ხიდგალმა ჯიხურთან.

— მე ჯერ ამათთან მაქვს საქმე, — უპასუხა და დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია ზაზამ, რომელსაც თავში მაინც როსტოვი-თბილისის მატარებელი უტრიალებდა.

***ვაჟა გავაშელი***



# ასლან აბაშიძე: ასეთი კონფლიქტებიდან უსისხლოდ ვერ გამოდიან



აჭარის კონფლიქტი თეატრალურ დადგმას — ოპერეტას — უფრო ჰგავდა. ორი მთავარი გმირი ლამაზად ჩხუბობს, იარაღს აჟღარუნებს, მათ შერიგებაში მთელი მსოფლიოა ჩართული. ისინი ტრიუმფალურად რიგდებიან, ხალხი ზეიმობს — ჰეპი-ენდი. ტაში. ყვავილები. ფარდა ეშვება...

ასლან აბაშიძემ რუსი ჟურნალისტები მადლობის ნიშნად თავისთან მიიწვია და გაუმასპინძლდა. მას რაღაც მნიშვნელოვანის თქმა ან მინიშნება უნდოდა, ღვინით სავსე ბოკალი ასწია და დინჯად დაიწყო: — ეს არწივი (მან ხის სკულპტურაზე მიუთითა — არწივს დაკლაკნილი გველი უჭირავს კლანჭებით) ერთმა კარგმა კაცმა მაჩუქა და მითხრა: გველი შევარდნაძეა, მაგრად ჩააფრინდი, ასლან, პრეზიდენტს...

აჭარის ლიდერმა ეშმაკურად გაიღიმა. გადაკრულს მივუხვდით — ასლან-არწივს ბასრი კლანჭები აქვს — დავლიეთ. აბაშიძემ რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ კვლავ ფრთხილად განაგრძო ეს თემა, — ამბობენ, სააკაშვილს დაუთმოო, — და ჩაიცინა, — ეგონოთ. სააკაშვილმა მოლაპარაკებებზე თქვა — აჭარაში ჩემი ინტერესები პორტი და საბაჟოაო. გამიკვირდა, რა საჭირო იყო ასეთი დავიდარაბის ატეხა — ჯარი, ბლოკადა... დაერეკა, ეთქვა... კი ბატონო, დააყენა იქ თავისი წარმომადგენლები. მერე რა? — კვლავ ეშმაკურად შემოგვხედა და დაამატა, — მაშინ, აჭარის წარმომადგენლები დაუშვან ფოთის პორტსა და ვალეს საბაჟოზე.

ნახევარი საათის შემდეგ აბაშიძე უკვე ყოველგვარი ალეგორიების გარეშე ლაპარაკობდა სააკაშვილზე — რატომ აფხაზეთს ან ოსეთს არ შეუტია? რატომ წამოვიდა ჩვენზე? იმიტომ, რომ საქართველოს ბიუჯეტი ზეროა, ნული (აბაშიძემ თვალსაჩინოებისათვის თითებით რგოლი გააკეთა)! აქ კი დიდი ფულია. სწორედ მისი ხელში ჩაგდება უნდა, რადაც უნდა დაუჯდეს...

აჭარის მეთაურმა, ეტყობა, იფიქრა, დროა სტუმრები გავაოცოო და ვიდეო ჩართო. ეკრანზე ქვემეხტყვიამფრქვევებიანი სწრაფმავალი კატერები იწონებდნენ თავს.

— როცა თბილისმა ჩვენი პორტი დაბლოკა, ერთ-ერთმა იმათმა გენერალმა მთხოვა, ეგ თქვენი კატერები არ გამოიყვანოთო. სასაცილოა, ღმერთმანი!

გაგვეღიმა და აჭარის სამხედრო ფლოტის სადღეგრძელო დავლიეთ. ასლანი კეთილგანწყობილი და მხიარული იყო, ჟურნალისტები — არა. ადვილი ამოსაცნობი იყო აბაშიძის სადღეგრძელოების არსი: აჭარის კონფლიქტი არ მოგვარებულა. სააკაშვილი-აბაშიძის ორთაბრძოლის შემდეგი რაუნდი შორს არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავლიეთ ჯერ მშვიდობის, მერე კი აბაშიძის ვაჟკაცობის სადღეგრძელო. საერთოდ, ასეთი კონფლიქტიდან უსისხლოდ გამოსვლა ძნელია! — თქვა მან და კი არ გამოგვემშვიდობა, ნახვამდისო, — გვითხრა.

ეტყობა, კარგად გათვლილ აჭარულ სიუჟეტს გაგრძელება მაინც ექნება...

***ვლადიმირ ვორსობინი***
***კომსომოლსკაია პრავდა №53***

# ჩაურევლობისთვის მოსკოვის მადლობელი ვართ

23 მარტს რუსეთში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა **კონსტანტინე კემულარიამ** კრემლში, რფ-ის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს რწმუნებათა სიგელი გადასცა. მანამდე კი ინტერვიუში განაცხადა: — უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით რუსეთს იმისათვის, რომ ჩვენს საქმეში არ ჩაერია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან კრიზისის პირველსავე დღეებში აჭარის ხელისუფლება ბათუმში დისლოცირებულ მე-12 რუსულ სამხედრო ბაზაზე, მოსკოველ ჩინოვნიკებზე და რაღაც საზღვარგარეთულ ძალებზე ამყარებდა იმედს. მადლობა ღმერთს, არ გამართლდა. სწორედ ეს არის რუსულ-ქართული ურთიერთობის ფორმირების ახალი რეალიები. კრიზისის შეჩერება, ფაქტობრივად, შუამავლების გარეშე და საკმაოდ საშიშ ზღვარზე მოხდა. მოსკოვმა ჩათვალა, აჭარის მოვლენები საქართველოს შინაპოლიტიკური პრობლემააო და ამან მავანი პოლიტიკოსი გამოაფხიზლა. მოსკოვში ზოგიერთს ჰგონია, რომ ყარსის 1921 წლის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს და თურქეთს აჭარის საქმეებში ჩარევის უფლება აქვთ. დაწვრილებით ამ საქმის განხილვას აღარ დავიწყებ, ვიტყვი მთავარს: იმავე თურქეთთან საქართველოს 1992 წელს ხელმოწერილი ახალი ხელშეკრულება აკავშირებს. ამ დოკუმენტში ყარსის ხელშეკრულებიდან დარჩა მხოლოდ ჩვენი ქვეყნების საზღვრების ხელშეუხებლობა. ადრინდელი ხელშეკრულების სხვა მუხლები ძალადაკარგულად ითვლება.



**— აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე მოსკოვში თავის ვიზიტებს არც საქართველოს ხელმძღვანელობას და არც მოსკოვში საქართველოს საელჩოს არ უთანხმებს. აპირებთ თუ არა ამაზე რეაგირებას?**

— ეს მანკიერი სტილი აბაშიძემ ჯერ კიდევ ათი წლის წინ აითვისა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის უნიათობის გამო. ახალმა ხელისუფლებამ მკაფიოდ განაცხადა: საქართველოში ფეოდალიზმს ბოლო მოეღება და ასეთ „ავტონომიურ", თბილისთან შეუთანხმებელ ვიზიტებს ადგილი აღარ ექნებაო. რასაკვირველია, ყველას და, მათ შორის აბაშიძესაც, მეგობრები და „ძმებიც" სადაც უნდა, იქ ჰყავდეს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს პირადულისა და სახელმწიფოებრივის აღრევასთან, რაც არასასურველი შედეგის მომტანია. სასიხარულოა, რომ რუსეთის ხელისუფლება იზიარებს საქართველოს ახალი ხელისუფლების პოზიციას — საქართველო ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოა, რომელიც აკონტროლებს თავის საზღვრებსა და ტერიტორიას. მოსკოვში კარგად ესმით, რომ სეპარატიზმის ნებისმიერი ბუდე, ნებისმიერი გაუკონტროლებელი ტერიტორია ყველა შემთხვევაში ნარკობიზნესისა და ტერორიზმის კერა ხდება.

***ამონარიდი ინტერვიუდან***
***ნეზავისიმაია გაზეტა №58***

# სააკაშვილი საერთაშორისო სკანდალს გადაანწყდა

სკანდალის მიზეზი კი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ თბილისში გაკეთებული განცხადება გახლდათ — თითქოს აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობა „თავისი ბანდიტური ფორმირებების შესავსებად, უკრაინასა და ჩეჩნეთში აპირებს ხალხის დაქირავებას". უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ განცხადებამ აღაშფოთა — სასწრაფოდ გამოიძახა საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. სრულიად საპირისპირო რეაქცია ჰქონდათ ჩეჩნეთში — საქართველოს პრეზიდენტის ამ „ჰიპოთეზას" ხუმრობით შეხვდნენ. ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერმა მოვსარ ჰამიდოვმა კორესპონდენტებს განუცხადა: — არავითარი ცნობები არ გამაჩნია ამის შესახებ, მაგრამ თუკი აბაშიძე ჩეჩნეთიდან ყველა „ბოევიკს" მოგვაშორებს, მადლობელი დავრჩებითო.

აჭარისთვის მებრძოლების უკრაინაში დაქირავების ფაქტს უკრაინელ ექსპერტთა უმრავლესობაც ეჭვით უყურებს, მაგრამ ზოგიერთი არ გამორიცხავს, რომ უკრაინის ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით შეიძლება მართლა მიმდინარეობდეს დაქირავებულთა მომზადება. აჭარის ავტონომიის ლიდერი ასლან აბაშიძე ამ ბრალდებებს „სასაცილოს" უწოდებს, ხოლო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება საფუძველს მოკლებულია, უკრაინა იყო და იქნება ჩვენი მთავარი პარტნიორი და მის მიმართ ასეთი რიტორიკა დაუშვებელია. მეტიც, — დასძენს ის, — აფხაზეთის ომის დროს უკრაინელი მოხალისეები საქართველოს მხარეს იბრძოდნენ და ბევრმა თავიც დადო ამ ბრძოლებშიო.

***იზვესტია რუ***

# სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის განცხადება

„საქართველოს მცდელობამ, ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის პრობლემები, ამ ბოლო დროს აგრესიული ხასიათი მიიღო. ამის დადასტურებაა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ რფ-ის მოქალაქეების ნოდარ დუდაევისა და ბადრი დუდაევის დაკავება. ნოდარ დუდაევი გმირულად ებრძოდა ქართველ აგრესორებს და იცავდა მშვიდობიან მოსახლეობას განადგურებისაგან. სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიას იმედი აქვს, რომ საქართველო გამოიჩენს კეთილ ნებას, აღარ გაამწვავებს ურთიერთობას ორ ხალხს შორის და გაათავისუფლებს ნოდარ დუდაევსა და ბადრი დუდაევს. შეწყვეტს სამხრეთ ოსეთზე დამონებისა და ზეწოლის მეთოდების გამოყენებას".

***რეგნუმ რუ***

# კეთილი ოლიგარქი

სულ ტყუილად აბრალებენ რუს ოლიგარქებს — ძუნწები და უგუნურები ხართო. ცნობილი გახდა, რომ „სევერნაია ნეფტის" კომპანიის ყოფილი მფლობელი, ახლა კი სენატორი ანდრეი ვავილოვი საქართველოში კორუფციასთან ბრძოლაში წვლილის შეტანას აპირებს.

ცნობილმა ამერიკელმა ფილანთროპმა ჯორჯ სოროსმა განაცხადა, — ყოველთვიურად 2000 დოლარს დავუმატებ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, ხოლო 1500 დოლარს — მისი მინისტრების ხელფასებსო. ამერიკელი მილიარდერი ამგვარად აპირებს წვლილის შეტანას კორუფციასთან ბრძოლაში, რომელმაც მთელი საქართველო გამოხრა. რუსეთის მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელთა ხელფასი მიზერულია. ამიტომ სოროსის ეს საქციელი ნამდვილად გამოუკეთებს მათ ფინანსურ მდგომარეობას.

გაბატონებული აზრით, სწორედ სოროსის ფონდის ფულით მოხდა საქართველოში „ვარდების რევოლუცია". ყველას ეგონა, თბილისის შემდეგ უდიდესი ფინანსური სპეკულანტი ერევანს მიაპყრობდა ყურადღებას, მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოა კვლავ მისი თვალთახედვის ცენტრში.

ყოფილმა ბიზნესმენმა ვავილოვმა, როგორც კი სოროსის ინიციატივას გაეცნო, განაცხადა, ამ საქმეში განზე ვერ გავდგები, მარტო ამერიკელებმა კი არ უნდა იბრძოლონ კორუფციის წინააღმდეგ და ამისთვის ხელფასი აძლიონ საქართველოს ხელმძღვანელობას, საქართველოში გამეფებული კორუფცია რუსეთს უფრო აზიანებს, ვიდრე აშშ-ს, რადგან მეზობელი ქვეყანააო.

რუსეთის სენატორი მზადაა, სააკაშვილს ხელფასზე თვეში 600 დოლარი დაუმატოს, ხოლო მის მინისტრებს — 300-300. იმედი აქვს, ქართველებს ესიამოვნებათ, როცა გაიგებენ, რომ მარტო სოროსი როდი ზრუნავს მათზე, არამედ — რუსეთიც.

მართალია, ვავილოვს თავისი ინიციატივა სააკაშვილისა და მისი მინისტრებისთვის არ შეუთანხმებია, მაგრამ იმედი აქვს, რომ ისინი მადლიერებით მიიღებენ ამ დახმარებას და რუსეთის სხვა ბიზნესმენებსაც მოუწოდებს, შეუერთდნენ მის წამოწყებას.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №63***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიცინიან

6 წლის **ᲓᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ** უყურებს, ბიძამისი როგორ ასხამს მანქანაში წყალს და ეუბნება:

— ინვერი ბიძია, შენს მანქანას ძალიან სწყუროდა?!

***

2 წლის **ᲚᲣᲙᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ** უსმენს სიმღერას „გიტარა ტირის“ და გაკვირვებული მამიდას ეკითხება:

— ია, ლატო ტილის გიტალა, კაკა უნდა?

***

პატარა **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲕᲘᲚᲓᲐᲫᲔᲛ** საშინაო დავალებას სათაურად დააწერა „ვაშლი და შაქარი“ („ვაშლი და შაქარას“ ნაცვლად). დედამ უსაყვედურა, — რატომ გადაწერე შეცდომითო. ბიჭმა უპასუხა:

— თქვენ ხომ მიშლით, არა თქვა ნოდარა, რამაზა, თამაზა... აკაკი წერეთელს შეშლია და შევუსწორე.

***

6 წლის **ᲛᲘᲨᲘᲙᲝ ᲦᲝᲚᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** თავის დას თაკოს, ხელი აქტკინა. დედა გაუწყრა. მიშიკომ უპასუხა:

— არა უშავს.

დედა უფრო გაუბრაზდა:

— რას ნიშნავს, არა უშავს, ბავშვს კინაღამ ხელი მოტეხე.

მიშიკომ უპასუხა:

— მაშინ უშავს.



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„არც ფეხი აქვს და არც თვალი, არის კოხტა, არის მრგვალი. დახტის, დაქრის, დატრიალებს, სცემენ, მაგრამ არ ღრიალებს“.***







**რამდენი ლომია ნახატზე?**

## ეძებეთ უფლის სასუფეველი

ბიბლიური მოთხრობა

იესო კვლავ მოძღვრავს თავის მოწაფეებს: „ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ვჭამოთ ანდა რა ვსვათო; ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შევიმოსოთო. განა სული უფრო მეტი არ არის, ვიდრე საზრდო, სხეული და სამოსელი? შეხედო, ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ? ან რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრიც ეცადოს, თუნდ ერთი ციდით მოიმატოს სიმაღლე? ან სამოსლისთვის რაღადა ზრუნავთ? შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანნი: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითეული მათგანი. ხოლო თუ ველის ბალახს, რომელიც დღეს არის და ხვალ თონეს შეენთება, ასეთნაირად მოსავს ღმერთი, განა თქვენ უკეთ არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო? ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ, რა ვსვათ, ანდა რით შევიმოსოთო? ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი. მამამ თქვენმა ზეციერმა ხომ იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს. მაშ, ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ. ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის, რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას: ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი.“




## IV ანა, გამოიცანი

**1) ამ მეფეთაგან, რომელი მეფობდა ყველაზე ადრეულ პერიოდში?**

ა) გიორგი ბრწყინვალე; ბ) დავით აღმაშენებელი; გ) თეიმურაზ I; დ) ვახტანგ გორგასალი.

**2) რომელი არ არის ფრინველი?**

ა) გნოლი; ბ) ქედანი; გ) მოლაღური; დ) უძრახელა.

**3) რომელი მცენარე გამოიყენება სამკურნალოდ?**

ა) კაქტუსი; ბ) მიხაკი; გ) ტიტა; დ) ალოე.

**4) ვის შემოაკვდა მურადა?**

ა) ილიკოს, ბ) ილარიონს; გ) ზურიკელას; დ) ოლღას.

**5) მითოლოგიურად, რომელი ბერძენი გმირი შეესაბამება კავკასიის მთაზე მიჯაჭვულ ამირანს?**

ა) იაზონი, ბ) ოდისევსი; გ) აქილევსი; დ) პრომეთე.

**6) რომელ ხეს არ აქვს თეთრი ყვავილი?**

ა) ქლიავს, ბ) ატამს, გ) ტყემალს; დ) ალუბალს.

**7) სახარების მიხედვით, რომის იმპერიის რომელი პროვინცია იყო ქრისტეს სამშობლო?**

ა) გალილეა; ბ) ანტიოქია; გ) იუდეა; დ) სამარია.

**8) ამ პოეტებიდან რომელი არ იყო თავადი?**

ა) გრიგოლ ორბელიანი; ბ) ილია ჭავჭავაძე; გ) ვაჟა-ფშაველა; დ) აკაკი წერეთელი.

**ᲘᲞᲝᲕᲔ 11 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ**



**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ „ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲐ“ ᲣᲙᲕᲔ 50 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ. ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ, ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘ. ᲘᲡ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ ᲐᲡᲔ: — ⊕ ᲓᲐ ᲡᲘᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ**

1. ○ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲧᲔᲠᲩᲘᲢᲐ
2. ○ ᲥᲐᲚᲗᲔᲕᲖᲐ
3. ○ ᲜᲐᲪᲐᲠᲥᲔᲥᲘᲐ
4. ○ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ
5. ○ ᲙᲝᲛᲑᲚᲔ
6. ○ ᲘᲠᲛᲘᲡᲐ
7. ○ ᲩᲘᲞᲝᲚᲘᲜᲝ
8. ○ ᲬᲘᲗᲔᲚᲥᲣᲓᲐ
9. ○ ᲤᲘᲤᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲯᲣᲯᲐ
10. ○ ᲮᲣᲗᲙᲣᲜᲭᲣᲚᲐ
11. ○ ᲛᲐᲙᲜᲐᲢᲣᲜᲐ
12. ○ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ
13. ○ ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ
14. ○ ᲐᲚᲘᲑᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲧᲐᲩᲐᲦᲘ
15. ○ ᲡᲐᲛᲘ ᲑᲝᲭᲘ
16. ○ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲗᲕᲔ
17. ○ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲐ
18. ○ ᲛᲐᲣᲒᲚᲘ
19. ○ ᲩᲔᲥᲛᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲢᲐ
20. ○ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲗᲘᲙᲐᲜᲘ
21. ○ ᲜᲐᲛᲪᲔᲪᲐ
22. ○ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲥᲐᲗᲐᲛᲐ
23. ○ ᲡᲐᲛᲘ ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲐᲚᲘ
24. ○ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘ
25. ○ ᲬᲘᲥᲐᲠᲐ
26. ○ ᲐᲚᲐᲓᲘᲜᲘ
27. ○ ᲓᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ
28. ○ ᲛᲫᲚᲔᲗᲐᲛᲫᲚᲔ
29. ○ ᲥᲝᲩᲝᲠᲐ ᲠᲘᲙᲔ
30. ○ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲑᲐᲧᲐᲧᲘ
31. ○ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘ
32. ○ ᲠᲘᲙᲘ-ᲢᲘᲙᲘ-ᲢᲐᲕᲘ
33. ○ ᲙᲝᲜᲙᲘᲐ
34. ○ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲘᲮᲕᲘᲡ ᲭᲣᲙᲘ
35. ○ ᲙᲐᲢᲐ, ᲛᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲐ
36. ○ ᲪᲔᲠᲝᲓᲔᲜᲐ
37. ○ ᲒᲐᲣᲪᲘᲜᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ
38. ○ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲑᲔᲓᲔᲑᲘ
39. ○ ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
40. ○ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲐᲗᲕᲘ
41. ○ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ
42. ○ ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲢᲐ
43. ○ ᲛᲔᲩᲝᲜᲒᲣᲠᲔ
44. ○ ᲗᲮᲘᲡᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲤᲔ
45. ○ ᲑᲣᲠᲐᲢᲘᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ
46. ○ ᲚᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ
47. ○ ᲜᲐᲪᲐᲠᲥᲔᲥᲘᲐ
48. ○ ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲧᲔ
49. ○ ᲐᲠᲕᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
50. ○ ᲯᲘᲣᲢᲘ ᲡᲞᲘᲚᲣᲙᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ + ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ

ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

# მერაბ კოკოჩაშვილი: — ბედაური უნდა იყო...

— ეცადნენ და მოახერხეს საზოგადოების გემოვნების გაუბრალოება. ახლა ეს მდარე გემოვნება კარნახობს კომერციულ ტელეარხებს, რომ მისთვის მისაღები პროდუქცია მიაწოდოს მაყურებელს. ვგულისხმობ სერიალებს, ისე კი მთელი საქართველო პოლიტიკურ ინფორმაციასაა დახარბებული. შესაბამისად, ამაზე უფრო დიდი დრო და ფული იხარჯება, ვიდრე კინოზე, ან საეროოდ ხელოვნებაზე... ამას სჭირდება თანხა, რომელიც არ გვყოფნება, ვიდრე საქართველო არ შევა საერთაშორისო კინემატოგრაფიის არეალში.

**— როგორ ფიქრობთ, თუკი ახალგაზრდებს მიეცემათ მაღალმხატვრული პროდუქციის შექმნის საშუალება, შეძლებენ ამის გაკეთებას?**

— ეს იოლი არ იქნება. გარდა ნიჭისა, ამას ღრმა და სერიოზული განათლებაც სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს სასურველ დონეზე არ არის საქართველოში. კინოხელოვნებას ხანგრძლივი, უდიდესი შრომა სჭირდება. ახალგაზრდებს ნამდვილად შეუძლიათ კარგი ფილმების გადაღება. 60-იან წლებში საყოველთაოდ ცნობილი ქართული მხატვრული ფილმები ახალგაზრდების გადაღებული არ იყო?! კინოს იმხელა ენერგია სჭირდება, ახალგაზრდებს რომ აქვთ. თუ განათლება არ გაქვს, სამსახური არ გაქვს, სადაც ინტენსიურად იმუშავებ, ფული არ გაქვს ფილმის გადასაღებად, მაშინ შედეგსაც ვერ მიიღებ.

**— გიო ახვლედიანის „ტოტო მეკამბას ბიჭების" მიხედვით გადაღებული თქვენი ბოლო ფილმი ახალგაზრდების დღევანდელ „შავ ჭირს" — აზარტულ თამაშებს და ამ სფეროში არსებულ ბევრ საშინელებასაც ეხება... ახლობელი იყო ეს პრობლემა თქვენთვის?**

— ჩემს ახალგაზრდობაში, საბჭოთა სისტემაში, მსგავსი რამ გაცილებით უკეთ ექვემდებარებოდა კონტროლს. სისტემა საშინელი იყო, მაგრამ... თუკი ვინმე კარტს ოჯახში ან ჩუმ-ჩუმად ფულზე ითამაშებდა, ეს თვალში საცემი არ ხდებოდა. „ტოტო მეკამბას ბიჭები" — ჩემთვის ის არეალია, რომელშიც ახალგაზრდები იძულებით ხვდებიან. მთავარი გმირი, რომელსაც ლევან წულაძე ასახიერებს, ნიჭიერი, კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ იძულებულია თამაშობს. სხვებზე ნიჭიერია, არ აგებს, ამბობს კიდეც — „მე უპრინციპო ვარ"... გამოუვალი



**რთულ დროში ვცხოვრობთ... მუდმივი დაძაბულობა ქვეყნის ცხოვრებაში და სიღატაკე — სულიერ ყოფაში, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაივლის. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული — ცხოვრება გრძელდება, ჩვენ თავად ვართ საკუთარი ბედ-იღბლის შემოქმედნი. მდარე და უგემოვნო „კულტურული" პროდუქცია, რომლითაც სავსეა დღეს საქართველოს ბაზარი, დიდ იმედს არ უნდა გაძლევდეს კაცს... თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არანაკლებ რთული დრო გაუვლიათ ჩვენს წინამორბედთ და მისაღწევისთვის მაინც მიუღწევიათ. რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ჩვეული სიმშვიდით მესაუბრება შექმნილ სიტუაციაზე.**

მდგომარეობა — უმუშევრობა, უსახსრობა ქმნის პირობას, რომ ასე იარსებოს. კი, ბატონო, ასეთი ახალგაზრდები არსებობენ, უფრო ულირსებიც, მაგრამ არიან სხვანაირი ახალგაზრდებიც. ყოველ წელს 50-60 ფილმს იღებენ ახალგაზრდები საქართველოში. ვიღაცა თამაშობს, ვიღაცამ შეიძლება ერთი-ორჯერ მოსწიოს კიდეც და ამავე დროს კარგი საქმეც აკეთოს. თუკი ამათ მუშაობის საშუალება მიეცემათ, დარწმუნებული ვარ, აღარც კი მიიხედავენ ტოტალიზატორისა და კაზინოსაკენ. უსაქმური კაცი აწყდება აქეთ-იქით. საქმიანი — საქმეს გააკეთებს.

**— ოპტიმისტი ბრძანებულხართ.**

— პატარა არ ვარ, პროფესია მაქვს, რომელიც მიყვარს და მთელი სიცოცხლე ვემსახურები, ამიტომ ჩემთვის იოლია, ოპტიმისტი ვიყო. საქართველოში ურთულესი პროცესი მიდის. დაპირისპირებული ვართ კორუფციასთან, ქურდულ სამყაროსთან. არადა ისეთი სისტემა გვქონდა, ყველას გვიხდებოდა კორუფციასთან შეხება. ირკვევა, რომ ვინც ქვეყანას მართავდა, ისიც კორუმპირებული უნდა ყოფილიყო... ჩვენ ვისაც ვირჩევდით, ისიც კი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. ნორმალურ რელსებზე გადმოსვლა, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ როცა ვხედავ ახალგაზრდას, რომლის მიზანი ფილმის გადაღებაა, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. რატომ? არანაირი პერსპექტივა არ არსებობს დღეს კინოში, მაგრამ რამხელა სულიერი ძალაა მისი შექმნის სურვილში. ერთ ამბავს გიამბობთ: 1953 წელს ჩავედი მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩასაბარებლად. რადგან მიხეილ ჭიაურელმა ადრე „გიორგი სააკაძეში" გადამიღო (პატარა პაატა სააკაძე. — ლ.ჯ.), მასთან მივედი კონსულტაციისათვის. ვუთხარი, რეჟისორობა მინდა-მეთქი. ჩემი ნამუშევრები არც კი წაუკითხავს, ისე მითხრა: — გიჟი ხარო! იცი, რამდენ ფილმს იღებენ საბჭოთა კავშირშიო? წელიწადში ოცსო. აქედან ერთს მე ვიღებ, მეორეს — გერასიმოვი, მესამეს — დოვჟენკო, მეოთხეს — რომი. ასე ჩამოთვალა ოცი დიდი რეჟისორი. მერე მკითხა: — შენ რა უნდა გადაიღოო? გავიდა შვიდი წელი და მე და ჩემი თანატოლები უკვე „ქართულ ფილმში" ვმუშაობდით. მიუხედავად სრული უპერსპექტივობისა, რეჟისორებად ჩამოვყალიბდით. მაშინ ჩვენ იდეოლოგიური წინააღმდეგობა გვქონდა, ახლა — ფინანსური დაბრკოლება გვაქვს, მაგრამ შენი თვალსაზრისი რომ ჩამოაყალიბო ცხოვრებაზე, გადაიღო ფილმი, ამისთვის განუწყვეტლივ უნდა მუშაობდე. ამისი საშუალება თუ არ მიეცი ადამიანს, ის ნელ-ნელა ჩლუნგდება. თუ ცხენს წინაღობაზე გადახტომის საშუალება არ მიეცი, დაოჩნდება. ჯაგლაგს დაბრკოლებების გადალახვა ბედაურად აქცევს.

**— დღეს ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი, ამის ჩამოყალიბება ძალიან რთული იქნება, არა?**

— ადრე მარტივი დაპირისპირება იყო, ვიცოდით, დამონებული ქვეყანა ვიყავით. კანონი, რომლითაც უნდა გვეარსება, „სხვისი" დაწერილი იყო. ამას უპირისპირდებოდი, იბრძოდი პიროვნული თავისუფლებისათვის. არც ელდარ შენგელაიას, არც ოთარ იოსელიანს, არც სხვებს არ უფიქრიათ შეგუება. ელდარმა ჯურღმულიდან „გააფრინა" ცათმფრენი, ოთარ იოსელიანმა 43-ე კასრში ჟელატინი ჩაასხა „გიორგობის თვეში", ამას კინაღამ გადააყოლეს. მეც ამას ვაკეთებდი „დიდ, მწვანე ველში", „ზაფხულის სამ დღეში". ახლა უნდა გადაწყვიტო, რას უნდა ებრძოლო, საპროტესტო განა არაფერია?! 60-იანი წლების ქართული კინო რომ შეადაროთ დღევანდელ, ჩვენსავე გადაღებულ პროდუქციას — სერიალებს, რომელსაც ბაზარი ითხოვს, გული გეტკინებათ... სახელმწიფოებრივი აზროვნება მე ასე მესმის: როცა ბაზარი ითხოვს და გიკვეთს მდარეს, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ხელოვნება. უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფოზე, ის იზრუნებს ჩვენზე.

**— თუ არ დაგიკვეთეს, ვერ იარსებებთ, არა?**

— დაკვეთა უნდა მიიღო, მაგრამ პირნათლად უნდა გააკეთო. პროფესიის გაბიაბრუება სირცხვილია. დღეს კლიპში 20 ათას დოლარს იხდიან, 40-წუთიან მხატვრულ ფილმში 8 ათას დოლარს. დღეს ასეა. ხვალ შეიძლება ყველაფერი გამოსწორდეს. მთავარია განათლება, სულის დახვეწა, მთავარია ის მრწამსი არ დაიკარგოს, რისთვისაც ადამიანები იბადებიან. ეს ოჯახიდანაც მოდის. იქ გინერგავენ, — რაც არ უნდა მოხდეს, შენ უნდა აკეთო ესო... თუ ოჯახის კეთილდღეობა მხოლოდ კანარის კუნძულებზე დასვენებით გამოიხატება, ეს უბედურებაა.

კანარის კუნძულები კარგია, მეც მინდა იქ წასვლა, მაგრამ ამისი ფუფუნება დაფუძნებული უნდა იყოს უანგარო შრომაზე. ჩვენს სახელმწიფოში ყველაზე ნაკლები თანხა განათლებასა და კულტურაზე იხარჯება. ამერიკაში განათლების სფეროში უდიდესი თანხები იდება. მომიწია ამერიკაში მუშაობა ქალბატონ ტატა თვალჭრელიძესთან ერთად. იქ საზაფხულო უნივერსიტეტებია. ერთ-ერთი ასეთი „ქართული უნივერსიტეტი" ალვბეჭდეთ კადრებზე. ამერიკელი ახალგაზრდები იქ სწავლობდნენ ქართულ კულტურას, ენას, ლიტერატურას. იქ ვნახე სატელევიზიო გადაცემები, რომლებსაც სტუდენტები აკეთებდნენ. ამერიკელები, როგორც კი დაინახავენ, რომ ადამიანს ინტერესი გაუჩნდა, აძლევენ

რავლდით? მე მჯერა, შეუძლებელია ყველაფერი კრახით დამთავრდეს ჩვენთვის. ან გავიხსენოთ პიონერთა სასახლე. ეს იყო იდეოლოგიური დაწესებულება, სადაც კარგი პიონერები და კომკავშირელები უნდა გაზრდილიყვნენ და ნახეთ, რა მოხდა? იქიდან გამოვიდნენ ოთარ და თამაზ ჭილაძეები, რეზო თაბუკაშვილი, ლანა ღოღობერიძე, თამაზ ჩხენკელი... ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი იყო ქეთევან ანანიაშვილი, რომელიც სულ ორი თვის წინ დავასაფლავეთ. ქეთევან ანანიაშვილი აკეთებდა ქართულ საქმეს პიონერთა სასახლეში. იქ იყო ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელიც გვასწავლიდა, როგორ გვეცოცა კლდეზე. გვასწავლიდნენ წინააღმდეგობის დაძლევას. არ გვეუბნებოდნენ, დაძლიე საბჭოთა სისტემაო. გვეუბნებოდნენ, — დაბრკოლება უნდა დაძლიოო, იქ გვასწავლიდნენ იმას, რაც ბავშვს კაცად აქცევს. დღესაც უნდა გაკეთდეს იგივე.

**— საქართველოსათვის ბოლო მძიმე წლებიდან, რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— ერთი შემთხვევა არ დამავიწყდება. ვოცნებობ, რომელიმე ფილმში გადავიღო კიდეც ეს ეპიზოდი. თბილისში ჩამოვიდა ლოურენს ოლივიეს ქალიშვილი ოპერატორთან ერთად. მთხოვეს, გვინდა ხალხური სიმღერების ანსამბლი გადავიღოთ და დაგვეხმარეო. შევუთანხმდი ანზორ ერქომაიშვილს, რომ მივიდოდით მისი „მართვეს" გადასაღებად. 1992 თუ 1993 წელია. ზამთარია, ცივა, ხალხი დაპირისპირებულია. მივედით გადასაღებად. გამოვარდა შეწუხებული ანზორი გარეთ: — რა ვქნა, შუქი არ არისო... ბნელ დარბაზში დგას 60 თუ 80 პატარა ბიჭი, ჩვენ ვდგავართ კამერით და ვერ ვიღებთ. ოპერატორმა გვითხრა, — რა ვქნა, აქედან ისე ვერ წავალთ, რომ ეს არ გადავიღოთო. მოვიძიეთ 3-4 სანთელი, დავაჭერინეთ ბიჭებს და დაიწყეს „მრავალჟამიერი". ეს იყო საოცრება, ცრემლები წამომივიდა. გავხედე, ოლივიეს ქალიშვილიც ტიროდა, რუსუდან ბოლქვაძეს, რომელიც ჩვენ გვახლდა, სახე ცრემლებით ჰქონდა სველი... ტიროდა ოპერატორიც. აი, რა არის სიყვარული და საქმის კეთება! ოლივიეს ქალიშვილმა იქვე მაჩუქა ხელოვნური ვარდი. არ იცოდა,

**1992 თუ 1993 წელია. ზამთარია, ცივა, ხალხი დაპირისპირებულია. მივედით გადასაღებად. გამოვარდა შეწუხებული ანზორი გარეთ: — რა ვქნა, შუქი არ არისო... ბნელ დარბაზში დგას 60 თუ 80 პატარა ბიჭი, ჩვენ ვდგავართ კამერით და ვერ ვიღებთ. ოპერატორმა გვითხრა, — რა ვქნა, აქედან ისე ვერ წავალთ, რომ ეს არ გადავიღოთო. მოვიძიეთ 3-4 სანთელი, დავაჭერინეთ ბიჭებს და დაიწყეს „მრავალჟამიერი". ეს იყო საოცრება.**

მუშაობის, შექმნის შესაძლებლობას... ჩვენთან ეს არ არის. მიუხედავად ყველაფრისა, ან უნდა მოკვდე და არ იარსებო, როგორც ხელოვანმა, ან არსებულ სისტემაში შეძლო გააკეთო საქმე. საქართველომ იმდენს გაუძლო, იმდენი გადაიტანა, იმდენი დამარცხებიდან ნახა გამოსავალი და გამარჯვებისაკენ სავალი გზა, რომ ყველაფერი აუცილებლად მოწესრიგდება. ეს ოცი წლის წინ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში — „გზა" უკვე ვთქვი.

**— თქვენ ბრძანეთ, ეს ყველაფერი ოჯახიდანაც მოდისო. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ოჯახებს თუ აქვთ იმისი გადატანის სულიერი ძალა, რაც თქვენი მშობლების ოჯახებს ჰქონდათ?**

— აუცილებლად ექნებათ. ჩვენს ოჯახში ვიკრიბებოდით მე და ჩემი კლასელები, უფროსებთან ერთად ვთამაშობდით კარტს. ამ ურთიერთობაში იბადებოდა ყველაფერი. ერთხელ, ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, რომელმაც თამაშისას უკადრისი საქციელი ჩაიდინა, ნოტა მივწერეთ. ჩვენ გვქონდა ის კულტურა, რომელზედაც აღმოცენდება კეთილი, პატიოსანი ურთიერთობა. ყველაფერი წინ მიდის... 150 წლის წინ ამბობდა ილია, ნეტავი ერთი ან ორი ინჟინერი და აგრონომი მოგვცაო... დღეს, ხედავთ, რამდენი კარგი ინჟინერი გვყავს? 650 ათასი იყო ქართველი საქართველოში ერეკლე II-ის დროს, როცა ის რუსეთთან ტრაქტატს წერდა. დღეს ხომ ვართ 4 მილიონნახევარი?! იმ მონობაშიც ხომ გავმ-

როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება.

**— ბედნიერი არ ხართ, რომ თუნდაც ეს გაჭირვება ნახეთ და ამ გაჭირვებაშიც კი არ დაგეკარგეთ სიამაყის შეგრძნება ქართველობის გამო?**

— ცხოვრება ისეთი რამაა, რა უბედურებაც არ უნდა გაიარო, არ შეიძლება ბედნიერი არ იყო. მე ერთს გეტყვით: სკოლის მეგობარი მყავს, რომელიც ჯერ კიდევ მოწაფეობისას საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ახალგაზრდებს შორის. სამწუხაროდ, ავად გახდა და უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გულის სამი ოპერაცია გაიკეთა. ამას მოჰყვა გართულებები, ფუნქციების მოშლა. კიდევ სამი ოპერაცია გაიკეთა სხვადასხვა ორგანოზე. ამასობაში დაბრმავდა. სწორედ ერთი კვირის წინ წავიყვანეთ და გავუკეთეთ თვალის ოპერაცია. მეორე დილას ტელეფონმა დარეკა. ავიღე ყურმილი და მესმის ყვირილი: — ვხედავ! ვხედავ! ეს არის სიცოცხლე. ვეხუმრებით, — გინესის რეკორდების წიგნში უნდა შეგიტანოთ, იმდენი ოპერაცია გაქვს გაკეთებულიო. კიდევ ორი ოპერაცია მჭირდება და მერე შემიტანეთო. ამ მძიმე ცხოვრების შემდეგაც კი ის ბედნიერია, რადგან ხედავს, ცხოვრება განუწყვეტელი სიხარულია, თუ შენ შეგიძლია იხარო, თუ შეგიძლია, რომ დაუპირისპირდე უბედურებას, რომელიც ბედნიერების პარალელურად მოდის, თუ ამის დაძლევა შეგიძლია! ცხენივით რომ გადაახტე ჯებირს, ბედაური უნდა იყო...

**ლელა ჯიყაშვილი**

განსხვავებული ჟურნალი

ძველი და ახალი სიყვარული — გახდება თუ არა ავთო ცქვიტინიძე პაპარაკაშვილის სიძე

რა დროს უთმობს „ნაციონალების" პირველი ნომერი — მაია ნადირაძე ბარემბოის და ქალიშვილს

საოჯახო ალბომი — ფოტოები, რომლებსაც ინგა გრიგოლია მალავდა

ყურადღება! იკითხეთ ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი" ჩვენს ჟურნალში



ორშაბათობით!

ილია გველესიანი

# როცა ანგელოზები მიფრინავენ...

– მამი, ჟირაფს მანახებ?

– განახებ, აბა რა.

– სპილოს?

– სპილოსაც... ქუდი რატომ მოიხადე, გინდა, გაცივდე?

– მამი, კარუსელზე დამსვამ?

– კი, ოღონდ, მარტო არა.

– არა, მამი, ნუ გეშინია, ხელს მაგრად ჩავჭიდებ და არ გადმოვვარდები. დედა მარტო მსვამდა და არ ვვარდებოდი. შენც მარტო დამსვი, რა! იცი რა კარგია?.. ჯერ აღმართზე ადიხარ, ადიხარ და მერე, დუუუ! ძირს ეშვები. თითქოს ციდან მოფრინავ... მართლა, თოვლი რატო არ მოდის, მამი?

– რატო უნდა მოვიდეს თოვლი, აუცილებელია?

– აბა, სიცივე როა, არ უნდა მოვიდეს?

– რა ვიცი. საახალწლოდ თოვლის ბაბუას რა მისწერე?

– მე, შენ და დედა რომ ერთად ვიყოთ...

– კიდევ რა მისწერე?

– კიდე, თოჯინა მომიტანე-მეთქი.

– ნახე, ბატები, ხედავ, როგორი ლამაზი ფრთები და ნისკარტები აქვთ?

– ბატები არ მინდა, ბეჰემოთი მანახე, რა.

– რო არ ვიცი, სად ცხოვრობს?

– აგე, იმ სახლში უნდა შევიდეთ, შევიდეთ, რა.

– შენ რა იცი, იქ რო ცხოვრობს?

– ვიცი, ვიცი! დედამ რომ შემიყვანა, იქ ცხოვრობდა.

– რო არ ჩანს?

– ალბათ, წყალში სძინავს. ფანჯარაზე უნდა მიუკაკუნო და გაიღვიძებს.

– ჰეი, ბეჰემოთო, გაიღვიძე, ნატუკა მოვიდა შენ სანახავად!!!

– ყურები გააპარტყუნა! ნატუკა მოვიდაო რომ უთხარი, გაიგო! მართლა გაიგო, მამი?

– აბა რა! ვერ ხედავ, როგორ ამოიზნიქა წყლიდან?

– რამხელა თავი და თვალები აქვს! ჩვენკენ მოცურავს!.. ხომ არ მიკბენს, მამი?

– რისი გეშინია, მე აქ არა ვარ?

– არ მინდა ბეჰემოთი!

– შეგეშინდა? შენ ხო შვიდი წლისა ხარ...

– კი.

– მერე, შვიდი წლის გოგოს ბეჰემოთის გეშინია?

– არ მეშინია, აღარ მინდა ბეჰემოთთან ყოფნა.

– ახლა საით წავიდეთ?

– აგე, იმ კიბეზე ავიდეთ.

– იმხელა კიბეზე ვერ ავალთ...

– არა, ავალთ. ასე წავიდეთ... აი, მაიმუნი, როგორი ჭრელია! მამა, მამა, მე მართლა მაიმუნს ვგავარ?

– ვინ გითხრა, მაიმუნს გავხარო?!

– შენ არ მეუბნებოდი, ჩემი პატარა მაიმუნი ხარო?

– ეს ისე, გეხუმრებოდი. მაიმუნს კი არა, ანგელოზს გავხარ.

– მე მყავს მფარველი ანგელოზი, მამი?

– აბა რა...

– შენ თუ გყავს?

– მეც მყავს.

– დედასაც ჰყავს?

– ყველას ჰყავს.

– ჩვენ რომ ერთად ვცხოვრობდით, ჩვენი ანგელოზებიც ერთად ცხოვრობდნენ?

– კი, ერთად ცხოვრობდნენ.

– ახლა აღარ ხვდებიან ერთმანეთს?

– ხან ხვდებიან? ხან – არა.

– ჩვენი ანგელოზები ერთმანეთს გაუფრინდნენ?

– რა ვიცი!..

– ეგე, ჟირაფი! რამხელა კისერი აქვს!

– მოიცა, ფეხსაცმელზე თასმა შეგხსნია. დაიცა, ნუ გარბიხარ, წაიქცევი!

– ჩქარა შემიკარი, ჟირაფი უნდა ვნახო!

– დამაცადე, ფეხს ნუ აქნევ!

– ქამარში რა გაქვს, მამი?

– ა, ხელი გაუშვი!

– აუ, რა ცივია!.. თოფია, მამი? ნამდვილი თოფია? მანახე, რა!

– გააჩერე ფეხი!

– შენ რომ არასდროს გქონია თოფი, ახლა საიდან გაქვს, რად გინდა, მამი?

– ისე, სათამაშოდ.

– მამი, ადამიანის მოკვლა შეგიძლია?

– ადამიანის არა, დათვების და ვეფხვების კი.

– მერე, არ გეცოდება?

– მეცოდება, როგორ არ მეცოდება...

– მამიკო, მე შენთან მინდა!..

– ჩემთან არა ხარ?

– მასე არ მინდა. ჩვენთან ერთად რომ ცხოვრობდე, ის მინდა.

– მერე, ვინ მაცხოვრებს თქვენთან ერთად?

– შენ თუ მუშაობას დაიწყებ და ფული გექნება, გაცხოვრებენ.

– დედა რას ამბობს?

– დედა არაფერს. ბებო ამბობს, მაგას მუშაობა არ უნდა, ცოლ-შვილის ღირსი არ არისო.

– მერე სამსახური სად იშოვოსო?

– ეგ არ უთქვამს. შენ რომ წერდი რაღაცებს, რატო აღარ წერ?

– ვის უნდა ჩემი დაწერილი...

– მე მინდა, მამი, დედას ვფიცავარ, მე მინდა! გახსოვს, რამდენ ზღაპრებს და ლექსებს მიყვებოდი?.. ფეხსაცმელი გაგხევია, მამი?

– მერე რა!

– წვიმა რომ მოვიდეს, ფეხი დაგისველდება და გაცივდები. მერე შენ რომ მომიკვდე, მე რაღა ვქნა?

– დედა ხომ გეყოლება?

– დედა მეყოლება, მაგრამ მე მამაც მინდა მყავდეს. დედა გიყვარს, მამი?

– იმას რო არ ვუყვარვარ?..

– შენ თუ გიყვარს, მითხარი, რა?

– რამდენს ლაპარაკობ, ნატუკ, არ დაიღალე?

– არ დავიღალე, მითხარი, რა, დედა თუ გიყვარს? ტირი, მამი? მამი, რატომ ტირი? გინდა მეც ვიტირო?

– არა, არ ვტირი. საიდან მოიგონე, რო ვტირი... იცი, ნატუკ, ყველაზე ძალიან შენ მიყვარხარ, უშენოდ არ შემიძლია...

– არც მე შემიძლია უშენოდ. შენ რომ ეკლესიაში სანთლები მიყიდე, იმას ვანთებ ხოლმე და ღმერთს ვეხვეწები, მე, შენ და დედა ერთად ვიყოთ.

– მამი, ის ვინ არის?

– კლოუნია.

– ჯოხებზე დგას?

– არა, ოჩოფეხებზე.

– ოჩოფეხები რა არი?

– აი ის, რაზეც დგას. ხომ არ გცივა?

– არა.

– ბუშტს მასე ნუ არჭობ თითებს, გასკდება... აჰა, გამომართვი, სამოცი ლარი. დედას მიეცი და რაც შენ გინდა, ის გიყიდოს. ჯიბეში ჩაიდე, არ ამოგივარდეს.

– მამი, დედას იცი, ჩექმების ყიდვა უნდა და ფულს აგროვებს. შეიძლება, ამ ფულიდან ცოტა მივცე?

– როგორ არ შეიძლება! ეგ ფული სულ დედას მიეცი. აი, ეს ორმოცდაათლარიანი შენ გქონდეს...

– შენ რაღა დაგრჩა?

– როგორ არ დამრჩა. აი, რამდენი ხურდა მაქვს.

– საიდან გაქვს, მამი, ამდენი ფული?



– ღმერთმა მომცა.

– მანამდე რატო არ გაძლევდა?

– მანამდე არ მითხოვია და იმიტომ.

– აბა, მანამდე რას სთხოვდი?

– შენი და დედაშენის ჯანმრთელობას... წამო, კარუსელზე დაგსვამ...

– არ მინდა კარუსელზე... შინ მინდა.

– დედა მოგენატრა?

– არა, ფულს მივუტან და, სანამ დაღამდება, ჩექმების ყიდვას მოასწრებს.

ზოოპარკთან სამარშრუტო ტაქსიში ჩასხდნენ. ნატუკა მამის კალთაში მოკალათდა და მკერდზე მიეხუტა. გზა არ იყო გრძელი და დამქანცველი, მაგრამ ბავშვს მაინც ჩაეძინა.

თავისუფლების მოედანზე ჩამოვიდნენ. მერიის შენობას გვერდი აუქციეს, ქვაფენილიან ვიწრო და აღმართიან ქუჩას ნელა აუყვნენ.

ლევანისთვის ყოველთვის გამასავათებელი იყო ეს აღმართ-დაღმართიანი და მისახვევ-მოსახვევებიანი გზა. ახლა კი, უხაროდა კიდეც დაუსრულებელი სიარული. რადგან გვერდით პატარა ნატუკა მიჰყვებოდა, რომელიც ვარდისფერ ბუშტს მხიარულად მიათამაშებდა.

– ე, დედა! ხედავ დედას? სადარბაზოსთან მელოდება!

– აქედან მარტო წახვალ?

– წავალ.

– მოდი, გაკოცო... მართლა, ეს პარკი გამომართვი. კინაღამ დამავიწყდა, აქ შენი საჩუქრებია.

– მამი, მამი!

– რა იყო?!

– შენც წამოდი, რა ჩვენთან!

– არა, ახლა არა, მერე მოვალ...

აღმართის თავში, აივნიანი სახლის სადარბაზოსთან, ნატუკას დედა იდგა. შავი ტყავის ქურთუკი მხრებზე მოეხურა და მომლოდინე თვალებით იცქირებოდა.

ლევანი დაღმართს დაუყვა. სიცარიელე იგრძნო და რაღაც ჩასწყდა გულში. ქუჩის პირას, ლობეშემოვლებულ მშენებარე სახლთან შეჩერდა. ქამრიდან კი არ ამოიღო, ამოიგლიჯა იარაღი და მთელი ძალით მოისროლა. დაცემის ხმა არ გაუგია. ალბათ, ქვიშაში ჩავარდა...

სვეტიცხოვლის ჩუქურთმა
ბადრი ვადაჭკორიას
ფოტოეტიუდი



ვაჟა ხორნაული

## პირველად

მოწყენას მისას როდესაც გრძნობენ,
იქუფრებიან თვალები ნისლით.
თუ გავამსხვრიე განგების ლობე,
პირველად დედის ჭაღარას ვიხსნი.
ფიქრები ღლიან ისედაც დაღლილს,
სამრეკლოსავით ფერმკრთალს და ხნიერს.
თუ დეკემბერშიც აენთო ბაღი
პირველად დედას დავუკრეფ იებს.
დედის მანდილში აპრილი გალობს,
ვით დაფიონი ფხოვეთის მთებში,
თუ უკვდავების ვიპოვე წყარო,
პირველად დედას მივუტან პეშვით.
ნანინას ნამი აკვანზე ელავს,
როგორც რტოებზე ღიმილი ფესვთა.
თუ სივრცეებში შევძელი ფრენა
პირველად დედას ავიყვან მზესთან.

## ლამაზად შეგეწირები

კვირტი ვიყავი დედისა,
როცა შენი ხმა ვცანიო,
დაბადებამდე გიწამე,
გაგიღე გულის კარიო.
ხან მონატრების ცრემლი ხარ,
ხან – უკვდავების წყალიო,
ხან ქვესკნელების შუქი ხარ,
ხან – ზესკნელების ზარიო.
უფლის უბეში ანთიხარ,
როგორ ჩაგაქრობს ქარიო.
არასდროს გაფერმკრთალდება
შენი ელვა და ხმალიო...
ლამაზად შეგეწირები,
ვით მზეს ყვავილის ნამიო.

## ეს მიკვირს

ისევ აქ... ისევ უშენოდ,
გარშემო მწვანე მთებია,
ცხადში მზეს მოუწყენია,
სიზმარში სევდის ხმებია.
შენი სიტყვების ნათება
და ფერი მომნატრებია...
ეს მიკვირს – უსიყვარულოდ
ჯერ როგორ იბადებიან,
ან მერე როგორ ცოცხლობენ,
ან, ბოლოს, როგორ კვდებიან?!

* * *

როგორ გიამბო... რა გითხრა
სიზმრისა, ტკბილზე ტკბილისა:
მწვერვალებს შემოჰფენოდა
შუქი სამოთხის დილისა,
ისმოდა თავდავიწყება
სინათლისა და ჩრდილისა,
სასწაულს ჰგავდა ნამიდან
ამობრწყინება სხივისა,
გული ხარობდა, გალობდა
მაღლა – ღვთის, დაბლა – მღილისა...
როგორ გიამბო... რა გითხრა
სიზმრისა, ტკბილზე ტკბილისა.

თემურ ჩალაბაშვილი

## ჩემო საქართველო

მუდამ სიყვარულის განმადიდებელო,
ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო!
ოშკო და ხახულო, ცრემლით ნაფერებო,
ძუძუს მოწყვეტილო ძმებო ქართველებო.
ზეცად აზიდულო ჯვარო და სამებავ,
გვეყო შვილთა ჩვენთა ულმერთოდ წამება...
მუდამ სათნოების განმადიდებელო,
აღსდექ საქართველო, მართლმადიდებელო!
ო, წმინდა გიორგის ხატებავ ნათელო,
სანთლად ნათელო, სანთლად დანთებულო,
მომავლის ქართველო...
...ესე სიყვარულის განამდიდებელო
– ჩემო საქართველო,
მართლმადიდებელო!..

* * *

ასე ყოფილა სოფელი –
დღე მიდის, წუთი მაკლდება.
სიკვდილიც მოვა ოხერი? –
მოვა და – შამამაკვდება...

* * *

სიცოცხლე ერთი წამია,
გულზე ზღვა ცეცხლის წამლები.
წამი სულ წამში წამივა,
წამო, ნუ გამიწამდები...

## ძველი მოტივებიდან...

ზღვა ხმაურობს; მღელვარება ემატება.
ქარი თავის უმწეობას დასტირის,
მე კი შენი – სიყვარული მენატრება,
მეშინია... რა შორსაა ნაპირი.
ალბათ მალე – გაიღვიძებს განთიადი,
გამიცინებს გემის ლურჯი ანძები,
მახსენდება, გალაკტიონს მიკითხავდი,
დაგვყურებდნენ – ტანმაღალი ნაძვები.
ახლა შორს ხარ, ფიქრი ფიქრებს ემატება,
ზღვა მღელვარებს უკრთის თეთრი ფაფარი,
მე კი შენი გაღიმება მენატრება –
სიყვარულის მწველი თავშესაფარი.

ბაღათერ არაბული

## ქართლი

წივილ-წიაქით
წეროებმა
გადაიწვიმეს
და ქართლის მთებზე
იდუმალი შუქი ციმციმებს...
დუმან ტყეები,
დანისლული დუმან სერები,
ჩუმად უსმენენ
ბულბულების რომანსეროებს...
თითქოს უფალმა
ჩამოჰკიდა ცაზე ჭაღს ჭაღი, –
ზეცის თაღიდან
მაისის მზეს
გააქვს ჩახჩახი...
წივილ-წიაქით
წეროებმა
გადაიწვიმეს
და ქართლის მთებზე
იდუმალი შუქი ციმციმებს...

## ეგვიპტე

ბებერ ეგვიპტეს
ადევს მგლისფერი,
ზეცა იმღვრევა,
და იქუფრება
და ფარაონთა
ეტლების მტვერი
გაქვავებულა ცაში ღრუბლებად...
...ფლოქვებ ქვეშ
ქვიშას
გააქვს წკარუნი
და მიჰკაფავენ
მტრის ჯარს უკლებლივ,
სხვის კარს იცავენ უსახლკარონი
და უმამულო
მამელუქები...
წინ კი...
ათასი შუქი ინთება,
თითქოს სამყარო მოსჩანს აქედან
და ჩვენ ავდივართ პირამიდებზე
იმ გარდასულში გადასახედად.

## მეუღლეს

ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოიხსნეს ნისლი ქედებმაც, –
ვერ მოგიტანე ქართლის მინდვრები,
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად...
ვერც ღამეული მთვარის ნათელი
გამოვამწყვდიე სახლის წყვდიადში
და ვერ აგინთე სანთლად ზამთარიც
თავის სიწმინდით და სიდიადით.
ამოვსებული ტალღების ბორგვით
ვერ დაგიფინე კართან ზეფირი,
ვერ მოგიღალე ირმების ჯოგი,
ვერც ვარსკვლავები, როგორც შეგპირდები...
ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოიხსნეს ნისლი ქედებმაც –
აყვავებული ქართლის მინდვრები
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად...

CMYK



# აკიმი, რომელიც ისევ აკიმია

**ერთხელ მითხრეს: აი ეს ბურთი, ბაბუაშენს თავში უნდა მოარტყაო. იმდენი ვივარჯიშე, ტვინი წავუღე. შესვენების დროსაც მივდიოდი და ბურთს თავში ვურტყამდი. მომაშორეთ ეს აკიმიო, — ფილმში რომ ყვირის, ასე ყვიროდა ცხოვრებაშიც.**

„არაჩვეულებრივმა გამოფენამ“ არაერთი კარგი სახე აჩუქა ქართულ კინოს: აგული და პიპინია ერისთავები, გლაშა თუ პატარა აკიმი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ეპიზოდურ როლში იღებდნენ, ფილმის სული და გული გახდა: აკიმის როლის შემსრულებელი — ჯაბა წულაძე ქართველი მეცნიერის, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელის სერგი წულაძის ვაჟია. ამ ოჯახში ნახა ელდარ შენგელაიამ პატარა, მოუსვენარი, უფრო სწორად, ცელქობისა და ურჩობის განსახიერება — ჯაბა, რომელშიც იმწუთას შეიცნო მომავალი ფილმის პერსონაჟი — აკიმი. ეს იყო პირველი როლი, რომელიც 6 წლის ბიჭმა განასახიერა. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ უკვე 35 წლისაა... აკიმიც გაიზარდა, თუმცა სახეზე ცელქობისა და მოუსვენრობის კვალი დრომ ვერ წაშალა.

— ყველაფერი კარგად მახსოვს, რაც „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გადაღებისას მოხდა, — გვითხრა ჯაბამ, — ბევრს მეუბნებოდნენ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი კამერის წინ, ბევრსაც თვითონ ვაკეთებდი, იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის აკიმის როლი. მაგალითად, ბალიშს რომ ვისვრი, ის ჩემი მოფიქრებულია... და კიდევ სხვა ცელქობაც. ფილმში გადაღებისათვის მე მოვითხოვე მხოლოდ ხუთი კილოგრამი შოკოლადი დათუნია, ხუთი კილოგრამი კოწახურის კარამელი, კოპლებიანი ბურთი და ოცი ცალი გასაბერი ბუშტი.

**— გადაიხადა ბატონმა ელდარმა ეს „ღალა“?**

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, არა მარტო ის დაიხარჯა... მამაჩემს — აგულის — ბევრი ნაყინი უჯდებოდა ჩემი მამობა. დღესაც ვამბობ, აგული-ლორთქიას რვა შვილი ჰყავს... სამი თავისი და ხუთიც ჩვენ — „არაჩვეულებრივი გამოფენის“ შვილები. ხან „შვილოს“ მეძახის, მე მამას ვეძახი და ასე.

**— თქვენი „ძმები“ თუ იცით, სად არიან?**

— ერთი, თორნიკე, მართლა ჩემი ძმაა და საფრანგეთშია, მეორე უცხოეთშია სადღაც. ხუთი წლის წინ ასეთი ამბავი შემემთხვა. მივდიოდი მანქანით და რეიდზე გამაჩერეს. ბევრი ვიძახე, აკიმი ვარ-მეთქი, მაგრამ არ გვაინტერესებს, ვინ ხარო. ბოლოს, ერთი პოლიციელი გამოვიდა და გადამეხვია: — არ გახსოვარ, ბიჭო, შენი უფროსი ძმა ვარ, ცოტნეო. აი, ასე შევხვდით ერთმანეთს დაკარგული „ძმები“.

**— ვასო ჩხაიძე თუ დაგამახსოვრდათ, როგორი იყო ცხოვრებაში?**

— ძალიან გამწარებული იყო ჩემზე. ძველ თბილისში ვილებდით, სანაპიროზე. იქ ვთამაშობდით ბავშვები. ერთხელ მითხრეს: აი ეს ბურთი, ბაბუაშენს თავში უნდა მოარტყაო. იმდენი ვივარჯიშე, ტვინი წავუღე. შესვენების დროსაც მივდიოდი და ბურთს თავში ვურტყამდი. მომაშორეთ ეს აკიმიო, — ფილმში რომ ყვირის, ასე ყვიროდა ცხოვრებაშიც. განათლებული და კულტურული კაცი იყო. იცოდა გერმანული, ინგლისური, ფრანგული... ისე, ჩემი ცოტა ეშინოდა...

**— მოკლედ, აუტანელი ბავშვი იყავით...**

— ახლაც ასეთი ვარ. ვცდილობ, ისე იყოს ყველაფერი, როგორც მინდა. საშინელი ჯიუტი ვარ.

**— კიდევ ვინ დაგამახსოვრათ თავი?**

— პერიმ... მართლა მორცხვი ძაღლი იყო. აი, ძაღლი რომ მეყოლება, აუცილებლად პერის დავარქმევ. ისე, მჩუქნიან ქართულ ნაგაზს...

**— ქართულ ნაგაზს „პერი“ სახელად ნაკლებად მოუხდება...**

— მაშინ მონადირე ძაღლს ვიყიდი და „პერის“ დავარქმევ.

**— კინო გატაცებად არ გექცათ?**

— რა ვიცი... არა... სპორტზე დავდიოდი, ჩოგბურთი მიყვარდა. 14 წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა და პარიზში წავედი, იქ სულ სხვა ცხოვრება დამხვდა. 25 წლისა დავბრუნდი. პარიზიც ჩემია — დედა ხომ ფრანგი მყავს — მადლენ ვერდო, მაგრამ პარიზში ვერ ვჩერდები. გული საქართველოსაკენ მომიწევს.

**— განსაკუთრებით რა გენატრებათ, როცა პარიზში ხართ?**

— აქაური ურთიერთობები. მეგობარს რომ დაურეკავ თბილისში და ეტყვი: — წამო, გუდაურში წავიდეთო, წამოვა, საფრანგეთში კი, ის ჟორჟი თუ ჟოზეფი გეტყვის, — გიჟი ხომ არა ხარო, ალპებში რომ დაპატიჟებ... იქ ყოველი წუთი დაგეგმილი აქვთ.

**— მამათქვენის, სერგი წულაძის შესახებ რას გვეტყვით?**

— ბაბუაჩემი ვასილ წულაძე ჟორდანიას დროს ვაჭრობის მინისტრი იყო. ჟორდანიასთან ერთად წავიდა, ცოლ-შვილი წაიყვანა. მამამ სორბონის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. მერე გადაწყვიტა დაბრუნებულიყო სამშობლოში. მაშინ უკვე ორი შვილი ჰყავდა, ჩამოვიდა, ორიც აქ გავჩნდით. მამა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ ფსიქოლოგიის დარგში. მწერალთა კავშირის წევრი იყო, უნდოდა, რაღაც გაეკეთებინა საქართველოსთვის და „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა ფრანგულად. ამაში პრემიაც მიიღო.

**— ძალიან საამაყოა ასეთი მამის შვილობა...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ პოლიციელი რომ გამაჩერებს და ვეტყვი, აკიმი ვარ-მეთქი, ის უფრო ჭრის... მამა დიდი კაცი იყო. მისი სახელი დავარქვი ჩემს შვილს, 9 თვისაა. ჩემი



და-ძმებიდან ვერავინ გავყევით სამედიცინო განათლებას, ახლა პატარა სერგი, რომელსაც სხვათა შორის, „აკიმ დვას“ ვეძახი, აუცილებლად ბაბუასავით ექიმი გახდება.

**— თქვენ რა პროფესია აირჩიეთ?**

— საფრანგეთში დავამთავრე კეთილმოწყობისა და გამწვანების ფაკულტეტი და კულინარიაც შევისწავლე — რესტორაციის ბიზნესი ჰქვია. რად გინდა? ბევრჯერ ვთხოვე, კეთილმოწყობაში მამუშავეთ-მეთქი, დღემდე პასუხი არ არის...

**— კულინარად გიმუშავიათ?**

— საფრანგეთში ბლინების ბიზნესი მქონდა. ბლინებს აქაც ვაკეთებ. ახლა კი მაქვს წარმოება გაჩერებული, მაგრამ ავამუშავებ.

**— პოპულარული იყო საფრანგეთში თქვენი ბლინები?**

— დიახ, პოპულარული იყო. აქ რომ ჩამოვედი და გავაკეთე, აქაც მოეწონათ.

**— „აკიმი“ აწერია თქვენს მანქანას. ეს სახელი ასე შეგიყვარდათ?**

— ეს ჩემი მეორე სახელი გახდა ოფიციალურად. როცა დოკუმენტებზე ხელს ვაწერ, ახლაც ასე ვწერ: „ჯაბა წულაძე-აკიმი“. კარგი კინო იყო. ახლა მეორე სერიის გადაღება გვინდა. ბაბუა გარდაიცვალა, დავრჩით მე, მამა და ჩემი ძმები. გავყვევი ქანდაკებას... მეც გავიქცევი თეთრი ქვისკენ, ავხტები და დავიძახებ: „მე ამისგან გავაკეთებ...“

**— კარგად მოგიფიქრებიათ...**

— მე და აგულიმ მოვიფიქრეთ. ეგ არის, ელდარი ვერ გამოვიყვანეთ პარლამენტიდან, რომ დავსვათ და გადავაღებინოთ მეორე სერია... იცით, როგორი პოპულარულია „არაჩვეულებრივი გამოფენა“ საფრანგეთში?

**— ფრანგული საზოგადოებისთვის ახლობელია ქართული კინო?**

— ალბათ...

**— „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად წაკითხული გექნებათ...**

— რასაკვირველია. ქართულადაც წავიკითხე ნახევარი.

**— დაბოლოს, ახლა თუ გაქვთ შემოთავაზებები კინოდან?**

— გიო მგელაძეს უნდა, რაღაც სერიალში გადამიღოს, ერთ კლიპშიც გადამიღეს, პოლკოვნიკის როლში. მოკლედ, ისევ ჩავდგი ფეხი გადაღებებში... მე ვამბობ: მზად ვარ, გადამიღეთ-მეთქი.

# დავრწმუნდი, კინოგადაღებები ჩემი საქმე არ იყო...



ქართველები არტისტული ბუნებისანი არიან. ზოგჯერ ისეთ ბავშვს ან მოხუცს ნახავ, იფიქრებ, სცენისთვის არის გაჩენილიო. ეს ნიჭი, სხვათა შორის, არც უცხოელების ყურადღების მიღმა რჩება. ისინი ქართველებზე, როგორც ყველაზე საინტერესო, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ხალხზე, შეყვარებულები ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში...

მსოფლიომ გაიცნო ბევრი ქართული ფილმი, რომელშიც არაპროფესიონალი მსახიობები მონაწილეობენ.

სულითა და გულით შეიყვარა მაყურებელმა „მსახიობი“ ბავშვები... ერთ-ერთი მათგანია **ანა ნიჟარაძე**. ის კინოეკრანებზე ადრეული წლებიდან მოხვდა. მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა „სუფთა დაფა“, „ზოგი ჭირი მარგებელია“. ამ ფილმებში ანა მთავარ როლებს თამაშობს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა ანას ერთი შეხედვითაც იცნობ. მის გარეგნობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. მას სამსახურში, კინო-ფოტოსტუდიაში ვეწვიეთ.



**— რამდენი წლის იყავით, როცა პირველად გადაგიღეს ფილმში?**

— რვა წლის ვიყავი. ნანა ხატისკაცი და თენგიზ მაღალაშვილი იღებდნენ საბავშვო ფილმს რეზო ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით — „მგლის ლეკვები“ და გოგონას როლზე მიმიწვიეს. პატარა ვიყავი და გადაღებების შუალედებში და შესვენებისას თამაში უფრო მომწონდა, ვიდრე გადაღება. თელავში ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივად კარგად ვგრძნობდი თავს...

**— გადაღებაზე ვინ გაგყვათ?**

— დედაჩემი... მგონი ბებიაც...

**— საერთოდ, რამდენ ფილმში ხარ გადაღებული?**

— შვიდ ფილმში. ძნელია დღეს რომელიმე მათგანი გამოვყო, მაგრამ ერთი რამ მახსოვს: გადაღებები თანდათან მოსაბეზრებელი გახდა ჩემთვის და ბოლოს უარიც კი ვთქვი რაიმე როლის თამაშზე.

**— არასოდეს გიფიქრიათ, რომ როლის განსახიერება კარგად გამოგდიოდათ და შეიძლებოდა კარგი მსახიობი დამდგარიყავით?**

— ამაზე არასოდეს ვფიქრობდი. კინო ჩემი ბავშვობის შემადგენელი ნაწილი გახდა, თორემ მსახიობობაზე არასოდეს მიოცნებია. „ზოგი ჭირი მარგებელიას“ გადაღებები ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების ისეთ პერიოდს დაემთხვა, როცა დავრწმუნდი, კინოგადაღებები ჩემი საქმე არ იყო... ისე გამოვიდა, რომ ძალით გადამიღეს...

**— გადაღებების დროს ვის აბრაზებდით?**

— ყველაზე მეტად რეჟისორს. ვმეგობრობდი ოპერატორებთან. რატომღაც ყოველთვის მშვიდი და კარგი ოპერატორები მხვდებოდნენ.

**— კიდევ რა გახსოვთ იმ პერიოდიდან?**

— არაფერი... ეგ ყველაფერი დიდი ხანია დამთავრდა. აღარაფერი მაკავშირებს კინოსთან, ახლა სულ სხვა საქმით ვარ დაკავებული და სხვა რამ მაინტერესებს.

**— როგორი ხასიათი გაქვთ? მამათქვენი — ზურაბ ნიჟარაძე ამბობს, რომ ორივე ქალიშვილი ძალიან დამოუკიდებელი და ძლიერი ხასიათისა ჰყავს.**

— რა ვიცი... მგონი, ყველა ადამიანს უნდა, დამოუკიდებელი იყოს.

**— ყველაზე მეტად რა გაბრაზებთ?**

— ემოციური კი ვარ, მაგრამ შინაგანად რასაც განვიცდი, არასოდეს გამოვხატავ. მოკლედ, მშვიდი ვარ... ამიტომაც გაბრაზებულს ვერასოდეს მნახავთ.

**— დღეს ფოტოხელოვნება იქცა თქვენს პროფესიად...**

— ფოტოგრაფიას ხელი 1999 წელს მოვკიდე. იმდენად შემიყვარდა, რომ დღეს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. მიყვარს გადაღება, რას ვიღებ, ეს ქვეცნობიერად განისაზღვრება ხოლმე.

**— ოჯახის წევრებს თუ იღებთ?**

— ვცდილობ, ყველა გადავიღო.

**— ბატონი ზურა როგორი „ობიექტია“ თქვენთვის?**

— ძალიან საინტერესოა მისი გადაღება, არანაკლებ საინტერესოა მოსმენა. თუ ოდესმე მოვახერხე, გადაღების გარდა ხმასაც ჩავიწერ. მამა ბევრს მუშაობს, მაგრამ როგორც კი მასთან ურთიერთობის სურვილს გამოვხატავ, ყოველთვის მზად არის მოგისმინოს, დაგელაპარაკოს. მამამ ბევრი გვასწავლა მე და ჩემს დას. დავდევდით ხოლმე, ისიც დაუზარებლად გვიხსნიდა ყველაფერს. ხატვაც გვასწავლა... უნდოდა ფერწერას გავყოლოდით, მაგრამ არც ერთი არ გავხდით ფერმწერი. ის თვლიდა, რომ ხელოვნების ეს დარგი ცუდ დღეშია და გვიბიძგებდა, რომ გვეხატა... ვსწავლობდი სამხატვრო აკადემიაში, უნდა გამოვსულიყავი თეატრის მხატვარი, ასე არ მოხდა. მგონი, შევშინდი... რომ ვხედავდი მთელი დღე როგორ შრომობდა, ვიფიქრე, ამდენს ვერასოდეს შევძლებდი, ამიტომ ავირჩიე ფოტოხელოვნება. სიმართლე რომ გითხრათ, დავფრთხი კიდეც და ვარჩიე, ის მეკეთებინა, სადაც ავტორიტეტი არ მეყოლებოდა. თავიდან არ იღებდა მამა სერიოზულად ამას, ახლა უფრო „აღიარა“. ვათვალიერებინებ ჩემს ფოტოებს და კარგი შთაბეჭდილება აქვს.

**— რამდენად ბრძოლისუნარიანი ხართ?**

— არ ვიცი... ზოგჯერ მგონია, ბრძოლისუნარიანი ვარ, ზოგჯერ ვკარგავ წინააღმდეგობის უნარს.

**— როგორც ვიცი, საკმაოდ დიდი შვილი გყავთ.**

— დიახ, 17 წლის. სანდრო იაშვილი ძალიან მგავს, ფოტოებსაც იღებს, ხატავს. გარდა ამისა, სპორტსმენია — მოთხილამურე და ავტომრბოლელი.

**— ორივე საკმაოდ სახიფათოა. არ ნერვიულობთ ხოლმე, როცა მის შეჯიბრს უყურებთ?**

— ძალიან ვღელავ. ბევრი ვიბრძოლე, რომ ავტორბოლისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ისე შეუყვარდა, ველარ დავუშლიდი. ასე რომ, უკან დავდევ. ის მონაწილეობას იღებს შეჯიბრებაში, მე ფოტოებს ვუღებ.

**— შინ ყოფნა და საქმიანობა თუ გიყვართ?**

— ძალიან მიყვარს შინ ყოფნა, მაგრამ თითქმის არ ვარ შინ...

**— როცა შვილიშვილები გეყოლებათ, თუ გადასცემთ რაიმე ტრადიციას რაც ოჯახში გაქვთ?**

— ალბათ გადავცემ მთავარს, რაც მე მასწავლეს — სიცოცხლის სიყვარული და იმისი ერთგულება, რაც ან ვინც გიყვარს.

***გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა***

# სკანვორდი ფრაგმენტებით







1. მის ტერიტორიაზე ადრე კართაგენი იყო
2. სანდრო ბოტიჩელის ნამდვილი გვარი
3. ხელოვნური თმა
4. მოძრავი ცირკი
5. ფრანგი პოეტი და კომპოზ. გილიომ დე ...
6. ფერწერული ტილო ზღვის ხედით
7. [illegible]
8. დონ კიხოტის მეაბჯრე
9. არააშკარა, მალული, საიდუმლო
10. მარილებით მდიდარი წყალი
11. ნოტი
12. მეთევზის სამუშაო იარაღი
13. ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი
14. სპირტიანი სასმელი
15. თურქეთის დედაქალაქი
16. თმის მოსაცილებელი თიხა
17. საარჩევნო ყუთი
18. ღმერთების მამა ეგვიპტურ მითოლოგიაში
19. საჭმელი წვრილად დაჭრილი ხორცისაგან
20. ქვეწარმავალი
21. საცხოვრებელი სადგომი სახლის სხვენზე
22. კოტე დაუშვილი ფილმში „პაპა ...“
23. ხეხილი
24. საბავშვო აღმზრდელობითი დაწესებულება
25. პინოჩეტის ხროვა
26. ღვთისმეტყველი მუსლიმანებში
27. იოგთა სავარჯიშო პოზა
28. რჩეული საზოგადოება
29. ქათამი სამ თვემდე
30. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
31. საბრძოლო მანქანა
32. სამება, სამეული
33. გლადიატორთა სასპარეზო
34. სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება
35. მართლმადიდ. ეკლესიის კოლეგიალ. ორგანო
36. ნიავი
37. იაპონური ავტომობილი
38. იოკო ...
39. წელთაღრიცხვის საწყისი მომენტი
40. პირველი ჯ. ბონდი
41. მაუგლის მეგობარი
42. რაიონი ქუთაისში
43. სამიანი კამათელზე
44. ნოტი
45. ... პუგაჩოვა
46. პორტუგალიელი ფეხბურთელი
47. ნარჩენი სითხე კარაქის ამოყვანის შემდეგ
48. ფრანგი კინომსახიობი
49. მძაფრი, მწვავე სიცივე
50. რომაელი ართემიდა
51. ამერიკელი ასტრონავტი
52. მდინარე და ზღვის უბე იაკუტიაში
53. „ქალი და მამაკაცი“ (ფილმის კომპოზიტ.)
54. იარაღის საწყობი ძველად
55. ფილმი რობინ უილიამსით მთ. როლში
56. ასტრონომიის მფარველი მუზა
57. დროის ძალიან დიდი პერიოდი
58. V საუკუნის ეკლესია მცხეთის მახლობლად

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ძეფირელი; 2. „ფერარი“; 3. ელვა; 4. ძარა; 5. ვია; 6. ებერსი; 7. კარკადე; 8. დო; 9. ელი; 10. ილია; 11. პასკალი; 12. სკალი; 13. ალი; 14. ალა; 15. პაი; 16. დეკა; 17. ლედა; 18. პინო; 19. „პუმა“; 20. ზირა; 21. ცილა; 22. მურადა; 23. რადა; 24. უმა; 25. ტომი; 26. სარი; 27. საკე; 28. სიცხე; 29. ხე; 30. ეკა; 31. არი; 32. რუ; 33. რა; 34. ბრგე; 35. ბრა; 36. ინი; 37. ბელი; 38. გე; 39. იდილია; 40. ძუკუ; 41. ლანდო; 42. ლეონე; 43. რე; 44. ევროპა; 45. მონადირე; 46. მეანაბრე; 47. ნიკე; 48. ვანილი; 49. კოკა; 50. ლია; 51. რელსი; 52. ბუ; 53. არნოლდი; 54. კოდეინი; 55. კირილე; 56. რომი; 57. ტაო; 58. „კიკა“; 59. ცოტნე; 60. აგა; 61. და; 62. კოცონი; 63. დუ; 64. რადიაცია; 65. „ფორმულა“; 66. „გზა“; 67. გალანტერეა; 68. ანოა.
1. ძიძები და აღსაზრდელები; 2. ნიკოლოზ ცისკარიძე; 3. პატარა ბუდა; 4. სოფია კოპოლა; 5. გზა მიეცით რომის გადამრჩენელებს.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანია

# ფრთხილად, ძლიერო ქალებო!..

ბატონი გივი ექიმია და მასთან გართულებულმა ავადმყოფობამ მიმიყვანა. ჩინებული დასტაქარი გამოდგა და ჩემს სატკივარსაც მალე გაუმკლავდა, თანაც მხოლოდ ფიზიკური კი არა, „სულიერი სენისგანაც“ სცადა ჩემი განკურნება და მგონი, ესეც გამოუვიდა..

თუ როგორ — სწორედ ეს მინდა გიამბოთ ახლა...

როცა ტკივილისგან ატირებული (ნერვის ანთება აუტანელ ტანჯვას მაყენებდა), რამდენჯერმე მარტო მივედი სამკურნალო სეანსზე, მოკრძალებით შემომაპარა, — მეუღლე რატომ არ მოგყვება, ძლიერი მეგობრის გვერდით ყოფნა ტკივილს ანახევრებსო!..



ძლიერი კაცის პოვნა დღეს ჩვენში თითქმის შეუძლებელია და ამიტომაა, ბევრი ქალი მარტოხელობას რომ ამჯობინებს-მეთქი. უკმაყოფილოდ გადააქნია თავი: — ალბათ შემოსავალი გაქვს, თავის რჩენა შეგიძლია და ამიტომ გგონია, აღარავინ გჭირდებაო...

— ჟურნალისტი ვარ და შემოსავალი დიდი ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ სხვებთან შედარებით არც საწუწუნოდ მაქვს საქმე, — ვუპასუხე.

წინ დამისვა და მკაცრად მითხრა:

— სხვათა შორის, ნერვის ანთება საწყისი ეტაპია იმ დაავადებებისა — მარტოხელა, იდიოტურად თავდაჯერებულ ქალებს რომ შეეყრებათ ხოლმე — არავინ და არაფერი გვჭირდებაო!.. ძლიერი კაცი სულაც არ არის ის, ვისაც დიდი შემოსავალი და სიმდიდრე აქვს, კაცის ძლიერება სხვა რამეშია, მაგრამ ამას რომ მიხვდე, ანგარებიანი გულით და გონებით კი არა, სიყვარულით და ნდობით უნდა მოეპყრო იმას, ვინც ღმერთმა შენს ნახევრად გააჩინა და გითხრა — „გაუმრთელებელი“ სრულყოფილი და ბედნიერი ვერასოდეს იქნებიო!..“

**— ვერ გავიგე, რას მეუბნებით?**

— ერთხელ გაიარა კაცმა ქალის ჭკუაზე და სამოთხეც დაკარგა, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა... არაა ქალის საქმე პირობების წამოყენება და მმართველობა. უფალმა მას უდიდესი მისია დააკისრა — დედობა... გავა წლები და არავის ემახსოვრები, არავის — შვილების და შვილიშვილების გარდა, ეგ შენი ნაწერიც უმნიშვნელო გახდება და სხვა დანარჩენიც...

ახლა ჩემს ამბავსაც გეტყვი. 45 წლისამ დავანგრიე ოჯახი. ბევრმა გამკიცხა ამის გამო, მაგრამ სხვაგვარად ვერ ვიცხოვრებდი, შელახული თავმოყვარეობა გამანადგურებდა...

მე და ჩემი ყოფილი მეუღლე თანაკლასელები ვართ და ერთმანეთი, მეშვიდე თუ მერვე კლასიდან გვიყვარდა. სტუდენტობაში დავქორწინდით. მე სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი, ის — უნივერსიტეტში. მშობლები გვიწყობდნენ ხელს, უფროსი ბავშვი ბებიებმა გაგვიზარდეს. მართლა ბედნიერები ვიყავით, როგორ ვიფიქრებდი, თუ ამ სიყვარულს რაიმე მოერეოდა...

**— გიღალატათ?**

— მიღალატა სწორედაც, მაგრამ ისე არა, თქვენ რომ გგონიათ, კაცი არაფერ შუაში იყო, ამ მხრივ უპატიოსნესი ადამიანია... ფულში გამცვალა, სიმდიდრეში, რასაც საბოლოოდ არავითარი ღირებულება არ გააჩნია...

მე ექიმად ვმუშაობ, ხედავ... მანანა (ჩემი მეუღლე) ინგლისურს ასწავლიდა სკოლაში, მოსწავლეებსაც კერძოდ ამეცადინებდა და არ გვიჭირდა, არც მოგვშიებია, არც მოგვწყურებია, შვილებსაც ვპატრონობდით, მოხუც მშობლებსაც. მან კი არ იკმარა და როცა საზღვარგარეთ დაიწყეს ქალებმა გასვლა, თავადაც ინდომა ამერიკაში წასვლა: — ენა ვიცი, სამუშაოს შოვნა არ გამიჭირდება და ფულს გამოგიგზავნითო!.. ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ ორი გასათხოვარი ქალიშვილის დედის ბედნიერება სხვა რამეში იყო და ფულზე არ გაიცვლებოდა ოჯახში ყოფნის სიხარული...

ქვა აგდო და თავი შეუშვირა, გააკეთა საბუთები და წავიდა. ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა, მაგრამ ვაი, ისეთ ჩამოსვლას, ველარ ვიცანი საკუთარი ცოლი, ფულის და კომფორტის მონა გამხდარიყო. ჩამოსვლისთანავე რემონტი წამოიწყო, ავეჯის და დიზაინის შეცვლაზე დაიწყო ფიქრი, ჩვენ თითქოს ვერც გვამჩნევდა, მე ხომ დამცინავად მიყურებდა — ვის რად სჭირდება შენი ექიმობა და ქართული ლარი, წამო, ამერიკაში მებაღედ გამუშავებ, თავს კაცად იგრძნობო!..

ხომ იცით, — მადა ჭამაში მოდისო. ჩამოტანილი ფული ისე შემოეხარჯა, სურვილების მეათედიც ვერ აისრულა. ისევ გასამგზავრებლად დაიჭირა თადარიგი და მბრძანებლური კილოთი დამიწყო ლაპარაკი, — მე ფულს გამოგიგზავნი, შენ ამას გააკეთებ, ასე იზამო...

ზიზღი ვიგრძენი იმ ქალისადმი, რომელიც თავდავიწყებით მიყვარდა... ერთ წამში გაქრა სიყვარული...

შენ თუ ამერიკაში წახვალ, იცოდე, ჩვენი ცოლქმრობა დამთავრდა-მეთქი.

ჯერ ეგონა, ვეხუმრებოდი... რომ მიხვდა, სერიოზულად ვეუბნებოდი, ამიყვირდა, უმაქნისი და იდიოტი მიწოდა...

იმ დღესვე დედაჩემთან გადავბარგდი. სხვათა შორის, ორივე შვილი მე გამომყვა — დედა, ვხედავთ, აღარა გვყავს და მამის დაკარგვას ნამდვილად აღარ ვაპირებთო!..

**— მაინც წავიდა მანანა ამერიკაში?**

— წავიდა და სამი წელია აღარ გამოჩენილა. სანამ ეგონა, არასერიოზული იყო ჩემი ნათქვამი, ცდილობდა, ტელეფონით დაკავშირებას, მერე კი... შვილების ბედითაც არ დაინტერესებულა. ძმას უგზავნის ფულს და იმან დაასრულა მისი დაწყებული რემონტი... ვისთვის უნდა, რისთვის?!. ისეა მოწამლული ამერიკით და დოლარებით, ეგ საქართველოში დამბრუნებელი არ არის... ისე გათხოვდა ჩვენი უფროსი ქალიშვილი და ბავშვიც გააჩინა, დედა გვერდით არ ჰყოლია — „არ ეცალა!..“ შეიძლება ასეთი ქალის სიყვარული?!..

**— როგორ ქალს ისურვებდით გვერდით?**

— ისეთს, როგორიც მყავს!.. ჰო, ერთი წლის წინ მეორედ შევქმენი ოჯახი. იცოდა მზიამ, რომ ფუფუნებაში ვერ ვაცხოვრებდი, მხოლოდ პატივისცემა, სიყვარული და თანადგომა შემეძლო... მშვიდი, წყნარი ქალია, თავისი სისუსტეებით, სინაზით, მთლიანად ჩემზე დამოკიდებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება წართმეული აქვს...

ძლიერი ქალი, რომელიც მამაკაცზე ბატონობას ცდილობს, ამაზრზენია და ჭკვიანი კაცი ახლოს არ გაეკარება...

ქალის ძლიერება კი მხოლოდ მითია და ძალიან მალე იმსხვრევა... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და სანამ ერთი თაყვანისმცემელი მაინც დაგიდის დედამიწაზე, ვერ მიხვდე, იქნება, რას გეუბნები, მაგრამ როცა არც ერთი კაცი აღარ შემოგხედავს და ვერ შეგამჩნევს, არც შეგიცოდებს, თორემ აღფრთოვანებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მერე ინანებ...

**— მაგრამ ქალებს ზოგჯერ, მაშინ უკვდებათ ქმრები, როცა ყველაზე მეტად სჭირდებათ მათი თანადგომა...**

— სამაგიეროდ, რჩებათ შვილები, ანუ ის დიდი სიყვარული და სიხარულით შექმნილი მომავალი, რომლის გარეშე ბედნიერება არ არსებობს!..

**— აბა, რა ვქნა ახლა მე?**

— გამოიხედე თვალებში და როცა გული სიყვარულით აგენთება, არც ნერვის ანთება შეგაწუხებს და არც ტვინის!.. ძლიერმა ქალებმა რომ იცოდნენ, რა საბრალოა უკაცოდ ქალი, უარს იტყოდნენ ყველაფერზე და ქმრის მორჩილებას ჩათვლიდნენ ღვთის წყალობად.

...ნამდვილად ჩამაფიქრა გივი ექიმმა და... შემაშინა კიდევაც... რაღა დავმალო და, მამაკაცებთან (მეგობარია, ძმა, თანამშრომელი თუ თაყვანისმცემელი) აბრეშუმივით რბილი და დამთმობი გავხდი... თქვენ წარმოიდგინეთ, გაქრა ხერხმა და ყველა თავისებურად მეფერება და მანებივრებს!..

ასე რომ, ფრთხილად, ძლიერო ქალებო, გაითვალისწინეთ გივი ექიმის რჩევა და თუ გსურთ ადამთან ერთად სამოთხეში დაბრუნება, ზურგი აქციეთ ეშმაკს, რომელსაც ხან ფულის, ხან სიმდიდრის და ხანაც, როგორი სახე აქვს, ვინ იცის...

***ინგა ჯაჯელი***

# ინიციალებიანი პერანგები

მოდაში შემოდის ქალისა და მამაკაცის პერანგების ცნობილ მკერავებთან შეკვეთა; თან შემკვეთები ითხოვენ, პერანგზე მოდელიერის და პატრონის ინიციალები უცხო თვალისთვის მიუწვდომელ ადგილზე ამოქარგონ.

— ყველა გემოვნებიან კლიენტს სურს, საგანგებოდ მისთვის შეკერილი პერანგები ეცვას, თან მონოგრამები სამაჯურებისა და საყელოს შიგა მხარეს ამოქარგონ. ეტყობა, საკუთარი ინიციალები ერთგვარ თავდაჯერებულობას მატებთ და ამბიციებს უკმაყოფილებთ, — ამბობს მსოფლიოში სახელგანთქმული ჰონგ-კონგელი პერანგთმკერავი რივი ჰო.



ინიციალებს შიგა მხარეს იმიტომ უკეთებენ, რომ თვლიან, სახელის თვალში საცემ ადგილზე გამოტანა არ არის საჭირო, რადგან ცნობილი დიზაინერი ინიციალებით კი არა, ნაწარმით უნდა იცნო.

საგულისხმოა, რომ შეკვეთილი პერანგების მოყვარულები თავმდაბლობითაც გამოირჩევიან — თავის ინიციალებს პერანგის ფერის ძაფებით აქარგვინებენ.

გამოხმაურება

# მინდა საქვეყნოდ ვუთხრა, რომ მიყვარს...

**გვწერს მამაკაცი, გვიზიარებს თავის გულისტკივილს და თან გვთხოვს, ეს წერილი ოპერატიულად დავბეჭდოთ.**

„...ძალიან გთხოვთ, ნუ გადამიდებთ ამ პატარა წერილს, რადგან ნათია ერთ ნომერს არ ტოვებს, ისე კითხულობს თქვენს გაზეთს...

მოკლედ აგიხსნით ჩემს გასაჭირს: კარგა ხანია ნათია მიყვარს, არც ის არის ჩემდამი გულგრილი, მაგრამ რაღაც „ბარიერი“ ვერ გადამილახავს. მარტონიც დავრჩენილვართ, მაგრამ სიყვარულის ახსნას ვერაფრით მოვაბი თავი. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ნათიაზე 12 წლით უფროსი ვარ. თავდაპირველად ბავშვად მიმაჩნდა და მეუხერხულებოდა კიდეც მასზე სერიოზულად მეფიქრა. მერე და მერე, შემომეპარა ეს გრძნობა და მივხვდი, უსაზღვროდ მიყვარდა. მეგობრებმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამიმხილეს — ნათიასაც უყვარხარო. უზომოდ გამიხარდა, დაბადების დღეზე თაიგულიც მივართვი, მაგრამ ამის იქით ველარ წავედი. თითქოს ხელფეხი მაქვს შეკრული, ენაც მებმება. როგორც კი მარტო ვრჩებით, სიტყვის თქმაც მიჭირს. პატარა ბიჭივით ვმორცხვობ, არადა 38 წლის გახლავართ. ცოლი არასდროს მყოლია. არ გაგიკვირდეთ და ნამდვილი სიყვარულიც არასდროს გამომიცდია (გატაცებებს თუ არ ჩავთვლით!). ნათია მართლაც საოცარი გოგოა, ისე შემოიჭრა ჩემს გულში, როგორც ქარიშხალი. თურმე ბრაზობს: გიორგის არ ვუყვარვარ, მოვალეობის გამო უნდა ოჯახს მოეკიდოს და ამიტომაც ამომარჩია. არადა უსიყვარულოდ არ გავთხოვდები და არც მოვალეობით შევქმნი ოჯახსო.

ეს ამბავი რომ მომიტანეს, კინაღამ გული გამისკდა. რა ვქნა, როგორ დავარწმუნო ეს გოგო, რომ ძალიან მიყვარს?!

ერთი კვირის წინ გუდაურში წავიდა დასასვენებლად მეგობრებთან ერთად. მინდოდა, სიურპრიზი გამეკეთებინა და გუდაურში მოულოდნელად თავი დამეკრა მისთვის, მაგრამ სამსახურიდან არაფრით არ მომიხერხდა გათავისუფლება. იგი რამდენიმე დღეში ჩამოვა თბილისში და „კვირის პალიტრიდან“ მინდა ვაახლო „საჩუქარი“.

ჩემო ნათია! თავს მირჩევნიხარ და მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ, როდის გავიგონებ შენს ხმას. თურმე ბრაზობ, გიორგი არაფერს მეუბნება, ესე იგი, არ ვუყვარვარო. რას ამბობ, არ მიყვარხარ კი არა, მაბოდებს შენზე. ალბათ, უსაზღვრო გრძნობა მართლაც ორ უკიდურესობას ბადებს: ან ერთიანად აგიჟებს კაცს, ან არადა, ამუნჯებს. მე მეორე „უბედურება“ მჭირს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რადგან მიყვარხარ. იმედი მაქვს, ამ გულახდილობისა და საქვეყნო აღიარებისთვის არ დამტუქსავ. გპირდები, როცა გნახავ, აღარ დავმუნჯდები. კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობ: მიყვარ-ხარ!

***შენი „მუნჯი“ გიორგი“.***

# არ მინდა პრეზიდენტობა, მეწაღეობა მირჩევნია

***ყველა ქართველს პირველობა სურს. პრეზიდენტის სავარძელში რომ ჩასვა, არავინ გეტყვის, რას შვრები, კაცო, ეს რა ჩემი საქმეაო. ბევრი მინახავს, პირველობისთვის თავ-პირს რომ იმტვრევს, მაგრამ ვფიქრობდი, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა სისულელეა-მეთქი, რაშიც ამ გამოკითხვამაც დამარწმუნა. წონიან სავარძელზე და ჩინებზე ბევრი ოცნებობს, მაგრამ პრეზიდენტობა თითქმის არავის სურს.***

**გიორგი (38 წლის):** — ბავშვობაში კოსმონავტობაზე ვოცნებობდი. მერე მივხვდი, ამ საქმეს მაგარი გული და ფსიქიკა სჭირდება. პრეზიდენტობასაც კოსმონავტის გული და ფსიქიკა სჭირდება. სხვანაირად, ამ საქმეზე რომ დათანხმდე, ან გიჟი უნდა იყო, ან თავზეხელაღებული. მეწაღე კაცი ვარ და ვზრუნავ, ხალხმა ფეხშიშველმა არ იაროს. რა თქმა უნდა, არც ჩემი ჯიბე მავიწყდება. ცხოვრება ასეა მოწყობილი და რა ვქნა! ერთი საამქროს მოვლაზე ფიქრი მღლის ხოლმე და მთელი ქვეყნის მოვლას ეხუმრები?!



**მიშა (74 წლის):** — რაღა დროს ჩემი პრეზიდენტობაა, ცალი ფეხი სამარეში მაქვს. ისე, თავის დროზე შეიძლებოდა ამ პოსტზე სახელოვნად მემუშავა. დიდი ტვირთია პრეზიდენტობა, მაგრამ თუ პასუხისმგებლობის გრძნობა გაქვს კაცს, ყველა საქმეს იოლად გაართმევ თავს. თან ყველა სფეროში ჩახედული უნდა იყო, რომ ვინმემ რამე არ მოგატყუოს. ერთგული და ღირსეული ხალხი უნდა გყავდეს გვერდით. ეს აუცილებელია, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, ხალხს ისე აქვს წამხდარი ზნეობა, რომ პატიოსანი და ერთგული კაცი ძნელი მისაგნებია. ხშირად გაჭირვებული კაცი პატიოსნის, ერთგულის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ როგორც კი მომაგრდება, ნამდვილ სახეს აჩენს. კაცის თავში რომ ყველაფერი რიგზე იყოს, არც პრეზიდენტობა იქნება ძნელი და არც მინისტრობა. საქართველოში ზნეობის დეფიციტი უფროა, ვიდრე კადრების. ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები და მეფობაც მართლა ბევრს გამოუვა იოლად, მაგრამ ამ ბოლო დროს განსაკუთრებით შემოვწყერით ღირსებას, რაც მე კარგის ნიშანს არ მაძლევს.

**ნიკა (26 წლის):** — რას მეკითხებით, რა პრეზიდენტობა! ამერიკის პრეზიდენტობა უფრო იოლია, ვიდრე ჩვენი ხალხის მართვა. აქ მართლა ყველას გენერლობა და მეფობა სწყურია. საღამოობით, ბირჟაზე, სხვადასხვა თაობის ხალხი რომ „გაეძრობა“ ხოლმე, ვგიჟდები. ყველა პროფესორია პოლიტიკაში, მაგათ შემხედვარეს, მიკვირს, რად გვინდა ან პარლამენტის არჩევნები, ან პრეზიდენტის ძებნა, ჩვენი ბირჟის თავები ხელისუფლებაში დასვით და წუთში დაალაგებენ ქვეყანას. პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის თეზისები და კონცეფციები ბირჟიდან ბირჟას გადაეცემა. არ გეგონოთ, რომ მართლა ხელისუფლება და პარლამენტი ზრუნავს სახელმწიფოზე. ქვეყანაზე ფიქრით თავი სწორედ ბირჟაზე უსკდებათ. ზოგჯერ, მაგათ რომ ვუსმენ, მგონია, ან ხელისუფლებაში სხედან გიჟები, თვითმარქვია ქვეყნის მამები, ან კიდევ ბირჟაზე დგანან „აღმაშენებლები“. ისე, ერთი რამ არის საინტერესო, როცა ბირჟაზე პოლიტიკოსობენ, არავინ ამბობს — მე რომ პრეზიდენტი ვიყოო, ყველა ასე იწყებს — მე რომ მინისტრი, ან მე რომ პარლამენტარი ვიყოო. ეს მაიმედებს, რომ ბირჟაზე გიჟები არ დგანან.

**ლუკა (31 წლის):** — რაც მინდა ვიყო, ვარ კიდეც. ჩემი „პაწა“ საქმე მაბარია, კაი გასამრჯელო მაქვს და ღამე მშვიდად მძინავს. არც პრეზიდენტობა მინდა, არც მინისტრობა. როცა მინისტრებს ვუყურებ ეკრანზე, ვფიქრობ, — ვაიმე ბიჭებო, რა დროს დაგატყდათ თავს უბედურება-მეთქი.

***ეკა ლომიძე***

CMYK

**ერთმა ქალბატონმა ქაღალდზე გადმოტანილი დღეს უკვე ასეთი პოპულარული „მესიჯური დიალოგები" გადმომცა: წაიკითხეთ და ნახეთ, როგორ უყვარს ერთმანეთი ამ ორ ადამიანს. მიუხედავად დაშორებისა, ბედმა მაინც გადაკვეთა მათი გზებიო...**

**მეც უკომენტაროდ გთავაზობთ ამ დიალოგებს.**

**3.I.2004წ. კაცი:** — მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...

**ქალი:** — რაც გადის დრო და ხანი?.. სიტყვებს ჰაერში ნუ ისვრი, რა! ახლა ყველაფერი გვიანია.

4.I. **კაცი:** — მიყვარხარ და მეტი არაფერი!

**ქალი:** — სად ხარ?

— სამსახურში და მაგარი მთვრალი ვარ.

— რატომ დალიე ამდენი?

— იმიტომ, რომ სიკვდილი მომინდა. მიყვარხარ ძალიან... შენგანაც მინდა ამის გაგონება. ნუთუ ასე გიჭირს თქმა?.. ვიცი, რომ აღარაფერი შეიცვლება, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, ამქვეყნად რომ არსებობ.

**8.I. კაცი:** — გამარჯობა, ჩემო სიყვარულო. როგორ ხარ?

**ქალი:** — კარგად. სად დაიკარგე?

— შინ ვარ. სიცხე მაქვს. მენატრები.

— კიდევ ხომ არ აბოდებ ჩემს სახელს?

— ნუ დამცინი... ზოგჯერ საშინელი ქალი ხარ, როგორ გიძლებენ?

— ვინც ვერ მიძლებს, ის მიდის...

**9.I. კაცი:** — შენ ხარ ეგოისტი, რომელიც მაინც ძალიან მიყვარს და... მეტი არაფერი.

**ქალი:** — ნეტავ, როდის მოგთხოვე სხვა რამე, რომ აგიჩემებია, მეტი არაფერიო?.. აღარ დამირეკო, აღარც მესიჯი გამომიგზავნო.

— რატომ გაწიწმატდი, რა დაგიშავე?

— ...

**10.I. კაცი:** — არ გადაგიარა გაწიწმატებამ?

**ქალი:** — რა გინდა, თავი დამანებე.

— ვერ ამოგიგდე გულიდან. ვერ გივიწყებ და რა ვქნა? მიყვარხარ და მეტი არაფერი-მეთქი.

— როცა სიყვარულს მეფიცები, როგორ ფიქრობ, ნანასთან მართალი ხარ?

— ნანასთან არა, მაგრამ შენთან ცამდე მართალი ვარ.

14.I. **კაცი:** — ძალიან მომენატრე, ჩემო სიყვარულო, ხმა გამეცი, თუ გინდა, მეჩხუბე. როგორ ხარ?

**ქალი:** — დღეს ძალიან მიჭირს, ამიტომ შენთან ადამიანური საუბარი მინდა, ოღონდ გთხოვ, კვლავაც ემოციებს ნუ გადმოაფრქვევ.

— ჩემი ემოციები გულწრფელია... იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ, ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

— უკვე შეიყვარე ჩემსავით ვინმე?

— შენსავით ჯერ არავინ მყვარებია.

— მერე, სად იყავი აქამდე?

— მინდოდა შენი დავიწყება. უკვე მეგონა, სამუდამოდ მივაძინე-მეთქი, მაგრამ გაიღვიძა ამ გრძნობამ და ველარაფერს ვშველი.

— უაზროა ეს ლაპარაკი.

— ვიცი, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა გაიგო სიმართლე?

— არ უნდა დაგძინებოდა ამდენი ხნით.

— უცებ გათხოვდი და რა მექნა?

— არც არაფერი!

15.I **კაცი:** — ნეტავ, სულ ეგეთი საყვარელი იყო, როგორიც გუშინ იყავი...

**ქალი:** — როცა ნორმალურად იქცევი, გიჟი ხომ არ ვარ, გეჩხუბო?

— მიყვარხარ!

— ისევ დაიწყე? გეყოფა. ბავშვები არა ვართ.

— ჰო, მაშინ ბავშვი ვიყავი, პატარა ბიჭი, როცა გატაცებით შემიყვარდი. მას მერე 18 წელი გავიდა და ბევრი რამ ვნახე. ბევრის მნახველი კაცის სიყვარული კი ბავშვის სიყვარულზე ასჯერ ძლიერია.

17.I. **კაცი:** — როგორ ხარ, სიცოცხლე, მომენატრე!

**ქალი:** — ვერ მოგატყუებ — ცუდად. ზოგჯერ ძალიან მინდა შენი მოსმენა... სად იყავი ეს ორი დღე?

— სოფელში წავედი ბავშვის ჩამოსაყვანად. გამოუფხიზლებლად ვსვამდი და გამუდმებით შენზე ვფიქრობდი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაშინ რომ ხელი არ გეკრა ჩემთვის.

— წარსულზე ლაპარაკი აღარ ღირს.

— ჰო, მაგრამ იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ.

— ერთხელ მითხარი, ვინც მიყვარდა, ყველა დავკარგე, შენი ჩათვლით, ამიტომ ამ სიტყვის თქმის მეშინიაო. ახლა რომ მეუბნები, არ გეშინია, რომ ისევ დამკარგო?

— ძალიან მეშინია და ამიტომაც — მიყვარხარ და მეტი არაფერი.

18.I. **კაცი:** — როგორ ხარ, ჩემო სიყვარულო?

**ქალი:** — ნუ ამბობ ასე, ჩვეულებრივად მომიკითხე ხოლმე.

— ჰო, კარგი, ნუ მიბრაზდები. ისე, ნუთუ არ შეიძლება ყველაფერს მივაფურთხოთ და აქედან შორს გავიქცეთ?

— მე ხომ გაგაფრთხილე, ასე ნუ მელაპარაკები-მეთქი?

— მიყვარხარ და... მეტი არაფერი, ეგ ხომ მოგწონს?

— ხან მომწონს, ხან — არა!

19.I. **კაცი:** — გილოცავ ნათლისღებას, ჩემო! ბედნიერი იყავი მუდამ. მომენატრე. არ შეიძლება, რომ გნახო?

**ქალი:** — მგონი, არ ღირს. ასეთი ურთიერთობა უფრო მომწონს. ხომ მითხარი, მიყვარხარ და მეტი არაფერიო? რა გჭირს?

— შენი სიყვარული... გუშინ მესიზმრე. ვითომ ცაში დაფრინავდი და დამცინოდი... მიყვარხარ!

— რაღა დროის შენი სიყვარულია, საცაა, მამამთილი გახდები.

— ჯერ ერთი, ახალგაზრდა მამამთილებიც არსებობენ და ეს სირცხვილი სულაც არ არის, მეორეც — გოეთემ 80 წლისამ გააფრინა და დიდი ამბავი, მე თუ 40 წლისამ გავაფრინე. ზოგჯერ, დამრიგებელი მგონიხარ ხოლმე.

— ჰო, შენი დამრიგებელი ვარ, ამიტომაც გეუბნები — ჭკვიანად იყავი და ნუ ცელქობ!

26.I **კაცი:** — რატომ არ მეხმიანები, გაბრაზებული ხომ არ ხარ ჩემზე? ზოგჯერ ვიბნევი, ისეთ რამეზე მიბრაზდები.

**ქალი:** — გადავწყვიტე, აღარაფერზე გაგიბრაზდე, ისედაც ბევრი გამოიარე.

— გთხოვ, ნუ შემიცოდებ. არ მინდა, გებრალებოდე... სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და რა ვქნა?

— არც არაფერი. ადრე უნდა გადაგედგა ის ნაბიჯი, რაც კაცს შეშვენის. ახლა კი გვიანია.

— ადრე, ჩხუბის დროს მითხარი, რომ გეჯავრებოდი, მეც გავბრაზდი. რა უნდა მექნა, ძალით წამეყვანე?

— თუნდაც!

— რაო, რაო? ეს რა მესმის შენგან?! ესე იგი, შენც ნანობ, რომ არ გამომყევი ცოლად, არა?



# უკომენტაროდ

## მიყვარხარ და მეტი არაფერი...

—...

27.I. **კაცი:** — სად ხარ, სიცოცხლე, გამაგონე შენი ხმა, ან დამიმესიჯე.

**ქალი:** — შენ თვითონ სად ხარ, სამსახურში?

— ჰო, მორიგე ვარ დილამდე.

— გამოიცვალე, რა სამსახური. ახალი მთავრობა მოვიდა და იმედია, დააფასებს შენს ღვაწლს და დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

— მაგაზე ვიზრუნებ, ჩემო სიცოცხლე!

28.I. **კაცი:** — დილა მშვიდობისა, ჩემო, როგორ გეძინა?

**ქალი:** — მე კი მეძინა, მაგრამ შენ მენანები, რომ ვიცი, მთელი ღამე არ გიძინია.

— ვაშაა! მგონი, ისევ გიყვარვარ, რადგან ეგ გაწუხებს. აქამდე არც ერთ ქალს არ უფიქრია ამაზე.

— რაო, რაო? მაინც რამდენი გყავდა?

— ალბათ ბევრი, მაგრამ ერთადერთი მხოლოდ შენ ხარ. ჩემთვის ევერესტი ხარ.

— ევერესტის მერე კილიმანჯარო ან შხარა მოგინდება. ხომ ასეა?

— ალპინისტი არ ვარ, მაგრამ ჩემთვის ევერესტია ყველაზე საოცნებო მწვერვალი.

6.II. **კაცი:** — ვცდილობ, რომ დაგივიწყო, მაგრამ არაფერი გამომდის.

**ქალი:** — თუ გინდა და წვალობ, მე დაგეხმარები დავიწყებაში. ერთხელ დარეკავ, ორჯერ... მერე მესიჯებს გამოგზავნი, მე აღარ შეგეხმიანები და შენც ნელ-ნელა დამივიწყებ.

— ფიქრში მაინც ვერავინ შემიშლის ხელს. განა ოცნების უფლებაც არ მაქვს? შენ ალბათ ჩემი წერა ხარ.

— ვერ გავიგე, მემუქრები?

— არა, ჩემო. ვერ გიცილებ გულიდან. ჩემი თავი მეზიზღება.

— რატომ გეზიზღება შენი თავი, ფიქრში რომ ღალატობ ნანას, იმიტომ?

— იმიტომ მეზიზღება, რომ შენ სხვისი ცოლი გაგხადე და ახლაც სუსტი ვარ.

9.II. **კაცი:** — რატომ არ მპასუხობ? მესიჯი გირჩევნია? კარგი, ასე იყოს, ოღონდ, თბილი სიტყვა მითხარი.

—...

— რატომ მებუტები? რაღაც მაინც მომწერე, თუ გინდა, მეჩხუბე.

—...

— ნუთუ სულ არ მოგენატრე? კაცის ცრემლები გინახავს? ტირილამდე მენატრები.

**ქალი:** — გეხვეწები, გაჩერდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ოჯახში როგორ ხართ?

— ყველაფერი ძველებურადაა. ერთია სიახლე. მგონი, ჩემი ბიჭი შეყვარებულია.

— მამასავით?

— არა, მაგდენს ჯერ ვერ შეძლებს, მასეთი სიყვარულისთვის პატარაა და მენანება კიდეც.

— გამოგიტყდა?

— არა, პირდაპირ ვერ მითხრა. მე შევატყვე და დავუწყე: — ნუ გაიწვალებ თავს, ცოდო ხარ, გალაღდი და გაიხარე, არ გინდა გრძნობებში გადავარდნა-მეთქი.

— რატომ არიგებ ასე? დაე, უყვარდეს! რას ნიშნავს, გალაღდი და გაიხარე? განა, შეიძლება გულს უბრძანო: ახლა ნუ შეიყვარებ, მერე შეიყვარე, ოღონდ ზედმეტი არ მოგივიდესო? მე ჩემს შვილს ამას არ ვეტყვი.

— სწორად გამიგე. უბრალოდ, არ მინდა ჩემს შვილსაც ის დაემართოს, რაც მამამისს დაემართა ერთი ქალის გამო.

16.II. **კაცი:** — გამარჯობა, ჩემო სიცოცხლე. მოგვიანებით გილოცავ ვალენტინობას. სიყვარულით გეცხოვროს მუდამ.

**ქალი:** — რატომ გუშინწინ არ მომილოცე? მართალი გითხრა, გამიკვირდა.

— ორი დღეა ვსვამ. ჩემთვის ძალიან ძნელია უშენობა. მინდოდა იმ დღეს მე ვყოფილიყავი შენ გვერდით...

— არ დალიე ჩემი სადღეგრძლო?

— როგორ ფიქრობ, არ დავლევდი? ფხიზელს მაბოდებს შენი სახელი და მთვრალს რა მომივიდოდა? გეხვეწები, მითხარი, რომ გიყვარვარ, მე მეტი არაფერი მინდა შენგან.

— ისევ გარეკე?

— ჰო, გავრეკე... მითხარი რამე, თორემ გადავირევი, ან წყალში გადავხტები და თავს დავიხრჩობ, მანამდე კი ხალხს ვეტყვი, რომ შენი ბრალია. გაიგე, ჩემო?

— ასეთ რამეებს ნუ მეუბნები. შენი უიღბლობა მე უნდა დამაბრალო?

3.III. **კაცი:** — გილოცავ დღევანდელ დღეს, ბედნიერი დედა იყავი, ჩემო. არასოდეს მენახო ცრემლიანი და დარდიანი.

8.III. **კაცი:** — გილოცავ 8 მარტს. მუდამ გახარებული მენახე. გულის მოწურვამდე მიყვარხარ და მენატრები უსაშველოდ. კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო.

**ქალი:** — მადლობა მოლოცვისთვის.

9.III. **კაცი:** — გადავწყვიტე, აღარ აგაფორიაქო. მაგრამ იცოდე, ქვეყანა რომ დაინგრეს, ცა ჩამოიქცეს, შენს სიყვარულს ვერ ამოვიგდებ გულიდან. ნება მომეცი, როცა გაუსაძლისი გახდება უშენობა, მხოლოდ მაშინ შეგეხმიანო და გითხრა ის, რასაც განვიცდი... გეფერები შორიდან.

***მარინა ბაბუნაშვილი***

გამოხმაურება

# კაცებო, პატარა ქალებს დიდი სიყვარული შეუძლიათ!



„ამ წერილის დაწერა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა („იცოდე, მაინც დამარცხდები") გადამაწყვეტინა. ჩემი და ანის ამბავი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ოღონდ განსხვავება ერთშია — ჩემი და ჩემთვის სასურველი ადამიანის ურთიერთობა ცუდად დასრულდა...

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით. ის აღფრთოვანებული მიყურებდა, იყო ქათინაურები, თბილი მზერა, მაგრამ იყო ერთიც — ის დიდი იყო, მე — პატარა.

სამი თვის შემდეგ კვლავ შევხვდით და ჩემი ცხოვრებაც უცებ გაივსო სიხარულითა და სიყვარულით. მისგან მესმოდა მხოლოდ ეს სიტყვები: „შენსავით არავინ მყვარებია", „შენ არავის ჰგავხარ", „სიკვდილამდე მხოლოდ შენ მეყვარები" და ა.შ. მეც დავიჯერე.

იყო უამრავი ლამაზი საღამო, იყო გაბუტვაც და ტკბილი შერიგებაც, მაგრამ ჩემს ცხოვრებაშიც დადგა „ოხ, ეს 18 წელი!"

„ლელა, შენ პატარა ხარ, ცხოვრება წინა გაქვს, შეხვდები შენი ასაკის ადამიანს, რომელიც გაგაბედნიერებს. მე ძალიან დიდი ვარ შენთვის. შენ უფრო მეტს იმსახურებ", — გამომიცხადა მან ერთ მშვენიერ საღამოს, გამომიცხადა მაშინ, როცა მე უკვე მის გარეშე სიცოცხლე არ მინდოდა. გული დამიმძიმდა, აღარაფერი მახარებდა, თუმცა მაინც მეიმედებოდა, რომ ასე არ გაგრძელდებოდა დიდხანს. გავიდა ცოტა ხანი და მან წინანდელზე უფრო საშინელი რამ გამომიცხადა: „ცოლს ვირთავ... როცა ჩემი ხნისა გახდები, მიხვდები, რატომაც მოვიქეცი ასე. შენ ახლა უსინდისო გგონივარ. ოდესმე შეეჩვევი რეალობას და აღარ გამამტყუნებ".

ალბათ სიკვდილს უფრო მშვიდად შევხვდებოდი, ვიდრე მის ამ გადაწყვეტილებას... რამდენჯერმე ვცადე ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ უშედეგოდ.

ასე დამინგრია ასაკობრივმა სხვაობამ ბედნიერება. დღეს მას მშვენიერი ოჯახი ჰყავს, მე კი... ალბათ დრო გავა, მეც როგორმე მოვერევი ამ ტკივილს, თუმცა ახლა ძალიან მიჭირს უმისობა.

მინდა ანის და მის რჩეულს ვუთხრა: ნუ შეშინდებით, ცხოვრება მშვენიერია, როცა ასე ძალიან გიყვართ ერთმანეთი!

*პატივისცემით თქვენი მუდმივი მკითხველი ლ.ბ."*

# სკოლაში უნდა განათლდეს ბავშვი და არა გაირყვნას!

**ამბობენ, სკოლებში აპირებენ შემოიღონ საგანი სექსუალური სწავლების შესახებო, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ორიოდე დღის წინ ერთ ოჯახში ამის გამო ისეთ აყალმაყალს შევესწარი, რომ ცოტა შემეშინდა კიდეც — ამ კეთილშობილმა ხალხმა ერთმანეთი არ დახოცონ-მეთქი. მოკლედ, ერთი ქალბატონი თავს იკლავდა, ეს საგანი სკოლაში უნდა ისწავლებოდესო, მეორე კი სასტიკი წინააღმდეგი იყო...**

**თამარი (40 წლის):** — სტუდენტებს ასწავლონ, რაც უნდათ, მაგრამ დაანებონ ბავშვებს თავი. სკოლაში უნდა განათლდეს ბავშვი და არა გაირყვნას. რა უნდა ასწავლოთ ზნეობაჩამოუყალიბებელ ბავშვებს, — რა არის სექსი? ნუთუ არ შეიძლება მათ სულს, ცნობიერებას ამაღლებული თემები მივაწოდოთ?



**ნანა (36 წლის):** — აჯობებდა, ტელეკომპანიებისთვის აეკრძალათ უხამსი ფილმების ჩვენება ისეთ დროს, როცა პატარები ეკრანთან სხედან. ან კიდევ მშობლებმა შეიგნონ და შვილებს ტელევიზორებს ნუ „მიაშვილებენ", წიგნი შეაყვარონ, რაც მოზარდს განავითარებს, რომანტიკულს და ფაქიზს გახდის, ნუ აყურებინებენ ამდენ უნიჭო და უზნეო სერიალებს, სადაც არც დედმამიშვილობა იციან და არც ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილობა. აკრძალონ ნახევრად პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა, ნუ იქნება ამდენი მეძავი გამოფენილი ქუჩებში და ბავშვებსაც აღარ გაუჩნდებათ ასაკისთვის შეუფერებელი კითხვები, არც ვინმეს მოაფიქრდება მათი სექსუალურად განათლება.

**ქეთი (28 წლის):** — ასწავლონ სკოლაში, რა არის სექსი. რა, ამით ქვეყანა დაიქცევა? ისედაც ყველაფერი იციან ბავშვებმა და ხომ სჯობს, მათ აზროვნებას სწორი მიმართულება მისცეს პროფესიონალმა პედაგოგმა. მთავარია, სახელმძღვანელოები მათი ასაკისთვის შესაფერისად იყოს დამუშავებული.

**ლიკა (32 წლის):** — ბავშვებს თუ დაასაქმებთ ასაკის შესაფერისად, დრო აღარ დარჩებათ სისულელეებზე ფიქრისთვის. მათ კი არა, მე და ჩემი მეუღლე ზოგჯერ ისე ვართ დატვირთული საქმით, რომ ერთმანეთიც კი არ გვახსენდება, არათუ სექსი. რისთვის არსებობს საქმე? იმისთვის, რომ ადამიანი არ დაჩლუნგდეს, არ გადაგვარდეს. დაასაქმეთ შვილები, მოუწოდეთ მათ სწავლისაკენ. მიაწოდეთ საინტერესო და გასართობი მასალა და მიხვდებით, რომ ისინი ჯერ არ მომწიფებულან სექსუალური ცოდნის მისაღებად.

**ნატა (34 წლის):** — აჯობებს მშობელთა კურსები შეიქმნას და ისინი მოამზადონ და გაანათლონ სექსოლოგებმა, ბავშვს რაც არ უნდა ასწავლო, მაინც ვერაფერს გაიგებს და მიმბაძველობის და ყველაფრის გასინჯვის სურვილით შეიძლება სავალალო შედეგები მივიღოთ.

***ეკა ლომიძე***

# ნუ დავემსგავსებით უგუნურ თაგუნას



*საქართველოს ისტორიაში პირველად (ვიმედოვნებთ, რომ უკანასკნელადაც) მოხდა, რომ ხუთი თვის განმავლობაში სამჯერ ჩავატარეთ არჩევნები და ალბათ არასდროს ისეთი დაძაბული პოლიტიკური რიტმით არ უცხოვრია მთელ ქვეყანას, როგორც ამ პერიოდში. ფიქრის, განსჯის და ყოყმანის მორევში ვტრიალებთ ჯერაც და თუ საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ პიროვნებებს დავუჯერებთ, დაძაბული ცხოვრების რიტმი კიდევ კარგა ხანს გასტანს, მანამ, ვიდრე ქვეყნის ხელისუფლება და საზოგადოება ერთობლივად არ შეეცდებიან მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას.*

*ერთმანეთის მოსმენას და ინტერესების გათვალისწინებას თუ არ ვისწავლით, არაფერი გამოგვივა, სხვაგვარად სიმღერაც კი შეუძლებელია და ვერც ცხოვრებას შევძლებთ — ასეთია ქალბატონ* ***მაია დათუნაშვილის*** *აზრი.*

— ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდება, რომ უფრო მეტს ვფიქრობ საზოგადოდ ჩემს ქვეყანაზე და მის მომავალზე, ვიდრე საკუთარ თავზე ან თუნდაც ოჯახსა და ახლობლებზე. ასევეა დღეს ბევრი ადამიანი, ე.ი. საზოგადოება მომწიფებულია რაღაც არჩევანის გასაკეთებლად. ეს კარგია, მაგრამ პოლიტიკური მოვლენების გამო ყველანი ისე ვართ დაზაფრულები, რომ ვშიშობ, ამან არ გვავნოს. ხომ არსებობს ქვეყნები, სადაც სახელმწიფოებრივი მართვის სისტემებს აღებული აქვთ საჭირო კურსი და საუკუნეთა მანძილზე საქესთან მხოლოდ მოვალეობის შესასრულებლად დგებიან მმართველები. არ შეიძლება ჩვენთანაც ასე იყოს?

— **ალბათ ასეთი აწყობილი სისტემა ჯერ არ ან ვერ დავიმსახურეთ. ამბობენ, ეს იმის ბრალია, რომ პოლიტიკური კულტურის ისტორია არა გვაქვსო.**

— ეგ ჭკვიანი კაცის ნათქვამი არ მგონია. არც ჩვენი მოყვარე იტყოდა მაგას. ჯერ ერთი, ყველაფერი საკმარისად გვაქვს. მეორეც, რა პოლიტიკური კულტურა და ისტორია სჭირდება იმას, რომ ქვეყანაში, სადაც ვიბადებით, ვიზრდებით და საზოგადოებას ვემსახურებით, ხელისუფლებამ მოახერხოს და თავის მოქალაქეებს შეუქმნას ადამიანურად ცხოვრების გარანტიები, სიცოცხლის ბოლომდე მშვიდად ცხოვრების პირობები. ძალიან მაღელვებს ისიც, რომ დღეს პოლიტიკოსები რელიგიურ თემას საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. თუ არსებობს რელიგიური პრობლემები, იგი არ უნდა განიხილებოდეს მარტივად ვიღაცის წინასაარჩევნო პროგრამის დონეზე, გლობალიზაციის პირობებში ამ საკითხზე ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ამ პროცესებში რელიგიური თემა ისეთივე დიდი მნიშვნელობისაა, როგორიც ეთნიკური თვითმყოფადობა. ამ საკითხებზე ღრმად უნდა დავფიქრდეთ, თორემ ჩვენშიც მომრავლდებიან ისეთი ნიჰილისტები, ვინც ქართულ ენას ქილიკით ეძახის თავანკარას, ვისთვისაც რელიგია, სჯული მხოლოდ სიტყვებია და არა ის ძირითადი სახსარი, რამაც იხსნა ჩვენი ერი. ღმერთმა დაგვიფაროს, ასე თუ გაგრძელდა, რობოტებს დავემსგავსებით და ასეთ საზოგადოებაში ცხოვრების სურვილი არ მექნება.

— **დღეს საქართველოში ზოგიერთს გლობალიზაცია, კოსმოპოლიტიზმი ისე ესმის, როგორც ცხოვრება ეროვნების გარეშე.**

— კოსმოპოლიტიზმი, პირველ რიგში, გულისხმობს პატრიოტიზმს, საკუთარი სამშობლოს უზომო სიყვარულს და უდიდეს კეთილგანწყობას დანარჩენი ერების მიმართ. ვინც არ ცნობს სამშობლოს და ეროვნებას, ის კოსმოპოლიტი კი არა, რაღაც ისეთი გაუგებრობაა, რაშიც ღმერთის ხელი არ ურევია. ვინ თქვა, ეროვნულ, ინდივიდუალურ კულტურას, ისტორიას მნიშვნელობა არა აქვსო? თუ ასეა, მაშინ რატომ უფრთხილდებიან იუნესკო და სხვა ორგანიზაციები ჩვენს სვეტიცხოველს, გელათს, ვარძიას, ჩვენს ფრესკებს, ხალხურ სიმღერებს და ცეკვებს? იმიტომ, რომ ის თავისთავადი და განუმეორებელია. თუ ჩვენი სწრაფვაც აქეთკენ იქნება კვლავაც მიმართული, საოცრებებს შევძლებთ. ნახავთ, როგორ გაგვიფრთხილდება მთელი მსოფლიო. ნუ დავემსგავსებით უგუნურ თაგუნას.

— **ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, ხშირად მესმის მწარე ხუმრობა, ნეტავ ამ ზაფხულს აჭარის სანაპიროზე დავისვენებთო?**

— მართლა მწარე ხუმრობაა. ჩემს ოჯახს გაგრაში ჰქონდა სახლი, სადაც უკვე 13 წელია არ ვყოფილვარ და ვიცი, რას ნიშნავს ტკივილი იმის გამო, რომ შენს სახლში ვერ მიდიხარ. ვერ წარმომიდგენია, რომ ბათუმსა და ქობულეთში ვერ ჩავიდე. არა, ეს არ მოხდება! მჯერა ადამიანური ურთიერთობების სიძლიერისა, რომელიც მავანთა პირად ინტერესებზე მაღალი აღმოჩნდება. მჯერა, პრობლემის მოგვარებისას გათვალისწინებული იქნება არა კონკრეტული პერსონების ინტერესები, არამედ ის, თუ რა სურს ჩვენს ხალხს, ვის სახელსაც როცა უნდათ, მშვენივრად იყენებს ყველა. მჯერა, აჭარის თემა არ გართულდება. თუ ჟურნალისტთა ერთი ნაწილი თავისი არაეთიკურობით არ დაამძიმებს სიტუაციას, ზაფხულში მშვენივრად დავისვენებთ აჭარის ზღვის სანაპიროზე.

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ვუყურებ ხოლმე მიკროფონებ და დიქტოფონმომარჯვებულ გულამოვარდნილ ახალგაზრდებს და ასე მგონია, რომ მათ უმრავლესობას, არც ეროვნება აქვს და მგონი სიყვარულიც არ შეუძლიათ. ძალიან გთხოვთ, ზუსტად დაწეროთ, რასაც გეუბნებით. ზოგი ჟურნალისტი, ისევე როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი, სადღაც გამოყვანილი ჰიბრიდი მგონია, რომელსაც სინდისის, ნამუსის და ზნეობის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს. ამიტომაც ჰგონიათ, რომ ყველაფრის თქმის და გაკეთების უფლება აქვთ. ჟურნალისტიკაში არსებული ასეთი არაეთიკური გარემო უფრო დამღუპველია, ვიდრე დღეს ქართულ პოლიტიკაში არსებული პრობლემები; მასებს პოლიტიკოსები კი არ მიმართავენ, არამედ ჟურნალისტები, ვისთვისაც სამშობლო უმთავრესი უნდა იყოს და იცოდეს, რომ სიტყვის თავისუფლება ზნეობის თავისუფლებას არ ნიშნავს. კიდევ ერთი, ჟურნალისტს ისე მოეთხოვება პროფესიონალიზმი, როგორც არავის.

როგორც ქართულ თანამედროვე მუსიკაში და ესტრადაზე არიან უცხოელების ცუდი მიმბაძველები, ასეა სხვა სფეროებშიც. ასე მგონია, კარგა ხნის მონობაში ცხოვრებამ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც არასდროს ოცნებობდა თავისუფლებაზე, დააბნია თავისუფლებამ და თვითგამოხატვის უცნაურ ხერხებს მიმართავს. ვინც თავისუფლებაზე ოცნებობდა. არავინ მინახავს ასე დაბნეული.

— **როგორ ფიქრობთ, ჩვენი თაობის პატრიოტულ სულისკვეთებაზე ზეგავლენას ხომ არ ახდენდა მომღერლების მაშინდელი რეპერტუარი, სადაც დიდი ადგილი ეჭირა ისტორიულ წარსულს?**

— რა თქმა უნდა, მაშინდელ იდეოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა კი ვიღაცებისთვის შეიძლება ლიტონ სიტყვებად ჩანდეს თქვენი კითხვა და ჩემი პასუხი. ეს არის უბედურება. ამას წინათ ერთ-ერთი არხის ხელმძღვანელმა ეთერში განაცხადა, მდარე ხარისხის პროდუქციას იმიტომ ვუშვებ ჩემს ეთერში, რომ ამით ცხოვრობს ჩემი არხიო. ნანი ბრეგვაძე არაკომერციულია და რა ვქნაო. თავხედობა ეყო, ეს რომ ეთქვა. ვინ აქცია ვარსკვლავი არაკომერციულად, ვინ აღაზევა აბსოლუტური უგემოვნება, რომელსაც ველარც კი ვუმკლავდებით. ვინ გააკეთა ეს. განა არაპროფესიონალებმა არა? განა არა იმ დაბალი აზროვნების მქონე ადამიანებმა, რომლებიც, ამა თუ იმ სამსახურის, სფეროს, ორგანიზაციის სათავეში მოექცნენ? თუმცა იმედი ჯერ არ გადამწურვია და ჯერ კიდევ ველოდები, რომ ყველაფერი გამოსწორდება. მაშინ, ნამდვილად ყველაფერი კარგად იქნება.

— კოსმოპოლიტიზმი, პირველ რიგში, გულისხმობს პატრიოტიზმს, საკუთარი სამშობლოს უზომო სიყვარულს და უდიდეს კეთილგანწყობას დანარჩენი ერების მიმართ. ვინც არ ცნობს სამშობლოს და ეროვნებას, ის კოსმოპოლიტი კი არა, რაღაც ისეთი გაუგებრობაა, რაშიც ღმერთის ხელი არ ურევია. ვინ თქვა, ეროვნულ, ინდივიდუალურ კულტურას, ისტორიას მნიშვნელობა არა აქვსო? თუ ასეა, მაშინ რატომ უფრთხილდებიან იუნესკო და სხვა ორგანიზაციები ჩვენს სვეტიცხოველს, გელათს, ვარძიას, ჩვენს ფრესკებს, ხალხურ სიმღერებს და ცეკვებს? იმიტომ, რომ ის თავისთავადი და განუმეორებელია.

*თბილისში ხმა დაირხა,* ***გივი ბერიკაშვილი*** *პარტიული გახდა და პარლამენტარობას აპირებსო. არ დაიჯეროთ, ჭორია. ბატონი გივი ისევე შორს დგას პოლიტიკისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ჭორის საბაბი კი „იუმორისტული პარტიის“ შესახებ გავრცელებული ხმები გამხდარა. ამდენ წინასაარჩევნო პოლიტიკურ კლიპში ვიღაცებს „იუმორინას“ რეკლამაც პოლიტიკური ჰგონებიათ და მისი საარჩევნო ნომრის ძიებაც კი დაუწყიათ. თუმცა, მალევე მიმხვდარან შეცდომას, „იუმორინას“ პარლამენტის უცვლელი სპიკერი რამდენიმე დღის წინ, ახალი გადაცემის „არ იდარდოს“ წამყვანად მოევლინა მაყურებელს და სათაურის მიუხედავად, კინაღამ ცრემლით დაახრჩო მაყურებელთა უმრავლესობა. როგორ მოახერხა ეს? — ბევრს გაუჩნდა ასეთი შეკითხვა, რადგან ამ კაცს დღემდე მაყურებლისთვის მხოლოდ სიცილის მოგვრა შეეძლო.*

# გალაქტიონი სოხუმში გავიცანი, ზღვასთან

## „აპრილში მივდივართ აფხაზეთში“



— **ბატონო გივი, როგორ მოახერხეთ უამრავი ხალხის და მათ შორის თქვენი მეგობრის, კახი კავსაძის ატირება?**

— არაფერი ახალი არ გაგვიკეთებია. უბრალოდ შევეცადეთ მართალი და გულწრფელი ვყოფილიყავით. შთაბეჭდილება ამან მოახდინა. აშკარა გახდა, რომ ხალხს სიმართლე, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, ნდობა მოენატრა. წარმოიდგინეთ, რა დროში ვცხოვრობთ. საჭმელს ჭამ — არ იცი, გარგებს თუ გავნებს, წამალს სვამ — არ იცი, მოგწამლავს თუ მოგარჩენს, რწმენადაკარგული ხალხი ვართ. ასეთ სიტუაციაში არც ჩვენი გადაცემის სტუმრებს სჯეროდათ, რომ დიდი ხნის უნახავ ადამიანებს შევახვედრებდით. ნდობა, რწმენა, სიყვარული გაცოცხლდა „არ იდარდოში“ და ამიტომ დაიღვარა იმდენი ცრემლი. ებრაელი, ისრაელში მცხოვრები კაცი რომ იტყვის, ქუთაისში დაბრუნების შემთხვევაში პირველ რიგში თეატრს ვნახავო, სიხარულის ცრემლი არ უნდა მოგადგეს თვალზე? ნახეთ, გოგია ქავთარაძეს რა დაემართა აბრამის ხმის გაგონებაზე? როგორ აქვითინდა ამხელა კაცი. კარგია ეს ცრემლი, ასეთი ცრემლი გვაკლია და გვჭირდება. ეს განმწმენდი ცრემლია.

— **გადაცემაში აჩვენეთ ფრაგმენტი ისრაელში გამართული ებრაული ქორწილიდან, სადაც მხოლოდ ჰიმნი იყო ებრაული, სხვა ყველაფერი ქართული. ბევრს არ სჯერა, რომ ის კადრები მართლა ებრაელების ქორწილიდან იყო.**

— ორსაათნახევრიანი კასეტა ისრაელიდან ჩამოგვიტანეს, სიტყვასაც კი ვერ გაიგონებდი იქ ებრაულს. არადა, იმ ქორწილში ყველა ებრაელი იყო. გახსოვთ ცაცა ბაბალიკაშვილი? ქართული ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ, იცით, რა თქვა? რა უბედურია ის, ვისაც ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველი მწერლების ქართულად წაკითხვა არ შეუძლიაო. ჩვენ კი ლექსსაც, სიმღერასაც, ენასაც ზურგს ვაქცევთ და რაღაც ქაჯობა გვჭირს. „მრავალჟამიერი“ არ უნდა იცოდეს ქართველმა? იაპონელი, ამერიკელი, გერმანელი, ფრანგი და ა.შ. უნდა მღეროდეს შენს სიმღერას და შენ პირდაფჩენილი უნდა იდგე?

— **როგორ ფიქრობთ, რა გვიშველის?**

— რა ვიცი. მეეჭვება ერთი რამის გარდა, სხვა რამემ გვიშველოს, ვიღაცის — უნდა გვეშინოდეს, ვიღაც უნდა გვმართავდეს. სხვანაირად აბა, როგორც კი თავისუფლება გველირსა, ერთმანეთს დავერიეთ და დღესაც ასე ვაგრძელებთ. სულ ვფიქრობ, თუ ვცდები, მაშინ დავით აღმაშენებელმა 40 000 ყივჩაყი რატომ ჩამოიყვანა საქართველოში-მეთქი. შოთას დროს დარუბანდიდან ნიკოფსიამდე იყო გადაჭიმული საქართველო და მიუხედავად ამისა, დაწერა „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, როგორც ჩანს, ამის თქმის მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზს მერე ისიც დაემატა, რომ 70 წელი ულმერთოდ ვიცხოვრეთ.

— **ახლა ხომ მივუბრუნდით ღმერთს.**

— მივუბრუნდით კი? უკვირთ, რომ ვინმეს მიმართ აშკარა მხარდაჭერას არ გამოვხატავ. როგორც კაცი, რომ გამოვიდე და ქვეყნის გასაგონად ვიღაც ვაქო ან ვაძაგო, რამეს რომ დაგპირდეთ სხვისი ხელით და ვერ მოგართვათ, ხომ მომეჭრა თავი! ამას მირჩევნია, თუ რაღაც არ მომწონს, მივიდე და პოლიტიკოსებს თუ ხელისუფალთ ვუთხრა: შვილო, ძმაო, ეს არ გამოგადგება, არ შეგშვენის, კაცური არ არის-მეთქი...

— **გიცდიათ, მისულიყავით და რჩევა მიგეცათ?**

— სანამ ეტყვი, იმაზეც უნდა დაფიქრდე. მოგისმენენ თუ არა, ამიტომაც თავს ვიკავებ სანამ თვითონ არ დამიძახებენ. უნდა დაუძახონ ჩვენს თაობას. უხუცესთა საბჭო ტყუილად კი არ არსებობდა, მათ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდნენ ახალგაზრდები. არც მე არ უნდა ამკიდო ის, რაც არ შემიძლია და არც ახალგაზრდა არ უნდა დაამძიმო მისთვის შეუფერებელი და შეუძლებელი საქმით. თუ ბოლო შანსი გვაქვს, უნდა გამოვიყენოთ და გამოცდილება, პრაქტიკა და ცოდნა, ძველი და ახალი თაობა ერთმანეთს უნდა შევუხმატკბილოთ. თორემ ღმერთი ჯერ ჩვენკენ არის და თუ ამოვუყვანეთ ყელში, ბოლო შანსი წარღვნა იქნება. ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ ღმერთის მოთმინება ავავსოთ.

— **ბატონო გივი, როგორც გავიგე, „არ იდარდოში“ აფხაზებისა და ქართველების შეხვედრაზე მუშაობთ.**

— დიახ, სანამ ამას გეტყოდეთ, აღვნიშნავ, რომ ძალიან მომეწონა გადაცემის რეჟისორის ირაკლი ჯაოშვილის და სცენარისტის იდეა და ამიტომ დავთანხმდი, თორემ გადის ისეთი გადაცემებიც, სულ ოქრო რომ მაყარო თავზე, მათ წაყვანას მაინც არ დავთანხმდები. „არ იდარდოს“ მიზანია, დაეხმაროს აფხაზეთის დაბრუნების საქმეს. არავის გავახსენებთ იმას, თუ როგორ ჭრიდნენ იქ ხალხს თავებს, როგორ ბურთაობდნენ. ეს ტრაგედიაა, მაგრამ გამოსავალი უნდა მოინახოს და პატარა აგური ჩვენც გვინდა დავდოთ ამ საქმეში. აღარაფერს ვამბობთ წარსულზე, მომავლისთვის ვიბრძვით. ჩვეულებრივ ხალხში, აფხაზებსა და ქართველობაში დღესაც არსებობს სიკეთე, სიყვარული და მხოლოდ პოზიტიურზე გვინდა ვილაპარაკოთ. შეძახილით ხის მხოლოდ გახმობა კი არა, აყვავებაც შეიძლება. ჩვენც აყვავებისა გვინდა შემოვძახოთ. აპრილში მივდივართ აფხაზეთში. გვინდა სიყვარულით ვმართოთ ხალხი. ხომ იძახიან, ამას სოროსი მართავს, იმას რუსეთი, იმას კიდევ ამერიკაო. ქვეყანამ, სამშობლომ, მამულმა ხომ უნდა მართოს ვიღაც. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს — „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუდუნებ“...

— **ბატონო გივი, აპრილი „იუმორინას“ და გივი ბერიკაშვილის გარეშე ველარავის წარმოუდგენია, სრულიად განახლებულია საკონცერტო პროგრამა?**

— სრულიად. პროგრამა სულ უნდა იცვლებოდეს. განმეორება ცოდნის დედაა, იუმორისა კი არა. იუმორი ახალი და ხალასი სჭირდება ხალხს. თან კიდევ, საზოგადოება არ უნდა მოატყუო. დღეს რეკლამებსა და პიარზე რომ ჩალიჩობენ, ეგ სულ არაფერშია საჭირო. მთავარია, მართალი იყო. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ დაგინახოს ხალხმა, როგორ შრომობ, ამის შემდეგ გენდობა და აღიარებაც არ დააყოვნებს.

— **ბატონო გივი, ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტის სავარძელში რომ გაგეღვიძოთ, რას იზამთ?**

— ვიფიქრებ, ცუდი სიზმარია-მეთქი. ავდგები ან წყალს მოვუყვები ამ სიზმარს და იმას გავიტან, რა ჩემი საქმეა პრეზიდენტობა. ეგეთი რამე არ მოხდება.

— **ბატონო გივი, „არ იდარდოში“ იმას იხსენებენ, ვინც ენატრებათ, ვის გამოც დარდობენ. თქვენ გენატრებათ ვინმე?**

— მენატრება, რაღაცნაირად ვახერხებ ყველას ნახვას, გარდა იმ ხალხისა, ვინც აღარ არის, იმათ იქიდან აქეთ ველარავინ მომიყვანს. მე კიდევ სხვა გზა არა მაქვს, უნდა დაველოდო, როდის წავალ იქით თავად. აფხაზეთი მენატრება, ორი წელიწადი სოხუმის თეატრში ვმუშაობდი და ბევრი რამ მაკავშირებს იქაურობასთან. სხვა რომ არაფერი, გალაქტიონის შემოქმედებაზე შეყვარებულმა, პოეზიის მეფე იქ, სოხუმში გავიცანი, ზღვის ნაპირას. ეს იყო დაუვიწყარი შთაბეჭდილების საღამო, იმისი გახსენება ცრემლის გარეშე მართლა მიჭირს.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***

CMYK

## ორშაბათი 29 მარტი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.15 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი 15.15 მხ. ფილმი 16.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილფარსკვლავთა ღამე" 19.00 ჯანმრთელობა 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 ჭკუის კოლოფი 23.30 მხ. ფილმი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი „შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 1-2 ს. 20.55 ავტოგრაფი 21.30 მოგზაურობა სასიხარულოდ 22.10 მხ. ფილმი „ლეგენდა ტარზანზე" მე-2 ს.

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 „ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 15.15 მხ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 12.00, 13.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 16.50, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 08.00 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.30 ამერიკული ... 14.05 თამაში 15.15 მხ. ფილმი 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.30 სერიალი „კლონი" 20.30 ქართ. სერიალი 21.30 „ვაკაფი-ნიუსი" 22.45 მხ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

09.00 არჩევნის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი 22.45 არჩევნის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მხ. ფილმი 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა „დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა „დილა" 10.15, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი „მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 ღამის მატარებელი 14.00 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი" 14.50 ... 15.10 მხ. სერიალი „პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი „ზურგის ქარი" 16.35 დოკ. სერიალი 17.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა" 18.00 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი" 18.30 მხ. სერიალი „პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი „ზურგის ქარი" 20.00 „ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი „მოჯადოება" 23.00 ცხელი ცხრიანი 23.50 სერიალი „ალმასები" 01.00 მხ. ფილმი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია 11.00 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10 სათავგადასავლო ფილმი 13.00, 17.00, 19.00, 22.20, 00.20 საინფ.გამოშვება „ნოვოსტი" 13.10 სათავგადასავლო ფილმი 14.10 მხ. ფილმი 16.10 მულტსერიალი 17.10 მელოდრამა 19.10 დოკუმენტური ფილმი 20.30 ფანტასტიკა 22.40 „პოზიცია" 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 კომედია

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Триллер "БЕССОНИЦА" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 "Следствие ведет Колобков" 13.20 Детектив "О ДРУЗЬЯХ-ТОВАРИЩАХ", 1 с. 14.40 Док.детектив "Полет бумеранга" 15.10 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Шутка за шуткой" 20.00 Сериал "КЛОН" 21.00 "Жди меня" 22.00 "Время" 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 "Криминальная Россия". "Последнее дело Пушкина", 1 с. 00.10 "Искатели". "Призраки Аксайской таможни" 00.40 "Тайны забытых побед". "Оружие победы. ИЛ 2" 01.10 "Фабрика звезд" 01.20 Комедия "ГОРЯЧИЙ КАМЕШЕК" 03.40 Комедия "ВОЛШЕБНИК" 05.10 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Комедия "ЧАС ПИК" 11.40 В Городке 11.50, 14.45, 17.30, 01.20 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Аншлаг 15.30 "Частная жизнь" 16.30 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Сериал "ЗАКОН" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 23.00 "Мой серебряный шар. Савелий Крамаров" 00.00 Вести+ 00.20 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 01.30 Комедия "АГЕНТ В МИНИ-ЮБКЕ" 03.40 Худ.фильм "ПОДСТАВНОЕ ТЕЛО" 04.40 Дорожный патруль

## სამშაბათი 30 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი 11.35 დოკ. სერიალი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი 16.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილფარსკვლავთა ღამე" 19.00 ჯანმრთელობა 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი „შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 3-4 ს. 20.50 მოგზაურობა 22.10 მხ. ფილმი

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 „ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი

**ფორმა.** *მოკლე, ბრტყელი* ფრჩხილები გულ-სისხლძარღვთა დაავადების ნიშანია; *სამკუთხედი* — არის სიგნალი, რომ უნდა მიხედოთ ხერხემალს ან ზურგის ტვინს; *ამობურცული* — გულის უკმარისობის; *დიდი და ამობურცული ფრჩხილები* — ტუბერკულოზის საწყისი სტადიის მაცნეა; *ბრტყელი და აპრეხილი* — თანდაყოლილი ბრონქიტის ან ასთმისა; *ბრტყელი და ჩაღუნული* — ცილის უკმარისობის მიზეზია.

თუ ხელზე თუნდაც ერთი ფრჩხილი განსხვავდება დანარჩენებისაგან ფორმით, ფერით ან სტრუქტურით, ესეც ყურადსაღებია.

უძველესი სამედიცინო ტრაქტატის თანახმად, თითოეული თითი დაკავშირებულია განსაზღვრულ ორგანოსთან: ცერი — ტვინთან, საჩვენებელი — ფილტვებთან, შუა თითი — წვრილ ნაწლავებთან, უსახელო — თირკმელთან, ნეკი — გულთან.

*თუ ფრჩხილები ბოლო დროს იყოფა, სკდება, თავს ცუდად გრძნობთ* — მიმართეთ ენდოკრინოლოგს. ხშირად ეს სიმპტომები მოწმობს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე.

*ფრჩხილების კვნეტა* დამახასიათებელია ნევროზით, გასტრიტითა და გულით დაავადებულთათვის.

**ოჯი**


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია გულის შეძენილი მანკების შესახებ. ასევე გულის პათოლოგიების კვლევის მეთოდების შესახებაც.**

***დათო ქათამაძე, თბილისი***

# გულის მანკები და კვლევის მეთოდები

გულის შეძენილი მანკები ვითარდება სარქვლოვანი აპარატის მექანიკური, ანთებითი ან სხვა დაზიანების დროს. განასხვავებენ რთულ და კომბინირებულ მანკებს. მანკი რთულია, თუ სტენოზი (შევიწროება) და სარქვლის ნაკლოვანება (ფუნქციონირების დარღვევა) ერთსა და იმავე სარქვლოვან აპარატში ვითარდება. კომბინირებულია, თუკი ერთდროულად არსებობს სარქვლოვანი აპარატის ორი ან მეტი დეფექტი. მაგალითად, მიტრალური ნაკლოვანება და აორტის სტენოზი.



გულის შეძენილ მანკებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მიტრალური სარქვლის მანკი, აორტულ-მიტრალური კომბინირებული მანკი, აორტული მანკი...

კომბინირებულ მანკებს უმთავრესად იწვევს რევმატიზმი. ამ დროს უფრო ხშირად ზიანდება მიტრალური სარქველი — ორკარიანი, იშვიათად — აორტული.

დიაგნოსტიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფონენდოსკოპით ექიმის მიერ მოსმენას და ექოკარდიოგრაფიას. გარდა ამისა, ტარდება რენტგენოლოგიური და რთულ შემთხვევაში, შემდეგი გამოკვლევები: გულის კათეტერიზაცია, კორონაროგრაფია.

**კლინიკა და მკურნალობა.**

*მიტრალური ანუ ორკარიანი სარქვლის ნაკლოვანება:* სარქველი გულის მარცხენა წინაგულსა და პარკუჭს შორის მდებარეობს. მანკისთვის დამახასიათებელია ქოშინი, ფიზიკური დატვირთვისას, შრომისუნარიანობის დაქვეითება, კიდურების შეშუპება, ღვიძლის გადიდება. ხშირია მოციმციმე არითმია.

მანკის დროს თავი უნდა შეიკავოთ მძიმე ფიზიკური დატვირთვისგან, დაიცვათ ცხოვრების ჯანსაღი წესი, მედიკამენტოზური თერაპია. რაც შეეხება ქირურგიულ მკურნალობას, უსიმპტომოდ მიმდინარე მანკის დროს, ის ნაჩვენები არ არის. სარქვლის მნიშვნელოვანი დეფექტისას ტარდება სარქვლის გადანერგვა.

*მიტრალური სტენოზი:* ზომიერი მიმდინარეობის დროს არანაირი ჩივილი არ არის. თუმცა, ძლიერი ფიზიკური დატვირთვისას, ემოციური სტრესების და სხვა ზემოქმედების შედეგად ვლინდება ქოშინი, ხველა, ღვიძლის გადიდება, კიდურების შეშუპება. მნიშვნელოვანი ნიშანია სისხლიანი ხველა, რაც სიცოცხლისთვის საშიში არ არის. გარდა ამისა, აღინიშნება არითმია, ხმის ჩახლეჩა — „მიტრალური სახე" — მოლურჯო-მოწითალო ლოყები და ცხვირ-ტუჩის მიდამო.

მკურნალობის მიზანი რევმატიზმის გამწვავების თავიდან აცილებაა, ასევე თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკა. ინიშნება მედიკამენტები, შესაძლებელია ქირურგიული მკურნალობა, ასევე კანგავლითი ბალონური ვალვულოპლასტიკა.

*აორტის ხვრელის სტენოზი:* — დიდი ხნის მანძილზე უსიმპტომოდ მიმდინარეობს. პირველი ჩივილი 50-70 წლის ასაკში ჩნდება. თანდათანობით ვლინდება სტენოკარდიის ტიპის შეტევები, გონების დაკარგვა, ქოშინი, კიდურების შეშუპება. უნდა შემცირდეს ფიზიკური დატვირთვა. ფრთხილად შეირჩეს მედიკამენტები. ქირურგიული მკურნალობაა აორტის სარქვლის პროთეზირება, ზოგჯერ კი მასთან ერთად აორტო-კორონარული შუნტირება.

*აორტული სარქვლის ნაკლოვანება:* შეიძლება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს. ახასიათებს გულის ფრიალის შეგრძნება, განსაკუთრებით წოლისას, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, ზოგჯერ სტენოკარდიული შეტევა. ამ მანკის ყველაზე ეფექტიანი სამკურნალო მეთოდი — ქირურგიული ჩარევაა.

*გამოკვლევები გულის იშემიური დაავადების დროს:* ელექტროკარდიოგრაფია (ეკგ). მისი საშუალებით ვლინდება ცვლილებები გულის კუნთში, რასაც იშემია იწვევს. ცვლილებები კარდიოგრამაზე მხოლოდ სტენოკარდიული შეტევის დროს აღინიშნება.

*ოცდაოთხსაათიანი მონიტორინგი-დაკვირვება:* — ეკგ ჩაწერა მთელი დღის განმავლობაში წარმოებს პორტატული აპარატის მეშვეობით. კვლევის ეს მეთოდი განკუთვნილია მათთვის, ვინც გადაუდებელ მკურნალობას არ საჭიროებს.

*ველოერგომეტრია:* — ელექტროიმპულსების დაფიქსირება ხდება ადამიანის მზარდი ფიზიკური დატვირთვის დროს. კვლევა წარმოებს სპეციალურ ველოსიპედზე ვარჯიშის მომენტში.

*ფარმაკოლოგიური სინჯები:* — ამ დროს გულის კუნთზე ხორციელდება მედიკამენტური ზემოქმედება, რაც მისი ფუნქციური მდგომარეობის შეცვლას იწვევს. რადგანაც ეს ცვლილებები იშემიის ანალოგიაა, კვლევის დროს მოწმდება გულის კუნთის „მედეგობა" ამ პათოლოგიისადმი. სინჯების ჩატარებისას სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტი გამოიყენება. ფარმაკოლოგიური სინჯები ხელსაყრელია იმათთვის, ვისაც არ ძალუძს კვლევის ჩატარება ფიზიკური დატვირთვით და აწუხებს: სახსრების ტკივილი, ორთოპედიული დეფექტები, ვენების გაგანიერება და სხვა.

*ექოკარდიოგრაფია:* — მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ გულის გამოსახულება მონიტორზე, განვსაზღვროთ გულის საკნების მოცულობა და კედლების სისქე. შეფასდეს მსხვილი სისხლძარღვების მდგომარეობა და გულის კუნთის ფუნქციური შესაძლებლობანი.

*კორონაროანგიოგრაფია:* — მეთოდი ავლენს დაზიანებულ სისხლძარღვს და იძლევა ზუსტ პასუხს, საჭიროა თუ არა ქირურგიული ოპერაცია.

კვლევის ჩასატარებლად გულის სისხლძარღვებში შეჰყავთ ნივთიერება, რომელიც რენტგენოგრამაზე მკვეთრად ასახავს სისხლძარღვებსა და მათ ცვლილებებს. კონტრასტული ნივთიერება უპირატესად ბარძაყის ვენიდან კათეტერით შეჰყავთ (იშვიათად, აორტიდან). ეს კვლევა საკმაოდ რთული და საფრთხილოა, თუმცა გართულებებს იშვიათად იძლევა.

***მაია მუხიგული***

# ფიზიოტენზი – ახალი თაობის ჰიპოტენზიური პრეპარატი

არტერიული ჰიპერტენზია არის სინდრომი, რომელიც ხასიათდება სისხლის მიმოქცევის დიდ წრეში არტერიული წნევის მატებით და ხშირად თან ახლავს ისეთი გართულებები, როგორიცაა: გულის იშემიური დაავადება, ცერებრული ინსულტი, გულის შეგუბებითი უკმარისობა, თირკმლის უკმარისობა და სხვა.

არტერიული ჰიპერტენზია აღენიშნება მოსახლეობის დაახლოებით 15-20%-ს, ვლინდება 25-55 წლის ასაკში და მისი სიხშირე მატულობს ასაკთან ერთად. საყურადღებოა, რომ არტერიული წნევის ციფრების მატება აღენიშნება აშშ-ის მოსახლეობის ნახევარზე მეტს 50-70 წლის ასაკში და ავადმყოფთა საერთო რიცხვი 60 მილიონს აღწევს.

სისხლის წნევის მატება მულტიფაქტორულია და მას საფუძვლად უდევს არტერიული წნევის რეგულაციის დარღვევა, რომელშიც ჩართულია ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტორი, როგორც ორგანოთა სისტემების, ისე უჯრედულ დონეზე.

გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზმის გენეტიკურ თავისებურებებსაც.

ეპიდემიოლოგიური დაკვირვებებით გამოვლენილია ე.წ. რისკის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ არტერიული ჰიპერტენზიის განვითარებას და ამძიმებენ მის მიმდინარეობას: ხშირი და ძლიერი ფსიქოემოციური სტრესი, საკვები მარილის ჭარბი მიღება, საკვებში კალციუმის დაბალი დონე, სიმსუქნე, ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება, თამბაქოს მოწევა, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.

სისხლის წნევის მაჩვენებლები ნორმის დროს შეიძლება მერყეობდეს პაციენტის ასაკთან, სქესთან, რასასთან კავშირში და სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით იცვლებოდეს დღის განმავლობაში.

სისხლის არტერიული წნევის სტაბილურ მატებასთან ერთად იზრდება კარდიოვასკულარული გართულებების აღმოცენების რისკი და ამდენად, მნიშვნელოვანია სათანადო მკურნალობის დროული დაწყება. თუმცა, მედიკამენტის შერჩევისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ არტერიული წნევის დონე, არამედ პაციენტის ზოგადი კარდიოვასკულარული რისკი, სამიზნე ორგანოების დაზიანების არსებობა, თანხმლები პათოლოგიები.

მკურნალობის სქემის შერჩევა ხდება მკურნალი ექიმის მიერ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

თანამედროვე ფარმაკოლოგიურ ბაზარზე მედიკამენტების ფართო არჩევანის პირობებში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მედიკამენტ ფიზიოტენზზე, რომელიც მიეკუთვნება ცენტრალური მოქმედების ჰიპოტენზიური საშუალებების ახალ თაობას. პრეპარატი ავლენს თვალსაჩინო ჰიპოტენზიურ ეფექტს, რაც განპირობებულია ე.წ. იმიდაზოლინურ რეცეპტორებზე მოქმედებით.

ფიზიოტენზი არ ცვლის არტერიული წნევის ნორმალური დღეღამური ცვალებადობის მრუდს, რომელიც შეესაბამება 24-საათიან ბიოლოგიურ რიტმს.

აქვს დოზირების მოხერხებული რეჟიმი — პრეპარატი მიიღება დღეში ერთხელ.

პრეპარატის ხანგრძლივი გამოყენებისას არ ყალიბდება მიჩვევის ფენომენი.

აღსანიშნავია, რომ არტერიული წნევის დარეგულირებასთან ერთად ფიზიოტენზი დადებით ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ორგანოზე. როგორც ცნობილია, მაღალი არტერიული წნევის მქონე პაციენტებში გულის ჰიპერტროფია (ანუ გულის კედლების გასქელება) წარმოადგენს არაკეთილსაიმედო პროგნოზულ მაჩვენებელს და განპირობებულია გულის კუნთში პათოლოგიური ცვლილებებით. საგულისხმოა, რომ ფიზიოტენზით მკურნალობის ფონზე მნიშვნელოვნად მცირდება გულის კუნთის ჰიპერტროფია და ადგილი აქვს მისი სისქის ნორმალიზაციას.

მაღალი არტერიული წნევის მქონე პაციენტებში ფიზიოტენზით მკურნალობა ამცირებს თირკმლების დაზიანების (გლომერულოსკლეროზის) რისკს.

ბევრი სხვა ანტიჰიპერტენზიული პრეპარატისგან განსხვავებით, ფიზიოტენზი ზრდის ინსულინის მიმართ მგრძნობელობას და ეფექტურია მისი გამოყენება ჭარბი წონის, შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ფიზიოტენზი სუსტად მოქმედებს ე.წ. ალფა რეცეპტორებზე, რომლებიც განაპირობებენ სედატიურ ეფექტს და პირის სიმშრალეს, ამიტომ ზემოთ აღნიშნული გვერდითი ეფექტები არ ვლინდება ფიზიოტენზით მკურნალობისას, განსხვავებით ცენტრალური მოქმედების სხვა მედიკამენტებისაგან (მაგ. როგორიცაა კლოფელინი). აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება მისი ფიზიოტენზით ჩანაცვლება. ფიზიოტენზი არის ორი დოზით 0,2 და 0,4 მგ. იგი ეფექტურია როგორც მონოთერაპიაში, ასევე ნებისმიერ პრეპარატთან კომბინაციაში. ამგვარად, ფიზიოტენზი არის უსაფრთხო, ეფექტური ჰიპოტენზიური მედიკამენტი, რომელსაც გააჩნია დოზირების ხელსაყრელი რეჟიმი და ნაჩვენებია არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების ფართო წრისათვის, მათ შორის შაქრიანი დიაბეტის, ბრონქიალური ასთმის, თირკმლის პათოლოგიის მეტაბოლური სინდრომის მქონე ავადმყოფებისათვის.

***მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი***
***შალვა რცხილაძე***
***კლინიკა „ანგიოკარდის"***
***კარდიოლოგიური განყოფილების გამგე***

R


სიახლე!

კომპანია შრეიასაგან!

შეგაწუხათ ყელის ტკივილმა?

სუპრიმა-ლორი

სხვადასხვა არომატით

იკითხეთ აფთიაქებში!




სერტიფიცირებულია

SHREYA LIFE SCIENCES

შრეია

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 877-42-44-50



სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

ვაქცინაციის ცენტრი

(წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78

- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

ტაივანი

## ამომრჩეველთა ხმებს თავიდან დაითვლიან

ტაივანში არ წყდება ოპოზიციის პროტესტი. მისმა კანდიდატმა, გომინდანის თავკაცმა ლიან ჩუანმა წააგო 20 მარტს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ის ხმათა 0,2%-ით ჩამორჩა მმართველი დემოკრატიული



პროგრესული პარტიის კანდიდატს, ჩენ შუიბიანს. წაგებულმა ლიან ჩანმა დემოკრატიული პროგრესული პარტია შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულა და ბიულეტენების ხელახალი გადათვლა მოითხოვა. ეს მხოლოდ პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. საპარლამენტო კომიტეტში დიდი აყალმაყალი ატყდა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ანალიტიკოსების აზრით, ახალარჩეული პრეზიდენტი იძულებულია, დაეთანხმოს ოპოზიციის მოთხოვნას, ხმების ხელახალი დათვლის თაობაზე, ოპოზიცია მას ბრალს იმაშიც სდებს, რომ ჩენ შუიბიანის მომხრეებმა, არჩევნების წინადღეს, პოპულარობის გაზრდის მიზნით, მომავალ პრეზიდენტზე თავდასხმა გაითამაშეს, თუმცა ჩენ შუიბიანს არაფერი დაშავებია. ტაივანზე არჩევნებმა მსოფლიო პრესის განსაკუთრებული ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ ამომრჩევლებს პირველად, ქვეყნის ისტორიაში, უნდა ეპასუხათ კითხვაზე — თუ რას ფიქრობენ ჩინეთის სამხედრო მუქარაზე და პეკინთან მოლაპარაკების შესაძლებლობაზე. ეს რეფერენდუმი ოპოზიციის მცდელობით ვერ ჩატარდა.

ჩინეთმა მხარი დაუჭირა ოპოზიციის მოთხოვნას და პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი „პოლიტიკურ თაღლითობასა" და ტაივანელთა ნების გამოხატულების გაყალბებაში დაადანაშაულა.

***ნიუზუიქი***

აშშ

## ბუშმა უპირატესობა დაკარგა

11 სექტემბრის ტერაქტების გამოძიების ახალ-ახალი ფაქტები ამერიკელთა დიდ ინტერესს იწვევს. აშშ-ის წინააღმდეგ ტერაქტების გამოსაძიებლად კონგრესმა სპეციალური კომისია პრეზიდენტ ბუშის საგანგებო ბრძანებით შექმნა. ვაშინგტონში დაიწყო კომისიის მიერ გამოძიებული მასალების განხილვა, რომელსაც წინ უძღოდა ოთხი პრეზიდენტის (დაწყებული რონალდ რეიგანით — დამთავრებული ჯორჯ ბუშით) ყოფილი თანაშემწის კონტრტერორიზმის დარგში, რიჩარდ კლარკის წიგნის, „ყველა მტრის წინააღმდეგ", გამოსვლა. ამ წიგნში კლარკი ადანაშაულებს პრეზიდენტ ბუშსა და მის გარემოცვას (უპირველეს ყოვლისა, პენტაგონის თავკაცს, დონალდ რამსფელდსა და მის მოადგილეს, პოლ ვულფოვიცს იმაში, რომ ისინი 11 სექტემბრის ტერაქტამდეც და მერეც, მხოლოდ ერაყში შეჭრაზე ფიქრობდნენ. კლარკის თქმით, მათ პრაქტიკულად არაფრად ჩააგდეს „ალ ქაიდას" მუქარა.

რიჩარდ კლარკის წიგნს და მის ინტერვიუებს ბომბის ეფექტი ჰქონდათ. ფაქტობრივად, ბუშს ხელიდან გამოეცალა მისი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი კოზირი — მხოლოდ მას შეუძლია ამერიკელებს მისცეს ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია.

დემოკრატებმა მოითხოვეს ბუშის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდების გამოძიება. ჯერჯერობით დუმს ბუშის მთავარი მეტოქე პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში, სენატორი ჯონ კერი. შეშფოთებულია რესპუბლიკელთა საარჩევნო შტაბი. მართალია, ბუშის მიმართ ერაყთან დაკავშირებით საყვედური ადრეც ბევრჯერ თქმულა, მაგრამ პრეზიდენტი არაკომპეტენტურობაში ამჯერად იმ ადამიანმა დაადანაშაულა, ვინც ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებში ძალიან კარგად იყო ჩახედული.

თეთრი სახლის პრესმდივანი სკოტ მაკკლელანი კითხულობს, — მაინცდამაინც ახლა რატომ გამოჩნდა რიჩარდ კლარკის წიგნი, ბუშის მთავარი მეტოქის, ჯონ კერის წისქვილზე წყლის დასასხმელად ხომ არაო. ვინც კარგად იცნობს რიჩარდ კლარკს, ირწმუნება, მას მიკერძოებას ვერ დააბრალებ, კლარკი თავს დამოუკიდებელ პოლიტიკოსს უწოდებსო.

ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, როგორ აისახება წინასაპრეზიდენტო მარათონზე ეს სკანდალი, მაგრამ ცხადია, თეთრი სახლისთვის ბრძოლაში რესპუბლიკელებს პრობლემებს გაუჩენს.

***კომერსანტი №52***

## ტონი ბლერმა დიქტატორს მეგობრობის ხელი გაუწოდა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერი ტრიპოლიში პირველად ჩავიდა — უინსტონ ჩერჩილის მაგალითს ტონი ბლერმაც მიჰბაძა. მისი თქმით, ის ჩავიდა ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფისთან და მეგობრობა შესთავაზა. პრემიერს ბევრმა არ მოუწონა საქციელი — ტერორისტს, თუნდაც ყოფილს, ხელი როგორ ჩამოართვაო! კადაფი გულუხვი მასპინძელი გამოდგა — ბრიტანულ-ჰოლანდიურმა კომპანია ROYAL Dutch shell-მა მიიღო კონტრაქტი ლიბიის გაზის საბადოს დასამუშავებლად, საერთო თანხა 200 მლნ დოლარს შეადგენს.

ტონი ბლერი ისე შეაწუხეს, ერაყელ დიქტატორს ცუდად მოექეციო, რომ ხელის ჩამოსართმევად მეორე დიქტატორს ეწვია. ვერაფერს იტყვი, ორიგინალური ნაბიჯია. ბრიტანეთის პრესა ალბათ, კარგა ხანს გააგრძელებს ტრიპოლიში ბლერის სტუმრობის დეტალების განხილვას. ზოგიერთი ბრიტანელი დაბეჯითებით ამბობს, — მთავრობას ჭკუა გამოელიაო, ზოგიერთი კი ამაყად აცხადებს, — პრემიერი ლიბიელ პოლკოვნიკს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის უმეგობრდებაო. ლიბიას უნდა მივეხმაროთ ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნებაში — ბლერი ამ მოტივით გაემგზავრა ჩრდილოეთ აფრიკაში. სხვათა შორის, სენდჰერსტის სახელგანთქმულ სამხედრო აკადემიაში, რომელიც თავად მუამარ კადაფისაც აქვს დამთავრებული, მალე ლიბიელი კურსანტები ისწავლიან. გარდა ამისა, ბრიტანელები იარაღსაც მიჰყიდიან ლიბიას. მოკლედ, მეგობრობას გზა გაეხსნა. თუმცა ბევრი ბრიტანელისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მორალური ასპექტი. ლიბია თავის დროზე მხარს უჭერდა მსოფლიოს ტერორისტებს, მათ შორის ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, რომელიც დიდ ბრიტანეთს ემტერებოდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა რეიგანმა მუამარ კადაფის „ახლო აღმოსავლეთის ცოფიანი ძაღლი" უწოდა, უარესს მასზე ვერავინ იტყვის.

***ლენტა რუ***

## ისრაელმა „ჰამასის" დამაარსებელი მოიშორა





რადიკალურ-ისლამისტურმა სამხედრო დაჯგუფება „ჰამასმა" ისრაელელთა წინააღმდეგ შაჰიდების ხელით ბევრი ტერაქტი განახორციელა.

ამბობენ, რომ ჰამასის სულიერი ლიდერის — შეიხ აჰმედ იასინის ლიკვიდაციის ოპერაციას პირადად ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ხელმძღვანელობდა. შვეულმფრენ „აპაჩის" პილოტებმა პალესტინელ ისლამისტთა ლიდერს გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს. ჰაერიდან მაშინ დაარტყეს, როცა ადგილობრივ მეჩეთში ხეიბრის ეტლით შეჰყავდათ.

რაკეტა ეტლს მოხვდა, აჰმედ იასინი აფეთქების ტალღამ აიტაცა. მასთან ერთად დაიღუპა მისი 6 მცველი, დაჭრილია 15 ადამიანი. მომხდარიდან რამდენიმე წუთში ღაზის მინარეთებზე დადგმულმა მეგაფონებმა მორწმუნეთ შეატყობინეს სულიერი მამის, აჰმედ იასინის მკვლელობის ამბავი.

შეიხ აჰმედ იასინი ბავშვობაში დახეიბრდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სწავლაში, დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტი, სადაც ისლამს სწავლობდა. 1987 წლიდან იასინი სათავეში ჩაუდგა „ჰამასს". 1989 წელს ისრაელელებმა დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 1997 წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გაათავისუფლეს. თითქმის უსინათლო შეიხი ღაზაში დაბრუნდა. ისრაელელები მას ისლამური ტერორიზმის მთავარ იდეოლოგად თვლიდნენ და რამდენჯერმე სცადეს მისი მოკვლა, მაგრამ ვერ შეძლეს. ამჯერად მოახერხეს მისი ლიკვიდირება. „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არც ერთ ტერორისტს არ აქვს იმუნიტეტი", — განაცხადა ისრაელის ფინანსთა მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ. „ისრაელმა ჯოჯოხეთის კარი შეხსნა. შურისძიება არ დააყოვნებს", — ირწმუნება „ჰამასის" ხელმძღვანელობა.

ცხადია, იასინის მკვლელობა კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას პალესტინის ტერიტორიაზე და არიელ შარონის წისქვილზე დაასხამს წყალს, რომელიც ღაზის სექტორიდან ებრაელთა გამოყვანას ითხოვდა. ისრაელელთა უმეტესობა მთავრობის მეთაურს არ ეთანხმებოდა, თანაპარტიელებმა საჯაროდ გააკრიტიკეს კიდეც. იასინის მკვლელობის ფაქტი, რომელიც, რა თქმა უნდა, სტაბილურობას არ მოუტანს პალესტინას, შარონის იდეის სასარგებლოდ მუშაობს. ახლა კი, როცა პალესტინელები არ მალავენ, რომ შურს იძიებენ, ისრაელელ პოლიტიკოსთაგან ვერავინ იტყვის, ღაზის სექტორს ნუ დატოვებენ ებრაელებიო. შურისძიების გრძნობით განმსჭვალულ პალესტინელ ექსტრემისტებს იასინის მკვლელობამდეც უჭერდა მხარს ადგილობრივი მოსახლეობა, ახლა მით უმეტეს, არ გაუჭირდებათ „ჰამასის" ათასობით მომხრის დარაზმვა.

***იზვესტია №51***

## დიქტატორის ქალიშვილი ოპოზიციას მეთაურობს

სამხრეთ კორეაში კონსერვატორულ ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ყოფილი დიქტატორის პაკ ჩონ ჰის 52 წლის ქალიშვილი პაკ კინ ჰე, იგი „დიადი ქვეყნის პარტიის" („ჰანარადანი") თავმჯდომარე გახდა. პაკ კინ ჰემ განათლება მიიღო სეულის უნივერსიტეტში. საზოგადოებრივი საქმიანობა დაიწყო როგორც სამხრეთკორეელი სკაუტების ლიდერმა, პარტია „ჰანარადანში" წამყვანი პოსტები ეჭირა, ხელმძღვანელობდა ალიანსს „კორეის მომავლისთვის". მამამისი პაკ ჩონ ჰი სამხრეთ კორეის პრეზიდენტი 1961 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად გახდა. სასტიკი დიქტატორული რეჟიმის მიუხედავად, ბევრი მას მოიხსენიებს, როგორც სამხრეთკორეული „ეკონომიკური სასწაულის" შემქმნელს. დიქტატორი პოლიტიკურმა მტრებმა მოკლეს. ოპოზიციამ მისი ქალიშვილი პარტიულ ლიდერად აპრილის საპარლამენტო არჩევნებზე რეიტინგის ასამაღლებლად აირჩია. ოპოზიციის პოპულარობა დაეცა მარტში მის მიერ მოწყობილი პრეზიდენტ ნო მუ ჰენის იმპიჩმენტის გამო.

***ვლასტი №12***




## მოკლედ

**ლატვიის** პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრეიბერგმა ევროკავშირს მოუწოდა, შეფასება მისცენ რიგის მისამართით ვლადიმირ ჟირინოვსკის ნათქვამს. რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ჟირინოვსკიმ, ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით, ესტონური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, — ნატოსთან კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი ბრიუსელს კი არ დაბომბავს, არამედ ვილნიუსს, რიგასა და ტალინსო.

**ჩინეთმა** განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს მთვარის ორბიტული თანამგზავრის 2006 წლის დეკემბრამდე გასაშვებად. ჩინური მითოლოგიური გმირის ქალღმერთ ჩანის პატივსაცემად, რომელიც მთვარეზე გაფრინდა, თანამგზავრს „ჩან " უწოდეს.

**აშშ**-ის სამხედრო უწყება ავღანეთში 2 ათასამდე საზღვაო ქვეითს გაგზავნის. ისინი სპეციალური ოპერაციის ჩასატარებლად არიან გაწვრთნილები. ავღანეთში უკვე დგას 11-ათასიანი ამერიკული ჯარი. ამჟამად აშშ ავღანეთში ატარებს ოპერაციას „მთის შტორმი". მასში პაკისტანის ჯარიც არის ჩართული.

**კოტ დ'ივუარის** სავაჭრო დედაქალაქ აბიჯანის ქუჩები ქვეყნის პრეზიდენტის ლორენ გაბარბოს ერთგული ჯარისკაცებითაა სავსე. ისინი ქვეყნის მეთაურს იცავენ ოპოზიციისაგან, რომელიც პრეზიდენტს რეფორმების გაუტარებლობაში ადანაშაულებს. შეტაკებას უკვე შეეწირა 11 ადამიანი, 60 დაპატიმრებულია.

**ესპანეთის** პოლიციამ დააკავა მატარებლის აფეთქების ორგანიზებაში ეჭვმიტანილები. ძიება არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთი მათგანი გერმანიაში ცხოვრობდა.

**სტოკჰოლმში** დამთავრდა 25 წლის მიხაილო მიხაილოვიჩის სასამართლო, რომელსაც ბრალი ედება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელობაში. მიხაილოვიჩს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

**ჰაიტის** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბონიფაცი ალექსანდრმა ქვეყნის ახალ მთავრობას ფიცი დაადებინა. კაბინეტის მეთაურის ჟერარ ლატორტიუს თქმით, ჰაიტის ისტორიაში პირველად იქნა ფორმირებული მთავრობა, რომლის პრიორიტეტი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა იქნება.

**ბი-ბი-სი-ს** სატელევიზიო პროგრამა „პანორამის" ჟურნალისტური გამოკვლევით დადგინდა, რომ ყოფილი ერაყელი დიქტატორი სადამ ჰუსეინი მისმა ერთ-ერთმა ნათესავმა გასცა. მოჰამედ იბოჰომ ომარ ალ-მუსლითი ჰუსეინის მცველი იყო. იგი აშშ-ის სამხედროებმა შეიპყრეს და დაკითხვისას მან ამერიკელებს იმ ფერმაზე მიუთითა, სადაც ჰუსეინი იმყოფებოდა. 25 მლნ დოლარს, რომელიც აშშ-ის მთავრობამ სადამის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებლისთვის დააწესა, ალ-მუსლითს არ გადაუხდიან, რადგან დაკითხვაზე ათქმევინეს. ალ-მუსლითი სადამის დაცვაში ერთადერთი იყო, ვინც იცოდა, დამხობილი ლიდერის ადგილსამყოფელი.

სალვადორი

## სალვადორის პრეზიდენტი პალესტინელი გახდა

სალვადორში, საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალისტური რესპუბლიკური კავშირის ლიდერმა ელიას ანტონიო საკამ. მან განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს მემარცხენე ოპოზიციასთან, რომელსაც შაფიკ ჰანდალი ხელმძღვანელობს.

30 წლის ელიას ანტონიო საკაც და მისი 73 წლის ოპონენტი შაფიკ ჰანდალიც პალესტინელი ემიგრანტების ოჯახებიდან არიან. სალვადორის საპრეზიდენტო არჩევნებს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ბეთლემში, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობენ.

საკა და ჰანდალი პოლიტიკაში სხვადასხვა გზით მივიდნენ. შაფიკ ჰანდალი კომუნისტური ფრონტის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელიც 1980 წლამდე არალეგალურად არსებობდა, 1992 წელს კი ფრონტი ლეგალურ პოლიტიკურ პარტიად იქცა.

ელიას საკა კი იყო და რჩება თავისუფალი ბიზნესის მომხრედ. 13 წლისამ დედაქალაქ ელ-სალვადორის რადიოში სარეკლამო აგენტად დაიწყო მუშაობა. 22 წლისა უკვე რამდენიმე რადიოსადგურის მეპატრონე იყო და ბიზნესმენთა ნაციონალურ ასოციაციას ჩაუდგა სათავეში, რომელიც მოგვიანებით მემარჯვენე ნაციონალისტური რესპუბლიკური კავშირი გახდა.

ეს კავშირი წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებს აფრთხილებდა, — ბატონი ჰანდალის გამარჯვება კომუნისტური რეჟიმის დამყარების მომასწავებელიაო.

ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა პრეზიდენტის პოსტს ეთნიკური არაბი იკავებს.

1989 წელს არგენტინაში პრეზიდენტად აირჩიეს სირიელ ემიგრანტთა ოჯახიდან გამოსული კარლოს მენემი. 1996 წელს კი ეკვადორის ლიდერი გახდა წარმოშობით ლიბანელი აბდალაჰ ბუკარამი.

***კომსომოლსკაია პრავდა №61***

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

# „რა არის რომანტიკული ეკონომიკა?!“

## „საქართველო გადარჩენაზე კი არა, სიუხვესა და გამარჯვებაზე ორიენტირებული ქვეყანა უნდა იყოს...“

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

როდესაც ამდენი წელი სხვა ქვეყანაში ხარ, ხელმძღვანელობ წარმატებულ ორგანიზაციას, გყავს მეუღლე, რომელიც ერთ-ერთი წარმატებული ფირმის პარტნიორია და გყავს 3 შვილი, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ფესვები გაქვს უკვე გადგმული. ძნელია ხელის ერთი მოსმით ამ ფესვების ამოძირკვა. თუმცა სულ ვეძებ ფორმას, რომ ეტაპობრივად დავბრუნდე საქართველოში.

**— თქვენ სამშობლოში დაბრუნებისა და პარლამენტში მოხვედრის შესანიშნავი შანსი გქონდათ — საააკაშვილი სიაში გსვამდათ, მაგრამ ეს არ მოხდა. რატომ?**

— მიშა სიაში მსვამდა, მაგრამ არ დავთანხმდი პირველნომრობასაც კი. არ მაინტერესებდა პარლამენტში შესვლა. პარლამენტარობა მიზნად არ მაქვს.

**— ისიც ითქვა, რომ თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებდით მონაწილეობას?**

— არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე ხელსაყრელი მიშას კანდიდატურა იყო და ამიტომაც არ მივიღე მონაწილეობა არჩევნებში.

**— თქვენ ახლო ურთიერთობა გქონდათ ზვიად გამსახურდიასთან. მის 65 წლის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებებშიც მონაწილეობთ. როგორ გაიხსენებთ საქართველოს პირველ პრეზიდენტს?**

— ზვიად გამსახურდია ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი ადამიანია. მისმა მოღვაწეობამ განაპირობა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბება.

მახსოვს, ერთხელ ბატონი ზვიადი და მე ამერიკელი ეკონომისტების დელეგაციას ვხვდებოდით. ბატონი ზვიადი არ იყო ეკონომიკაში კარგად ჩახედული კაცი. როდესაც ამერიკელებმა ჰკითხეს, რა გზით უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკაო, მან ნირი არ შეიცვალა და უპასუხა, — საქართველო დაეფუძნება ყველაზე მოწინავე, ყველაზე ინოვაციურ ეკონომიკურ თეორიას, რომელსაც რომანტიკული ეკონომიკა ჰქვიაო. შემცბარი ამერიკელები თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, — რა არის რომანტიკული ეკონომიკაო — შერცხვათ ამ კითხვის ხმამაღლა დასმა.

**— მაინც რას გულისხმობდა რომანტიკულ ეკონომიკურ თეორიაში ზვიად გამსახურდია?**

— ეს არის ჩემი ჯგუფის მიერ დამუშავებული ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვით, საზოგადოების ეკონომიკური მდგრადობა და ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც შეიქმნება პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ისეთი საზოგადოება, რომელიც სოციალური სოლიდარობით იქნება განმსჭვალული. სოციალური სოლიდარობის გარეშე თავისუფალი ბაზარი ვერ იფუნქციონირებს. საქართველოში არ უნდა იყვნენ დამარცხებულები, გაჭირვებულები, მშივრები და უქონელნი. მსოფლიოში ორი ტიპის ქვეყნები არსებობენ — სიუხვეზე და გადარჩენაზე ორიენტირებული. სიუხვე დასავლეთშია, აფრიკასა და აზიაში კი, გადარჩენაზე ორიენტირებულნი სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უფრო ახლოს მეორე ტიპის ქვეყნებთან ვართ, საქართველო გადარჩენაზე კი არა, სიუხვესა და გამარჯვებაზე ორიენტირებული ქვეყანა უნდა იყოს. ამისი მიღწევის გზები ჩვენ დასახული გვაქვს.

**— გგონიათ, მოიწონებენ თქვენს ინოვაციებს? შესაძლოა თქვენმა იდეებმა მოშურნეებიც გაგიმრავლოთ, მზად ხართ ამისთვის?**

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო — ეს ქართველი კაცის ნათქვამი სიტყვებია, იმედიანად ვარ. ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი გამარჯვებაში. მაქვს საამისო ძალაც, ინტელექტიც და ჩემი ქვეყნის სიყვარულიც. ყველა ანგარებიანი ადამიანის წინააღმდეგ ეს იარაღი გამომადგება.

***იზო რიკაძე***

# „ჩვენი შესვლა ამა თუ იმ ობიექტზე ყოველთვის მოულოდნელი იქნება“

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

გამოძიების დასრულება უკვე გულისხმობს საქმის მიყვანას სასამართლომდე და იქ უკვე აღმკვეთი ღონისძიების ან ნებისმიერი სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებ, ან არდაკმაყოფილება მოსამართლის პრეროგატივაა.

**— ფინანსური პოლიცია ჯერ მხოლოდ ათი დღეა, რაც არსებობს და თქვენს ანგარიშზეა უკვე რამდენიმე გახმაურებული საქმე, რომელსაც სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით ახორციელებთ. ეს მეტ ვიზუალურ ეფექტს იძლევა, თუ მართლაც აუცილებლობით არის განპირობებული?**

— გარეგნულ ეფექტზე გათვლას ნამდვილად არ ვაკეთებთ, ამის მიზეზია ის, რომ ადამიანები, რომლებიც სჩადიან ეკონომიკურ დანაშაულს ან პირადი დაცვის თანხლებით დადიან, ან თავად ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღს. ამიტომ, ზედმეტი პრობლემებისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მივმართავთ სპეცრაზმის დახმარებას. ჩვენ არ გვაქვს იმის გარანტია, რომ ჩვენი უწყების ოპერატიულ მუშაკს, მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით შეუშვებენ შესამოწმებელ ობიექტზე. ეს სპეცდანიშნულების სწრაფი რეაგირების რაზმიც ჩვენი უწყების განუყოფელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციის წარმატებით ჩატარებას.

**— ეწ. „ფინანსური ამნისტიის“ ვადის ამოწურვამდე პრეზიდენტმა მეწარმეებს ხომ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა და მისცა დრო დამალული გადასახადების დეკლარირებისთვის?**

— მე შეგახსენებთ ჩვენი პრეზიდენტის უფრო ადრინდელ გამონათქვამებს, როდესაც ის ამბობდა, რომ საქართველოში კანონის წინაშე ყველა თანაბარია და არავინ არის ხელშეუხებელი. ფინანსური პოლიცია უკვე შეიქმნა და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიმოქმედოთ. მე ვერ ვხედავ ვერანაირ პრობლემას ამაში, იმავე „უშბას“ შეუძლია აღიაროს თავისი დანაშაული პირველ ივნისამდე.

**— რა შეღავათი ექნება ამით კომპანიას?**

— ჩვენი ინფორმაციით, „უშბას“ შემთხვევაში, ადგილი აქვს დიდი ოდენობის გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტს. პრეზიდენტმა კი შესთავაზა მეწარმეებს, რომ თვითნებურად ელიარებინათ და დაებრუნებინათ დამალული თანხები. ამ შემთხვევაშიც, თუ მოვლენ და აღიარებენ სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს, ჩვენ შევეშვებით.

**— ეი. ნებისმიერი კერძო კომპანია თქვენი ვიზიტის მოლოდინში უნდა იყოს?**

— ნამდვილად ასეა. იცით, ბევრმა მეწარმემ და ბიზნესმენმა ფინანსური პოლიციის შექმნა ხუმრობად მიიჩნია. მე მინდა გავაფრთხილო, რომ ჩვენ არ ვხუმრობთ. ჩვენი შესვლა ამა თუ იმ ობიექტზე ყოველთვის მოულოდნელი იქნება.

**იური ჩიხრაძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— ამ შემთხვევაში, მე მახსენდება ჟანდარმერია, რომელიც ძველ რუსეთში ფინანსური პოლიციის როლს ასრულებდა. ხოლო რაც უფრო მეტია ქვეყანაში ძალისმიერი და ძალოვანი სამსახური, მით უფრო მეტია ამ ქვეყანაში დანაშაულიც და კორუფციაც. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე უმჯობესი იქნებოდა გადასახადების ლიბერალიზაცია, ვიდრე ფინანსური პოლიციის შექმნა და ძალის დემონსტრირებით ვიღაცის დაშინება. ფინანსური პოლიციის შექმნით ჩვენს ქვეყანას შეემატება მექრთამე ელემენტები. მათი ქმედება საზოგადოებაში შიშს ნერგავს. სახელმწიფოსთან ადამიანი თავს უნდა გრძნობდეს, როგორც პარტნიორი. მართალია, მე ბიზნესმენი არა ვარ, მაგრამ ისეთი განწყობა მაქვს, რომ თითქოს ჩემი დაჭერაც შეუძლიათ ნებისმიერ დროს. ამგვარი მიდგომა კი გამოიწვევს ბიზნესის დაშინებას და ადამიანები შეეცდებიან მაქსიმალურად შეამცირონ თავიანთი საქმიანობის არეალი, ან საერთოდ დატოვონ საქართველო. მოხდება აგრეთვე გადანაწილება ბიზნესსამყაროში. დაიჭერენ მხოლოდ იმ ხალხს, ვინც მათთვის უცხოა, თუმცა ბევრს მათთან გარიგებაზე წასვლის შესაძლებლობაც მიეცემა. ყოვლად დაუშვებელია საბაზრო ეკონომიკაში, როგორც სასათბურე პირობების შექმნა, აგრეთვე ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. ეკონომიკა არის ურთიერთობები სახელმწიფოსა და მეწარმეს შორის და ის, რომ ერთ ადამიანს წაართვა გარკვეული თანხა და შეიტანო ბიუჯეტში, არ ნიშნავს ეკონომიკის განვითარებას.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ფინანსური პოლიციის შექმნით, სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის კიდევ ერთი ბარიერი აღიმართა?**

— თუ ფინანსური პოლიცია მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რასაც ისინი ამ ბოლო პერიოდში განასახიერებენ, ნამდვილად. ჩვენი სახელმწიფო ისედაც პოლიციურია და კიდევ ერთი ასეთი რგოლის შექმნა გაუმართლებლად მიმაჩნია. დღემდე ჩვენში მაკონტროლებლები ყოველთვის კორუფციასთან ასოცირდებოდნენ. მათ აუცილებლად უნდა აეღოთ ქრთამი, რადგან მექრთამეობა საქართველოში ბიუჯეტის როლს ასრულებდა. ანუ ამ გზით შემოსული თანხა საზოგადოების მრავალ ფენაში ნაწილდებოდა. შეუძლებელი იყო, რომელიმე მეწარმეს სუფთად ემუშავა, რადგან იმდენი „შავი გასავალი“ არსებობს საწარმოში, რომ ელემენტარულად, ამ ყველაფრის „გათეთრება“ და ხარჯების ჩვენება წარმოუდგენელი იყო. ამრიგად, მეწარმე ყოველთვის არღვევდა, მაკონტროლებელი-მექრთამე კი ყოველთვის იქ იყო ჩასაფრებული. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ საგადასახადოს თანამშრომლები აღარც შედიოდნენ საწარმოში, საკმარისი იყო მხოლოდ კართან მისვლა და თანხის ოდენობის დასახელება, რის შემდეგაც დგებოდა გარიგება.

**— ე. ი. თუ მაშინდელი მაკონტროლებელი ხელმძღვანელობდა ლოზუნგით — „აუცილებლად უნდა ავიღო ქრთამი“, ახლანდელი (ყოველი შემთხვევისთვის, იწყებს ასეთი შემართებით) ამბობს — „ყველა უნდა დავიჭიროთო“. ვინ უფრო მისაღებია ამ ორიდან?**

— ახალდაბადებულ ბავშვს არ სცემენ, ამიტომ არ მინდა ძალიან კრიტიკული ვიყო. ჯერ გაიზარდოს, ვნახოთ, იქნებ შეასრულოს გარკვეული ფუნქცია და თუ საცემი იქნება ვინმე, მერე ვცემოთ. მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ დღეს ქრთამს აღარ იღებენ, ძალიან შემცდარხართ. მაგალითად, დღეს პირადად ჩემგან აიღეს ქრთამის სახით გარკვეული თანხა, თან გამაფრთხილეს: ხომ არ გეწყინებათო?

**— იქნებ დააკონკრეტოთ, ვის მიეცით ქრთამი?**

— ერთ-ერთი ბიუროკრატიული უწყების წარმომადგენელს. ძალიან გთხოვთ, ახლა მისი გვარის და სახელის დასახელება არ მომთხოვოთ.

უფრო სრული სურათის შესაქმნელად ერთ ნაცნობ ბიზნესმენს მივმართე, რომელიც უკვე ათი წელია მანკიერი საგადასახადო სისტემის აქტიური „მოთამაშეა“ და გულახდილი საუბრის სანაცვლოდ, მისი ვინაობის ინკოგნიტოდ დატოვებას დავპირდი.

**— როგორ ყალიბდებოდა ურთიერთობები დროთა განმავლობაში საგადასახადო, მაკონტროლებელ ორგანოებსა და კერძო მეწარმეებს შორის?**

— როდესაც პირველად ბიზნესის სამყაროში აღმოვჩნდი, მახსოვს უფროსი თაობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ეს პერიოდი განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო საკუთარი საქმის საწარმოებლად და მაგალითისთვის მოჰყავდათ ხოლმე პოლიციის „ობეხესის“ განყოფილება, რომელიც სოციალიზმის პერიოდში არსებობდა და შიშის ზარს სცემდა ყველას. ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც საუბარი დაიწყო ფინანსური პოლიციის შექმნაზე, ძველი თაობის ბიზნესმენებმა და მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ ფინანსური პოლიცია, ყოფილი „ობეხესის“ ანალოგი იქნებაო. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან გარკვეული შიში დანერგა კერძო მეწარმეებში. გარდა ამისა, მე უშუალოდ ვიცნობ რამდენიმე პიროვნებას, ვინც ფინანსური პოლიციის რიგებში იწყებს მუშაობას. ამ ეტაპზე ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ მათ, რომ კორუმპირებულები არიან, თუმცა თავად არიან ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, რაც კანონით ეკრძალებათ. ერთი საკმაოდ არასასიამოვნო ფრაზა მოვისმინე ჩემი მეგობარი პოლიციელებისგან: მართალია, მაღალი ანაზღაურება — 800-1000 ლარამდე გვექნება, მაგრამ კაცი ქრთამის აღებას და გაცემას მაინც ვერ გადაეჩვევა, თუ საამისო პირობები ისევ იარსებებსო. ყოველივე ამას კი დღესაც ხელს უწყობს ჩვენი მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ორმაგი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა და მაკონტროლებელი ყოველთვის „მართალი“ იყო. გარდა ამისა, იმდენად მძიმეა საგადასახადო ტვირთი, რომ ყველა გადასახადის პირნათლად გადახდას, მაკონტროლებლისთვის ფულის მიცემა გერჩივნა. წელიწადში ერთხელ ხდებოდა აგრეთვე დოკუმენტური შემოწმება, რომელსაც აწარმოებდა სარევიზიო განყოფილება და გარკვეული თანხა მათაც მიჰქონდათ. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ, როდესაც აქტს ავსებდნენ ხოლმე, მე მეკითხებოდნენ: რამდენი გინდათ, რომ დაგარიცხოთ ბიუჯეტის სასარგებლოდო? რაც უფრო ნაკლებს დაგარიცხავდნენ, შესაბამისად იზრდებოდა მათთვის გადასახდელი ნაღდი თანხა.

**— ამგვარ პირობებს შეგუებული შეძლებთ დღეს „სუფთად“ მუშაობას?**

— დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი „სუფთად“, მაგრამ ჩვენი საგადასახადო კოდექსი, ჯერჯერობით, არ გვაძლევს ამის საშუალებას. საგადასახადო ტვირთი 20-25%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ასეთ პირობებში არ მგონია, რომ კიდევ ვინმემ დამალოს გადასახადები. რაც მთავარია, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ბიუჯეტში შესული თანხაც მეტი იქნება, ვიდრე ახლაა, უზარმაზარი გადასახადების პირობებში. ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, საგადასახადო სამსახურებს პირადად ჩემგან ერთი თეთრიც კი არ წაუღიათ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შიშის სინდრომმა მათშიც დაისადგურა. ამგვარ პირობებში გაიზარდა ჩემი წესიერების დონე, ანუ თუ ადრე ჩემი ბრუნვის ოფიციალური მაჩვენებელი 1000 ლარი იყო, ახლა მე 2000 ლარს ვაფიქსირებ, თუმცა ეს თანხა გაცილებით ნაკლებია რეალურ მაჩვენებელზე. მე თუ კანონი არ შემიცვალეს, იმის მიუხედავად, გაუზრდიან თუ არა ჯამაგირს მაკონტროლებლებს, მე მაინც შევეცდები კანონის ავლით გამოსავლის პოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, უბრალოდ, გავკოტრდები. წარმოიდგინეთ, მე რომ საბაჟო გადასახადით დაწყებული, საგადასახადო სტრუქტურებით დამთავრებული პირნათლად გავასწორო ყველასთან ანგარიში, ჩემ მიერ შემოტანილ პროდუქციას 120% უნდა დავარიცხო, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ხარჯი დავფარო. ხელისუფლებამ თუ არ მიიღო ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, „სუფთად“ მუშაობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

**— ფიქრობთ, რომ ფინანსური პოლიციის ნიღბოსნები თქვენთვისაც მოიცლიან?**

— არავინ არის დაზღვეული ამისგან, განსაკუთრებით კი ის მეწარმეები, ვისაც ბიზნესში გარკვეული „იმიჯი“ აქვთ შექმნილი. არ არის გამორიცხული, რომ დიდ, ცნობილ წარმოებებშიც ან საბანკო სექტორის რომელიმე ობიექტზე ჩაატარონ ამგვარი ოპერაცია. ფინანსური პოლიციის შექმნა ამ ეტაპზე ყოვლად მიუღებელი იყო პირადად ჩემთვის. ყველამ კარგად იცის, რომ ყველა მეწარმე დამნაშავეა კანონის წინაშე, მაგრამ ჩვენ კანონმა გაგვრყვნა, საგადასახადო სამსახური კი ქრთამის სანაცვლოდ, ჩვენს დანაშაულზე თვალებს ხუჭავდა. არ დამიჯერებთ, მაგრამ იმდენად ვიყავით შეგუებულები მათთვის ფულის მიცემას, რომ საგადასახადოსთვის მისაცემი ფული ახლაც გადადებული მაქვს (როგორც გითხარით, უკვე ორი თვეა არავის შევუწუხებივარ) და ალბათ უკვე სხვა დანიშნულებისთვის გამოვიყენებთ. ვფიქრობ, რომ საზოგადოება კანონმოშიში კი არა, კანონმორჩილი უნდა გახდეს, საამისოდ პირობები კი თავად სახელმწიფომ უნდა შეუქმნას.

***ემა ტუხაშვილი***

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან
უნივერსალური სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
მობ: 8.99. 569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 27 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0000 |
| ევრო | 2,4240 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,6090 |
| რუსული რუბლი | 0,0702 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5123 |

„ტრანსტრონიკის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

კემბრიჯის საერთაშორისო ინგლისური და ინტერნეტის კლუბი
ინგლისური ენის სწავლება და ინტერნეტი უფასოდ:
• სტუდენტთა გაწევრიანება კემბრიჯის ინგლისურ კლუბებში ინტერნეტის საშუალებით. მონაწილეობის მიღება მათ პროგრამებში - ენის შესწავლა ეტაპობრივად, კონკურსები და სხვ.
• ინფორმაციების მოპოვება კომპიუტერული ენციკლოპედიების საშუალებით (Britannica, Encarta, Webster).
• დოკუმენტური და საინფორმაციო ვიდეოფილმები.
• შეხვედრები და საუბრები უცხოელ სტუმრებთან.
• კლუბის უცხოელ წევრებთან დაკონტაქტება, მათთან საუბარი და მიმოწერა კომპიუტერის საშუალებით.
• კომპიუტერის და ინტერნეტის მომსახურება.

მის: შარაშიძის ქ. 5 (ნიკოლაძის შესახვევი), ☎/ფაქსი: 92-34-54; 22-04-70

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. გაცნობა



ზაფხულობით ბიძასთან გურიაში ხშირად ვისვენებდი. ვარ სპორტსმენი (შტანგისტი), ბიძაჩემთან მქონდა გირები, ჰანტელები და სხვა სავარჯიშო ინსტრუმენტები. 92-93 წლებში ველარ წავედი და ბიძაჩემს დავურეკე, მანქანით რომ წამოხვალ, ჩემი გირები და რკინები თან წამოიღე თბილისში-მეთქი. ერთხელაც, სახლში დაბრუნებულმა ბიძაჩემის მანქანა სადარბაზოსთან დავინახე. გამიხარდა. ის იყო, სადარბაზოში შევედი, რომ ტომარააკიდებული ბიძაჩემიც ჩამოვიდა, მომიკითხა და მითხრა, გავწყდი, ბიძიკო, წელში ამ შენი ჯართის თრევით. ჯერ ძლივს ავიტანე მეცხრე სართულზე, შინ არავინ იყავით, შენს მოპირდაპირედ დავაკაკუნე, დავუტოვებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არ დაიტოვეს, ჩვენ მაგათ არ ვიცნობთო. რა უნდა მექნა, ავდექი და ისევ უკან ჩამოვიტანე. აჰა, როგორც გინდა, მოუარე, შენს რკინებსო. მოვუბოდიშე, სახლში ამოდი-თქო, ველარ ვუთხარი, ისევ ფეხით ვიყავით ასასვლელი (ლიფტი არ მუშაობდა) და ვიფიქრე, შეწუხდება კაცი-მეთქი. გამოვემშვიდობე, ავიკიდე ტომარა და შევუყევი კიბეს. მეშვიდე სართულზე სირბილით დამეწია ბიძაჩემი და მითხრა, ბარემ ერთხელაც ამოვალ, საქმე მაქვსო. ავედით მეცხრეზე, ბიძაჩემი ეცა მეზობლის კარს და ბრახაბრუხი აუტეხა — გამოვიდა მეზობლის კაცი, რაშია საქმეო. არაფერში, ჯიგარო, გაიცანით ერთმანეთი, ეს არის ჩემი დისშვილი, თქვენი დედა ორივესიო — შეიკურთხა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე. იმ დღიდან დავახლოვდით მე და ჩემი მეზობელი.

*ტ. ქ.*

## 2. კირილე



ეს კურიოზი სოფელ ბაილეთში მიამბეს:

სილაურელ კაცს, რომელსაც კირილე ერქვა, თურმე ძალიან უყვარდა ექსპრეზიდენტი შევარდნაძე, დღე და ღამე ტელევიზორთან იჯდა და არც ერთ მის გამოსვლას არ უშვებდა. ვერავინ გაბედავდა ტელევიზორის სხვა არხზე გადართვას, არადა ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით მის ორ ვაჟს, ენატრებოდათ ფეხბურთისა თუ სხვა გადაცემების ნახვა. მოჰბეზრდათ ვაჟებს მამის ეს ახირება და ასეთი ოინი მოუწყვეს: ტელევიზორს უკან მიამაგრეს მიკროფონი, მეორე ბოლო სხვა ოთახში გაიტანეს. როცა კირილე აღტაცებული მისჩერებოდა პრეზიდენტის გამოსვლას, ტელევიზორს, ჩუმად, ბოლომდე ჩაუწიეს ხმა და მიკროფონი ჩართეს. „შევარდნაძემ" უცებ დაიწყო სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკი: ასე, ამხანაგებო, უნდა იმუშაოთ, გადით მინდვრად, ყანაშიო...

კირილეს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა, ლამის ტელევიზორში შეძვრა, — ხო, შენ გეუბნები, შენ, კირილე, რომ დაგიყვლეპია მაგი თვალები და მომშტერებიხარ, აიღე თოხი და წადი ყანაში!... ახლა, შენ წარმოიდგინე, მკითხველო, რა დაემართებოდა კირილეს, სანამ გაიგებდა, რომ ეს ოინი შვილებმა მოუწყვეს.

*სულიკო ლომჯარია, ოზურგეთის რაიონი*

## 3. არ მძინავს



ჩემი მეზობელი ნოდარი კომუნისტების დროს ერთ-ერთ ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა. მაშინ წესად იყო, თვეში ერთხელ, სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ ლექციებს. ერთ-ერთი ლექცია ატომური ბომბის აფეთქების დროს თავდაცვის საშუალებებზე იყო. ნოდარს ლექციის დროს ჩაეძინა, ლექტორმა უსაყვედურა, მან თავი იმართლა, — არ მძინავსო. მაშინ მიპასუხე, როგორ მოიქცევი ატომური ბომბის აფეთქების დროსო — ნიშნის მოგებით ჰკითხა ლექტორმა. — მტერი მოგექცეს ისე, მე რომ მოვიქცევიო — უპასუხა გამოფხიზლებულმა ნოდარმა.

*მაკა რატიანი, თბილისი*

## 4. ბებია



სვანი მეგობარი მყავს ავთო ლიპარტელიანი. აი, რა მიამბო მან: ოთხმოციანი წლებია, ლენტეხის რაიონიდან თბილისში წავედით საქმეზე, თან 80 წელს მიტანებული ბებიაც წავიყვანეთ. თბილისში გადავწყვიტეთ კინოში შესვლა. ინდური ფილმი გადიოდა. დაიწყო გაუთავებელი ინდური სიმღერები და ცეკვები. ბებიას კმაყოფილი სახე ჰქონდა. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა ინდური ცეკვა-სიმღერა, მაგრამ მალე ატყდა ჩხუბი ფილმში. ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ. ბებიამ ეს რომ დაინახა, ჯერ ხმადაბლა გამოთქვა პროტესტი, შემდეგ ყურადღება არავინ რომ არ მიაქცია, მოუმატა და მოუმატა კივილს, უშველეთ, დახოცეს ერთმანეთიო! მაყურებელმა ფილმის ყურებას მიანება თავი, ყველა ბებიასკენ შემობრუნდა, რა აკივლებს ამ ქალსო. შუქი აინთო, ფილმის ჩვენებაც შეწყდა. ეგონათ, დარბაზში ვიღაც შეწუხდაო. ბებია ძლივს გამოვიყვანეთ გარეთ, ჩვენ სიცილისაგან სულს ძლივს ვითქვამდით, ბებია კი გაოცებული ყვიროდა: — ფუი, თქვენს ვაჟკაცობას, იჯექით და უყურებდით, რატომ არ გააშველეთო!

*ავთო ლიპარტელიანი, ბადრი კილაძე, ლანჩხუთი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**5.** სვანმა ძმებმა ცხენები იყიდეს, მაგრამ ვერ არჩევენ, რომელი რომლისაა. ერთმა ცხენს ყურები მოაჭრა (იქნებ ასე მივხვდეო), მეორემაც მოაჭრა. კუდებიც რომ მოაჭრეს, უფროსი ეუბნება უმცროსს:

— ჯანდაბას, რადგან სხვანაირად ვერ ვარჩევთ, თეთრი შენი იყოს და შავი ჩემი...

*მათე სულწაძე, წყალტუბო*



**6.** შეყვარებული მიხო მაროს ეუბნება:
— მარო, მითხარი, ჩემამდე გყავდა ვინმე?
— არა, შვილს გეფიცები!..

*პაატა წიქარიშვილი, ხაშური*



**7.** მიხოს მოაქვს ორი ფერადი ტელევიზორი, გზაში მეზობელი შეხვდება და ეუბნება, რად გინდა ორი ფერადი ტელევიზორიო. მიხომ უპასუხა, რად მინდა და, სიდედრმა მითხრა, ერთ ფერად ტელევიზორში ნახევარ სიცოცხლეს გავცვლიდიო.

*გ. პ., ქუთაისი*



**8.** მიხო მიდის თავის თანასოფლელ ექიმთან. გასინჯავს ექიმი და ეკითხება: — რამდენი წლის ხარ შენ ახლა, მიხო?
— აპრილში ვხდები 75-ისა.
— ჩემს ფეხებს გახდები!..

*ქეთი, თბილისი*



**9.** მიტო მიხოს აბანოში ეპატიჟება:
— მიხო, წამო აბანოში!
— არა, აბანოში აღარ დავდივარ!
— რატომ?
— რატომ და, ქალებისაში არ მიშვებენ და კაცები რაში მაინტერესებს.

*მარინა მკრტიჩიანი, თბილისი*



**10.** სვანმა გაგზავნა შვილი სიგარეტზე და დაუბარა: თუ ერთ მაღაზიაში არ ჰქონდეთ, მეორეში მიდი, თუ იქაც არა, მესამეშიო.

რამდენიმე წუთში უკან ბრუნდება ბიჭი და მამას ეუბნება: ყველა მაღაზიაში აქვთ და საიდან მოგიტანოო.

*ქიტესა, თბილისი*

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

კვირის პალიტრა №13

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 31 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 1 აპრილის 13 საათამდე.*

**5 აპრილის ნომერში თქვენ შეიტყობთ მარტის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.**

**წარმატებებს გისურვებთ!**

## მილოცვა

დევნილთა და განსახლების მინისტრს ქ-ნ **ეთერ ასტამიროვას** საქართველოს დევნილთა სახელით, სასტუმრო „აჭარაში" მყოფი დევნილები ულოცავენ იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, გაძლებას, წარმატებებს და საქართველოში ამ სამინისტროს მომავალში გაუქმების პირობების დადგომას; თავად მინისტრს – აფხაზეთში სხვა ღირსეულ თანამდებობაზე ხილვას, რათა, როგორც დღემდე, ისე პირნათლად ემსახუროს თავის გაუბედურებულ თანამოქალაქეებს აფხაზეთის აღმშენებლობის საქმეში.

P.S. იქნებ შემთხვევითი არ არის არჩევნების დღისა ქ-ნი ეთერის იუბილის დამთხვევა – როგორც გიორგობის და „ვარდების" რევოლუციისა. ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი!

## ბინები

ქირავდება ხვიჩიას (პარტიზანების) ქუჩაზე, I სართულზე 22 კვმ კომერციული, ახალგარემონტებული ფართი, სველი წერტილით. ტელ: 37-48-14 (სალომე).

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამოთხის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას აღმოსავლეთ ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებლობა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლები. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

ფირმას ესაჭიროება კვალიფიციური თანამშრომლები უმაღლესი განათლებით. უპირატესობა ენიჭება ინგლისური ენის მცოდნე პირებს 35-45 წლამდე. ტელ: 77-63-37

ახალ უცხოურ კომპანიას ესაჭიროება თანამშრომლები საოფისე სამსახურისთვის. აუცილებელია უმაღლესი განათლება. ტელ: 38-89-39

საზღვარგარეთული კომპანია გახსნასთან დაკავშირებით აწარმოებს თანამშრომლების – უმაღლესი განათლების მქონე პირების მიღებას, მაღალი ანაზღაურებით. უპირატესობა ენიჭება ექიმებს, ეკონომისტებს, მასწავლებლებს. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 61-00-53

თუ თქვენ გაქვთ უმაღლესი განათლება, იცით რუსული და ხართ მიზანსწრაფული, საერთაშორისო კომპანია გაგიხსნით, გახდეთ წარმატებული და მოიხსნათ ეკონომიური პრობლემები. ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 95-18-36 ელენე

ცხადდება კონკურსი შემდეგ ვაკანსიებზე: ფარმაცევტული კომპანია GPG-ის დირექტორის მოადგილე, სტუდია „სამთას" ტოპ-მენეჯერი, ბალნეოლოგიური კურორტ „ნუნისის" სერვისის დირექტორი და უფროსი მზარეული. ტელ: 32-99-32; 39-58-46

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მარშრუტზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტელ: 70-25-11; 899 28-90-88. ბესო

## მომსახურება

კომპიუტერული მომსახურების ფირმა „კომლაინი" ავალებს მისვლით გთავაზობთ: კომპიუტერების ტექნიკურ და პროგრამულ გამართვას სტაციონარული მუშაობის გარანტიით, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვირუსებისგან გაწმენდას, ინფორმაციის აღდგენას, ქსელის ადმინისტრირებას, სპეციალისტის კონსულტაციას. მის: ზაქარიაძის ქ. №4. ტელ: 899 54-40-84

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება ხაზულზე მუდმივულად ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟით იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი 6 წლიანი გამოცდილებით. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. საქმეში რამდენიმე ინდივიდუალურად – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საუკეთესო დღის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განსაკუთრებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შედეგების და გაღიზიანების გარეშე. არ დაეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა




ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ვიზაჟისტ-კოსმეტოლოგი გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ საქორწილო და სადღესასწაულო მაკიაჟს (ბინაზე მისვლით), ამერიკული ფირმის – „დერმაჯეტიკის" მასალების გამოყენებით. ტელ: 39-51-89; 893 26-41-01. მაია

სუპერსიმაღლე – თვეში 3-4 სმ, 25 წლამდე; გახდომა-გასუქება – თვეში 7-20 კგ წონის შენარჩუნებით. დაგეხმარებით აბსოლუტურად მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული პრეპარატებით. შედეგები გარანტირებულია. საერთაშორისო კონსულტანტი მედეა. ტელ: 98-86-19; 899 51-18-20

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული საშუალებებით: თამბაქოსა და ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება, ნევროზები, უძილობა, კუჭის წყლული, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თმის ცვენა, ალერგია, ასთმა, შარდის შეუკავებლობა, ართრიტი, ართროზი, წონის კორექცია, ფსორიაზი, კატარაქტა, სოკო, დიფუზიური ჩიყვი. ტელ: 32-39-46; 99-75-90. ნათია

ალერგოლოგის კონსულტაცია: ბრონქული ასთმა, სურდო, ჭინჭრის ციება, ალერგიული გამონაყარი, კვინკეს შეშუპება; გამოკვლევა, მკურნალობა, ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო (სადგურთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ. 56-63-66 (სამს); 893 30-36-99

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

სიახლე! თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან გათავისუფლება სპეციალური პროგრამით და სურვილისამებრ აუდიომეთოდიკითაც, მაღალი შედეგებით. კურსი ინდივიდუალურად – 1-2-3 თვე. აგრეთვე ორგანიზმის გაჯანსაღება ამ დაავადებების გართულებებისაგან: აგრესიულობა, ძილის მოწესრიგება, ნევროზები, ჰეპატიტები, კვალიფიციური კონსულტაციით. ტელ: 99-75-90; 893 36-87-62. ავთანდილი

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით პროდუქცია, რომელიც კურნავს: ნევროზს, უძილობას, შიშებს, დეპრესიას, თავის ტკივილებს, ჰიპერტონიას, ინსულტის შემდგომ პერიოდს, ვარიკოზს, ბუასილს, კოლიტს, თვალის დაავადებებს, ფსორიაზს, კუჭის წყლულს, სახსრებს, ქრ. ბრონქიტს, კლიმაქსს; ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი; აგრეთვე კოსმეტიკა. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ალერგიული დერმატიტი – საუკეთესო შედეგებით. ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ). ტელ: 899 22-26-37

გთავაზობთ მცენარეულ გამაჯანსაღებელ საშუალებებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს შემდეგ ნოზოლოგიებზე: ნევროზი, შიშები, დეპრესია, აკვიატება, თავის ტკივილები, თმის ბუდობრივი ცვენა, ქრ. ბრონქიტი, კოლიტი, ბუასილი, პროსტატიტი, ალერგია, ასთმა, სოკო, რევმატიზმი. ტელ: 899 96-38-92. მზია

გთავაზობთ უახლეს მცენარეულ საშუალებებს, რომლებიც დაგეხმარებათ დაძლიოთ შემდეგი დაავადებები: კანის დაავადებები, სოკო, ბუასილი, ვენების ვარიკოზული დაავადებები, რაქიტი. ბავშვებში ინტელექტუალური განვითარება – ვიტამინებითა და მინერალებით. ტელ: 899 54-24-59. დათო

გაჯანსაღება მცენარეული პრეპარატებით: ნევროზები, ნევრიტები, უძილობა, სახსრების მარილოვანი დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ართრიტი, ართროზი, თმის ბუდობრივი ცვენა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 99-75-90 (12-დან 18 სთ-მდე). გიორგი

მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 39-00-70; 39-25-57; 899 56-96-61

პროსტატიტი, იმპოტენცია, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ართრიტი, ართროზი, სოკო, ბუასილი, კოლიტი, პარადონტოზი, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, ქრ. ბრონქიტი, წონის კორექცია. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 899 72-39-20. ნოდარი

ალკოჰოლიზმისაგან სწრაფი გათავისუფლება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებებისაგან ორგანიზმის გაჯანსაღება, ჰეპატიტები, თამბაქოსაგან გათავისუფლება, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში შექმნილი ექსკლუზიური, სერტიფიცირებული პრეპარატებით. პრეპარატებს უკუჩვენება არ გააჩნია. შედეგები მაქსიმალურია. მიღება წინასწარი ჩაწერით ტელ: 899 22-63-90. ნინო

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, თავის ტკივილი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

გაჯანსაღება მაღალი შედეგებით, ეფექტური სერტიფიცირებული პრეპარატებით: ნევროზი, შიში, დეპრესია, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ბუასილი, ვარიკოზი, კანის პრობლემები, ჰიპერტონია, სახსრები, მარილები, ინფარქტისა და ინსულტის შემდგომი გაჯანსაღება (კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატებით. უკუჩვენება არ გააჩნია). ტელ. 53-08-02. ნინო

ალკოჰოლომანებისა და მწეველების საყურადღებოდ! თქვენ დაგეხმარებათ ЛООВИТ-ის „ანტიალკოჰოლი" და „ანტითამბაქო", რომელიც უმოკლეს დროში უპრობლემოდ გაგათავისუფლებთ მავნე ჩვევებისგან. ასევე გაჯანსაღება უმაღლესი შედეგებით: ნევროზი, ჰიპერტონია, ალერგია, ასთმა, მარილები, სახსრები, მხედველობის დაქვეითება. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. ეფექტი – პირველივე დღეებიდან. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 10-14 სთ, წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: ტელ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

სწავლება კოსმეტიკის კურსებზე, სააღდგომო 40%-იანი ფასდაკლებით. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, კანის გაწმენდა, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილთან"), I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

იყიდება ფოტოლაბორატორია ფუჯი 541 გასამჟღავნებლით pp 230 მინილაბი. ტელ: 899 57-85-85

იყიდება ა/მ Mercedes-Benz ML-320, ჯიპი, 1998 წლის, ახალი ჩამოყვანილი, ტყავის სალონით, სრული ელექტროპაკეტით, გარბენი – 91000კმ. ფასი $25000. ტელ: 899 56-79-23

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამანი, იუკა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლუგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

35 სმ-ზე გრძელ თმას. ტელ. 58-78-88

## სხვადასხვა

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საქართველოს რეგიონებიდან საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. მის: ალმაშენებლის გამზ. №95 (ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევი, 20 სთ-დან). ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

მიმდინარეობს შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი – სამტრედია"-ს ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა. დირექტორი-ლიკვიდატორი კარლო შენგელია.



**რამაზ არევაძის ხსოვნას!**

ისევ მოვიდა 24 მარტი – შენი დაბადების დღე უშენოდ. 4 აპრილს უფალმა თავისთან გიხმო. წახვედი, მაგრამ სამუდამოდ ჩემს გულში დარჩი.

და, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ უფლის შეწევნით გაგინათოს გზა სამუდამო სასუფეველში.

*ზოია (მზია) ინჯია*

**ზურა მარტყოფლიშვილის (ბოლოკა) ხსოვნას!**



უკვე გაირბინა ტკივილიანმა ხუთმა თვემ. 20 წლისამ მოულოდნელად მიგვატოვე და ლამაზი ფიქრებით, ოცნებებით ზეციურ ცხოვრებაში გადაინაცვლე. რაც დრო გადის, ცხოვრება უფრო გაუსაძლისი ხდება შენი საცოდავი დედისთვის, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა, ობლად დარჩენილი შვილების აღზრდას შეალია.

უშენობა უჭირთ შენს ძმებს – გურამს, დათოს. ყველა დაგტირის, ყველას ენატრები ლამაზი, ხუმარა ღიმილის ბიჭი.

ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა – 21 წლის უნდა გამხდარიყავი. უსაშველო გულისტკივილით მოგილოცავთ დაბადების დღეს. გეფერებით, გვენატრები.

ჩემი და შენი გულნატკენი ძმების დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში, ჩვენო ზურა. გვჯეროდეს, შვილო, შენი წილი სანთელი ეკლესიაში მუდამ იციმციმებს.

*შენი დამწუხრებული დედა, ძმები*

**ვასიკო ბაკაშვილის მონატრება**



მოგიკვდეს დედა, შვილო ვასიკო. 22 თებერვალს ერთი გრძელი, ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა – წელი ავადსახსენებელი და ჩვენი ოჯახის დამანგრეველი. „მარშრუტკის" შედეგად გამოწვეულმა ავარიამ შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე.

მწარედ მაგონდება შენი სიტყვები, შვილო, რომ გითქვამს, – წავალ კლასელის წლისთავზე, დედაც მომენატრა და ენახავო. ვაი, რომ დედამდე ვერ მოაღწიე და წახვედი ამ წუთისოფლიდან დედას მონატრებული. ასეთი მეხის დაცემის შემდეგ ჯერ კიდევ გონზე ვერ მოვსულვარ, თავი სიზმარში მგონია. ისევ გელოდები, ისევ გხედავ გაღიმებულს და გეხვევი და გკოცნი. ხან ისე მენატრები, რომ სიგიჟემდე მივდივარ. შვილის მონატრება ყველაზე ძნელია. ამას მიიხვდებიან მხოლოდ ჩემსავით გაუბედურებული, შვილმკვდარი დედები. მოგიკვდეს დედა, ეს რა მარგუნა ბედმა. ახლა ვხვდები, რომ შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლე ყოფილა.

ჩემო ლამაზო შვილო ვასიკო, ძალიან ენატრები შენს უბედურ მამას, უდროოდ გამწარებულ შენს მეუღლე ლიას, შენს ერთადერთ ვაჟკაცს – შენი ფესვებიდან ამოსულ ყლორტს ათუკას, რომელსაც უზომოდ უყვარხარ და რომელსაც შენი სითბო და ალერსი ახლა სჭირდება. ენატრები შენს ერთადერთ დას, დისშვილებს, ცოლისდებს, ცოლისდისშვილებს, ქისლს, სიძეებს, ბიძებს, ნათესავებს, კლასელებს, ამხანაგებს და მეგობრებს.

დედა მოგიკვდეს, ვასიკო, 27 მარტი ხომ შენი დაბადების დღეა – 39 წლის გახდებოდი, ჩემო მონატრებულო შვილო! ისღა დამრჩენია, მოვიდე შენს საფლავთან, მოგიტანო გაზაფხულის ყვავილები და დაგინთო 39 წმინდა სანთელი.

დაე ჩვენმა მონატრებამ, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა სასუფეველში.

*შენი უბედური დედა ნუნუ ტუხაშვილი*

**იზოლდა მიმინოშვილი-ბუბუტეიშვილის მონატრება**



20 იანვარი ტრაგიკული დღეა ჩემს ცხოვრებაში. ამ დღეს ხატებთან ლოცვისას შეწყდა შენი გულისცემა. თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება.

წახვედი და დაგვიტოვე მოურჩენელი იარა...

პირველად მოვიდა გაზაფხული, 27 მარტი, შენი დაბადების დღე უშენოდ...

ყველას გვენანები, ყველას გვენატრები...

უზომოდ გვაკლიხარ, უზომოდ გეფერებით...

მუდამ გვემახსოვრები, არასოდეს დაგვავიწყდები, ჩვენო საყვარელო იზო.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული...

*შენი ოჯახი და ახლობლები*



**გიორგი (გია) კვატაშიძეს!**

გავიდა 4 გრძელი ჯოჯოხეთური წელიწადი, ტკივილითა და გოდებით. მოგვახლოვდა 28 მარტი.

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფელში, ეს სიკვდილია – მოულოდნელი და თავზარდამცემი ტრაგედია. ძალიან მძიმეა ჩვენთვის ის საბედისწერო გაზაფხული, როცა მუხანათურად გაგწირა ალალმა ბიძაშვილმა. სულის ტკივილამდე აკლიხარ და ენატრები მეუღლეს, რომელსაც დაუტოვე დარდი, სევდა, ცრემლი, ორი მცირეწლოვანი – გიორგი და გვანცა, რომლებიც უშენოდ დაიზრდებიან. გვანცა და გიორგი, რომლებიც გაგრძელებაა შენი ნაადრევად წასული სიცოცხლისა, ნუგეშად გვყავს. შენზე უზომოდ შეყვარებული ოჯახის წევრებს დაგვიტოვე მოურჩენელი გულის ტკივილი.

ენატრები დას, დისშვილებს. უზომოდ გვენატრები, გია. განადგურებული მშობლები როგორ ვცოცხლობთ უშენოდ, საინტერესოა, ახლა რა გვაძლებინებს?! შვილთან განშორების შემდეგ დედაც იმწუთში კვდება, არაფერს ნიშნავს მისი მიწაზე სიარული.

გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ჩვენო გიორგი.

*შენი გამწარებული მშობლები*

**ელგუჯა ჯვარელიას მონატრება**



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო გუჯა. 2 აპრილს 41 წლის გახდებოდი. 2 იანვარს მეხივით გავარდა შენი სიკვდილის ამბავი, იმ გულმა გიმტყუნა, რომელიც სიყვარულსა და სითბოს ვერ იტევდა. ყოველი დღის გათენება სიკვდილის ტოლფასია ჩვენთვის – მეუღლისთვის, დისთვის; დააკლდა შენი მზრუნველი ხელი შვილებს – ქეთის და გიგას. დატოვე სიცარიელე და გამზრდელი დედის გამწარებული სიბერე, შენი სურათები, შენი საფლავი და მწარე ღამეები.

გუჯა, ჩვენ ყველანი ვლოცულობთ, რომ ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ალალი სული.

*შენი ტანჯული დედა*



**თამარ ლოლაძე-დალაქიშვილის გახსენება**

უკვე ათი წელი გავიდა, რაც შეჩერდა შენი მაჯისცემა, რაც დატოვე ეს სამყარო და გადაინაცვლე მარადიულ სასუფეველში. ძალიან გვენატრები, ჩემო კეთილო, სათნო და საყვარელო დედა. როგორი ბუნებაც გქონდა, სიკვდილსაც ისე ჩუმად, მდუმარედ შეხვდი, არაფერი გვითხარი და თან წაიღე შვილებისა და ახლობლების უსაზღვროდ დიდი სიყვარული. მამამ ორმოცი დღეც ვერ გაუძლო უშენობას და მანაც შენ გზას გაიხარა. ძალიან დიდი ტკივილი ყოფილა მშობლების დაკარგვა, ტკივილი, რომელსაც დრო ვერ კურნავს – პირიქით, უფრო მეტად გვენატრებით. არასოდეს დაშრება თქვენი სიყვარული ჩვენს გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი და სპეტაკი სულები.

*უკვე ათ წელს მითვლიის, რაც აღარა ხარ, დედა,*
*ათი ზაფხული უშენოდ და უთვალავი სევდა;*
*შენი სითბო და ალერსი მე ძლიერ მენატრება,*
*სიზმრად მაინც მეჩვენე, კვლავ რომ გიხილო, დედა,*
*კვლავ შენს ქალარას შევეხო, თმებს გადაჭრნებილს თეთრად.*
*მაგრად ჩავიკრა გულში და ჩაგჩურჩულო ნელა,*
*„დღეს უფრო ძლიერ მიყვარხარ, ვიდრე მიყვარდი, დედა".*

*შვილები*

**გივი სახაშვილის მონატრება**



გაუსაძლისი, ტანჯვის და წამების ცხრა თვე გავიდა უშენოდ, ჩემო უსაზღვროდ მონატრებულო მეუღლევ და მეგობარო გივი. უშენოდ მოვიდა შობა და ახალი წელი, უშენოდ მოვიდა გაზაფხული, 31 მარტი – შენი დაბადების დღე. ამ დღეს ხომ 49 წელი შეგისრულდებოდა. მიმძიმს ყოველივე ამის მოგონება, რადგან ყოველი დღის გათენება უშენოდ ჩემთვის ახალი სიკვდილია. მენატრება შენი ხმის გაგონება. როგორ ვიფიქრებდი, თუ უშენოდ ჩემი სიცოცხლე ისევ გაგრძელდებოდა, მაგრამ ვგრძნობ, ყოველივეს ჩვენი შვილები მატანინებენ, განსაკუთრებით კი შენი გაზრდილი, ზრდილობისა და სიდარბაისლის შენეული ეტალონი ბესო, რომელსაც შენი დათესილი სიკეთე და კაიკაცობის სახელი ცხოვრების მეგზურად გაჰყვება.

გივი, ძალიან, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ენატრები შენს შვილებს – ქეთის, ეკას, ბესოს, პატარა შვილიშვილს ვაკოს, რომელიც პატარა ხელს სურათისკენ იშვერს და გიხმობს „პაპას".

ძნელია განცდა იმისა, რომ შენებრ ტკბილად და მხიარულად ველარ უმასპინძლებ ახლობლებს, შენს საძმოს, რომლებიც ხშირად გიგონებენ, ფიქრსა და ოცნებებში ყოველთვის მათთან ტრიალებ.

ბოლოს კი უზომო გულისტკივილით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. მოვალ, გივი, შენი შვილებით და 49 სანთელს აგინთებთ. გვჯეროდეს, რომ შენი წილი სანთელი ყოველთვის იციმციმებს.

უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული მარადიულ სასუფეველში.

*მონატრებული ოჯახი*



**თამარ დანელია-ცაგარეიშვილის მონატრება**

ჩვენო საყვარელო ბებია, 29 მარტს შენი დაბადების დღეა. წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა და მარადისობაში გადავიდა.

ჩვენო ტკბილო და თბილო ბებია, გვეამაყება, რომ შენი შვილიშვილები ვართ. გვეამაყება იმიტომ, რომ დღე არ გავა, ბანაკში ან მეზობლებმა ან ყოფილმა მოსწავლეებმა ტკბილად არ მოგიგონონ.

გვწამს, რომ უფალმა სასუფეველში დაგიმკვიდრა სამუდამო სავანე, ჩვენ კი შენს საფლავს არ მოვაკლებთ წმინდა სანთლებს, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი სპეტაკი სული.

*შენი საყვარელი შვილიშვილები: თამუნა, თეონა და ლაშა ცაგარეიშვილები*

**ნატო ღვინაშვილს!**



გავიდა ტკივილიანი და ცრემლებით სავსე ერთი წელი. შემოგვრჩა შენი სურათები და საშინელი მონატრება, სურათები, საიდანაც შენი სიცოცხლით სავსე თვალები შემოგვყურებს. შენ უზომოდ შეხაროდი ხალას ბავშვობას და აკი დაიმკვიდრე კიდეც მარადიული ბავშვობა და ახალგაზრდობა.

ჩემო სანატრელო ნატული, შენ ჩვენს გულებში ხარ მარად, ჩვენი განშორება არ არსებობს. შენი წყალობით უფალმა გვაზიარა იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც სულის უკვდავება ჰქვია. ჩვენ ის გვანუგეშებს, რომ იმ ქვეყნად შენი უმანკო სული სიცოცხლეს აგრძელებს. შენ ხომ ცაზე მოკაშკაშე ერთ-ერთი ვარსკვლავი ხარ.

ამქვეყნად წუთიერი სტუმრები ვართ. მარადიული სამყოფელი მანდ არის, სადაც შენ იმყოფები. ყოველი დღე გვაახლოებს შენთან შეხვედრას, რომელსაც აღარ ექნება დასასრული.

მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის და აგინთებთ წმინდა სანთლებს, ჩვენო სანატრელო შვილო.

*შენი ოჯახი*

**თენგო და კოტე ჩაჩავების ხსოვნას!**

კიდევ ერთი ტკივილიანი 31 მარტი გადის – შენი დაბადების დღე, თენგო. შენი მონატრება დასტყობია ირგვლივ ყოველივეს. ამქვეყნად ყველაფერი კარგის სულისჩამდგმელი და განმხორციელებელი იყავი. ის ლამაზი დღეები მოგონებად დაგვიტოვე.





შარშან ბოლო დაბადების დღე გადაგიხადა მამამ და 1 აპრილს ერთი წელი გახდება, რაც გაეცალა მისთვის ტანჯვადქცეულ წუთისოფელს. წამის წამი ვერ იცხოვრა უშენოდ, ეუხერხულებოდა სიცოცხლე და მანაც შენსავით უმტკივნეულოდ, ძილში დატოვა საქაო – მისმა სულმა შენთან ერთად დაივანა.

კოტე ჩაჩავა – მხოლოდ დიდი სინანულითა და გულისტკივილით მოიგონებენ მას. თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულმა პროფესიონალმა, ყველგან, სადაც კი მუშაობდა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თავმდაბალი და პრინციპული, ზოგჯერ უკომპრომისო, შესანიშნავად უხამებდა ადამიანურ სითბოს და თითქოს განსაკუთრებულს არაფერს აკეთებსო – დახმარების ხელს უწვდიდა ყველას – სიკეთეს თესდა და იმკიდა კიდეც.

თენგო და მამა, დრო ვერ ჩაფერფლავს თქვენს სიყვარულსა და ხსოვნას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

*ოჯახი*

**ოთარ გოგატიშვილის გახსენება**



3 აპრილი – გილოცავთ, ოთო, დაბადების დღეს! სად? როგორ? ძალიან ძნელია საფლავზე დაბადების დღის მოლოცვა. ამ დროს აღნიშვნა კიდევ ერთი დიდი ტრაგედიაა ჩვენთვის, მაგრამ ყველაფერს შენი სულის საამებლად და მოსახსენებლად ვაკეთებთ.

ჩვენ ყოველთვის მოგიგონებთ ისეთს, როგორიც იყავი – ცოტათი უცნაური, თითქოს პრეტენზიულიც, მაგრამ კეთილი, ულალატო, ნაღდი ძმაკაცი, ყველას დამხმარე ჭირსა თუ ლხინში.

ამქვეყნად დარჩენილი შენი ხსოვნა თითოეული ჩვენგანისთვის ძვირფასია და მას დავიწყება არ უწერია.

*ნატო ახობაძე*



**ქეთევან გოგინაშვილის მონატრება**

მეოთხედ შემობრუნდება ჩვენი ოჯახისთვის სულისა და ხორცის შემძვრელი და დამაქცეველი აპრილის თვე. 2 აპრილს 27 წლის გახდებოდი, მაგრამ მეოთხე წელია, ჩვენთვის ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო – სიცოცხლე უშენოდ.

ქეთინო, უშენობა ყველას დაგვეტყო – დედას, მამას, ახლობლებს, მაგრამ განსაკუთრებით მე. შენ ხომ ჩემი სულიერი მეგობარიც იყავი. ყოველ ნაბიჯზე მაკლიხარ და მენატრება შენი ხმა, ღიმილი, სითბო; გული მწყდება, რომ ის არსად და არავისში არ არის.

ქეთი, მიყვარდა აპრილი, რადგან სიხარულის თვე იყო ჩვენი ოჯახისთვის: 2 აპრილს შენი დაბადების დღე იყო, 29 აპრილს კი შენი შვილის – პატარა გვანცასი. მაგრამ უბედურება მოგვიტანა 15-მა აპრილმა. ამ დღეს არაკაცმა მოგისწრაფა სიცოცხლე, შენს ქმარ-შვილთან ერთად.

ჩემო დაიკო, 2 აპრილს კვლავ შევიკრიბებით ახლობლები, მეგობრები შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების დღეს. მჯერა, შენი მიწიერი სპეტაკი ცხოვრება იქ სამოთხის კარს გაგიღებს.

ღმერთს ვევედრები, ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული. ამქვეყნად დარჩენილი შენი ხსოვნა კი ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია და მას დავიწყება არ უწერია.

*ღამის კოშმარმა დაგვძლია რულით*
*და სხეულს მოაშთობს სამარის კარი,*
*შენ წმინდა ქრისტემ გიკურთხოს სული*
*და წმინდა ნინომ გინათოს ჯვარი!*

*შენი დაიკო თამარი*

**ოთიკო გოგატიშვილის ხსოვნას!**



უდიდესი ტკივილითა და დიდი მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. პირველად ვხვდებით უშენოდ 3 აპრილს. სანთლების, ყვავილებისა და ცრემლის გარდა ვერაფერს გიძღვნით. გვენატრები უსაშველოდ. ერთი დღეც არ გადის უშენოდ, სულ გელით, თითქოს გვჯერა, რომ აუცილებლად უნდა დაბრუნდე ისევ...

დაე ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ, შენს სახელზე დანთებულმა ყველა სანთელმა, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ უფლის შეწევნით გაგინათოს გზა, დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*შენი (ცოლისდა) თაკო*

**იონა (ივანე) მოთიაშვილის გახსენება**



წელს პირველად მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე უშენოდ. პირველად შევხვდებით 27 მარტს ცრემლითა და ძაძებით, საფლავზე მოგილოცავთ დაბადების დღეს იმედგადაწურულები, რომ შენ არსაიდან, აღარასოდეს გამოჩნდები და რომ უშენობა მწარე სინამდვილეა. ამ მწარე სინამდვილის პირისპირ ვდგავართ უკვე ერთი წელია შენი ოჯახი – შენი პატარა გუგა, ნანა, შენი მშობლები და ძმები. რა ვქნათ, თავი რით ვინუგეშოთ?! იქნებ შენ მოგვარიშნო ზეციური სასუფევლიდან...

24 წლისას მოგისწრაფა წუთისოფელი ბოროტმა... ახლა 25-ის გახდი, მაგრამ ეს უკვე მარადიულობაში...

ძალიან გვენატრები... მანდ გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო ნაბოლარავ, უსაყვარლესო იონა! სასუფეველში იყავ...

*შენი ოჯახი*

**ნინო კალაძე-ფერცულიანის ხსოვნას!**



28 მარტს 1 წელი სრულდება, რაც უცაბედმა სიკვდილმა მოგვტაცა შენი უმშვენიერესი და უსათნოესი თავი და მარადისობაში გადაგვიყვანა.

1 წელი თითქოს მთელი საუკუნეა უშენობის, უიმედობის ნათქამია, გული მარტოაო ყოველთვის, მაგრამ სულ სხვაა გულის მარტოობა – უზარმაზარი ტკივილი რომ ახლავს თან, – ტკივილი საყვარელი ადამიანის ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასვლისა.

ყველას აკლიხარ შენი უსაზღვრო კეთილი ღიმილითა და უანგაროდ მადლისმქმნელი ბუნებით; შენს ქმარსა და შვილს კი აღარა დაგვრჩენია შენზე ფიქრის, მოგონებისა და უზარმაზარი მონატრების გარდა. პირველი გაზაფხული შემოვიდა უშენოდ, ჩვენო ნინიკო. არც ჩვენი სახლი გაუვსია არავის ყვავილებით – როგორც გჩვეოდა.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. ამინ.

*შენი მეუღლე და შვილი – სერგო და ლექსო ფერცულიანები*

**ლალი თოდუას ხსოვნას!**



ისევ მოვიდა 3 აპრილი. უშენოდ მე-9 გაზაფხული შემოვიდა. სამუდამოდ დატოვე დიდი ტკივილი, მონატრება და გაოგნება, ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარი. ლალი, სიკეთითა და სიყვარულით გამორჩეული ადამიანი იყავი. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გწყუროდა სიცოცხლე, შენ ერთ დასთან ერთად. შენ გვერდით ყოველთვის იმედით, ხალისით ვივსებოდით, ამიტომ დაგვაკლდი ალბათ ასე ძალიან. ამბობენ, – დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენი მოლოდინისა და მონატრების გრძნობას ვერაფერი განკურნავს.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

*შენი საუკეთესო მეგობრები ოჩამჩირიდან – ზაირა და ეთერი*

**ნანა უნდილაშვილის ნათელ ხსოვნას!**



როგორ მეიმედებოდი, როგორ მჯეროდა შენი, მაგრამ შენ არ დამინდე, მაინც წახვედი... როგორ მენატრები და როგორ გელი, ნანა დეიდა, მაგრამ შენ არ ჩანხარ.

უკვე ერთი წელი გავიდა იმ წყეული ღამის შემდეგ, მაგრამ მე ისევ მჯერა შენი განმეორების. მძიმე და მტანჯველი აღმოჩნდა უშენობა, ჩემო მეგობარო. დამაკლდა შენი დარიგება, მოფერება და შემეტყო კიდეც... „დეიდას დედის სუნი ასდისო" – სრული ჭეშმარიტება ყოფილა. უზარმაზარი სიცარიელე დამიტოვე, ნანიკო, რომელსაც ვერავინ შემივსებს.

...უკვე სტუდენტი ვარ. რა დრო გასულა – არადა, ნეტავ მომესწრო შენთვის მეხარებინა ახალი ცხოვრების დაწყება, მაგრამ შენგან მონდობილს არასოდეს გაგიცრუებ იმედს. ამაყი ვარ, შენი რომ დისშვილი მქვია. არასოდეს დამავიწყდები. ჩემს შვილებსა და შვილიშვილებსაც ვუამბობ შენზე, ჩემო დიდო ადამიანო. აქედან ვილოცებ შენთვის, მაგრამ ნუ გამიწყრები, თუ სუფრაზე შესანდობარის შესმისას ლალისფერი ღვინით სავსე თასს ვერ შევეხები. არ შემიძლია. შესანდობარს ხომ დაღუპულთათვის სვამენ, შენ კი უბრალოდ გარდაიცვალე.

*მაგრამ ფაქტია, მე სიკვდილის შიში აღარ მაქვს*
*რაა სიკვდილი? მარტოოდენ გარდაიცვლები.*
*თითქოს მოლოდინს სიხარულის ელფერიც დაჰკრავს,*
*რადგან ვიცი, რომ ზეცის კართან შენ მელოდები.*

*შენი დისშვილი ქეთი*

**დალი და ზურა ფილიშვილების მოგონება**

უთქვენოდ განვლილი ერთი ზამთარი საუკუნედ იქცა. ძნელია თქვენ გარეშე. თქვენს შვილსაც გაუძნელდებოდა უთქვენოდ. მართალია, იგი მრავალი თვის განმავლობაში თქვენთან არ იყო, მაგრამ ალბათ უკვე გრძნობს თქვენს უბედურებას. მან არ იცოდა თქვენი ადგილსამყოფელი, ახლა კი არ იცის თქვენი ავტოკატასტროფის შესახებ. მას ხომ მშობლების გარეშე არ შეეძლო ცხოვრება. ვინ იცის, ახლა სად არის, ან რას აკეთებს. თუმცა სადაც არ უნდა იყოს, თქვენი ერთადერთი შვილი – დავითი თქვენს ამბავს გაიგებს. ამ საშინელმა ცხოვრებამ გაიძულათ, დაშორებოდით ერთმანეთს. ოცნებობდით, ახალი წელი ერთად გაგეტარებინათ, რაც შეუძლებელი გახდა. თქვენ კატასტროფის შედეგად მიატოვეთ დავითი ისე, რომ სიცოცხლის ბოლო წუთსაც ვერ მოუსწარით მის ნახვას. მართალია, იგი მშობლებმა მიატოვეს, მაგრამ ალბათ გამოჩნდება ადამიანი, ვინც ობლობას არ აგრძნობინებს.

**ბოჩია გურალიას მონატრება**



*ჩუმად დაჰხრის თავი სანთლებს,*
*ისევ მოსთქვამენ ვარსკვლავნი ცაზე,*
*ლამაზი კაცის სიცოცხლე შეწყდა*
*ტკივილითა და ნაღველით სავსე.*

ჩვენო ძვირფასო ბოჩი! 40 დღე გადის მას შემდეგ, რაც უჩუმრად დაგვტოვე და ზეციურ საქართველოს ბინადარი გახდი. სიცოცხლეში ბევრ განსაცდელს გაუძლო შენი მტკივანი გულით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სიკეთეს თესდი და სიყვარულს უნაწილებდი გარშემომყოფთ. წახვედი და დაგვიტოვე დიდი გულისტკივილი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ჩუმად მოგიგონოთ და ვილოცოთ შენი ფაქიზი სულის უკვდავსაყოფად.

*ოჯახი*

**სიომა ღულგაროვს!**

საქართველოს მიწაზე აღზრდილი, პატრიოტი ბერძენი იყავი. საბერძნეთში ცხოვრებაწყობილს თბილისი გენატრებოდა, ნოსტალგია გტანჯავდა. ამიტომ იქაურ ფუფუნებას აქ ცხოვრება არჩიე. შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული, შრომობრე კაცი იყავი.

მსუბუქ ყოფილიყოს ქართული მიწა, შენისთანა ბერძენი, მაგრამ ქართველი პატრიოტისთვის.

*მაია*

**ფირუზა თათხაშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავ, ფირუზა ძია. უზომოდ კეთილი და გამრჯე იყავი, გიყვარდა გაზაფხული. მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე შენს დაიკოს და მერაბს.

ბელა დეიდა შენთან ერთად გატარებულ წლებს მისტირის.

უფალს ვთხოვ, დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*მაია*

**ზოია ლეჟავას გახსენება**



ჩვენო მშვენიერო ზოიკა! როგორ გვაკლიხარ, სიხარულო! 40 დღე სრულდება, რაც განგებამ დაგვაშორა. როგორ მალე გაგვიფრინდი. გვეგონა, ღმერთი კიდევ ცოტას გაგიხანგრძლივებდა სიცოცხლეს ოპერაციის შემდეგ, მაგრამ... მხნედ გამოიყურებოდი, თუმცა მაგ ლამაზ, გამორჩეულ თვალებში ხშირად სევდა და ცრემლი ჩაგიდგებოდა. ნუთუ ყველაფერს ხვდებოდი? ნუთუ, იცოდი, რა გელოდა და არ იმჩნევდი?!

ყველას უყვარდი – ახლობელს თუ იმას, ვისაც ერთხელ მაინც შეხვედროდი. ყველამ განიცადა შენი გარდაცვალება. ხალხში ტრიალებდი და მაინც მარტოსული იყავი. არავის ახვევდი თავს შენს გასაჭირს, ყველა ცდილობდა, გაჭირვების ჟამს შენ გვერდით ყოფილიყო. როგორ დასწყვიტე გული ნინოს, ანას, ვანიკოსა და გიორგის, შენს ძმისშვილებს, დათოსა და ქეთის. შენ ხომ მათი სული და გული იყავი – მათი უფროსი მეგობარი. როგორ დაგიტირეს! ალბათ შენმა სიკვდილმა გაათავისებინათ ამ წუთისოფლის არსი. მხრებჩამოყრილები დადიან შენი ერთადერთი ძმა და რძალი. შენ ხომ მათი იმედი იყავი! შენი სტიქია ზღვა იყო – ლამაზი, წყნარი, მშფოთვარე. ალბათ იმიტომ, რომ შენც უჩვეულოდ ლამაზი, მშვიდი იყავი, ხოლო სულში ქარბორბალა ბობოქრობდა – მოუწყობელი ცხოვრებით გამოწვეული. ოპერაციის შემდეგ კიდევ ერთხელ იჯერე გული ზღვაზე წასვლით. ალბათ გიგრძნობდა გული, რომ ხანმოკლე სიცოცხლე გეწერა. როგორი ლაღი იყავი ზღვაში, თუმცა ზღვა ექიმებისგან აკრძალული გქონდა. დედაშენისთვის გითქვამს, თუ ზაფხულამდე მივაღწიე, ერთხელ კიდევ წავალთო. ვაგლახ, რომ არ დაგცალდა.

რით ვანუგეშოთ დედაშენი, რომელსაც ვერ დაუჯერებია შენი სიკვდილი და საზღვარგარეთ ჰგონიხარ...

ისღა დაგვრჩენია, ჩვენო ძვირფასო, შევთხოვოთ უფალს, დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

*ახლობლები – ლამარა, მარეხი, ია*

**პავლე გეგეშიძის მონატრება!**

*„ყველა გზა ჩემი*
*შენამდე მოდის..."*



ქვეყნად ამაზე საშინელი არაფერი ყოფილა, როდესაც დიდი სიყვარული გიკვდება. წახვედი და თან გაიყოლე ჩემი სიხარული, ჩემი ბედნიერება და იმედი. ჩვენი სიყვარული კი, რომელიც დამიტოვე, არასოდეს გახუნდება ჩემს გულში. იძულებული ვარ, უშენოდ გავაგრძელო ეს გაწამებული ცხოვრება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პატარების გამო – შენი ლამაზი სიცოცხლე ხომ მათში გრძელდება. გული მტკივა, რომ არ ემახსოვრებათ, თუ როგორი თბილი და ტკბილი მამიკო ჰყავდათ.

სიხარულო, ძნელია ჩემთვის უშენოდ ცხოვრება. ო, რა მწარეა სიტყვა „უშენოდ". ღმერთმა ერთადერთი ნატვრის ასრულების უფლება რომ მომცეს, შენს სიცოცხლეს ვინატრებდი, პაკო!... ძალზე მწარეა რეალობა... ყველაფერი სიზმარი მგონია და მინდა, ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში მაგრად ჩაგეკრა, მოგეფერო და გითხრა: „ძალიან მომენატრე, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და აღარასოდეს მიმატოვო!"

უფლის ნებით ისევ შევხვდებით ერთმანეთს მარადისობაში, მერე კი აღარაფრის მეშინია იქ, სადაც შენ მეგულები და ერთად ვიქნებით საუკუნოდ.... მანამდე კი – დრო ვერასოდეს ვერაფერს შეცვლის ჩემს მწუხარებაში!...

*არ დაიჯერო... თითქოს მაკლიხარ, არ დაიჯერო... თითქოს გინატრე,*
*შენ ხომ ჩემთან ხარ დღისით და ღამით, შენ ხომ ჩემში ხარ, როგორც სინათლე.*
*ჩვენი სიშორე ვინ მოიგონა, ან მარტოსულად როგორ ჩამთვალეს,*
*რად ვერ ამჩნევენ, რომ მზეებივით შენი თვალები დაჰქთ ჩემს თვალებს.*
*როგორ თქვეს ჩემზე, ცხოვრობს ეულად და გულზე დარდებს იკრავს ლოლოვით,*
*გამკვირვებია... რად ვერ შენიშნეს ჩემს ბაგეებზე შენი ღიმილი.*
*უჭირთ, აღმართზე მარად რომ მივალ, მე ხომ გეყრდნობი მხარზე – გოლიათს.*
*გამკვირვებია... როდესაც ვტირი, ის ცრემლი მარტო ჩემი ჰგონიათ...*
*მე შენი სულიც მიმაქვს სხეულით, მინდა ლაჟვარდის ფრთებზე გაფრენა,*
*და უკვდავებას თუ ვერ ვუბოძებ, ლექსებად მაინც გადავაქციო...*

*მიყვარხარ, ჩემო ერთადერთო!*

*მეუღლე თეა*



**ლიანა (ლალი) თურქაძე-იაკობაშვილის გახსენება**

დაბადების დღეს გილოცავთ, ლალი! 28 მარტს 65 წელი შეგისრულდებოდათ შენ და შენს ტყუპისცალ ცისანა თურქაძე-მეცხოვრიშვილს, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ, 28 წლის ასაკში დაიმკვიდრა მარადიული სასუფეველი თავის პაწაწინა პირმშოსთან ერთად. წელთა სიმრავლით ვერც შენ დაიკვეხნიდი. 47 წლის ასაკში, 1986 წლის 7 ოქტომბერს შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. გადასახლდი მარადისობაში და ამოუვსები სიცარიელე დაუტოვე ახლობლებს, აღსაზრდელებს, სამთოელთა ქალაქს, განსაკუთრებით კი შენს ოთხ შვილს, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ თქვენს საფლავებს, მოწიწებით გაგიხსენებენ და იამაყებენ თქვენით.

*შენი მეუღლე იური იაკობაშვილი*

**ლაშარი მუმლაძის ხსოვნას!**



3 წელი გავიდა, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, უძვირფასესო მამავ, ერთგულო მეუღლევ, მოსიყვარულე ბაბუავ. ყველა გიყვარდა და ყველას უსაზღვროდ უყვარდი. შენ გარშემო დიდი სითბო და ალერსი იფრქვეოდა. ველარ გაიზიარებ იმ სიყვარულს, სითბოსა და სიხარულს და იმ ტრადიციულ სუფრას, რომელიც შენ ძალიან გიყვარდა.

უცხარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ შენ ყოველთვის იცოცხლებ ჩვენს გულებში და ყველა იმ ადამიანის მეხსიერებაში, ვინც პირადად გიცნობდა და შენი გაკეთებული კაცური საქმეების შესახებ იცოდა.

ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული უფალმა, მამა.

*მეუღლე, შვილები*

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ზაზა ბუაძის ოჯახს

**ქ-ნი მარინა ასკილაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.

მეუღლე გუგული, შვილები გელა, მაკაკო იუწყებიან

**მიტო გერასიმეს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 29 მარტს;

*გამოსვენება:* სამშაბათს, 30 მარტს, 16 საათზე.

*მისამართი:* ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №34ა

მურმან ღუნდუა და გივი შაფაქიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მეგობარი

**მიტუშა (მიტო) გერასიმეს ძე ქავთარაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბებიაჩემის დედას უცნაური უნარი ჰქონია — მოახლოებულ უბედურებას ხედავდა. ამის გამო სოფელში ყველა პატივს სცემდა, მაგრამ მაინც უფრთხოდა. ბებიას თურმე საფეთქელთან მოზრდილი ხალი — ნიშანი ჰქონდა. დედა მეტყოდა ხოლმე — ჩვენს შთამომავლობაში ვისაც ეს ნიშანი გამოჰყვება, ყველას ექნება მომავლის დანახვის უნარიო... დიდი ბებიის მერე სამი თაობის ქალები დავიბადეთ და ნიშანი

# ნიშანი



არც ერთს არ გამოგვყოლია, მაგრამ ჩემს შვილს დაჰყვა. ის ახლა 40 წელს არის მიტანებული და მისი საცოდაობით ვიწვი. დაიტანჯა... თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ ჩვენ, უნიშნო ადამიანები და რა უბედური — ჩემი დიდედა... უბედური იქნებოდა, აბა რა, ერთხელ თურმე ხორბალს არჩევდა მეზობლებთან ერთად, უცებ წამომხტარა, კაბა ჩამოუფერთხავს და ქალებისთვის უთხოვია: გამყევით შინ, უბედურება მოხდა, ჩემი ქმარი კლდეზე გადაიჩეხა ნადირობისას და ორ საათში სოფელშიც შემოასვენებენო. ქალები გაშეშდნენ, თურმე, ვერ გაიგეს, დაჰყოლოდნენ დიდედას ნებას თუ არა... ვიდრე ისინი გაოგნებულები უყურებდნენ, დიდედამ ერთი კი წაიშინა თავში ხელი და შინისაკენ გაიქცა. გაჰყვნენ ქალებიც. შინ ქმრის ტანსაცმელი გამოუღია და მოუმზადებია, თან დასტიროდა: ვაი, შე უბედურო, რა დღე გაგითენდაო... ერთი საათი იქნებოდა გასული, ეზოში კაცი შემოსულა, მორიდებით მოუხდია ქუდი და ცუდი ამბავია, ქალებოო, უთქვამს ეზოში მდგარი მეზობლებისათვის. ახლა იმათაც წაუშენიათ თავში ხელი და უკივლიათ. ასევე წინასწარ დაუნახავს დიდედაჩემს დედ-მამის სიკვდილი.

ჩემი გოგონაც ასეთი განწირული აღმოჩნდა. თავიდან ვფიქრობდი, ყველაფერი ხალხის მონაგონია, რა ნიშანი, რის ნიშანი, ბავშვს უბრალოდ ხალი გამოჰყვა-მეთქი, მაგრამ 3 წლისა იყო, პირველად რომ შემახსენა თავი მისმა „ნიშანმა“. ბაღიდან მოსული სამზარეულოში მოფუსფუსე დედაჩემს მიეხუტა და უყურებდა, როგორ ჭრიდა ბოსტნეულს. უცებ ჩემთან გამოიქცა და ტირილით მითხრა: — დედა, ბებო წაიქცა და არ ინძრევაო. რას ამბობ, ბებო ბორშჩს აკეთებს-მეთქი, დავამშვიდე და ხელჩაკიდებული შევიყვანე სამზარეულოში. ცხონებული დედაჩემი უშფოთველად აგრძელებდა საქმეს. რომ შევატყვე, ბავშვი გაოგნებული იყო, ვიფიქრე ზღაპარს წავუკითხავ, გავართობ-მეთქი. მაშინ, ჩემდა სამარცხვინოდ, მხოლოდ შვილზე ვფიქრობდი, დედა არც გამხსენებია. საძინებელში ვიყავით ზღაპრების კითხვაში გართული, ბრაგვანი რომ მოგვესმა, მაშინ კი გამკენწლა გულმა. სამზარეულოში შევვარდი — დედაჩემი უგონოდ ეგდო. სასწრაფოში დავრეკეთ, მაგრამ ვერ მოუსწრეს. ძლიერმა ინსულტმა იქვე გაათავა...

მას შემდეგ მოვდივართ მე და ჩემი უბედური შვილი. უსიხარულო და შეშინებული, მუდამ სევდიანი ჩემი გოგონა ამხანაგებთანაც კი ვერ პოულობდა საერთოს. როგორი ასატანია შუა ლხინში რომ დაინახავდა მამის სიკვდილს, ან ბიძის ავტოავარიას... ტელეფონზე იყო დაკიდებული — მეხვეწებოდა, მამას დაურეკე, შინ მოვიდეს, ექიმი გამოიძახეო, ან ბიძაჩემს მიაწვდინე ხმა, მანქანიდან გადმოვიდესო... ამაოდ... თურმე ვერაფერს შეცვლის კაცი.

ამას წინათ, მეზობელმა ვიღაც უცნობი მოუყვანა და ყელგამოწეულმა სთხოვა, ამისი მომავალი გამიგეო. ჩემი გოგო კინაღამ გაგიჟდა — მკითხავი კი არ ვარ, ერთი განწირული ადამიანი ვარო. გათხოვებაზე კატეგორიულ უარს ამბობს. არ შემიძლია, მეშინია, ქმარ-შვილის უბედურება წინასწარ რომ „ვნახო“, თავი ხომ უნდა მოვიკლაო!

რა ყოფილა ეს ნიშანი! ისიც კი ვიფიქრე, მოდი, პლასტიკურ ოპერაციას გავუკეთებ, ნიშანს მოვაცილებ-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, შეშინდა, — ეს ნიშანი იმიტომ გამომყვა, რომ უნდა ვზიდო, თანაც რომ ებრძოლო, უარესი მოხდებაო.

ნეტავ სხვასაც თუ აქვს მსგავსი ნიშანი, იქნებ ვიპოვოთ ერთმანეთი, იქნებ ჩემმა შვილმა სხვა, თავისი მსგავსი „განწირული“ რომ ნახოს, ცოტა უფრო იმედიანად იცხოვროს...

***ნაილი ტალიაშვილი, თბილისი***

**ჩვენ გვწერენ**

# უჩინარი მაზაკვალი

ჩემს სოფელს პატარა მდინარე ჩამოუდის, რომელსაც სიკამკამისა და იმის გამო, რომ კაციშვილს არ ახსოვს, მას კაცი ემსხვერპლოს (თუმცა კი საშინელი ადიდება იცის და ზოგჯერ მტკვარსაც უტოლდება სიგანით), წინაპრებმა შეარქვეს „წარჩე“ (წყარ-ჩე), რაც სუფთა, თეთრ წყალს ნიშნავს.

მე მდინარის პირას ვსახლობ. იქვეა რკინის ხიდი, რომლითაც, ცხადია, ვსარგებლობ.

1991 წლის მარტის ერთ ცივ საღამოს, სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი „ზაპოროჟეცით“. გვერდით ბიძაშვილი, გივი ალანია მეჯდა. მთელი ეს 60-მეტრიანი ხიდი მშვიდობიანად გავიარეთ. ხიდგალმა ასე, ორმეტრიანი მიწაყრილი იყო. ამ მიწაყრილთან მიახლოებისას ვიგრძენი, რომ რაღაც უჩინარი ძალა მანქანის საჭეს მარცხნივ ექაჩებოდა, ანუ იმ მხარეს, სადაც მანქანა თუ გადავარდებოდა, დაიმტვრეოდა და ჩვენც დავშავდებოდით. საჭეს გივიც ჩააფრინდა მთელი ძალით, მაგრამ ნურას უკაცრავად, მანქანიანად ხრამში აღმოვჩნდით... განცვიფრებულნი შევყურებდით ერთმანეთს დაჟეჟილ-დალეწილები... გივის თქმით, ეს „მაზაკვალების“ (ეშმაკების) ნახელავი იყო, რომლებიც საღამოობით მდინარის პირზე იკრიბებიან და უსაფრდებიან გამვლელებს. კიდევ კარგი, იმ მაზაკვალს შუა ხიდზე არ გადავეყარეთ.

***ა.ა., გალის რ-ნი, სოფ. წარჩე***

# გარდაცვლილის საწოლი

ეს ამბავი ქალბატონმა მზევინარ ტინაძემ მიამბო: — მე და ჩემს მეუღლეს მართლა ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ორი წლის წინ ინსულტი დაემართა. 40 დღე იავადმყოფა და გონს მოუსვლელად გარდაიცვალა — ბოდავდა, მხოლოდ გარდაცვლილ ახლობლებს ახსენებდა. ერთხელ ვიღაც უხილავს უთხრა ჩემზე — რომ ვიცოდე, მზევინარს ისევ ვნახავ, უთუოდ წამოვალო. არ ვიცი, „იმან“ რა უპასუხა, მაგრამ ღიმილმა გაუბადრა სახე, თვალთაგან ცრემლი გადმოუგორდა და თქვა, — გმადლობთ, ახლა უკვე მზადა ვარო და აღესრულა.

...დაკრძალვის მეორე ღამეს საწოლის ჭრიალმა გამაღვიძა, თითქოს ვიღაცამ მძიმედ იცვალა გვერდი. მძინარეს აღარ გამახსენდა, რომ მეუღლე მკვდარი იყო და დავუძახე, — გურამ, ხომ არაფერი გინდა-მეთქი!... საკუთარმა ხმამ გამომაფხიზლა, ავტირდი... მერე ვიფიქრე, მომელანდა-მეთქი და ძილის შებრუნება დავაპირე. ისევ დაიჭრიალა საწოლმა... შემეშინდა. ის ღამე თეთრად გავათენე... შვილებს ვერ გავუმხილე, რაც ხდებოდა. არადა ოთახში მარტო დარჩენაც აღარ მინდოდა და 12 წლის შვილიშვილს ვთხოვე, ღამით გული მიხდება ცუდად და ჩემს ოთახში დაწექი, წყალს მაინც მომაწოდებ-მეთქი.

იმავე ღამეს ორთავენი საწოლის ჭრიალმა გაგვაღვიძა... დამალვას აზრი არ ჰქონდა და ოჯახის სხვა წევრებსაც ვუთხარით, რაც ხდებოდა. არ დაგვიჯერეს, სანამ ყველამ სათითაოდ არ გაათია ღამე იმ ოთახში. ჩემმა ვაჟმა მითხრა, — თითქოს კვნესის და ხვნეშის ხმაც მომესმაო. მე კი ჩემი ხელით ვასწორებდი გადასაფარებელს, რომელიც ვიღაც უხილავის სხეულის სიმძიმით იჭმუჭნებოდა...

სახლი ვაკურთხებინეთ, მაგრამ საწოლი ორმოცამდე მაინც ჭრიალებდა და ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ ვიღაც უხილავი ცხოვრობდა ჩვენთან ერთად. დარწმუნებული ვარ, ჩემი გარდაცვლილი მეუღლე „მოდიოდა“ ღამღამობით...

ერთხელ, რომ აღარ და აღარ შეწყდა ჭრიალი, სანთელი ავანთე და ავტირდი. თითქოს ძლიერმა ქარმა დაუბერაო, მძიმე ფარდა აფრიალდა და თაროდან წიგნი გადმოაგდო, რომელიც ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარდა... წიგნიდან ორად გაკეცილი ფურცელი გადმოვარდა. ჩემი მეუღლის ხელნაწერი ვიცანი. ბარათი ავადმყოფობამდე სამი დღის ადრე დაეწერა, თითქოს გულმა უგრძნოო: „იცოდე, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, არასოდეს მიგატოვებ, სიკვდილიც ვერ დამიჭერს და მუდამ შენ გვერდით ვიქნებიო!..“ ეჭვიც არ მეპარება, რომ მართლაც ჩვენ გვერდით არიან გარდაცვლილი ახლობლების სულები და სიცოცხლესაც აგრძელებენ, ოღონდ ჩვენთვის შეუცნობელ დროსა და განზომილებაში.

***ინგა ჯაყელი***

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. ბურთი.

II. თავი აქვს ვირის, კისერი — ჟირაფის, სხეული — აქლემის, კუდი — მელიის და თათები — ლომის.

III. 3 ლომი.

III. აბა, გამოიცანი:

1) — დ); 2) — დ); 3) — დ); 4) — ბ); 5) — დ); 6) — ბ); 7) — გ); 8) — გ).


law consulting group
საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ — „LCG“ (ელ-სი-ჯი)**

**გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:**

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

**მის: ლესია უკრაინკას ქ. №3**
**☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38**
**ფაქსი: (+995 32) 98 39 38**

CAC



Business Projecting



# ჩვეულებას არ ეღალატება

73 წლის კანადელს ანჯელო ფოტის 20-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმისთვის, რომ მანქანის გამტაცებელი დაჭრა. დამნაშავემ მორჩილად მოისმინა განაჩენი, მაგრამ ციხეში ეს მშვიდი მოხუცი ნამდვილ მხეცად გადაიქცა — რეციდივისტებს არაფრით ჩამორჩებოდა, ყველასაკენ მიიწევდა და უშვერად იგინებოდა. საქმე ის არის, რომ ანჯელო ფოტი თავგადაკლული მწეველია, დღეში თითო კოლოფ სიგარეტს ეწევა. ციხეში კი მოწევა იკრძალებოდა. ადვოკატი იძულებული შეიქნა პატიმრისთვის ტანჯვა შეემსუბუქებინა და მისი სხვა ციხეში გადაყვანა ითხოვა — ისეთში, სადაც მოწევა ნებადართულია. მსჯავრდადებული პატიმრობის ვადის გაზრდაზეც კი იყო თანახმა.

სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის თხოვნა და ფოტი ფედერალურ ციხეში გადაიყვანეს. აქ მას შეუძლია თუნდაც ორი კოლოფი სიგარეტი მოსწიოს დღეში. მიუხედავად იმისა, რომ 20 თვის ნაცვლად, ახლა 2 წელს გაატარებს ციხეში, მოხუცი მაინც ბედნიერია — თავის საყვარელ თამბაქოს წუთითაც აღარ მოეშვება.

*დენგი №7*

# 40 წელი უძილოდ

ირანელი აჰვაზ თარაფი თანამოქალაქეებისა და ექიმებისთვის გამოუცნობი ფენომენია. საქმე ის არის, რომ მას 40 წელია, რაც არ დაუძინია. თარაფი კარგად ცხოვრობს, სახლ-კარიც აქვს და ცოლ-შვილიც ჰყავს. ერთი ეგ არის, რომ თვალზე რული არ ეკარება. თუმცა ამით განსაკუთრებული დისკომფორტი არ აქვს. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობაში ძალზე ცელქი ყოფილა და ერთხელ მთვლემარე მოხუცისთვის უბეში ტარაკანი ჩაუსვამს. ამისთვის მწარე დარტყმაც უგემია თავში ჯოხით. მას შემდეგ თარაფს აღარ დაუძინია. სპეციალისტებთან სამკურნალოდ მაშინ ოჯახს ფული არ ჰქონდა, ადგილობრივი ექიმები კი უძლურნი აღმოჩნდნენ. თარაფი ბედს არ უჩივის — ამბობს, ასე სიცოცხლე გავიხანგრძლივეო. ღამღამობით ლოცულობს ან ტელევიზორს უყურებს და ხშირად ხუმრობს, მალე სამუდამო ძილით დავიძინებო.

*ეხო პლანეტი №10*

# კუდიანი დეპრესია

ალტერნატიული მედიცინის „მიმდევარი“, ერთი ჩილელი ექიმი ცხოველების ფსიქიკური აშლილობის სამკურნალო ხერხს გვთავაზობს — მარისოლ პერესს ნერვებაშლილი ცხოველებისთვის თავისივე მომზადებული მიქსტურა აქვს. მასში ბალახეული, ჩვეულებრივი ბრენდი და წყალი შედის. როგორც ექიმი ირწმუნება, მიქსტურით უამრავი ნევროზიანი კატა, ძაღლი და სხვა ცხოველები, მათ შორის, კურდღლები, ჩიტები, ქათმები და ცხენები მოარჩინა. ნაყენი თურმე განსაკუთრებით მაშინ არის მარგებელი, როცა პატრონიც და ცხოველიც ერთად სვამენ. პერესის თქმით, მიზეზი უბრალოა — ცხოველებს ნევროზი ხშირად მათივე პატრონებისგან ემართებათ.

*ნაშ დრუგ №3*

# ნოვაცია მკითხაობაში

ამერიკელმა პარაფსიქოლოგმა, პროფესორმა მარჩი ვინგვორდმა მკითხაობის ახალი ხერხი მოიფიქრა... ერთდოლარიან ბანკნოტზე. როგორც პარაფსიქოლოგი ამტკიცებს, თუ ერთდოლარიანს კარგად დააკვირდებით, შეგვიძლია უახლესი მომავლის (ერთი თვის) პროგნოზი შევიტყოთ. მაგალითად, თუ დოლარი დაჭმუჭნილია, ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეთ. თუ ბანკნოტი ტკიცინაა, უახლოესი ერთი თვის მანძილზე მხიარული და ენერგიული იქნებით. თუ სერიის პირველ ასოს კენტი ციფრი მოსდევს, მთელი თვე ფული ჩეჩქივით გექნებათ.

*ნლო №11*

# „მობილური საფულე“



მალე ალბათ იაპონიაში საფულეებს მხოლოდ ტურისტები შეიძენენ. ამაში „დამნაშავე“ ისევ და ისევ იაპონელები არიან. ქვეყნის მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანიებმა გადაწყვიტეს, მობილური ტელეფონები საფულეებადაც აქციონ. სპეციალური ჩიპის საშუალებით, რომელიც მობილურ ტელეფონში მონტაჟდება, ხდება ხელფასისა თუ სხვა ფულადი გასამრჯელოს მობილურ ტელეფონში „შეტანა“. ამის შემდეგ, მობილური ისეთსავე ფუნქციას შეასრულებს, როგორსაც ფული ან საკრედიტო ბარათი. სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც თანხებს მობილურიდან მოხსნიან, 2005 წლის აპრილიდან იაპონიის უმეტესი ქალაქების სავაჭრო ქსელებში — კინოთეატრებში, ავტოსადგომებსა თუ აეროპორტებში დამონტაჟდება და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ასეთი მობილური ტელეფონები ერთ წელიწადში ბაზრის 80%-ს დაიკავებს. „მობილური საფულე“ წინამორბედზე ბევრად სწრაფი იქნება. ასეთი ტელეფონით თანხის გადახდა 0,2 წამში ხერხდება.

*ნიუ ზუიქი*

# ორმაგი კვერცხი

კუბის ერთ სოფელში ქათამმა იმხელა კვერცხი დადო, რომ შეიძლება გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდეს. იგი 148გ-ს იწონის და დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მძიმე კვერცხად ითვლება. მაგრამ უცნაურობა ისაა, რომ კვერცხის შიგნით აღმოჩენილია კიდევ ერთი, ნაკლები ზომის კვერცხი.

დღემდე უდიდეს კვერცხად ითვლებოდა 110-გრამიანი კვერცხი, რომელიც კოსტა-რიკოელი ფერმერის დედალმა შარშან დადო.

*ოტდოხნი! №12*

# პრინცესა დეპრესიას ეწირება



ჭკვიანი, დიდი მომავლის მქონე ქალიშვილი იაპონიის ტახტის მემკვიდრის ნარუჰიტოს მეუღლე გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონია ეკუთვნის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების რიცხვს, სამეფო ოჯახი 2655 წლის წინანდელი კანონებით ცხოვრობს. უძველესი ადათების თანახმად, პრინცესას არ აქვს სპეციალობით მუშაობის უფლება. მან მხოლოდ უძველესი იაპონური ლექსები უნდა იკითხოს და კიმონოები კეროს. სასახლეში შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ ჰეგზამეტრით და წამოთქვას წუთში არა უმეტეს 5 სიტყვისა, არ აქვს არანაირი მოქალაქეობრივი უფლება, პასპორტიც კი.

უფლისწულის მშვენიერ მეუღლეს იაპონელები იაპონელ ლედი დის ეძახდნენ.

მასაკოს მშობლები დიპლომატები არიან. გოგონა მოსკოვში გაიზარდა, სკოლა ნიუ-იორკში დაამთავრა. მშობლებმა ქალიშვილს ბრწყინვალე განათლება მისცეს. ის შესანიშნავად ლაპარაკობს იაპონურად, რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად, ესპანურად და გერმანულად. ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასაკოს შეუყვარდა პრინცი ნარუჰიტო და კარიერა და თავისუფლება გაცვალა ქმრის სიყვარულზე. გულის სიღრმეში ალბათ მაინც ჰქონდა იმედი, რომ იმპერატორის ოჯახის ზნე-ჩვეულებები ასეთი ბნელი არ იქნებოდა. პრინცესას წინაშე ერთადერთი ამოცანა იყო — გაეჩინა ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, მაგრამ მხოლოდ 8 წლის შემდეგ, 2001 წელს, გაუჩნდა ნანატრი შვილი, ოღონდ გოგონა.

1889 წელს მიღებული კანონის თანახმად, იაპონიის იმპერატორი უნდა გახდეს მხოლოდ ვაჟი და პრინცესას ვაჟის გაჩენას სთხოვენ.

ხალისიანი მასაკოსგან კვალიც აღარ დარჩა. მას ველარც საყვარელი მეუღლის ალერსი შველის. ტოკიოში კი ცხოვრობს, მაგრამ ქალაქში გასვლა აკრძალული აქვს, შეუძლია მხოლოდ მეუღლეს გაჰყვეს, ისიც სამი ნაბიჯით უკან და თავჩაქინდრული...

*ოჯი*

# მილიარდერის ახირებანი



ამერიკელი სტელპტონების ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამბავი, რომ ისინი ინგლისის მეფეთა — სტიუარტების შთამომავლები იყვნენ. თურმე ლედი ადელაიდა სტელპტონს და მეფე იაკობ I-ს ძალიან შეჰყვარებიათ ერთმანეთი, საიდუმლოდ ჯვარიც დაუწერიათ, ვაჟიც გასჩენიათ, მაგრამ სამეფო კარის ხლართებისგან თავის ასარიდებლად, ადელაიდა შვილიანად ამერიკაში გადასახლებულა. მისმა შვილთაშვილმა ჯონმა, ბავშვობის ოცნების ასრულება განიზრახა — გამეფება მოინდომა, მაგრამ ცხადია, ბუკინგემში ცხვირს არავინ შეაყოფინებდა და ამიტომ 47 წლის მილიარდერმა ბიზნესი უფროს ვაჟს, ჯოზეფს გადააბარა. თვითონ კარიბის ზღვაში, იამაიკის ახლოს, ერთი მოზრდილი კუნძული იყიდა, დააარსა ახალთახალი სამეფო და ცოლის სიყვარულით ლილილენდი უწოდა, დედაქალაქს კი საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად — ჯონტაუნი, რომლის ცენტრში თავს იწონებს გედივით თეთრი სასახლე. სამეფო გვირგვინებიც დაამზადებინა, სულ ლალ-ბრილიანტებით მოოჭვილი, დიდებული ტახტიც დაიდგა. უჯარო სახელმწიფო ვის გაუგონიაო და ათკაციანი ლაშქარიც გაიჩინა თავისი პოლკოვნიკ-გენერლითა! დროშაცააფრიალა, ჰიმნიც ააჟღერა. მერედა, არ იტყვით, ვინ დაწერა ჰიმნი? თვით ენდრიუ ლოიდ უებერმა, ხოლო იმღერა დიდმა ლუჩანომ! უკაცრიელ კუნძულზე მეფობა რა საკადრისიაო და საცხოვრებლად სულ რჩეული ხალხი მოიწვია, თითოეულს ძვირფასი სახლ-კარ-მამულებიც დაახვედრა. სახელმწიფო ვალუტის გარეშე სად თქმულაო და ფულიც მოიჭრა — ლილილენდის გირვანქა. მართალია, გასავალი მხოლოდ კუნძულზე აქვს, მაგრამ არა უშავს. მეფედ კურთხევის დღისთვის ჯონმა ევროპისა და აზიის ყველა მონარქი და მასმედია მიიწვია, მაგრამ იამაიკის კერძო საკაბელო ტელევიზიის გარდა, არავინ გაჰკარებია. სულაც არ დასწყვეტია გული სტიუარტების უშორეულეს შთამომავალს, უიმათოდაც „დალოცეს და ტახტზე დასვეს“ ქვეშევრდომებმა და უწოდეს ჯონ I ლილილენდელი!

ყოველ წელიწადს, სამეფოს დაარსების დღეს დიდი ტაშ-ფანდურითა და კარნავალით აღნიშნავენ. ზეიმი ორი კვირა გრძელდება. მღერიან ხალხურ სიმღერებს, ცეკვავენ. ფოლკლორის შესაქმნელად საგანგებოდ მოწვეული მეცნიერები მუშაობენ. კუნძულელები დღეში სამჯერ იცვლიან სამოსს, ხელგაშლილი ცხოვრობენ. რა ენაღვლებათ — ყველა ხარჯს ჯონ I სწევს!

მეფის ოჯახი და ნათესავ-ახლობლები ხომ კარგად ერთობიან, არც საქმე ავიწყდებათ. უმცროსმა ბატონიშვილმა არტურმა ტურისტული ბიზნესი გააჩაღა. სეირის მოყვარულს რა დალევს დუნიაზე და ჩამოდიან მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოსეირე მოსეირნეები, იღებენ სურათებს ლილილენდის მეფე-დედოფალთან ერთად სეფედარბაზში და ამ გართობაში კაი ბლომად ფულს ხარჯავენ.

*მირ ნოვოსტეი №12*

# კბილები... ვალში

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში პოლიციას ერთმა მოქალაქემ მიმართა საჩივრით — მალე შიმშილით ამომხდება სული, რადგან კბილები აღარ მაქვსო. პოლიციელების ირონიულ რჩევაზე, სტომატოლოგს მიმართეო, მომჩივანმა გადაჭრით იუარა — ექიმი ვერ მიშველისო. როგორც გაირკვა, კბილების პროთეზი ვალში მევალეს წაუღია. უკბილო მოქალაქეს მისი სულ 150 ევრო მართებდა. პოლიცია იძულებული შეიქნა კონფლიქტში ჩარეულიყო და პროთეზი მფლობელს დაუბრუნდა.

*ოკნა №9*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“






**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფრიდრიხ ენგელსის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**დ.** ზღაპრული ურჩხული; **ა.** ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** იაპონური მაფიის სახელწოდება; **ს.** შეჯიბრი თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** მუსლიმანთა ლოცვა; **ე.** ამაღლებული სცენა, სადაც მომღერლები გამოდიან; **კ.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც კაცობრიობის ერთი მეოთხედი ამოწყვიტა; **ვ.** რა ერქვა სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟს ფილმში „ვერის უბნის მელოდიები“; **ი.** ჰომეროსის ნაწარმოები; **რ.** გერმანელი მფრინავის გვარი, რომელმაც წითელ მოედანზე დასვა თვითმფრინავი; **ი.** საქართველოს კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი; **ს.** ანსამბლი, რომლის სოლისტი იყო კრის ნორმანი; **პ.** რა ერქვა პიკასოს; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ქალაქი გერმანიაში; **ი.** მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება; **ტ.** მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ს.** ინგლისელი მწერალი, „რობ როისა“ და „აივენჰოს“ ავტორი; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **ნ.** კუკარაჩას ტაბელური იარაღი; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **რ.** ებრაელი ღვთისმსახური; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც ჩვილი ზევსი გამოკვება თავისი რძით; **ა.** მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **დ.** საჯარო კამათი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კარიესი; **ვ.** ვიაგრა; **ი.** იფი; **რ.** რეცეპტი; **ი.** ისინდი; **ს.** სვანეთი; **პ.** პენსნე; **ა.** აბრაზია; **ლ.** ლეონტი; **ი.** იამბიკო; **ტ.** ტყემალი; **რ.** როსინი; **ა.** ანგარი; **შ.** შაური; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნაიკი; **ი.** იუმორი; **გ.** გეკი; **ა.** აკვანი; **ზ.** ზოდიაქო; **ე.** ელარჯი; **თ.** თარაზო; **ი.** ილიონი; **ა.** ალაფი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: რა იციან, რომ ეს გული მკვდარია.**

## კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**29 მარტი**

**აკაკი ბაქრაძე,** მწერალი, პუბლიცისტი; **დავით ციმაკურიძე**, მოჭიდავე, ოლიმპიური და სსრკ მრავალგზის ჩემპიონი; **კრისტოფერ ლამბერტი**, მსახიობი; **ელ მაკფერსონი**, ტოპ-მოდელი, მსახიობი.

**30 მარტი**

**ვინსენტ ვან გოგი**, პოსტიმპრესიონისტი ფერმწერი; **ფრანცისკო დე გოია**, მხატვარი; **სელინ დიონი**, მომღერალი; **ერიკ კლეპტონი**, გიტარისტი, მომღერალი, მუსიკოსი;

**31 მარტი**

**ზვიად გამსახურდია**, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მეცნიერი; **რენე დეკარტი**, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი; **იოზეფ ჰაიდნი**, კომპოზიტორი, დირიჟორი; **პაველ ბურე**, ჰოკეისტი; **ლაიმა ვაიკულე**, მომღერალი; **კრისტოფერ უოკენი**, მსახიობი.

**1 აპრილი**

**ზურაბ ქაფიანიძე**, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; **კარლო საკანდელიძე**, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; **ნიკოლაი გოგოლი**, მწერალი; **სერგეი რახმანინოვი**, კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი; **არიგო საკი** საფეხბურთო მწვრთნელი; **ოტო ფონ ბისმარკი**, გერმანიის იმპერიის რაიხსკანცლერი (1871-90).

**2 აპრილი**

**ტიციან ტაბიძე**, პოეტი; **გიორგი ქავთარაძე**, მსახიობი, რეჟისორი; **ჰანს ქრისტიან ანდერსენი**, მწერალი; **ემილ ზოლა,** მწერალი; **ჯაკომო კაზანოვა**, მწერალი; **უოლტერ კრაისლერი**, კორპორაცია „კრაისლერის“ დამაარსებელი; **ფერენც პუშკაში**, ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

**3 აპრილი**

**გიორგი ნაფეტვარიძე**, პოეტი; **მარლონ ბრანდო**, მსახიობი; **ჰელმუტ კოლი**, გერმანიის ფედერაციის კანცლერი; **ედი მერფი**, მსახიობი; **ალეკ ბოლდუინი,** მსახიობი.

**4 აპრილი**

**დავით ბადრიძე**, მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი; **თომას მაინ რიდი**, მწერალი; **ანდრეი ტარკოვსკი**, რეჟისორი; **ჰარი მური**, გიტარისტი, კომპოზიტორი, ვოკალისტი; **რობერტ დაუნი**, მსახიობი.

## სიტყვათა კონა

**იაბო** — დაკოდილი ცხენი, — ლაფშა.

**იადგარი** (სპ.) — ძველ ქართულ მწერლობაში ჰიმნებისა და საგალობლების კრებული.

**იავარქმნილი** (ძვ. და წიგნ.) — დარბეული, გაძარცული, აოხრებული.

**იალაღი** (თურქ.) — საზაფხულო საძოვარი (მთაში).

**იალკიალი, იალტიალი** — ცაში აქა-იქ ღრუბელი; ალაგ ღრუბელი, ალაგ მოწმენდილი (საბა.).

**იამანი** — ძვირფასი ქვა — აყიყი.

**იანი** — ზუთხისა და ტარაღანის მუცლის ზედა ნაწილი.

**იანიჩარი** (თურქ.) (ისტ.) — პრივილეგირებული ქვეითი ჯარი სულთნის თურქეთში XIV-XIX სს-ში; პირველ ხანებში დგებოდა ბავშვობაში ტყვედ წაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან. 2. ასეთი ჯარის ჯარისკაცი.

**იარმუკა** (გერმ.-რუს.-დან) (ძვ.) — ბაზარი, ბაზრობა.

**იარუსი** (რუს.) — მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული თეატრისა და მისთ. დარბაზში.

**იასაული** (თურქ.) — რევოლუციამდე — პოლიციის მოხელე სოფელში.

**იასპი** (სპ.) — ძვირფასი ქვა მოწითალო ან ჭრელი; კვარცის ნაირსახეობა, — ეშმის ქვა.

**იატაგანი** (თურქ.) (ძვ.) — მოკლე, მოღუნული, ორპირი მახვილი.

**იახსარი** — თუშების, ფშავლებისა და ხევსურების ძველი წარმართული ღვთაება.

**იახშიოლ** (თურქ.) (ძვ.) — ღვინის სმაში „ალავერდის“ საპასუხო თანხმობის სიტყვა.

**იდიომი** (ბერძნ.) (ლინგვ.) — გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობას. (მაგ., „ყურს დაუგდებს“, „ტანს აიყრის“.)

## «გამქრალი» ნატო ონიანი

**— სად არის ამჟამად ნატო ონიანი. ამბობენ, ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს კვლავაც აქვს თავისი პრესსამსახური და ნატო მასთან მუშაობს პრესსამსახურის უფროსად, ამიტომაც წამოვიდა პირველი არხიდანო.**

***ნიკა ლეჟავა***



კითხვას უპასუხებს **ნატო ონიანი**

— პირველი არხიდან წამოვედი იმიტომ, რომ გამათავისუფლეს. საბაბი ძალიან მარტივი იყო, აღარ სჭირდებოდათ ანალიტიკური გადაცემები. იმ პერიოდში სხვა არხის ღამის საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამებიც დაიხურა, თუმცა სამსახურიდან არავინ დაუთხოვიათ. მე ნაწყენი არ ვარ ზაზა შენგელიაზე. მას, რაც დაავალეს, ის შეასრულა პირნათლად. ორი კვირაა, რაც მუშაობა დავიწყე. პრეზიდენტთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია, რადგანაც ჩვენ დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს, მაგრამ ვმუშაობ სულ სხვაგან პიარკომპანია — „NIKKOLO მ“-ში. სხვა შემოთავაზებებიც მქონდა, ორმა ტელეკომპანიამ მიმიწვია, მაგრამ უარი განვაცხადე, რადგანაც ცოტა ხანი მინდა ტელევიზიის გარეშე ვიცხოვრო. თანაც ძალიან მომწონს ახალი სამსახური. მე, როგორც ცვლილებების მოყვარულს, თუ გამიჩნდება სურვილი ახალი პროექტის შექმნისა, ტელევიზიაში დაბრუნება არა მგონია, გამიჭირდეს.

## ჩემი წინაპრები კათოლიკეები იყვნენ

**— ამბობენ, რომ უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი ვანო მერაბიშვილი კათოლიკეა და მეუღლედ ღვიძლი ბიძაშვილი ჰყავს მოყვანილიო. რამდენად მართალია ეს და იქნებ ცოტა რამ მოგვითხროთ ბატონ ვანოს შესახებ.**

***მარიამ ჩხიკვაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ვანო მერაბიშვილი**, უშიშროების საბჭოს მდივანი



— ჩემი წინაპრები კათოლიკეები იყვნენ. პირადად მე, ათეისტი არ ვარ, მაგრამ, არც ეკლესიურად ვცხოვრობ. რაც შეეხება ჩემსა და ჩემი მეუღლის ნათესაურ კავშირს, ეს სრული აბსურდია და ვერც კი ვხვდები, რას უნდა ემყარებოდეს მსგავსი ჭორი. წარმოშობით სამცხიდან ვარ (ადიგენის რნი, სოფ. უდე), ხოლო მეუღლე მეგრელია. რატომღაც ხალხს მცდარი წარმოდგენა აქვს კათოლიციზმზე და ჰგონია, რომ თუ კათოლიკე ხარ, აუცილებლად ნათესავი უნდა შეირთო ან გაჰყვე ცოლად. ტრადიციულად ქართველი კათოლიკეები არასოდეს ქორწინდებოდნენ საკუთარ ნათესავებზე. რაც შემეხება პირადად მე — ვარ 35 წლის. დავამთავრე თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი. ოთხი წლის წინ დავქორწინდი, ჩემი მეუღლეა თამარ სალაყაია, ეს მისი ქალიშვილობის გვარია, ამჟამად იგი მერაბიშვილია. მყავს 3 წლის ვაჟი.

## ყველაზე ძვირად ღირებული ავტომობილი...

**— გასულ წელს „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა 2003 წლის ყველაზე ძვირად ღირებული მანქანების რეიტინგი. იქნებ მოგვაწოდოთ წლევანდელი მონაცემებიც?**

***კარლო შენგელია***




— ამერიკული ჟურნალის, „ფორბსის“ მონაცემებით, 2004 წელს ყველაზე ძვირად ღირებული მანქანა სპორტული „Enco Ferrari“ გახლავთ. მისით „ქროლის“ მსურველებს 652 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ. „Enco Ferrari“ უკვე მეორე წელია, ამ რეიტინგის ლიდერია. ჟურნალ „ფორბსის“ განმარტებით, ეს წარმატება ნაწილობრივ კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ინჟინრების „დამსახურებაა“, რომლებმაც ვერა და ვერ დააყენეს საშველი Bugatti Veyron-ს, 16-ცილინდრიანი სუპერმანქანის კონსტრუირებას. ექსპერტების ვარაუდით, იგი მილიონ დოლარამდე ეღირება, ანუ „სულ მცირე“ — 999.999 ევრო. ასევე რეიტინგში არ მოხვდა Mercedes McLaren SLR, რომელსაც ზაფხულში უკვე გამოიტანენ გასაყიდად და 450 ათას დოლარამდე ეღირება. მეორე ადგილზე სხვა „გერმანელი“ გავიდა — Porsche Carrera GT. თუმცა ამ ადგილს ფორდის Saleen S7-თან იყოფს, რომელიც ამერიკაში 440 ათასი დოლარი ფასობს. შემდგომი ადგილები ასე განაწილდა: მესამეა — Carrera GT; მეოთხე — გრძელბაზიანი Maybach 62 (Mercedes) ლიმუზინი; მეხუთე — გაგერმანელებული — Rolls-Royce Phantom, (BMW); მეექვსე — იტალიური, Lamborgini Murcielago; მეშვიდე ადგილზეა Bentley Arnage RL; მერვე პოზიციაზეა 236 ათასად შეფასებული, ინგლისური Aston Martin V12 Vanquish, მეცხრე და მეათე ადგილებზე კი _ Ferrari - 575 M Maranello და Ferrari 360 Modena Spider არიან. ექსპერტების მტკიცებით, ეს უკანასკნელი ავტომობილები მომავალ წელს რეიტინგში ვეღარ მოხვდებიან, რადგანაც მათ Bugatti და Mercedes SLR გამოაძევებენ.

## მემედ აბაშიძის წვლილი საქართველოს წინაშე

**— თუ გინდათ გაუნათლებელ ადამიანად მიმიჩნიეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ამიხსენით, ვინ იყო მემედ აბაშიძე, რომლის სახელითაც დღესაც სპეკულირებს ასლან აბაშიძე.**

***ჭაბუა მიქაძე***

**ვიხელმძღვანელეთ „საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ (1977 წ.), ტომი I**

— ასლან აბაშიძე შვილიშვილია მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძისა, მემედბეგი (1873 — 1941) ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი გახლდათ. იგი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი იყო. დაწყებითი განათლება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში ჰქონდა მიღებული. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულს, სპარსულსა და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა, სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელ კომიტეტს“, 1919-21 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“. იგი ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი გახლდათ.

1918 წელს დიდი სახალიფოს შექმნაზე მეოცნებე ენვერ ფაშას მარჯვენა ხელმა ვეხიბ ფაშამ ბათუმი დაიკავა. ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლები იხმო და მათთან საუბარი ინება. დელეგაციას მეთაურობდა მემედ აბაშიძე, სანჯაყ-ბეგთა შთამომავალი, ახოვანი, განათლებული რაინდი. მან სარდალს თავაზიანად მიმართა:

— პატივცემულო სტუმარო, მოგესალმებით ჩვენს მიწა-წყალზე!

— მე აქ სტუმარი არა ვარ, ბათუმი და მთელი ეს მხარე თურქეთის იმპერიის კუთვნილებაა, — წარბი შეკრა ფაშამ.

— არა, ბატონო, — არ დაუთმო მემედმა, — აჭარა და ბათუმი ყოველთვის იყო საქართველოს კუთვნილება და მომავალშიც მისი განუყრელი იქნება!

განრისხდა ფაშა...

თურქეთის მთავრობის ბრძანებით, თურქთა მხედრობამ მოახერხა მემედ აბაშიძის შეპყრობა და ტრაპიზონის საპყრობილეში ჩაკეტა. მაგრამ თავისუფლებისა და სამშობლოს დიდმა სიყვარულმა მემედ აბაშიძეს შეუძლებელი შეაძლებინა. როდესაც სიკვდილმისჯილთა საკნის კარები გააღეს, ოსმალებს ურჩი „ერთმორწმუნე“ იქ აღარ დაუხვდათ...

...თურქმა ვერც აჭარა დაიმორჩილა და ვერც ჭეშმარიტი მამულიშვილი.






CMYK

# საფრანგეთის ნაკრები თბილისში ჩამოვა



## რატომ უხარია ჟირესს თურქეთის ნაკრებში ტიგანას დანიშვნა

30 მარტს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მანჰაიმში გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებს შეხვდება. ეს იქნება ალან ჟირესისთვის პირველი სანაკრებო გამოცდა. მისი ოპონენტი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებია, რომლის რიგებშიც ბუნდესლიგის რამდენიმე ფეხბურთელი ასპარეზობს. გერმანელ ახალგაზრდებს ული შტილიკე — 80-იანი წლების გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავი თავკაცობს.

თუ გავიხსენებთ 20-25 წლის წინანდელ უმწვავეს ფრანგულ-გერმანულ საფეხბურთო დაპირისპირებებს სანაკრებო დონეზე, რომლის უშუალო მონაწილეებიც შტილიკე და ჟირესიც გახლდნენ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცისთვის ეს ფაქტორი დამატებითი მოტივაცია იქნება.

ალან ჟირესმა ამ მატჩისთვის 18 ფეხბურთელს უხმო:

გიორგი ლომაია („სპარტაკი“ მოსკოვი), ზურაბ მამალაძე („ლოკომოტივი“ თბილისი), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი“ გერმანია), რევაზ ქემოკლიძე („თბილისი“), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“), გიორგი ნემსაძე („დინამო“ თბილისი), ზურაბ ხიზანიშვილი („რეინჯერსი“ შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო“ მოსკოვი), რატი ალექსიძე („როსტოვი“), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი“ დონეცკი), კახა კალაძე („მილანი“), ალექსანდრე ამისულაშვილი („დინამო“ კიევი), მიხეილ აშვეთია („ლოკომოტივი“ მოსკოვი), დავით სირაძე („უნიონი“ გერმანია), ვიტალი დარასელია („ალანია“), ლადო ახალაია („დინამო“ თბილისი), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი“ დონეცკი).

აი, რა განაცხადა ალან ჟირესმა თბილისიდან გამგზავრების წინ:

— სია, სადაც მითითებულია, თუ ვინ ითამაშებს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 30 მარტს გერმანიის ოლიმპიური ნაკრების წინააღმდეგ, წინასწარ იყო შედგენილი. მინდა გაგაცნოთ ჩემი წესები სანაკრებოდ ფეხბურთელების შერჩევასთან დაკავშირებით. ის, ვინც ნაკრებში იქნება გამოძახებული, უნდა თამაშობდეს თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ეს ეხება როგორც საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე, ასევე უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს. პრინციპი და მიდგომა ყველას მიმართ საერთო უნდა იყოს. ბუნებრივია, გავითვალისწინებთ განსაკუთრებულ შემთხვევებსაც.

მე მაინტერესებს ნაკრების ფორმირება და მინდა ამასთან დაკავშირებულ საკითხებს გავეცნო. ამ 18 ფეხბურთელის გარდა, მე მაქვს სია, სადაც ორმოცამდე ფეხბურთელის გვარი ჩავინიშნე. საკვალიფიკაციო მატჩებისთვის საკმაოდ სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. მანჰაიმში თამაშის მეორე დღეს თურქეთის ნაკრები ხორვატებს ეთამაშება და მინდა, რომ ამ მატჩს დავესწრო. საკმაოდ დიდ ყურადღებას ვუთმობ ჩვენი ქვეჯგუფის წევრების შესწავლას. საბერძნეთსა და დანიას ევროპის ჩემპიონატზე დავაკვირდები.

**— თქვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობები გაქვთ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან. თუ იგეგმება საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრების შეხვედრა? თუ ექნებათ ქართველ გულშემატკივრებს საშუალება, იხილონ ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავები თბილისში?**

— ამ საკითხზე უკვე ვიმუშავეთ და არის პირველი შედეგებიც: საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია დათანხმდა ჩემს წინადადებას და მომავალი წლის თებერვალში განხორციელდება ეს პროექტი. ასე რომ, თებერვალში, ქართველი გულშემატკივრების წინაშე ფრანგული ფეხბურთის აღიარებული ოსტატები გამოვლენ.

**— საფრანგეთის ნაკრებში თქვენი თანაგუნდელი ტიგანა ერთ-ერთი კანდიდატია თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. თუ ქაუჩრეთ მას?**

— არა, მე ეს ამბავი საინფორმაციო საშუალებებით გავიგე. კარგი იქნება, თუ ტიგანა ჩაიბარებს თურქეთის ნაკრებს, რადგანაც როდესაც „პარი სენ ჟერმენს“ ვწვრთნიდი, ყოველთვის ვუგებდი მის „მონაკოს“, ერთი სიტყვით, მინდა, რომ ეს ტრადიცია სანაკრებო დაპირისპირების დროსაც გაგრძელდეს...

# მალდინი „მილანში“ 2006 წლამდე დარჩება

„მილანის“ სიმბოლოდ ქცეული პაოლო მალდინი კლუბთან კონტრაქტს 2006 წლამდე გააგრძელებს.

35 წლის ფეხბურთელს „მილანთან“ კონტრაქტი 2005 წელს უმთავრდება, თუმცა თავად გამოთქვა სურვილი, რომ კიდევ ერთი წელი დარჩენილიყო „როსონერების“ შემადგენლობაში. „მართალია, ხელშეკრულება ჯერ ოფიციალურად არ გამიგრძელებია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე“, — ამბობს მალდინი.

პაოლო მალდინი, რომელსაც „მილანში“ დებიუტი 1985 წელს ჰქონდა „უდინეზესთან“, უკვე მეოცე სეზონს ატარებს ამ გუნდში. მან ექვსჯერ მოიგო სკუდეტო და ოთხჯერ გახდა ევროთასების გამარჯვებული. ნაკრებში მის მიერ 126-ჯერ ჩატარებული თამაში ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. უეფას ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გამართულ გამოკითხვაში, მალდინი ევროპის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ოცეულში შევიდა.



# ფერგიუსონმა ბექჰემს ისევ აჯობა...



ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს ალექს ფერგიუსონსა და „რეალის“ ფეხბურთელს დევიდ ბექჰემს შორის იდეალური ურთიერთობა არაა, ყველასთვის ცნობილია. ფერგის ნასროლი ბუცით ბექჰემის გახეთქილმა წარბმა მათ შორის ურთიერთობა დაასრულა. დევიდი იძულებული გახდა, მანჩესტერიდან მადრიდში გადაბარგებულიყო. თუმცა, როგორც ჩანს, არსებული დაძაბულობა ბოლომდე მაინც ვერ განიმუხტა.

საქმე ეხება რუუდ ვან ნისტელროის ქორწილს, რომელიც 2004 წლის ივლისშია დანიშნული. ნისტელროიმ თავისი მეგობრების მოწვევა განიზრახა. მათ შორის მოიაზრებოდა ბექჰემიც, რომლის დიდებული გადაცემებითაც თავადაც არაერთი გოლი გაუტანია. თუმცა სიძემ ყოფილი თანაგუნდელის მოწვევა გადაიფიქრა და ბექჰემი სტუმართა სიიდან ამოიღო... ამბობენ, ეს გადაწყვეტილება მწვრთნელის მითითებით მიიღოო...

ერთი სიტყვით, ნისტელროი არჩევანის წინაშე დადგა — ან ბექჰემი უნდა მიეწვია ჯვრისწერაზე, ან ფერგიუსონი. ჰოლანდიელმაც არჩევანი მწვრთნელზე გააკეთა, რომელსაც არანაკლები დამსახურება მიუძღვის მის წინაშე.

ნისტელროის ერთ-ერთი მეგობარი ამ ფაქტთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებს: „რუუდს უნდა, ყველაფერი კარგად იყოს, არ არის აუცილებელი, რომ ქორწილის მთავარი მოქმედი პირები ფერგი და დევიდი გახდნენ. ეს შეიძლება გასართობ სანახაობად იქცეს, რაც მასპინძელთათვის სრულიადაც არ იქნება სასურველი...“

# თბილისი ძიუდოს ფორუმს უმასპინძლებს

3-4 აპრილს თბილისში გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე უმასპინძლებს „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც ამავე დროს ოლიმპიადის სალიცენზიო სტატუსი აქვს. ამ ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფისთვის საქართველოს ბიუჯეტმა 250 ათასი ლარი გაიღო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი რიგით 31-ეა და საკმაოდ დიდი პრესტიჟულობით გამოირჩევა.

საქართველოში 33 ქვეყნის წარმომადგენლებს ელიან. თბილისის ტურნირი ბევრი სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს არის ბოლო შანსი ათენის ოლიმპიადაზე გამგზავრების მსურველთათვის. სწორედ თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გაირკვევა იმ ძიუდოისტთა ვინაობა, ვინც ათენში იასპარეზებს.

რატომღაც თბილისში არ ჩამოდის ძიუდოს აღიარებული მსოფლიო ლიდერის — იაპონიის წარმომადგენლობა.

საქართველოს ნაკრები თითოეულ წონაში ოთხი სპორტსმენით იასპარეზებს.

# ჩემპიონთა ლიგა, მეოთხედფინალი — პირველი შეხვედრები

**პორტო — ლიონი 2:0**
**რეალი — მონაკო 4:2**
**ჩელსი — არსენალი 1:1**
**მილანი — დეპორტივო 4:1**

საპასუხო მატჩები გაიმართება 6-7 აპრილს.

ნახევარფინალში რეალისა და მონაკოს შორის გამარჯვებული შეხვდება ჩელსისა და არსენალს შორის გამარჯვებულს. პორტო-ლიონის წყვილის გამარჯვებული შეხვდება მილანი-დეპორტივოს წყვილის გამარჯვებულს.

# უეფას თასი, მერვედფინალი — საპასუხო შეხვედრები

**ბარსელონა — სელტიკი 0:0 (0:1)**
**ვალენსია გენჩლერბირლიგი 2:0 (0:1)**
**ბრიუგე — ბორდო 0:1 (1:3)**
**მალიორკა — ნიუკასლი 0:3 (1:4)**
**ეინდჰოვენი — ოსერი 3:0 (1:1)**
**ინტერი — ბენფიკა 4:3 (0:0)**
**მარსელი — ლივერპული 2:1 (1:1)**
**რომა — ვილიარეალი 2:1 (0:2)**

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ბორდო — ვალენსია
მარსელი — ინტერი
სელტიკი — ვილიარეალი
ეინდჰოვენი — ნიუკასლი

პირველი მატჩები 8 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 14 აპრილს.

# ირაკლი ლაბაძის ორმაგი ნახტომი



მოგეხსენებათ, ინდიან ველსის ტურნირზე შესანიშნავად გამოვიდა ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, რომელმაც მხოლოდ ნახევარფინალში დათმო მატჩი ბრიტანელ ჰენმანთან და შედეგად არა მარტო 106 ათასი დოლარით გამდიდრდა, არამედ სარეიტინგო სიაშიც არნახული ნახტომი განახორციელა. ირაკლი ლაბაძემ 103 საფეხურით წინ წაიწია და ამჟამად მსოფლიო საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში 55-ე პოზიციაზეა. საგულისხმოა, რომ ადრე ირაკლის საუკეთესო მაჩვენებელი 90-ე პოზიცია გახლდათ.

ასეთი წარმატების შემდეგ, ბუნებრივია, დიდია მასმედიის ყურადღება ქართველი სპორტსმენისადმი. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ბოლო ხანს უცხოურ პრესაში მრავლად გამოქვეყნდა ინტერვიუები ქართველ ჩოგბურთელთან.

**ირაკლი ლაბაძე:** ინდიან ველსის ტურნირი მხოლოდ დიდი მუზარადის ოთხეულს ჩამოუვარდება, მიხარია, რომ ასეთი წარმატება მოვიპოვე, თავი სიზმარში მგონია, რამდენიმე დღე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ გავიღვიძებდი, მეგონა ყველაფერი გაქრებოდა და პირველი წრიდან დავიწყებდი თამაშს...

**— რამდენად მოელოდით ასეთ წარმატებას?**

— კარგად თამაში რომ შემიძლია, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ხშირად არ მყოფნის თავდაჯერებულობა და ამის გამო ბევრი ტურნირი წარუმატებლად დავამთავრე. ვერ ვიტყვი, რომ ამჯერად თავდაჯერება მომემატა. ტურნირის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე დავიწყე სრული დატვირთვით ვარჯიში. ძნელი სავარაუდო იყო, ასეთ წარმატებას თუ მოვიპოვებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, სერიოზულ ტურნირებში სისტემატიურმა თამაშმა თავისი კვალი დააჩნია ჩემს გამოცდილებას. ალბათ ეს შედეგიც ამის „ბრალია“.

**— თქვენ 106 ათას 240 დოლარი მოიგეთ. რას აპირებთ?**

— ერთი სული მაქვს, ახალ მანქანაში ჩავჯდე და ახლავე აქაურობას გავეცალო, მეშინია, ის, რაც ხდება, სიზმარი არ აღმოჩნდეს...

**— ადრე ყველაზე დიდი თანხა რა მოგიგიათ?**

—სანქტ-პეტერბურგში წყვილთა თანრიგში ფინალამდე მივედი და ამისთვის 24 ათასი დოლარი მერგო...

**— როგორ დაინტერესდით ჩოგბურთით?**

— ეს მამაჩემის მცდელობით მოხდა. მას საკმაოდ გვიან მოუწია ჩოგბურთის თამაში — 33 წლის იყო, რომ პირველად სცადა ძალები კორტზე, საკმაოდ კარგი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ ასაკმა თავისი ქნა... ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რათა მე გამოვსულიყავი ჩოგბურთელი. პირველად კორტზე რომ მიმიყვანა, ექვსი თუ შვიდი წლის ვიქნებოდი, რაც თავი მახსოვს, ჩოგანი ხელიდან არ გამიშვია.

**— როგორ ჩამოყალიბდით ჩოგბურთელად?**

— მამაჩემს ცოტაოდენი დანაზოგი ჰქონდა და მთლიანად ჩემს სპორტულ კარიერას მოახმარა. უნდოდა, რომ დიდი ჩოგბურთი მეთამაშა, ამისთვის არაფერს იშურებდა. ერთი სიტყვით, გარკვეულ რისკზე წავიდა და მიხარია, რომ გავუმართლე. თავდაპირველად გერმანიაში ვემზადებოდი, სწორედ ამ მზადების წყალობით მოვიპოვე რამდენიმე ტურნირში გამარჯვება და სპონსორებმაც მაშინ მომაქციეს ყურადღება. ვიტყვი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელია, თუმცა, უსახსრობაა იმის მიზეზი, რომ მათ არა აქვთ საშუალება სხვადასხვა ტურნირებზე გამოვიდნენ და ყველას დაანახვონ თავიანთი შესაძლებლობები. ამიტომაც არ იცნობენ მათ მსოფლიოში, არადა მერწმუნეთ, ფინანსური მხარდაჭერა რომ იყოს, ასეთი სიტუაცია ნამდვილად არ იქნებოდა.

**— რამდენად პოპულარულია საქართველოში ჩოგბურთი?**

— ადრე უფრო პოპულარული იყო. საქართველოს ისეთი აღიარებული ვარსკვლავები ჰყავდა, როგორებიც ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია იყვნენ. რა თქმა უნდა, მათი მაგალითი ჩოგბურთის პოპულარობისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამჟამად მდგომარეობა მეტად არასასურველია. თუნდაც ის რად ღირს, რომ საქართველოს მეორე ჩოგანი მსოფლიო კლასიფიკაციაში მეშვიდე ასეულშია. მაგრამ ვფიქრობ, რომ ინდიან ველსის ტურნირზე ჩემი წარმატებული გამოსვლა გარკვეული სტიმული იქნება იმისთვის, რომ ჩვენში ჩოგბურთი უფრო პოპულარული გახდეს.

**— სკოლაში სწავლისას რომელიმე საგანი გამორჩეულად ხომ არ გიყვარდათ?**

— მიყვარდა მათემატიკა და გეოგრაფია. დანარჩენი საგნები კი რატომღაც არ მაინტერესებდა.

**— სპორტის სხვა სახეობები თუ გიტაცებთ?**

— ისე, როგორც ყველა ქართველი ბავშვი, მეც ქუჩის ფეხბურთს ვთამაშობდი, მერე ამერიკაში რომ გადმოვედი, კალათბურთით ვერთობოდი, ამერიკა კალათბურთის გარეშე წარმოუდგენელია, მიყვარს ჭადრაკის თამაშიც, მაგრამ მგონია, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე სპორტი.

**— გამოდის, რომ თქვენ კარგი ტაქტიკოსიც უნდა იყოთ...**

— ჭადრაკი ძალიან მიყვარს, როდესაც ტრავმის გამო ვარჯიშის საშუალება არა მაქვს, თავს ჭადრაკით ვირთობ. კომპიუტერს ხშირად ვუგებ...

**— მოედანზე ხშირად ექსცენტრიკულად იქცევით... ბლეიკთან მატჩის დროსაც მიიჭერით მიკროფონთან... მსაჯისთვის რაღაცის თქმა გინდოდათ, მაგრამ მიკროფონის გამორთვა მოასწრეს...**

— ძნელია, რობოტივით იყო კორტზე სამი სეტის განმავლობაში. თანაც მაყურებლის ინტერესიც უნდა გაითვალისწინო — მათ შოუ უნდათ და შენ ეს უნდა შესთავაზო.

**— ბლეიკთან შეხვედრისას მსაჯმა რით გაგანაწყენათ?**

— ბავშვს ბურთი მოედანზე რამდენჯერმე გადმოუვარდა და ამის შესახებ ვუთხარი. იმის მაგივრად, რომ მისთვის მიეცა შენიშვნა, მე გამაფრთხილა, სწორედ ამან გამაღიზიანა და ამიტომ მივედი მიკროფონთან — მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოვასწარი — „გაფრთხილებ, შენ...“ შემდეგ კი მიკროფონი გამომირთეს. ამის გამო ალბათ ჯარიმა არ ამცდება...

# რუმინეთი — საქართველო 25:18

გაიმართა ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების დასკვნითი ტურის მატჩი. რუმინეთში ქალაქ იასაში ქართველი „ბორჯღალოსნები“ იქაურ „მუხის ფოთლებს“ დაუპირისპირდნენ.

მასპინძელთა უძლიერესმა გუნდმა მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლო ხელიდან გამოეგლიჯა საქართველოს ნაკრებისთვის გამარჯვება.

უაღრესად დაძაბული ბრძოლის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, შეძლეს რუმინელებმა გადამწყვეტი ლელოს დადება.

ერთა თასის მიმდინარე გათამაშება არ გახლდათ მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის შესარჩევი ტურნირი. აღნიშნული გარემოება საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას აძლევდა საშუალებას, გარკვეული თამამი ექსპერიმენტები განეხორციელებინა. ამას დაემატა ქართველი ლეგიონერების ტრავმები და ახალგაზრდა თაობას მიეცა საშუალება, თავისი შესაძლებლობები წარმოეჩინა.

უნდა ითქვას, რომ „ბორჯღალოსანთა“ ახალ გუნდს თავი არ შეურცხვენია. მათ ღირსეულად იასპარეზეს ევროპის ერთა თასის ბოლო ეტაპზე, ამის დასტური თუნდაც რუმინეთში გამართული მატჩი გახლდათ.

ცხადია, რომ მიმდინარე გათამაშებამ გამოკვეთა ის ბირთვი, რომელზეც აიგება საქართველოს მომავალი ნაკრები.

**გვერდი მოამზადა**
**გიგა ხირსელმა**

## №12 (390) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 619 რესპონდენტი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 228 ქალმა და 382-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე სანდო ქართველი პოლიტიკოსი?“**

I-II ადგილები ამ ბოლო დროს მრავალჯერ ნდობაგამოცხადებულმა მიხეილ სააკაშვილმა და ნინო ბურჯანაძემ გადაინაწილეს.

პირველ ადგილზე პრეზიდენტია, საშუალო ქულაა **7,65**. რესპონდენტთა 75%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური — 1 ქულა მკითხველთა 2%-მა დაუწერა.

შემდეგ ადგილზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნინო ბურჯანაძეა. საინტერესოა, რომ ქალბატონ ნინოს არც ერთმა მკითხველმა არ მიაკუთვნა მინიმალური — 1 ქულა. საშუალო ქულაა 6,50.

რევოლუციური სამეულის მესამე წევრს კი ნდობის რეიტინგში უცხოეთიდან ახლახან დაბრუნებული, პირველი პრეზიდენტის ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია ჩაენაცვლა. რესპონდენტთა 8,6%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით, თითქმის იმავე რაოდენობამ — 8,4%-მა კი მინიმალური — 1 ქულა მიაკუთვნა. როგორც ვხედავთ, მკითხველი არაერთგვაროვანია მის შეფასებაში. თუმცა, რეიტინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა შორის, მას საკმაოდ დამაჯერებელი მდგომარეობა უკავია.

ზურაბ ჟვანია მეოთხე ადგილზეა საშუალო ქულით 4,88. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2-მა მკითხველმა (0,3%) მისცა მას მაქსიმალური შეფასება, მინიმალური — ქულით კი 11%-მა შეაფასა.




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — 30 წლის **ელენე ფრუიძე,** 52 წლის **ონისე დავითაშვილი,** 41 წლის **ვაჟა გელაშვილი** (თბილისი) და 41 წლის **გია გულხადარაშვილი** (გურჯაანი, კარდენახი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 31 მარტს, 17 საათზე.

## №13 (391) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში».**

**№13 (391) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 31 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 1 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №13(391) — ზომიერი ტელეარხი

**თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ზომიერი და ობიექტური ტელევიზია** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№13(391) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეარხი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | იმედი | |
| 2 | I არხი | |
| 3 | მზე | |
| 4 | აჭარა | |
| 5 | კავკასია | |
| 6 | რუსთავი 2 | |
| 7 | იბერია | |
| 8 | IX არხი | |

### მკითხველის რეიტინგი

**არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით პარლამენტს მიღმა დარჩენილ პოლიტიკურ ძალთაგან ვის თანაუგრძნობთ ყველაზე მეტად?**

✓ ______________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რომელი პიროვნების როლს აფასებთ ყველაზე დადებითად აჭარის კრიზისის დროს?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 81,0% |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 68,5% |
| 3. | ზურაბ ჟვანია | 20,9% |
| 4. | ასლან აბაშიძე | 16,1% |
| 5. | გიორგი ბარამიძე | 7,9% |
| 6. | იური ლუჟკოვი | 5,6% |
| 7. | ვლადიმირ პუტინი | 5,2% |
| 8. | გიორგი აბაშიძე | 4,1% |
| 9. | რიჩარდ მაილსი | 3,5% |
| 10. | ვალტერ შვიმერი | 2,3% |

რესპონდენტთა 1,2%-მა აჭარის კრიზისის დროს დადებითად არც ერთი პიროვნების როლი არ შეაფასა.

**შენიშვნა:** პროცენტთა ჯამი 100-ზე მეტია, ვინაიდან თითოეულ რესპონდენტს მაქსიმუმ სამი პიროვნება უნდა დაესახელებინა.

***მკითხველის რეიტინგს 483 რესპონდენტი გამოეხმაურა***

## ფოტოანტიკვარი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

- მეც დამიძახებს ოქრუაშვილი?..

**ა.ა.** — ერთხელ მაინც დამიჯერეთ, ბ-ნო ედუარდ. დავსხდებით სატვირთო გემზე და გავიპარებით...

**ე.შ.** — უკვე გვიანია, ჩემო ასლან, აწი ჩვენ მხოლოდ ძილში თუ გავიპარებით...

***თინა რეხვიაშვილი, თბილისი***

**ა.ა.** — რას შვრები, კაცო, ამ სიბერეში ყომარის სწავლას აპირებ?

**ე.შ.** — აბა, ბიჭო, კამერის მაყურებლად მე არავინ დამნიშნავს და არიფად ყოფნას იგროკობა სჯობია ისევ.

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***

**ე.შ.** — დეიმშვიდე ახლა ნერვები და მისმინე: ოჯახის უფროსი რო მიდის, შთამომავალს ან ფულს უტოვებს, ან ვალს... მე შენ სააკაშვილი დაგიტოვე...

***გიორგი ჯანელიძე, თბილისი***

**ა.ა.** — სანამ წამოვიდოდა, მირეკავს, მიხაკი წამოგიღო თუ ვარდიო?

**ე.შ.** — (თავისთვის — შე უბედურო... ვარდები რაც იყო, სულ მე მომიტანა). ისე, ფლავი, როგორი იციან თქვენკენ?

***დავით ბიწაძე, თბილისი***

სკამწაღებულები

***ნუგზარი, თბილისი***

**ა.ა.** — რა იყო, რას მერჩი, ბიჭო ედუარდ, რომ შემომისიე ეს ბალნები?

**ე.შ.** — აბა, რა გეგონა, რომ მიჯაბნებდი ამ ბებერ კაცს, ნახე ახლა რავალია ბაბუობა.

***უცნობი***

**ე.შ.** — ფრთხილად იყავი, გავიგე სააკაშვილს უთქვამს სოროსისთვის, ვარდების ახალი პარტია გამომიგზავნე, ასლან აბაშიძეს უნდა მივართვაო.

***დათო***



ასლან აბაშიძე, ედუარდ შევარდნაძე

**ე.შ.** — ასლან, ეტყობა, მალე ჩემსავით უმუშევარი დარჩები.

**ა.ა.** — სულაც არა, ლომის ადგილს შემპირდნენ ცირკში!

**ე.შ.** — ეჰ, შენ რა გენაღვლება, ლომი ყველა ცირკში სჭირდებათ. აბა, მელიის ადგილი ვერც ერთ ცირკში ვერ ვნახე და ვარ ახლა ასე უსაქმურად.

***დათო ხვედელიძე***






გურული კახელს სტუმრად ეწვია. მასპინძელმა კარ-მიდამო დაათვალიერებინა. გურულს უნდოდა, რაიმე სასიამოვნო ეთქვა, ერთ ლამაზ ხესთან შეჩერდა და უთხრა:

— ძამა, აი ნამეტანი კაი ხე გიდგას, მარა შენ მაინც ვერ გჯობიაო!

**5/IV**

**პირველი მეოთხედი**

**გილოცავთ!**

**მთელი კვირა მაგნიტური დღეების გარეშე...**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „სალამბო“; 4. ვატმანი; 6. პრუსი; 7. რუპია; 8. ცერნი; 9. ალიბი; 10. ინგილო; 13. ყულაბა; 16. ლუარა; 18. ურუგვაი; 19. გალიანო; 20. ეკალა; 22. ლაილაი; 23. ნინიძე; 25. ლექსი; 27. შამბი; 28. რაკია; 29. ლისტი; 30. „იავნანა“; 31. აბაზანა.

**შვეულად:** 1. სეკვესტრი; 2. ოპერაცია; 3. „კუმპარსიტა“; 4. ვიტამინი; 5. ინსპექცია; 11. გაუდი; 12. ლავრა; 14. უელსი; 15. ადანი; 16. ლიე; 17. აგა; 21. „ალქიმიკოსი“; 22. ლაბირინთი; 24. ესმერალდა; 25. „ლაშარელა“; 26. ირიგაცია.





**თარაზულად:** 1. კეთილშობილი ლითონი, რომელსაც სასარჩულე მასალად იყენებენ ბრილიანტისთვის ოქროს ნაკეთობებში; 4. ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ქიმიური ატომიზმის შემქმნელი, რომელმაც პირველმა განსაზღვრა რიგი ელემენტების ატომური მასა და აღმოაჩინა აირთა კანონები, უმრავლესობისთვის კი ცნობილია მხედველობის იმ დეფექტის გამო, რომელიც თავად სჭირდა; 6. იმპერატორ ტრაიანეს მიერ რუმინეთის ამჟამინდელ ტერიტორიაზე შექმნილი პროვინცია; 7. კარგი ღირსების მაგარმერქნიანი ხე; 8. ერთ-ერთი უძველესი ალკოჰოლიანი სასმელი; 9. წელვადი კანფეტი; 10. უეფას თასის წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალისტი; 13. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 16. საფეხბურთო მატჩის ნახევარი; 18. საქონლის, განძეულობის და მისი შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში; 19. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 20. მთავარი პარტიების შემსრულებელი ბალერინა; 22. თათბედნიერი ძაღლი; 23. სხეულზე ძლივს შესამჩნევი საცურაო კოსტიუმი; 25. ნიკოლ კიდმანის არშემდგარი მემკვიდრე ტომ კრუზთან მიმართებაში; 27. შიგნითა პატარა ეზო გარშემორტყმული გალერეებით, გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ლათინურ ამერიკაში; 28. მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, კონკურსის „მის მსოფლიოს“ მეპატრონის — დონალდ ტრამპის ყოფილი მეუღლე; 29. უდიდესი ნორვეგიელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი; 30. საქონელზე დაკრული ფურცელი; 31. მშრალ კოქტეილებში ზეთისხილი, ტკბილში — ?

**შვეულად:** 1. მტრის ზურგში მებრძოლი ადგილობრივი მოსახლე; 2. უმაღლესი საზღვაო წოდების მქონე პეპელა; 3. ძვირფასი ქვა, ბივრილის გამჭვირვალე მოლურჯო-მომწვანო ან ცისფერი ნაირსახეობა. 4. სანელებლად გამოყენებული ხის ქერქი; 5. კანონის გაუვრცელებლობა, ხელშეუხებლობა, რომელზეც უარი თქვა პარლამენტართა ნაწილმა; 11. საკონტროლო დაფა სპორტული ასპარეზობისას; 12. ამერიკელი კინომსახიობი; 14. გემის გვერდითა კედელი; 15. ნორმანდიის დედაქალაქი; 16. მაღალი კლასის მოდელი — „...მოდელი“; 17. კოსმეტიკაში გამოყენებული საღებავი, დამზადებული ლაფსონიის ფოთლებით; 21. სურათი წიგნში; 22. დაწახნაგებული ალმასი; 24. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი; 25. მაუგლის ლიტერატურული მამა; 26. ახალი მოვლენა ენაში.

# ჯენიფერ ლოპესი დროს უქმად არ კარგავს



ტემპერამენტიან ჯეი ლოს მხოლოდ 5 კვირა დასჭირდა ბენ აფლეკის დასავიწყებლად და ახალი საყვარლის საშოვნელად. ის გახლავთ ესტრადის პოპულარული მოცეკვავე მარკ ენტონი. ჯენიფერის თაყვანისმცემლები გაოგნებულნი არიან, ვინაიდან ცნობილია, რომ მომღერალი მეტად პრეტენზიულია მამაკაცების მიმართ და თანაც უკარებას სახელიც აქვს. მარკი და ჯეი ლო 1998 წლიდან იცნობენ ერთმანეთს. სიმღერაც კი აქვთ ერთად ჩაწერილი („ნუ გიყვარვარ“), რასაც მათი მხურვალე რომანი მოჰყვა. ისინი ერთმანეთს აფლეკის გამო დაშორდნენ. მალე მარკმა ცოლი შეირთო — ყოფილი „მის სამყარო“. ახლა მათ რომანი განაახლეს. ბოლო დროს შეყვარებულებს სულ ერთად ხედავენ. მოცეკვავე დღე-დღეზე ცოლთან გაყრას აპირებს — უკვე სარჩელი აღძრა სასამართლოში. ახლა ჰოლივუდი მხოლოდ მათ ქორწილზე ლაპარაკობს. მარკმა საყვარელი ქალი უკვე გააცნო დედას.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## ⑬ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№13 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 1 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.